ყოველკვირეული

# ალია

N15/743/ 11 - 17 აპრილი 2016 წ PRESS ფასი 2 ლარი

ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან




რა საშიშ ნივთიერებებს შეიცავს ენერგეტიკული სასმელი „ბუმი“ და რატომ არ აწერია გამოკვეთილად, რომ ერთზე მეტის დალევა არაა რეკომენდირებული?!

12

## ვაჟა ლელუაშვილის განთავისუფლების ფარული სპეცოპერაცია უკვე დაწყებულია „ქართულ ოცნებაში“



ვაი, თქვე უბედურებო, ეს რა დღეში ხართ, „ქართული ოცნების“ ლიდერებო ეგეთი რა მიჰქარეთ, რომ ვეღარ თავისუფლდებით ჩადენილი დანაშაულისგან?!

8

## რატომ გაიქცა შალვა რამიშვილი?

შალვა რამიშვილი:

„რას მეკითხები?! ახლა შენ ამას დაბეჭდავ და ჩემი ცოლი ამას ნახავს! რას აკეთებთ ახლა? შეიძლება ასე ადამიანის პირად ცხოვრებაში ქექვა?“



16–17

# ვისზე გავრცელდება მორიგი ფარული ჩანაწერები?

6

## რა მორალზე იქნება საარჩევნო კამპანია გათვლილი, თანამდებობებს გმირები მოირგებენ თუ ბოზები

„ალასანიას ვაჟის ქორწილში ალასანიას პარტიის წევრი ქალბატონი, რომელსაც პორნოვიდეო აუტვირთეს, მითხრეს, რომ ერთობოდა და კისკისებდა, არადა, მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს, დარდისგან ლოგინად ჩავარდა... თურმე რას ამბობ, მას მეუღლესთან ერთად კარგად მოულხენია... აი, ეს არის უბედურება, რადგან საქართველოში უზნეობა ზენიტშია აყვანილი“

15

## დავით ზურაბიშვილი:

„2 ადამიანი პირადად ვიცი, ვისაც აშანტაჟებდნენ!“



„წინა არჩევნების შემდეგ, „ოცნების“ რეიტინგი თუ არ დავარდა, თორემ არ მოუმატებია ნამდვილად“

14

## უნივერსიტეტში ახალი სკანდალი იწყება!

„ქართული ოცნება“ თსუ-ს რექტორად დავით ნარმანიას ამზადებს?!




13

## 7 მაისიდან მეტრო გაჩერდება?!

„ბოდიშს ვიხდით, იმ შექმნილი პრობლემის გამო, რაც მეტროპოლიტენის გაჩერებას მოჰყვება, მაგრამ სხვა გზა არ დაგვიტოვეს“




18

## რატომ იგვიანებს სასწრაფო დახმარება ზოგჯერ 2-3 საათითაც კი და რა უნდა ქნას ამ დროს ავადმყოფმა?

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი გიორგი ბუთხუზი: „ჩვენი ბრიგადები დადიან ყველა გამოძახებაზე, იქნება ეს ნერვული გაღიზიანება თუ წნევის გაზომვა... ამის გამო გვიწევს ბევრ ისეთ მისამართზე მისვლა, სადაც არ უნდა დავდიოდეთ!“



22

## ნიკო ლეკიშვილი:

„ახლა შეიძლება ზოგიერთმა ჩაიცინოს კიდეც, რაღა დროს ნიკო ლეკიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებააო... რატომ?“



რას ამბობს დავით ნარმანიასა და დღევანდელ ხელისუფლებაზე თბილისის ყოფილი მერი?

26

## რატომ გაეხირა ისევ ყელში „ალია“ კინწურაშვილს?!

იმედია, მოსამართლე ასმათ კოხრეიძე „ალია ჰოლდინგისა“ და კეზერაშვილის საქმეზე გონივრულ და სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანს



20–21

## ოფშორული სკანდალი — „პანამა ფეიფერსის“ სკანდალის ერთ-ერთი ფიგურანტი დავით კეზერაშვილია



„პანამა ფეიფერსის“ სკანდალის ერთ-ერთი ფიგურანტი დავით კეზერაშვილია, – ამის შესახებ ინფორმაციას რამდენიმე შვეიცარიული გამოცემა ავრცელებს.

საუბარია ჟენევის ბანკში გახსნილ ანგარიშზე, რომელსაც თავდაცვის ყოფილ მინისტრთან დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანია ფლობდა. შვეიცარიის საზოგადოებრივი მაუწყებელი აღნიშნავს, რომ დავით კეზერაშვილი მინისტრის თანამდებობას 2 წლის განმავლობაში იკავებდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ოფშორში სამი კომპანიის რეგისტრაციისთვის.

„პანამა ფეიფერსის“ მასალების გამოქვეყნების შემდეგ შვეიცარიაში გამოძიება დაიწყო. ამასთანავე, პრესაში ნახსენებ ჟენევის ბანკში აცხადებენ, რომ კლიენტებს გადასახადების დამალვაში არ ეხმარებოდნენ და არც შვეიცარიის კანონი არ დაურღვევიათ.

შეგახსენებთ, რომ ჟენევის გენერალურმა პროკურორმა ოლივიე ჟორნომ „პანამის დოკუმენტების“ გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამის შესახებ გაზეთი **Tribune de Geneve** იუწყება. ამავე დოკუმენტების პუბლიკაციის გამო შვეიცარიის პოლიციამ უეფას შტაბ-ბინაში ჩხრეკა ჩაატარა.

„პანამის დოკუმენტების“ გამოქვეყნების შემდეგ ავსტრიაში ერთ-ერთი ბანკის ხელმძღვანელი მიხაელ გრაჰამერი გადადგა. მისი სახელი ამ დოკუმენტებში ფიგურირებდა. ისლანდიაში ოფშორული სკანდალის გამო პრემიერ-მინისტრი შეიცვალა, ხოლო ჰოლანდიაში პოლიციამ გამოძიება დაიწყო.

სკანდალის მიზეზი ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმის მიერ ჩატარებული გამოძიება გახდა, რომელშიც ოფშორული ანგარიშების პანამის რეგისტრატორის, **Mossack Fonseca**-ის საბუთები იყო გამოყენებული. ეს საბუთები ანონიმურმა წყარომ გერმანულ გაზეთ **Süddeutsche Zeitung**-ს გადასცა. დოკუმენტებში არის ინფორმაცია მსოფლიოს 12 მოქმედი და ყოფილი ლიდერის საბანკო ანგარიშების შესახებ. სიაში არიან: რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და მისი პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი, უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო და ასევე, ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი ლიონელ მესი. (kvira.ge)

## „ნაციონალურ მოძრაობაში“ უკვირთ, რატომ დააკავეს ვაჟა ლელუაშვილი



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ სერგო რატიანის განცხადებით, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების უკანონოდ მოპოვება-შენახვის ბრალდებით დაკავებული ვაჟა ლელუაშვილი მოქმედი ხელისუფლების მოკავშირე იყო.

სერგო რატიანმა „პირველი ტვ“-ს პირდაპირ ეთერში აღნიშნა, რომ 2012 წელს ვაჟა ლელუაშვილი გარდაბანში საარჩევნო კამპანიას „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ატარებდა.

– ვაჟა ლელუაშვილი გამგებლის არჩევნებში, გარდაბანში იყო შტაბის არაფორმალური უფროსი. რეალურად, მან ჩაატარა საარჩევნო კამპანია. აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ ის პირველივე დღიდან „ოცნებაში“ გადაბარგდა. ეს კამპანია აღინიშნა იმაში, რომ ჩვენს მხარდამჭერებს დევნიდნენ. ეს ადამიანი დღეს დაკავებულია, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ ის არის პირდაპირ ამ ხელისუფლების მოკავშირე.

2012 წლამდე პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რაც ქვეყანაში ხდებოდა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აიღო, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ კადრების გავრცელება არ ხდებოდა. ის პოლიტიკა, რომ პირადი ცხოვრებით შანტაჟი ხდება, 2012 წლიდან ტარდება. მე ვხედავ რა პრობლემები იყო წინა წლებში, ეს იყო ძირითადად კონტროლის არარსებობა, – აღნიშნა სერგო რატიანმა. (pia.ge)

## შალვა თადუმაძე არჩევნების შესახებ განკარგულების უკან გაწვევას არ გამორიცხავს



საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა არჩევნების თარიღთან დაკავშირებით პრეზიდენტის განკარგულების უკან გაწვევა არ გამორიცხა.

– კონტრასიგნაციასთან დაკავშირებით 10 დღის ვადაში მიიღებს პრემიერი გადაწყვეტილებას. პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია. რაც შეეხება კონტრასიგნაციას, კანონით, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი პრემიერს დოკუმენტს გადაუგზავნის, პრემიერს აქვს 10-დღიანი ვადა და გიორგი კვირიკაშვილი ამ ათი დღის განმავლობაში მიიღებს გადაწყვეტილებას. შესაძლოა, ყველაფერი მოხდეს. ეს დამოკიდებულია იმ კონსულტაციებზე, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან მიმდინარეობს, – აღნიშნა თადუმაძემ. (ნიუპოსტი)

## სააკაშვილი: ივანიშვილის რეჟიმს მოვაშორებთ და ამ კადრების ავტორებს უმკაცრესად დავსჯით



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით განცხადებას აქვეყნებს, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა გაავრცელა.

– ამგვარი შეცდომა აღარასდროს არ უნდა დაუშვას დემოკრატიულმა ხელისუფლებამ. როგორც კი ივანიშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს მოვაშორებთ ქვეყანას, უმკაცრესად დაისჯებიან არა მხოლოდ ამ ვიდეოების გამომქვეყნებელი, არამედ მათი შემქმნელიც.

არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ამ ხელისუფლების დროს მოხდა ამ ვიდეოების შექმნა, თუ ჩვენი მმართველობის დროს – ამ სიბინძურის ავტორები კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან. თუმცა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა, არსებობს პოლიტიკური პასუხისმგებლობაც.

ჩემი ღრმა რწმენით, ისინი, ვინც ამგვარი რამ თუნდაც საკუთარი უყურადღებობით დაუშვა საკუთარ უწყებაში, აღარასდროს უნდა დაბრუნდნენ ქართულ პოლიტიკაში. მათი ადგილი არ არის ახალი საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი და რა დამსახურებებიც არ უნდა ჰქონდეთ ქვეყნის წინაშე, – ნათქვამია მიხეილ სააკაშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. (ttaoba.ge)

## შალვა რამიშვილი — თუ კიდევ ვინმეზე ვიძალადე, ყველა დაეწყვეთ და მოდით მთავარ პროკურატურაში



ჟურნალისტი შალვა რამიშვილი მთავარ პროკურატურაში მეუღლესთან ერთად მივიდა. როგორც რამიშვილმა პროკურატურაში შესვლამდე განაცხადა, მზად არის, ყველა კითხვას უპასუხოს. ჟურნალისტი, ასევე, ითხოვს, დაიკითხოს თათია სამხარაძე (ტასო ბარნოვა) და „ტელეიმედის“ დირექტორი გიორგი ბახტაძე.

– მზად ვარ, ყველა კითხვას გავცე პასუხი. ვუსმინე ქალბატონ სამხარაძეს და ეს იყო ბოდვა. თუ რამე აქვს, თუნდაც აუდიოჩანაწერი, კი, ბატონო, გამოაქვეყნოს. მე ვყოფილვარ მოძალადე. თუ კიდევ ვინმეზე ვიძალადე, არ აქვს მნიშვნელობა, კაცზე თუ ქალზე, ყველა დაეწყვეთ და მოდით მთავარ პროკურატურაში. განაცხადა სამხარაძემ, რომ ჩემგან სექსუალური შევიწროების შესახებ მან ინფორმაცია „იმედის“ დირექტორსაც მიაწოდა. დაიკითხოს ბატონი ბახტაძეც, – განაცხადა შალვა რამიშვილმა. (2030.news)

## კონსტიტუციაში ქორწინების სუბიექტების განსაზღვრას მხარს საპატრიარქო და 5 კონფესია უჭერს



ინტერრელიგიური საბჭოს განცხადებით, ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირის კონსტიტუციაში დაზუსტება საქართველოში მოღვაწე ყველა ძირითადი, ტრადიციული რელიგიური გაერთიანებების ინტერესს წარმოადგენს. როგორც ჯგუფის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, აღნიშნული გადაწყვეტილება თანხვედრაშია ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის განწყობასთან, მიუხედავად მათი რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებისა.

– ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ: ქორწინების, როგორც მამაკაცისა და ქალის კავშირის ასახვა კონსტიტუციაში წარმოადგენს შიდა სახელმწიფოებრივ პრეროგატივას; საქართველოში მოღვაწე რელიგიურ გაერთიანებებს მიგვაჩნია, რომ – კონსტიტუციაში ამ ჩანაწერის დაზუსტება წარმოადგენს საქართველოში მოღვაწე ყველა ძირითადი, ტრადიციული რელიგიური გაერთიანებების ინტერესს და ის თანხვედრაშია ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის განწყობასთან, მიუხედავად მათი რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილებისა; ინიციატივის განხორციელება მნიშვნელოვანწილად მოხსნის მოსახლეობის დიდ ნაწილში არსებულ ეჭვებსა და სტერეოტიპს საქართველოს ევროპულ არჩევანთან მიმართებაში. შესაბამისად, შემცირდება ამ მიმართულებით არსებული ნიჰილისტური დამოკიდებულება, რაც, სამწუხაროდ, ბოლო დროს არის სახეზე; ამგვარი ინიციატივის განხორციელება მოხსნის დაძაბულობას მოსახლეობაში და შემცირდება ექსცესებისა და ძალადობის გამოვლინების რისკები სექსუალურ უმცირესობებთან მიმართებაში, – ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ – საქართველოს წმინდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია; ებრაელთა რელიგიური საზოგადოება; სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია; სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამმართველო; ევანგელურ-ლუთერული ეკლესია; იეზიდთა სასულიერო საბჭო. (ნიუპოსტი)

## არ აქვთ ილუზია, რომ პროექტში ჩადებული ინვესტიციას მთლიანად ამოიღებენ, უბრალოდ, 29 მილიონის დახარჯვის დილიხორი აქვთ და „ვსიო“!..



კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგაძის განცხადებით, მთავრობა კერძო სექტორთან აქტიურად მუშაობს, რომ სასპონსორო პაკეტების გაყიდვით, ბიუჯეტზე ზეწოლა შემცირდეს.

– აქტიურად ვმუშაობთ კერძო სექტორთან იმისთვის, რომ სასპონსორო პაკეტების გაყიდვით, მკვეთრად შევამციროთ ბიუჯეტზე დაწოლა. არ გვაქვს ილუზია, რომ ინვესტიცია ამ პროექტში მთლიანად იქნება ამოღებული, ან სასპონსორო, ან ბილეთების გაყიდვების თვალსაზრისით, მაგრამ ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ძალიან სერიოზული ნაწილი იქნება დაზოგილი ბიუჯეტიდან, – განაცხადა გიორგაძემ.

შეგახსენებთ, რომ მომდევნო თვეების განმავლობაში, საქართველოში რამდენიმე მსოფლიო ვარსკვლავი ჩაატარებს კონცერტს.

27 მაისს „დინამო არენაზე“ რობი უილიამსი იმღერებს. ეროს რამაზოტი სპორტის სასახლეში 24 აპრილს გამართავს კონცერტს.

მსოფლიოში აღიარებული ესპანელი, 70 წლის ტენორი ხოსე კარერასი სასცენო მოღვაწეობას ამთავრებს და მსმენელს ქუთაისიდან დაემშვიდობება.

კულტურის მინისტრ მიხეილ გიორგაძის განცხადებით, ხოსე კარერასი ქუთაისში კონცერტს 18 ივნისს გამართავს. (pia.ge)

## სასტუმრო „ბაზალეთი“, ოთახი 203 — ადგილი, სადაც პოლიტიკოსების პირად ცხოვრებას იღებდნენ



ტელეკომპანია „იბერია“ სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. ტელეკომპანიის ინფორმაციით, პოლიტიკოსთა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის გადაღება, დუშეთის რაიონში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში ხდებოდა.

საუბარია სასტუმრო „ბაზალეთზე“, სადაც ტელეკომპანიის ინფორმაციით, 203-ე ნომერში სათვალთვალო კამერა იყო დამონტაჟებული.

გადაცემა პრიორიტეტის“ გადამღებმა ჯგუფმა სასტუმროს მფლობელის სატელეფონო ინტერვიუს ჩაწერაც მოახერხა – კახა გონგლაძე ინტერვიუში გავრცელებულ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს. გონგლაძე ამბობს, რომ ის ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა აცხადებს, რომ მის სასტუმროში პოლიტიკოსებიც დადიან. (პირველი რადიო)

## „არსებობდა ეჭვი, რომ მამაჩემის დაკავების ოპერაციაში, ბატონი ლელუაშვილი აქტიურად იყო ჩართული“



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ალექსანდრე თამაზაშვილი ბრალდებებს პასუხობს. მისი განმარტებით, არსებობდა ეჭვი, რომ კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ვაჟა ლელუაშვილი თამაზ თამაზაშვილის დაკავების ოპერაციაში იყო ჩართული, ამიტომ, გამორიცხულია, რომ მის ოჯახს კავშირი ჰქონოდა დაკავებულ ლილუაშვილთან.

– საერთოდ არ ვიცნობ ბატონ ვაჟას. ჭორის დონეზე რას იტყვის „ნაციონალური მოძრაობა“ და მით უმეტეს, ელისო კილაძე, ამაზე განცხადების გაკეთება უაზროა, – განაცხადა თამაზაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გამოძიების შედეგად გამოვლენილნი არიან ის პირები, რომელთა მიერ განხორციელდა ინტერნეტსივრცეში გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების უკანონოდ მოპოვება და შენახვა.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, დაკავებულია ამ დანაშაულში მონაწილე 5 პირი, ერთი პირის დაკავება ვერ მოხერხდა, ვინაიდან მიემალა გამოძიებას, ხოლო ერთ პირს დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება.

კერძოდ, პროკურატურის მიერ დაკავებულნი არიან შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ვასილ (ვაჟა) ლელუაშვილი; ამავე დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რევაზ შიუკაშვილი; ამავე დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან ზაალიშვილი; შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს ყოფილი უფროსი ირაკლი ყიფშიძე; შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების ყოფილი უფროსი ზურაბ პავლიაშვილი. (pia.ge)

## კულტურულად ამას თვალებში ნაცრის შეყრა ჰქვია, ირაკლი ბატონო!



პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დაპირებების 80 პროცენტი შეასრულა, დარჩენილ 20 პროცენტს კი არჩევნებამდე შეასრულებს..

„20/30“-ის პირდაპირ ეთერში ირაკლი სესიაშვილმა აღნიშნა, რომ ხელისუფლება თითოეულ დაპირებაზე პასუხისმგებლობას იღებს.

– ეს არის მართალი ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებასთან ფარულ პოლიტიკას არ აწარმოებს. 2012 წელს დაპირებებს სახელმწიფოზე დაკვირვების ფონზე ვიძლეოდით, რადგან ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან არანაირი წვდომა არ გვქონდა, მაგრამ პასუხისმგებლობას თითოეულ დაპირებაზე ვიღებთ. რეჟიმთან ბრძოლაში შესვლისა და მძიმე რეალობაში მუშაობის მიუხედავად, მაქსიმუმის გაკეთება შევძელით. დაპირებების 80 პროცენტი უკვე შევასრულეთ, დარჩენილ 20 პროცენტს კი, არჩევნებამდე ამოვწურავთ, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

მისი განმარტებით, პრაქტიკა, როცა ხელისუფლება ადმინისტრაციულ რესურსს იყენებდა და სახელმწიფო მანქანა საკუთარი ხალხისა და პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ ორგანიზაციად იყო გადაქცეული, წარსულს ჩაბარდა.

– ოპონენტებს ხელჩასაჭიდი არაფერი აქვთ და გამოგონილი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე გვესაუბრებიან. ჩვენს მიერ ჩატარებულ არც ერთ არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსი არ გამოგვიყენებია, რაც ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებითაც დასტურდება, – აღნიშნა სესიაშვილმა. (pia.ge)

## ოკუპირებულ აფხაზეთში პლაჟსგარეთ საცურაო კოსტიუმებში გასული დამსვენებლები დაჯარიმდებიან



ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება საკურორტო ქალაქებში იმ პირებს დააჯარიმებს, რომლებიც საცურაო კოსტიუმებში პლაჟსგარეთ გავლენ.

სააგენტო „ინტერფაქსის“ ინფორმაციით, ჯარიმა დაახლოებით ხუთი მინიმალური ხელფასის ოდენობას შეადგენს.

ამასთანავე, ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამ ინიციატივას ეწინააღმდეგება, ვინაიდან ის ტურისტების მოზიდვას ხელს შეუშლის. (kvira.ge)

## აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი ფორმატი რეგიონის უსაფრთხოებას ემსახურება — ალიევი



აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადებით, ის სამმხრივი ფორმატები, რომლის მონაწილე აზერბაიჯანიცაა, რეგიონის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია. აზერბაიჯანის ლიდერმა ხაზი გაუსვა როგორც აზერბაიჯანი-ირანი-რუსეთის, ასევე, აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ფორმატების მნიშვნელობას.

– სამმხრივი ფორმატები აზერბაიჯანი-ირანი-რუსეთი და აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი ემსახურება რეგიონის უსაფრთხოებას და თანამშრომლობის გაღრმავებას, – აღნიშნა ალიევმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის თქმით, მთავრობა მუშაობს იმისთვის, რომ განხორციელდეს რეგიონული განვითარების პროგრამები. შეიქმნას ჩრდილოეთ-სამხრეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო დერეფნები. ალიევის თქმით, „სამხრეთ გაზის დერეფნის პროექტის“ რეალიზაცია გრაფიკის მიხედვით მიდის და ეს სტრატეგიული პროექტი დროულად დასრულდება. (ნიუპოსტი)

## სროლა ზუგდიდის რაიონში — პოლიციელი საკუთარ სახლთან დაჭრეს




ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში პოლიციელი დაჭრეს. შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მეორე სამმართველოს სპეცრაზმელ ზაზა ხასიას საკუთარ სახლთან ესროლეს. ხასიას 2 ტყვია აქვს მოხვედრილი.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, გასროლა მანქანიდან მოხდა. თავდამსხმელები ადგილიდან მიიმალნენ.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, მომხდარი პირად კონფლიქტს უკავშირდება.

მომხდარს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. როგორც უწყებაში აცხადებენ, მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით. (ნიუპოსტი)

## „ეს, წესით, უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისი“ — ვის მიუწვდება ხელი ხელისუფლებიდან ფარულ ჩანაწერებზე



საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ვანო მაჭავარიანი პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეომასალებთან დაკავშირებით ხუთი ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავების ფაქტს ეხმაურება.

მაჭავარიანი მთავარ პროკურატურაში გაკეთებულ განცხადებას საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობად აფასებს და ამბობს, რომ საგამოძიებო უწყებამ სწრაფად უნდა აუხსნას საზოგადოებას, რა პროცესშია გამოძიება და როდის მოხდება საქმის გახსნა. მაჭავარიანი ამბობს, რომ ძალიან ვიწროა იმ პირთა წრე, რომელთაც შესაძლოა, კავშირი ჰქონდეს კადრების გადაღება, შენახვა, გავრცელებასთან.

– პროკურატურა არის ძალიან რთულ მდგომარეობაში, იმიტომ, რომ პოლიტიზებას ვერ ასცდა. ეს არის საზოგადოების ყურადღების გადატანის მცდელობა იმიტომ, რომ მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩემი იქ ყოფნისას პირდაპირ მივუთითე, რომ ადამიანების წრე, რომელთაც წვდომა ჰქონდათ კადრებზე, იქნება ეს გადაღება, შენახვა, გავრცელება თუ გატანა, არის ძალიან ვიწრო, რომელიც არა მარტო გულისხმობს ყოფილ მაღალჩინოსნებს, არამედ იმ ადამიანებს, რომლებსაც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ წვდომა ჰქონდათ კადრებზე და მანიპულირებდნენ. შესაძლოა, ძალიან ბევრი განაწყენებული ადამიანია, ან ადამიანი, რომელიც პოლიტიკური მოტივით სარგებლობს შანტაჟის ინსტრუმენტით, ამ ხელისუფლებაშიც ძალიან აქტიურად არიან სახეზე. ეს, წესით, უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისი იმ გამოძიების, რომელიც გაიყვანს იმ ადამიანებზე, რომელთაც ამ ხელისუფლების პირობებში ხელეწიფებოდათ ჩანაწერებზე წვდომა და გავრცელების თვალსაზრისით ადვილია, გაიგო, საიდან მოდის ეს ინფორმაცია და ტექნიკურად შესაძლებელია, საზოგადოებას აუხსნან, რა დროში და რა ფორმით აპირებენ დანაშაულის გახსნას, – აცხადებს ვანო მაჭავარიანი. (პირველი რადიო)

## „ეს ყველაფერი ფარსია, მთავარ კითხვას რომ არ გაეცეს პასუხი — ვინ ავრცელებს კადრებს“ — გივი თარგამაძე




– ლელუაშვილს რომ გარდაბნის ქოცურ შტაბს ამართვინებდნენ, მაშინ არ ახსოვდათ? – კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებას სოციალურ ქსელში ეხმაურება „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე:

– კვლავაც ისრების გადატანა, გადაღეჭილის ღეჭვა. ახლა გაახსენდათ, რომ ის ვიდეოები ვიღაცამ ჩაწერა? დღეს დაკავებულებთან მთავარი გადამაპორტირებელი, ხვედელიძიდან დაწყებული, ყველანი რომ თანამშრომლობდნენ, ლელუაშვილს კი სულაც ამას წინათ გარდაბნის არჩევნების ქოცურ შტაბს ამართვინებდნენ, მაშინ არ ახსოვდათ? ან ყველა გადაპორტირებული დააკავეს? თუ ერთი ნაწილის ჩვენებებით მეორენი? ამჟამინდელი ქალაქის სუს-ის უფროსის, კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის ნიკა შარაძის ჩვენებებზე ხომ არ ააწყვეს საქმე? ხო, მართლა, არ იცოდით? დღეს ქალაქის სუს-ს ის ხელმძღვანელობს. რომელია, იცით? აი, მთელი ალიაქოთი რომ ჰქონდათ ატეხილი, კონკრეტულ კადრებში ვანო მერაბიშვილი ორ გვამს ითხოვსო, მის გვერდით დგას და დავალებებს იღებს სწორად ნიკა შარაძე, ქალაქის სუს-ის დღევანდელი ხელმძღვანელი. საკვირველია? არა. ვინაიდან ეს ყველაფერი ფარსია, წარმოებული მხოლოდ იმისთვის, რომ არ გაეცეს პასუხი მთავარ კითხვას – ვინ ავრცელებს საჯარო სივრცეში პორტირებული კუდელებისგან გადაბარებულ წინა ხელისუფლებისას შიშით ვერგავრცელებულ ვიდეოებს და რატომ ლაპარაკობენ ვიდეოტერორისტების ტექსტებით უმრავლესობის დეპუტატები დღესაც, გუშინაც და გუშინწინაც? საკუთარ გლუვ ღვთაებას ხომ არ დაიჭერენ? – წერს გივი თარგამაძე. (ნიუპოსტი)

## გორის რაიონში მამაკაცმა 97 წლის ქალის გაუპატიურება სცადა




გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში მამაკაცმა 97 წლის ქალის გაუპატიურება სცადა. საინფორმაციო სააგენტო „კვირის“ ინფორმაციით, მოძალადე ხანშიშესულ ქალბატონს ფიზიკურადაც გაუსწორდა.

სამართალდამცველებს დაზარალებული ექსპერტიზაზე ჰყავდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 19/137-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუპატიურების მცდელობას გულისხმობს. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## კვერენჩხილაძე: მარგველაშვილისა და ნაციონალების ერთობლივი პროექტი?



ცოტა ხნის წინ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო მდივანმა გიორგი კვერენჩხილაძემ თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.

„გულწრფელად გეუბნებით, რომ ნამდვილად, სხვა მიზეზი არ ყოფილა, გარდა იმისა, რომ ეს იყო ჩემი პირადი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, ჩემი ნება და სურვილი იყო ამგვარი და ეს გადაწყვეტილება მივიღე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვარ უკვე საკმაოდ დიდი ხანია და უფრო აქტიურად დავუბრუნდი უნივერსიტეტში აკადემიურ, პედაგოგიურ საქმიანობას. მომავალში ვნახოთ, რა იქნება“, – ეს განცხადება კვერენჩხილაძემ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ გააკეთა.

მაშინ გამოითქვა ვარაუდი, რომ კვერენჩხილაძე თანამდებობიდან თსუ-ს რექტორობის გამო გადადგა, თუმცა ეს მოსაზრება თავად მან და ჯერჯერობით მოქმედმა რექტორმა, ლადო პაპავამ ერთობლივად უარყვეს. ამის მიუხედავად, მოსაზრება იმის შესახებ, რომ კვერენჩხილაძე სწორედ უნივერსიტეტის რექტორობას უმიზნებს, მაინც არსებობს, თუმცა...

ჩვენი ინფორმაციით, კვერენჩხილაძე თანამდებობიდან კონკრეტული მიზეზით წავიდა. მას პირველკაცობა სურს, მაგრამ არა თსუ-ში, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოში. მოგეხსენებათ, გიორგი პაპუაშვილს ვადა გაუვიდა და საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე უნდა ჰყავდეს. იმის გამო, რომ პაპუაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ დანიშნული და ამ გუნდის წევრი იყო, აღნიშნული სასამართლო პარტიულ კანტორად იყო ქცეული და ამ ბერკეტის ხელიდან გაშვება მათ არანაირად არ სურთ. ის, რომ პრეზიდენტს თბილი ურთიერთობა მმართველი გუნდის ნაცვლად, ყოფილი ხელისუფლების წევრებთან აქვს, ცხადია და შესაბამისად, ურიგო არ იქნება, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში თავისი კაცი ეყოლება. უფრო კონკრეტულად კი, ერთობლივად ეყოლებათ. ეს საკითხი დღის წესრიგში ოფიციალურად არ დამდგარა, მაგრამ კულუარებში კვერენჩხილაძის კანდიდატურას აქტიურად ამზადებენ და ხმამაღლა მალე გამოაცხადებენ.

კვერენჩხილაძემ კი თქვა, უნივერსიტეტში ვბრუნდებიო, მაგრამ რეალურად, ის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობის პოსტის დაკავებას შეეცდება. მას მხარს პრეზიდენტი და „ნაციონალური მოძრაობა“ დაუჭერს და ბოლომდე შეეცდება, სწორედ კვერენჩხილაძის კანდიდატურა გაიყვანოს, – აცხადებს წყარო.

ფაქტი ის არის, რომ დათა თუთაშხიასი და გრაფი სეგედისა არ იყოს, კვერენჩხილაძე „რა საოცრად წავიდა“ და ისე ჩანს, უფრო საოცრად დაბრუნებისთვის ემზადება. (for.ge)

## ევროკავშირმა შესაძლოა, პანამას სანქციები დაუწესოს



ბრიუსელმა შემზღუდავი ზომები შესაძლოა, იმ ქვეყნების წინააღმდეგ აამოქმედოს, რომლებიც ოფშორების დახმარებით ფულის გათეთრებისა და გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლაში არ ითანამშრომლებენ.

ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში ევროკომისარმა პიერ მოსკოვიჩიმ განმარტა, რომ პანამა იმ ქვეყნების სიაში შედის, რომლებიც გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტების გამოძიებაში არ თანამშრომლობენ. ევროკომისარი მოუწოდებს პანამის ხელისუფლებას, შეცვალოს პოზიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი თქმით, ქვეყანას სანქციები ემუქრება.

მოსკოვიჩის განცხადებით, ევროკავშირი მზად არის, უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში შეადგინოს იმ ქვეყნების „შავი სია“, რომლებიც ე.წ. „საგადასახადო სამოთხეს“ წარმოადგენენ და ფინანსური და საგადასახადო დანაშაულების გამოძიებას ხელს არ უწყობენ. (pia.ge)

## თამაზ მეჭიაური ნატოზე უარის თქმას არ გამორიცხავს



თამაზ მეჭიაური არ გამორიცხავს, რომ ნატოზე უარი განაცხადოს.

– თუ ამ ქვეყნის ინტერესებისთვის დამაზიანებელი იქნება რომელიმე პოლიტიკური თუ სამხედრო ბლოკი და მასთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა და ეს საფრთხეს შეუქმნის ჩემი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და მის დაცულობას, მე უარს ვიტყვი ნებისმიერზე, ვინც არ უნდა იყოს და რაც არ უნდა იყოს ის, – განაცხადა მეჭიაურმა.

კითხვაზე – შესაძლებელია თუ არა, რომ ეს იყოს ნატო, დეპუტატმა განაცხადა:

– რა თქმა უნდა ყველა შეიძლება იყოს, – და აღნიშნა, რომ თავად ნატო გვეუბნება უარს მიღებაზე და ვერ ხვდება, რატომ არის ამ საკითხზე აურზაური. (kvira.ge)

## საქართველოს რომის პაპი ეწვევა



საქართველოს რომის პაპი ფრანცისკე სექტემბრის ბოლოს ეწვევა. რომის პაპმა მოწვევა საქართველოს ხელისუფლებისგან მიიღო.

– უპირველეს ყოვლისა, რომის პაპის ვიზიტი საქართველოში უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით, არამედ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოდის ვატიკანის სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, საქართველოში მოწვევა ასევე გადასცა საქართველოს პრეზიდენტმა გასულ წელს ვატიკანში ვიზიტისას.

აღსანიშნავია, რომ ვატიკანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობებში და ეს არის სახელმწიფო, რომელთან ურთიერთობაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კათოლიკურ სამყაროში საქართველოს ცნობადობის ამაღლებისა და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის მიმართულებით.

გარდა ამისა, წმინდა საყდარი, როგორც რელიგიური სახელმწიფო თავისთავად ორიენტირებულია მშვიდობაზე და განსაკუთრებულ როლს ასრულებს სამშვიდობო პროცესების განვითარებაში, – განაცხადა პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანმა თენგიზ ფხალაძემ.

მისი უწმინდესობა, რომის პაპი ფრანცისკე საქართველოს კავკასიური ტურნეს ფარგლებში ეწვევა და სომხეთს და აზერბაიჯანსაც ესტუმრება. (ინტერპრესნიუსი)

## ანრი ბიბინეიშვილი შალვა რამიშვილზე: „განვცალკევდეთ ერთიერთზე და...“



ანრი ბიბინეიშვილი, თუმანიშვილის თეატრის მსახიობი წერს სოციალურ ქსელში.

– შალვა ჩემო, „ნიჭიერო“, ეს რა გიქნეს, ა?!

ნწუ! ნწუ! ნწუ! ნწუ! ნწუ! ჯერ ხო გაგიშვეს და ახლა „ცილიც დაგწამეს“, მოძალადეო? კარგით რა! მოძალადე არ ვიცი, მაგრამ ეგრეთ წოდებულ ქასთინგზე დაბარებული გოგონების რაღაც ნაწილი ამბობდა სულ, რომ შალვა მათ ასე თავაზობდა სამსახურს: „განვცალკევდეთ ერთიერთზე და ამის მერე ვნახოთ, რამდენად აკმაყოფილებ ქასთინგის მოთხოვნებსო“!

პ.ს. ისე, ამ კაცის არ მიკვირს, მთლად სიმართლეს რომ შეესაბამებოდეს იმ რაღაც ნაწილი გოგონების გამოტანილი ამბავი ქასთინგიდან, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში ხომ ნიჭიერებაზე მაღლა დღეს სხეულის ფორმები დგას! თუმცა რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება და არც „ტელეიმედს“ მხოლოდ, ნიჭიერებითაც არიან ტელევიზიაში არაერთნი!“ (ttaoba.ge)

## შალვა რამიშვილის მეუღლე საგანგებო განცხადებას ავრცელებს



მსახიობი თათია სამხარაძე (ტასო ბარნოვა) ადასტურებს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჟურნალისტი შალვა რამიშვილი მასზე სექსუალური ხასიათის შევიწროებას ახორციელებდა.

ამის შესახებ მსახიობმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

თათია სამხარაძე გეგმავს, შალვა რამიშვილს უჩივლოს.

– მე ვადასტურებ საჯაროდ, რომ ჩემ მიმართ ხორციელდებოდა სექსუალური ხასიათის შევიწროება იმჟამინდელი უფროსის, შალვა რამიშვილის მხრიდან და ამან მიიღო სისტემური ხასიათი, რის შემდეგადაც იძულებული გავხდი, სამსახური დამეტოვებინა და დირექციისთვის დახმარების თხოვნით მიმემართა. ვაპირებ, დავიცვა ჩემი უფლებები სასამართლოს კანონის გზით და ვუჩივლო მას სასამართლოში, – განაცხადა თათია სამხარაძემ

ამ თემაზე სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელა შალვა რამიშვილის ცოლმა, ხატია ეკიზაშვილმა:

– ჩემო მეგობრებო! გარწმუნებთ, თქვენზე არანაკლებ, თუ მეტად არა, ვარ დაინტერესებული ამ საქმეზე სიმართლის დადგენით. თუ წამოყენებული ბრალდებები ვერ დაამტკიცა ბრალმდებელმა, მაშინ ცხადია, რომ ადგილი აქვს ჩემი მეუღლის ღირსებისა და რეპუტაციის შემლახველ, ბინძურ ცილისმწამებლურ კამპანიას.

ამ ეტაპზე, ველოდებით ტელეკომპანია „იმედის“ მიერ შალვას განთავისუფლების მიზეზის დასახელებას.

რაც შეეხება ფარულ ჩანაწერებს, რომელთა არსებობაც ვრცელდება... ეს ჩანაწერი, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, წარედგინება შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებსა ან/და სასამართლოს და მხოლოდ შემდგომ გაირკვევა, შეიცავს თუ არა ის დანაშაულის ნიშნებს. მანამდე კი დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, – წერს ხატია. (etanews.ge)

## „მთავარი მეისრეების დევნა კი არა, მოძალადე სისტემის შემქმნელთა პასუხისგებაში მიცემაა“



„დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივნის, გიგლა ბარამიძის განცხადებით, მთავარია არა მეისრეების დევნა, არამედ ის, რასაც „დემოკრატიული მოძრაობა“ წლების მანძილზე მოუწოდებს ხელისუფლებას – მთავარია, სისტემური დანაშაულის გამოძიება.

– ბეჭედი უნდა დაესვას როგორც სახელმწიფოებრივად, ასევე, სამართლებრივად, იურიდიულად თუ გნებავთ მორალურად იმ ადამიანებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობას, რომელმაც შექმნა ტოტალური მოსმენებისა და ადამიანების დაშინების, შანტაჟისა და წამების ინდუსტრია. უპირველეს ყოვლისა, უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებიც გასცემდნენ დანაშაულებრივ ბრძანებებს, არიან ამ ხელისუფლების დროს გასული საქართველოდან და გატანილი აქვთ სახელმწიფოსა და ხალხის საკუთარი მილიარდობით დოლარი. გაინტერესებთ მათი მისამართი ბატონებო?! გეტყვით, რომ ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის უკრაინა – ოდესა და კიევი, – განაცხადა გიგლა ბარამიძემ.

მისი თქმით, ქვეყნისთვის სამარცხვინოა, რომ ამ ამაზრზენი სისტემის შემქმნელი, დამნაშავე მიხეილ სააკაშვილი ერთი ქვეყნიდან მეორეში თავისუფლად დადის.

– ამ ხელისუფლების სირცხვილია, რომ მიხეილ სააკაშვილი ხან ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაშია მიწვეული საპატიო სტუმრად და ხან – მეორეში, გამოდის სიტყვით, თავისუფლად მართავს ლექციებს, ხოლო დღევანდელმა ხელისუფლებამ მას ბრალი მხოლოდ ხუთი კოსტიუმის უკანონო შეძენაში წაუყენა და ბებიის 14 წლის ავტომობილი დაუყადაღა, – განაცხადა ბარამიძემ. (pia.ge)

## სოფელ ქვემო ქედში მცხოვრებ 6 ობოლ ძმას დახმარება სჭირდება



დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედში ღეჩუაშვილების ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. 6 ძმას მამა წლების წინათ გარდაეცვალა, მათთან დედაც არ ცხოვრობს. ძმებს ავეჯიც არ აქვთ და თითქმის ცარიელ სახლში ცხოვრობენ. მათი ძირითადი შემოსავალი სოციალური დახმარებაა, რომელიც საკვებშიც არ ჰყოფნით.

როგორც „კახეთის საინფორმაციო ცენტრს“ ქვემო ქედში გამგებლის წარმომადგენელმა ლუხუმ ნაკვეთაურმა განუცხადა, ძმების ასაკი 9-დან 20 წლამდეა. მისი თქმით, უფროსი ძმა მალე შვილს ელოდება.

ძმებ ღეჩუაშვილების დასახმარებლად საქართველოს ბანკში გახსნილია ანგარიში **GE 95 BG 0000000 98 28 12800**. დახმარების მსურველებმა საკუთარი სახელი და გვარი, ასევე, ღეჩუაშვილების გვარი უნდა მიუთითონ. (ick.ge)

## ქართული როკის ლეგენდა ბაჩი ქიტიაშვილი გარდაიცვალა



ცნობილი ქართველი როკმუსიკოსი, გიტარისტი, ქართული როკის ლეგენდა ბაჩი ქიტიაშვილი გარდაიცვალა. როკჯგუფ „ბერმუხას“ დამაარსებლის გარდაცვალების მიზეზი მძიმე ავადმყოფობა გახდა. მუსიკოსი ფილტვის სიმსივნით იყო ავად და მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო მისი სათანადო მკურნალობა ვერ მოხერხდა.

„ბერმუხა“ თავის დროზე ერთადერთი დამოუკიდებელი მუსიკალური ჯგუფი იყო, რომელიც მაშინდელი რეჟიმის იდეოლოგიას უპირისპირდებოდა როგორც მუსიკით, ისე ცხოვრების წესით. ბაჩი ქიტიაშვილი კი – ერთ-ერთი პირველი ქართველი მუსიკოსი, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა წყობისას მოახერხა აკრძალული როკმუსიკის დაკვრა.

ჯგუფი „ბერმუხა“ 1965 წლიდან არსებობდა და საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. ჯგუფის გამორჩეულად პოპულარული კომპოზიციებია „არწივი“ და „დღეს ჩვენ ერთად ვართ“. (ნიუპოსტი)

**„ალია“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს!**

## „შოთაძემ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მომიხსნა მის მიერვე დანიშნული დაცვა“

 

ასოციაცია „მომავლის იმედის“ თავმჯდომარე თამარ ხაჭაპურიძეს პროკურატურამ დაცვა მოუხსნა. როგორც ხაჭაპურიძე განმარტავს, დაცვა მას, როგორც მთავარ მოწმეს ე.წ. ჩვილების საქმეზე, 4 თვის წინ დაუნიშნეს.

– მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე, სავარაუდოდ, კორუფციულ გარიგებაში შევიდა დამნაშავეებთან, რომლებმაც ორგანიზება გაუწიეს საქართველოდან ყალბი საბუთებით ჩვილი ბავშვების გაყვანას და მათ გადაცემას სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე უცხოელ მამაკაცებზე. დაცვის პროგრამიდან მოწმის მოხსნის ერთი მარტივი და უკანონო მეთოდი აქვს შოთაძის პროკურატურას: ერთ „მშვენიერ“ დღეს ისეთ პირობას გიყენებენ, რომლის გამოც დაცვაზე თავად იტყვი უარს. მე წამოძიყენეს ულტიმატუმი: თბილისის ფარგლებს გარეთ გასვლა სახიფათოა და ან ქალაქგარეთ სახლში აღარ უნდა იარო ან დაცვას მოგიხსნითო. მივხვდი, რომ დაცვის მოხსნის მიზეზს დაეძებდნენ და მათ გამოსაცდელად დროებით ამ პირობასაც დავთანხმდი, მიუხედავად ამისა, იმ დღესვე მომიხსნეს დაცვა და მოხსნის მიზეზი დღესაც არ ვიცი. ვაცხადებ, რომ ირაკლი შოთაძეს ყველა მტკიცებულება აქვს ჩვილების საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ მას არ სურს, ბრალი წაუყენოს დამნაშავეებს, – წერს ხაჭაპურიძე „ფეისბუკში“. (news.ge)

მთავარმა პროკურატურამ ფარული ვიდეოჩანაწერების საქმესთან დაკავშირებით 5 პირი დააკავა, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს შს სამინისტროში სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ.

„კვირა“ ყოფილი მაღალჩინოსნების ქონებრივი დეკლარაციებით დაინტერესდა.

– ირაკლი ყიფშიძე – დაბადებული თბილისში, 1978 წლის 17 ნოემბერს.

ირაკლი ყიფშიძე შს სამინისტროში 2004 წლიდან მუშაობდა. მან ქონებრივი დეკლარაცია პირველად 2005 წელს შეავსო. ქონებრივი დეკლარაციით ირკვევა, რომ ირაკლი ყიფშიძეს თბილისის შს მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს უფროსის თანამდებობა 2006 წელს ეკავა. მანამდე კი ის შს სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს უფროსად მუშაობდა.

ირაკლი ყიფშიძემ ქონებრივი დეკლარაცია უკანასკნელად 2012 წელს შეავსო.

დოკუმენტით ირკვევა, რომ ირაკლი ყიფშიძე თბილისის შს მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს უფროსის თანამდებობას 2006-2012 წლამდე ინარჩუნებდა. ირაკლი ყიფშიძეს მეუღლე სოფიო შარვაშიძე და 2 შვილი ჰყავს.

– რევაზ შიუკაშვილი – დაბადებული გორში, 1975 წლის 9 ოქტომბერს.

რევაზ შიუკაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის ტერიტორიული მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე 2009 წლიდან მუშაობს. ქონებრივი დეკლარაცია 2010 წლის 13 სექტემბერს შეავსო. დოკუმენტით ირკვევა, რომ 1 წლის განმავლობაში რევაზ შიუკაშვილმა ხელფასის სახით 95 999 ლარი მიიღო.

2011 წლის ქონებრივი დეკლარაციით ირკვევა, რომ კუდ-ის მაღალჩინოსანმა ორი ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინა: კარაბინი „ამადეო როსსი“ – 3 500 ლარად და პისტოლეტი „სტეჩკინი“ – 4 500 ლარად.

რევაზ შიუკაშვილმა ქონებრივი დეკლარაცია უკანასკნელად 2012 წლის 3 აგვისტოს შეავსო, უკვე შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის რანგში.

მას თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე ერთი ბინა აქვს, თუმცა ისიც მეუღლის – ნატა ბარათაშვილის სახელზეა რეგისტრირებული. ბინის გარდა, მასზევეა გაფორმებული ავტომანქანა – „**MITSUBISHI PAJERO IO 2000**“. იმ პერიოდისთვის რევაზ შიუკაშვილს პირად ანგარიშზე 40 ათასი აშშ დოლარი აქვს, ხოლო ხელფასის სახით მისი შემოსავალი ერთი წლის განმავლობაში 65 000 ლარს გაუტოლდა. რევაზ შიუკაშვილს მეუღლე და ერთი შვილი ჰყავს.

– რომან ზაალიშვილი – დაბადებულია თბილისში, 1978 წლის 26 ივნისს.

რომან ზაალიშვილი საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის ტერიტორიული მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს აქტიური ღონისძიებების სამსახურის უფროს გამომძიებლად (სამმართველოს უფროსის მოადგილე) 2010 წლიდან მუშაობდა. მან ერთი წლის განმავლობაში ამ თანამდებობიდან 23 344 ლარი მიიღო.

რომან ზაალიშვილმა თანამდებობა 2012 წლის მეორე ნახევარში დატოვა, თუმცა მან უკანასკნელად ქონებრივი დეკლარაცია 2012 წლის 30 აგვისტოს შეავსო.

ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ კუდ-ის მაღალჩინოსანს პირად ანგარიშზე 3000 აშშ დოლარი აქვს, ხოლო ხელფასის სახით – 34752 ლარი. რომან ზაალიშვილს მეუღლე ნინო გოგინაშვილი და ერთი შვილი ჰყავს.

– ზურაბ პავლიაშვილი – დაბადებული გორში, 1980 წლის 15 ნოემბერს.

ზურაბ პავლიაშვილმა ქონებრივი დეკლარაცია მხოლოდ ერთხელ – 2012 წლის 4 სექტემბერს შეავსო.

მაშინ მას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა.

თუმცა მანამდე ზურაბ პავლიაშვილი ქალაქ თბილისის ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების უფროსად მუშაობდა, სადაც სამმართველოს უფროსი ირაკლი ყიფშიძე იყო. ამ პოსტზე ზურაბ პავლიაშვილმა 1 წლის განმავლობაში 30 520 ლარი მიიღო.

ზურაბ პავლიაშვილს მეუღლე ქეთევან პავლიაშვილი და სამი შვილი ჰყავს.

– ვასილ (ვაჟა) ლელუაშვილი – დაბადებული გარდაბნის რაიონის სოფელ წავკისში 1958 წლის 21 ივლისს.

ვასილ ლელუაშვილი 1999-2003 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. 2004 წელს უკვე საქართველოს უშიშროების სამინისტროს მე-4 სამმართველოს ხელმძღვანელობდა.

პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა კუდ-ის მაღალჩინოსნის რანგში ქონებრივი დეკლარაცია თავდაპირველად 2010 წელს შეავსო.

2010 წლის 1-ელ მაისს შევსებული ქონებრივი დეკლარაციით ირკვევა, რომ ვასილ (ვაჟა) ლელუაშვილს სხვადასხვა ფართობის მიწის ნაკვეთები აქვს – გარდაბნის რაიონის დაბა კოჯორსა და წავკისში, აგრეთვე, თბილისსა და ლანჩხუთის რაიონში, დაბა გრიგოლეთში. მაშინ კუდ-ის მაღალჩინოსანს პირად ანგარიშზე 20 000 აშშ დოლარი ჰქონდა რეგისტრირებული, ხოლო ხელფასის სახით 1 წლის განმავლობაში 59 957 ლარი მიიღო.

მისი მეუღლის შემოსავალი 65 000 ლარია. აღსანიშნავია, რომ მაშინ ლელუაშვილის მეუღლე – გიული მარღიშვილი შპს „კოჯრის“ ამბულატორიის დირექტორი იყო.

2010 წლიდან კუდ-ის მაღალჩინოსნის მეუღლე ერთდროულად რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში იწყებს მუშაობას, შესაბამისად, ლელუაშვილების ოჯახის ფინანსური შემოსავალი მკვეთრად იზრდება.

2011 წლის ქონებრივ დეკლარაციაში კუდ-ის მაღალჩინოსანი პირად ანგარიშზე მიუთითებს, რომ ის 20 000 აშშ დოლარს ფლობს, ხოლო გიული მარღიშვილი – 18000 აშშ დოლარს.

ამასთანავე, ხელფასის სახით ცოლ-ქმრის შემოსავალი ასე გამოიყურება:

ვასილ ლელუაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე – 50900 ლარი.

## რა ქონება დააგროვეს ფარული ჩანაწერების თემაზე დაკავებულმა ყოფილმა მაღალჩინოსნებმა






გიული მარღიშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სოც. ექსპერტიზის განყოფილების უფროსი – 2390 ლარი.

გიული მარღიშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მე-13 პოლიკლინიკის კონსულტანტი – 640 ლარი.

გიული მარღიშვილი – შპს „კოჯრის“ ამბულატორია, დირექტორი – 6 797 ლარი.

2012 წლის ქონებრივ დეკლარაციაში ლელუაშვილის უძრავი ქონება მნიშვნელოვნად იზრდება. 2011 წლის უძრავ ქონებას, ერთი წლის განმავლობაში დაბა წავკისში კიდევ რამდენიმე მიწის ნაკვეთი ემატება. მათი უმრავლესობა ვასილ (ვაჟა) ლელუაშვილის სახელზეა რეგისტრირებული. გარდა ამისა, იზრდება თბილისში საცხოვრებელი ბინების რაოდენობაც.

გარდა უძრავი ქონებისა, იზრდება ფინანსური შემოსავალიც.

კერძოდ:

ვასილ ლელუაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე – 75 548 ლარი.

გიული მარღიშვილი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი – 14 640 ლარი.

გიული მარღიშვილმა სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტო 2011 წელს დატოვა და მედიაციის სამსახურში გადავიდა, რომელიც ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. (kvira.ge)

## დევიდ კემერონმა ოფშორულ ზონაში ქონების ფლობა აღიარა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა აღიარა, რომ მას და მის მეუღლეს მამის საკუთრებაში არსებული ფონდიდან ოფშორული კომპანიის წილი ჰქონდათ.

ბრიტანეთის პრემიერის განცხადებით, მამის მიერ პანამაში დარეგისტრირებული კომპანია **Blairmore Holding**ს-ის წილი მეუღლესთან ერთად 2010 წელს, მას შემდეგ გაყიდა, რაც მამა გარდაეცვალა. წილის გაყიდვის შემდეგ კი ყველა გადასახადი გადაიხადეს და შესაბამისად, დასამალიც არაფერი აქვს.

ტელეკომპანია „ბიბისის“ ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი მომავალ კვირას თავის საგადასახადო დეკლარაციებს გამოაქვეყნებს.

შეგახსენებთ, საერთაშორისო საგამომძიებლო ჟურნალისტურმა კონსორციუმმა **(ICIJ)** სკანდალური დოკუმენტები გამოაქვეყნა.

**ICIJ**-ს ხელში აღმოჩნდა პანამის იურიდიული კომპანიის „მოსე ფონსეკას“ საქმიანობის შესახებ დოკუმენტაცია, როგორც კონსორციუმის წარმომადგენლები აცხადებენ, ნახსენები კომპანია თავის კლიენტებს ეხმარებოდა გადასახადების დაფარვასა და ფულის გათეთრების საკითხებში. ფირმის დოკუმენტებში ნახსენებია 72 ქვეყნის ყოფილი და ამჟამინდელი მეთაურები, ასევე ცნობილი ადამიანები. დოკუმენტებში ნახსენებია 4 ფირმა, რომელსაც სხვადასხვა სახით კავშირი ჰქონდა რუსეთთან. (ნიუპოსტი)

## „სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის იარაღის მიწოდება გარდაუვალია“ — დიმიტრი მედვედევი



რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის იარაღის მიწოდება გარდაუვალია. მისი თქმით, თუკი რუსეთი იარაღის მიწოდებას შეწყვეტს, მას სხვა ქვეყანა ჩაანაცვლებს.

– ერთი წუთით თუ წარმოვიდგენთ, რომ რუსეთმა ამ როლზე უარი თქვა, კარგად ვიცით – ეს ადგილი ცარიელი არ დარჩება. იარაღის შესყიდვა სხვა ქვეყნებიდან დაიწყება, – განაცხადა მედვედევმა „**Россия 1**“-თან ინტერვიუში.

მისი თქმით, დარწმუნებული არ არის, რომ ბაზარზე სხვა მოთამაშის შესვლა ვითარებას განმუხტავს.

ხელშეკრულებების თანახმად, იარაღის მიწოდების გაგრძელებაზე ისაუბრა რუსეთის ვიცე-პრემიერმა დიმიტრი როგოზინმაც. მისი თქმით, პროცესი ხელშეკრულების შესაბამისად გაგრძელდება.

აზერბაიჯანი რუსული იარაღის მთავარი იმპორტიორია. 2010-2014 წლებში ბაქომ მოსკოვთან რამდენიმე კონტრაქტი გააფორმა სხვადასხვა სახის შეიარაღების შესყიდვასთან დაკავშირებით, რომელთა საერთო ღირებულებამ დაახლოებით 4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

სომხეთმა კი რუსული მძიმე შეიარაღება, მხოლოდ 2013 წელს 16 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა. (ნიუპოსტი)

## ვინ რამდენი თანხა გადაურიცხა პოლიტიკურ პარტიებს — შემოწირულობათა მორიტორინგის შედეგები



პოლიტიკურმა პარტიებმა მიმდინარე წლის 3 თვეში შემოწირულების სახით 428 476 ლარი მიიღეს. პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული თანხიდან 2016 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში ყველაზე მეტი შემოწირულობა პლატფორმა ახალ პოლიტიკურ ცენტრზე („გირჩი“) მოდის. „გირჩს“ 2016 წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში ჯამურად 168 058 ლარი აქვს მიღებული.

შემომწირველები კერძო პირები არიან, რომელთა შორისაც თავად პარტიის წევრები გოგა ხაჩიძე და მამუკა კუდავა ირიცხებიან. უფრო კონკრეტულად, ხაჩიძემ და კუდავამ „გირჩის“ ანგარიშზე 3000-3000 ლარი გადარიცხეს.

პარტიის შემომწირველებს შორისაა საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილიც, რომელმაც „გირჩს“, ასევე, 3000 ლარი შესწირა.

პარტიას ყველაზე მეტი თანხა – 60000 ლარი მილერი გვენეტაძემ გადაურიცხა, რითაც ის ამ ეტაპზე „გირჩის“ ყველაზე მსხვილი შემომწირველია.

მეორე ადგილზე 143 283 ლარით „საქართველოს პატრიოტთა ალიანსია“, მესამეზე კი 45 070 ლარით „გაერთიანება ბედნიერი საქართველოსთვის“.

30 097 ლარის ოდენობის შემოწირულობა აქვს მიღებული „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, 20 560 ლარი კი „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“.

შემოწირულების კუთხით სხვა პარტიათა მაჩვენებელი

ასე გამოიყურება: „დევნილთა პარტია“ – 8 010 ლარი, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ – 5 972 ლარი, „თავისუფალი დემოკრატები“ – 4 000 ლარი, „მემარცხენე ალიანსი“ – 1 500 ლარი, „თავისუფალი საქართველო“ – 710 ლარი, „საქართველოს მშვიდობისთვის“ – 550 ლარი, „კონსერვატიული პარტია“ – 360 ლარი, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ – 300 ლარი და „განახლებული საქართველოსთვის“ – 5 ლარი.

„რესპუბლიკური პარტიის“ მიერ 2016 წლის 3 თვეში მიღებული შემოწირულობა მხოლოდ საწევრო გადასახადს შეადგენს. პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ მიმდინარე წლის იანვარში, თებერვალსა და მარტში შემოწირულების სახით სულ 5 972 ლარი მიიღო. თანხა მთლიანად საწევრო შენატანს შეადგენს.

პარტიის წევრების გარდა, სხვა – კერძო ან იურიდიულ პირებს „რესპუბლიკური პარტიის“ ანგარიშზე თანხა არ გადაურიცხავთ. (ambebi.ge)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# ვისზე გავრცელდება მორიგი ფარული ჩანაწერები?

8 აპრილს საქართველოს პროკურატურამ გამოაქვეყნა სქემა, რომლითაც მოხდა ქართველ პოლიტიკოსთა მაკომპრომეტირებელი ვიდეომასალების შექმნა. ამ საქმეზე დაკავებულია შსს-ს ყოფილი ჩინოვნიკი, მათ შორის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ვასილ (ვაჟა) ლელუაშვილი. პროკურატურის ინფორმაციით, კიდევ ერთი ჩინოვნიკი მიმალვაშია, ხოლო ერთს დაუსწრებლად წარედგინა ბრალი. საბოლოო ჯამში, მასალების შექმნაში მხილებულია შვიდი ყოფილი ძალოვანი უწყების ყოფილი წარმომადგენელი (ამ თემაზე ვრცლად იხ. გვ. 8-9).

ვაჟა ლელუაშვილი მოსიარულე კომპრომატი იყო, „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე ხანში მოახერხა მისი დაპატიმრება, მაგრამ ლელუაშვილმა შეძლო თავის დახსნა. რა თქმა უნდა, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ის თანამშრომლობდა უმაღლეს თანამდებობის პირებთან. და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ ადამიანს კომპრომატებით ჰყავდა ყურებით დაჭერილი მაღალი თანამდებობის პირები, ეს უკვე ფაქტია და ჩვენ ვიხილეთ რამდენიმე ვიდეომასალა, საიდანაც, სავარაუდოდ, დგინდება, რომ ლელუაშვილი აშანტაჟებდა დეპუტატებს, მინისტრებს და ა.შ. ერთადერთი ადამიანი იყო ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, რომელიც 2012 წლიდან დღემდე ხელისუფლებას მიუთითებდა, რომ ეს ადამიანი პასუხისგებაში უნდა მიეცა. ამის მტკიცებულებად გამოდგება გაზეთი „ალია“, სადაც მამუკა არეშიძე თითქმის ყველა ინტერვიუში დაჟინებით ითხოვდა ლელუაშვილის დაპატიმრებას. მას ამის მოტივი ჰქონდა, რადგან ლელუაშვილმა სამჯერ შეუქმნა არეშიძეს დაპატიმრების საფრთხე, რადგან ის გარდაბნის რაიონში „ოცნების“ სიით მაჟორიტარად იყრიდა კენჭს, მისი კონკურენტი კი ლელუაშვილის უახლოესი მეგობარი „ნაციონალური მოძრაობიდან“, თემურ ფეიქრიშვილი იყო. 2012 წელს მამუკა არეშიძე კი არა, „ნაციონალური მოძრაობის“ სახელით ბუჩქი, ხე თუ ნებისმიერი უსულო საგანი რომ წარგედგინათ „ნაციონალების“ წინააღმდეგ, ხალხი მას მისცემდა ხმას. ლელუაშვილმა არეშიძეს ჯოჯოხეთის გზა გამოატარა და სამწუხაროდ, ამ გზაზე ლელუაშვილის იდეური თანამოაზრე აღმოჩნდა რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური, რომელსაც ბრალს სდებენ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ლელუაშვილს მფარველობდა. „ალია“ კონკრეტულ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ ქვემო ქართლში „ნაციონალების“ გაპრავებაში დიდი წვლილი ზვიად ძიძიგურსაც მიუძღვის, ქვემო ქართლში ლელუაშვილს დიდი გავლენები ჰქონდა და ძიძიგურმა მასთან კოაბიტაციით მოახერხა, ბიზნესსექტორებში საკუთარი ინტერესები ჩაედო. რესპონდენტები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ის დააცხრა ბიზნესებს და წილში ჩაჯდა ლელუაშვილის, ფეიქრიშვილისა და მათი გარემოცვის დახმარებით. ერთი პერიოდი იყო საუბარი, რომ გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ფეიქრიშვილი, რომელიც უშუალოდ ლელუაშვილის დიდი ძალისხმევით გახდა მაჟორიტარი, აპირებდა „ნაცმოძრაობიდან“ ზვიად ძიძიგურის პარტიაში გადასვლას. სწორედ მაშინ მამუკა არეშიძე „ალიასთან“ მიცემულ ინტერვიუში ხელისუფლებას მოუწოდებდა, აზრზე მოსულიყო. არეშიძემ რკინის ქალამნები ჩაიცვა და კარდაკარ დაიწყო სიარული „კონსერვატიული პარტიის“ ლიდერებთან, რომ არ დაეშვათ მსგავსი სიბინძურე და არ გაეწევრიანებინათ ის მათ პარტიაში. ალბათ, ამიტომაც მოხდა ის, რომ ფეიქრიშვილმა დატოვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ დამოუკიდებელი მაჟორიტარების ფრაქციაში გადავიდა და არ მოხდა მისი შერწყმა „კონსერვატიულ პარტიასთან“. სამწუხაროდ, ეროვნულ ჩოხაში გამოწყობილი ზვიად ძიძიგური არ აღმოჩნდა ის პატრიოტი ლომი, როგორადაც ამომრჩეველს თავს წარუდგენდა. მის მიმართ რუსთაველებს ძალიან ბევრი პრეტენზია დაუგროვდა, მაგრამ ძიძიგურს ეს ამბავი საერთოდ არ აღელვებს, ახლა მისი ამოცანაა, როგორმე შეინარჩუნოს ადგილი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში. რა თქმა უნდა, არც პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აიღებს ლელუაშვილის მფარველობაში, რადგანაც ირკვევა, რომ მას ბევრი მფარველი ჰყავდა ამ ხელისუფლებაში, ვინც კი ოდესმე დაუშანტაჟებია. მედალს ორი მხარე აქვს და რაც ხდება, ეს არის სიბინძურე, მაგრამ მეორე მხრივ, ამომრჩეველი რწმუნდება იმ პოლიტიკოსების ნამდვილ სახეში, რასაც ისინი ნიღბის ქვეშ ატარებენ.

**„ალიას“ კითხვებს პასუხობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე.**

**— ბატონო მამუკა, ამ ბინძური ჩანაწერების არსებობის შესახებ ინფორმაცია იცოდა ბიძინა ივანიშვილმა, რატომ არ მოხდა თავის დროზე ამ საქმის გამოძიება და თვითდინებით რატომ მიუშვეს პროცესები? თქვენ იყავით პირველი, ვინც ლელუაშვილს დანაშაულში ამხელდა, არჩევნებამდე სწორედ მან მოიტანა ჩემოდნით კომპრომატები და ის თქვენ დაინახეთ ხვედელიძის მისაღებში, რომელიც მაშინ „ოცნების“ უსაფრთხოებას კურირებდა. მოგვიანებით ლელუაშვილი თვალის ასახვევად დააკავეს და მაშინვე გამოუშვეს, რატომ?**

– ალბათ, ეს იმიტომ გააკეთა ხელისუფლებამ, რომ ვიღაცამ ჩათვალა, ლელუაშვილის ხელთ არსებული კომპრომატები საჭირო იყო. ის, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და სასამართლო მიმდინარეობდა ძალაუფლების გადაჭარბების მუხლით, ფაქტია. მე მაინც ვფიქრობ, რომ ლელუაშვილი ორმაგ თამაშს თამაშობდა, ნაწილობრივ, ერთი მხრივ, ხელისუფლებას ინფორმაციებს აწვდიდა და მეორე მხრივ, ცდილობდა, ძველ ხელისუფლებასთან კონტაქტი არ შეეწყვიტა, რაც საბოლოოდ მისი დაპატიმრებით დასრულდა. როცა პირველად დააკავეს, ალბათ, ვიღაც ჩაუშვა, ან დააშანტაჟა, რის საფუძველზეც გამოუშვეს.

**— როგორ ფიქრობთ, „მასტერამ“ გაიყვანა პროკურატურა ლელუაშვილის კვალზე?**

– შემიძლია მაღალი ალბათობით ვთქვა, რომ ასეც იყო, მაგრამ მგონია, აგენტურულმა ქსელმა იმუშავა. არაერთ ადამიანს მიუთითებია, რომ ამ ტიპის ვიდეოების უკან იდგა ლელუაშვილი, ამის შესახებ თქვენი გაზეთით არაერთხელ მითქვამს. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ლელუაშვილი უკეთებდა ორგანიზებას ფარულ ჩანაწერებს...

**— საინტერესოა, ვის ჩაუშვებს ლელუაშვილი და რომელი ყოფილი მაღალჩინოსნის გვარს დაასახელებს დამკვეთად. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასეთ რამეს საააკაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიების ნებართვის გარეშე ვერ გააკეთებდა.**

– პარადოქსულ რამეს გეტყვით, ის, რომ კონკრეტულ პიროვნებებზე კონკრეტული ოპერაციები წარმოებულიყო, ამას წყვეტდნენ მეორე რგოლის წარმომადგენლები. მაგალითად, ლელუაშვილმა ჩემს წინააღმდეგ თავად მიიღო გადაწყვეტილება, რომ თვალთვალის და მიყურადების ოპერაცია ჩაეტარებინა, რათა თავიდან მოვეშორებინე, როგორც კონკურენტი კანდიდატი გარდაბნის რაიონში. ეს გავარკვიე ზუსტად იმ პიროვნებისგან, ვინც ჩემთან მიმაგრებული კამერა შემოაგზავნა. მან მითხრა, რომ ამის გაკეთება ლელუაშვილმა დაავალა.

**— ბატონო მამუკა, პროკურატურამ დაგკითხათ იმ სკანდალური ბრალდებების გამო, რასაც ლელუაშვილს უყენებდით?**

– არა, მე თვითონ მივედი პროკურატურაში არჩილ კბილაშვილთან და მას ვუთხარი, რომ არჩევნები გაყალბდა და სიმართლე გაერკვიათ. შევიტანე განცხადება ქვემო ქართლის პროკურატურაში, ასევე, სასამართლოში, მაგრამ რეზულტატი არ მოჰყოლია.

**— 2012 წლიდან მოყოლებული, აფრთხილებდით ხელისუფლებას, რომ აუცილებლად მოხდებოდა სექსუალური ხასიათის ვიდეოების ატვირთვა სოციალურ ქსელში და „ქართული ოცნების“ ქალბატონი მინისტრების თუ დეპუტატების დისკრედიტება. არც მაშინ დაგკითხეს? თქვენ ხომ კონკრეტულად ლელუაშვილს ადანაშაულებდით უკანონო მიყურადებასა და თვალთვალში?**

– ამ საქმეზე პროკურატურას არც ერთხელ არ დავუკითხივარ.

**— თქვენი დაჭერის ორგანიზება ლელუაშვილმა თავისი ინიციატივით მოაწყო, მაშინ დაჭერას რამ გადაგარჩინათ?**

– ლელუაშვილმა დაიწყო ჩემს გარშემო ადამიანების განეიტრალება, ბრძოლა რამდენიმე ეტაპად დაყო და აწარმოა ჩემს წინააღმდეგ, ბუბა დვალს საარჩევნო კამპანიის დროს ქიმიური ნივთიერება შეასხეს და ორი კვირა დაბრმავებული იყო. ეს დანაშაული ჩაიდინა გარდაბნის პოლიციის უფროსის მაშინდელმა მოადგილემ, რომელიც ლელუაშვილის ხელის ბიჭი იყო. ჩემი მისამართით იგეგმებოდა პროვოკაცია, მან მოაგზავნა სოფელ სამგორის კოორდინატორი, რომელსაც კამერა ჰქონდა მიმაგრებული და ცდილობდა, დაეფიქსირებინა კადრში, თითქოს ვიღაცას ქრთამს ვაძლევდი. ეს ჩანაწერი ხელმძღვანელობამ დაიწუნა, კადრებში ნათლად ჩანდა, რომ კოორდინატორს ვაძლევდი კუთვნილ ფულს გაწეული სამუშაოსთვის. ამის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ, თუკი „ქართული ოცნება“ ვერ გაიმარჯვებდა არჩევნებში, მე მაინც დავეჭირე. ლელუაშვილს პირადად ჩემზე ჰქონდა შექმნილი მთელი დოსიე. არ მინახავს აუდიო და ვიდეოჩანაწერები, მაგრამ ვნახე სტენოგრამა, სადაც დეტალურადაა აღწერილი გვარები, სახელები, ვისთანაც კი კონტაქტი მქონია იმ პერიოდში როგორც პარტიის შიგნით, ასევე ყოფით ცხოვრებაში. უსმენდნენ ჩემს სატელეფონო საუბრებს და მისმენდნენ არა მარტო მე, არამედ იმ ადამიანებს, ვისთანაც კი თუნდაც ერთხელ დამირეკავს. როგორც შემდგომ გავარკვიე, ძალოვან სტრუქტურებში მითხრეს, რომ ამ ყველაფერს ლელუაშვილის დავალებით აკეთებდნენ და პირადად ის იყო დაინტერესებული ჩემი დაჭერით.

**— დისკრედიტებულ პოლიტიკოსებს არჩევნებზე რა შანსები აქვთ?**

– ქართველმა საზოგადოებამ მიუხედავად იმისა, რომ მწვავედ აღიქვა ეს ამბავი, იმ ტიპის შეფასება მაინც არ მიუცია, როგორც, ვიღაც გეგმავდა. საზოგადოების ერთი ნაწილის აგრესიულმა რეაქციამ და ჟურნალისტებმა გაანეიტრალეს ის ჩანაფიქრი, რაც ამ ტიპის ვიდეოების გავრცელებით იყო ჩაფიქრებული. პოლიტიკოსების დისკრედიტაცია იმ ფორმით, რაც ვიღაცას წარმოედგინა, არ მოხდა. რადგან ეფექტს ვერ მიაღწიეს, პორნოგრაფიული ვიდეოების ატვირთვით. ვფიქრობ, ახლა გადავლენ მატერიალურ ვაჭრობაზე, იქნება ფულის კეთების მცდელობები, შეიძლება კიდევ გაავრცელდეს ისეთ პიროვნებაზე, ვინც დასახელდება მაჟორიტარ დეპუტატად, თბილისის რომელიმე რაიონში, ან რეგიონში. არ იქნება მსჯელობა, სახელმწიფოს დაარტყან, ატვირთონ ვიდეო მოქმედ პოლიტიკოსზე, როგორც ეს მოხდა ბოლო შემთხვევაში.

**— გასულ კვირას „ქართული ოცნების“ ოფისში გაზ-21 „ვოლგით“ მივიდა ბიძინა ივანიშვილი. „ვოლგამ“ მომცელა, საბჭოთა კავშირის ნოსტალგია ხომ არ გაუჩნდა „ქართული ოცნების“ შემქმნელს?**

– საბჭოთა კავშირის ნოსტალგია არა, მაგრამ, ალბათ, „ვოლგის“ ხასიათზე გაილვიძა. ივანიშვილის იქ მისვლა ემსახურებოდა ერთ მიზანს, მის მიერ შექმნილი პარტიის წევრებისთვის ეჩვენებინა, რომ ის არ არის პროცესებს მოწყვეტილი, რადგან განწყობა შეიქმნა „ქართული ოცნების“ შიგნით, რომ ივანიშვილი გაემიჯნა პროცესებს. ამ უმთავრესი მიზნის გარდა, იქ იყო პოლიტიკურ-ტაქტიკურ სვლებზე საუბარი პარტნიორ პარტიებთან და ა.შ. და კიდევ, ითქვა, რომ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ მინისტრები არ გადადგნენ, 8 სექტემბრამდე მიიტანონ თავი და შენარჩუნდეს დღევანდელი განწყობები. თუმცა ექსცესები არ არის გამორიცხული... მაქვს ინფორმაცია, რომ ვარშავის სამიტმა მშვიდობიანად არ უნდა ჩაიაროს და მანამდე მოხდეს ექსცესი. ამას რომ ვამბობ, მაინცდამაინც ნუ ვგულისხმობთ რუსეთს. გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს ქვეყანას გაცილებით მეტი მტერი ჰყავს, ვიდრე მოყვარე. გაცილებით მეტია დაინტერესებული, ჩვენს ქვეყანაში იყოს არეულობა, ვიდრე სიმშვიდის მოსურნე.











### ახლოვილი ჰორიზონტი

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# მამუკა ახვლედიანი: „აღარ ვარ მოსამართლე, მაგრამ მალე გავაქტიურდები!“

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, მამუკა ახვლედიანმა, რომელიც რიგით მოსამართლედ დატოვეს, განცხადება დაწერა და საერთოდ წავიდა სისტემიდან. როგორც თვითონ ამბობს „ალიასთან“ საუბარში, უახლოეს ხანში არასამთავრობო ორგანიზაციას ჩაუდგება სათავეში და აუცილებლად გააქტიურდება:**

– მე აპრილიდან აღარ ვარ მოსამართლე. ახლა ცოტა ხანს გავეცალე სიტუაციას, დავისვენებ, სოფელში ვარ და ცოტა ხანში გავაქტიურდები.

**— ბატონო მამუკა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პრეზიდენტის მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრების თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი თამარ ლალიაშვილსა და ნონა თოდუას მხარი არ დაუჭირა, თურმე საკომიტეტო მოსმენაზე ჰომოფობიური განცხადებები გაუკეთებიათ. დამამცირებელ კონტექსტში მოუხსენიებიათ „ლგბტ“ თემის წარმომადგენლები, უთქვამთ, ამ ადამიანებს ეს ნაკლი აქვთ, მაგრამ არ უნდა დავჩაგროთო. რა ხდება, ადამიანმა თავისი აზრი ველარ უნდა გამოთქვას და ეს უნდა იყოს საბაბი, რომ მოსამართლედ არ დაამტკიცონ?**

– ასე არ უნდა ეთქვათ, მოსამართლეს არ აქვს უფლება, ადამიანი განასხვავოს რაიმე ნიშნით. ნაკლზე საერთოდ არ უნდა გაემახვილებინათ ყურადღება, ეს უკვე პრობლემაა.

**— თქვენ ამ კანდიდატებს იცნობთ?**

– კი, მე იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი და ნანა თოდუას იქიდან ვიცნობ, ხოლო ლალიაშვილთან ერთად ვმუშაობდი კიდეც უზენაეს სასამართლოში. ეს უკანასკნელი იყო ადრე მოსამართლე. თუმცა ამათ მაინც ვერ შევაფასებ, ყოფილი კოლეგები არიან. თუმცა აქ ერთი პრობლემაა – ასე არ უნდა ხდებოდეს კანდიდატების წარდგენა, ცოტა სხვაგვარი განხილვაა საჭირო.

**— ამ შემთხვევაში რა დარღვევას ჰქონდა ადგილი?**

– ეს ჰგავდა პოლიტიკურ თამაშს. როცა პოლიტიკა ეხება სამართალს, ნორმალურად არაფერი არ გამოდის. ადამიანები უნდა შეაფასონ სამართლებრივი კუთხით და არა პოლიტიკური ნიშნით, ვის რა აწყობს და ვის რა არ აწყობს.



**„განცხადება რომ ჩავაბარე, მხოლოდ მაშინ კი არა, შემდეგაც ბევრმა დაიჭირა თავი ჩემგან შორს. ჩემთან ტელეფონზე დარეკვასაც კი ვერ ბედავენ, შეიძლება ვიღაცამ გაიგოს და არ მოეწონოსო“**

**— შიგნით სასამართლოში რა ხდება, სიტუაცია მოკვდა?**

– ამჟამად არაფერი არ ხდება და სწორედ ეს მაკვირვებს. მაშინ, როცა სისტემაში მოსამართლეების რაოდენობა შემცირებულია, არ ტარდება არანაირი კონკურსი, არავითარი სკოლის მსმენელების მიღება. არაფერი აღარ ხდება საერთოდ, რომლის შედეგსაც ნახავთ ძალიან მალე, როცა დაიწყება კრიზისი სასამართლოში.

**— რატომ გაიყინა სიტუაცია, თქვენ მოგიშორეს და მორჩა, ყველაფერი რიგზეა?**

– პრობლემებზე, რაც სისტემაშია, არავინ იღებს პასუხისმგებლობას. როცა კრიზისი შეიქმნება, უცებ დაიწყებენ ლაპარაკს, მოსამართლეები ყოველგვარი კონკურსის გარეშე უნდა მივიღოთ, საამისო დრო აღარ არისო. უნდათ, რომ ამ კონკურსებზე საერთოდ მოიხსნას კონტროლი და შემდეგ პოლიტიკური თუ ნათესაური ნიშნით მიიღონ მოსამართლეები. მერე არგუმენტები ექნებათ, საქმეები ბევრია, ველარ ვასწრებთ განხილვას და ასე შემდეგ.

რასაკვირველია, მოსამართლეებს ასე უცებ საიდანღაც ვერ მოიყვანენ და პირდაპირ დანიშნავენ თავიანთ ახლობელ ყოფილ პროკურორებს, ან კიდევ ყოფილ ადვოკატებს.

**— წამოსვლის თაობაზე განცხადება რომ დაწერეთ და ჩააბარეთ, რომელიმე კოლეგამ ხელი მაინც ჩამოგართვათ?**

– განცხადება რომ ჩავაბარე, მხოლოდ მაშინ კი არა, შემდეგაც ბევრმა დაიჭირა თავი შორს. ჩემთან ტელეფონზე დარეკვასაც კი ვერ ბედავენ, შეიძლება ვიღაცამ გაიგოს და არ მოეწონოსო. ეს ძალიან ცუდია, ასეთმა მოსამართლეებმა როგორ უნდა მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები? მე ეჭვი შემეპარება მათ სამართლიანობაში. ამის გამო არავისი გაკიცხვა არ მინდა, ყველას თავისი გზა აქვს ცხოვრებაში. არასოდეს ვუყურებ ადამიანებს იმის მიხედვით, ვინ სად დგას. მეტსაც გეტყვით, მე არ ვიცი, როგორ აკონტროლებენ ამას, მაგრამ, თუ ვინმე სოციალურ ქსელებში ჩემ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეცნობოდა, ან კითხულობდა, ან იწონებდა, ყველას პასუხი მოსთხოვეს და გააფრთხილეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუშვებენ სასამართლოდან. წარმოგიდგენიათ, რა სიტუაციაშია მთელი სასამართლო კორპუსი? დასკვნა თავად გამოიტანეთ.

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# „ლელუაშვილს დიდხანს არ დატოვებენ პატიმრობაში, მალე ვიხილავთ მას თავისუფლებაზე“

**ვინ არის ვასილ (ვაჟა) ლელუაშვილი და რის სანაცვლოდ შეინარჩუნა მან ბოლო სამი წლის მანძილზე თავისუფლება? როგორ მოხვდა კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი ქვემო ქართლში „ქართული ოცნების“ შტაბში და რა ვერ აპატია ლელუაშვილს და მის გუნდს დასავლეთმა? „ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**

– ამ 5 პირის დაკავების საკითხს, იმ მხრიდან დაგანახვებთ, რა მხრივაც არც ერთი პოლიტიკოსი თუ სხვა უწყების პირი არ ისაუბრებს. მთავარმა პროკურატურამ ასეთი რამ თქვა: გამოძიებით დადგენილია, რომ დაკავებული 5 პირი, რომლებიც კუდის მაღალჩინოსნები იყვნენ, ახორციელებდნენ ოპოზიციაში მყოფი პირების უკანონო მოსმენათვალთვალსო. ეს არ იყო ახალი ამბავი და ეს ინფორმაცია, რაზეც ახლა პროკურატურამ ისაუბრა, თავის დროზე, დეტალურად მივაწოდე საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მაშინდელ მთავარ პროკურორს – არჩილ კბილაშვილს. პირველმა მე ვთქვი ხმამაღლა, რომ არსებობდა მსგავსი შინაარსის მასალები. ჩვენებაც მივეცი და რომ არ ყოფილიყო შიდა შეთქმულება, ეს ყველაფერი თავის დროზე, 3 წლის წინათ იქნებოდა გამოძიებული.

**— ვინ იყვნენ ეს „შეთქმულები“?**

– ისინი ადრეც ხელისუფლებაში იყვნენ და დღესაც მათი უდიდესი ნაწილი ხელისუფლებაშია. ადამიანები, ვინც ამას აკეთებდნენ, დღემდე თბილად არიან მოთავსებული თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოში და მათი გვარები ცნობილია გამოძიებისთვის, ახლა ვერ ვასახელებ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ახალ ხელისუფლებასთან ადაპტაცია ძალიან კარგად მოახერხა ვაჟა ლელუაშვილმაც, რომელმაც იმდენად კარგად დაალაგა ვითარება ახალ ხელისუფლებასთან, რომ ამ სამი წლის განმავლობაში მისი პასუხისგებაში მიცემა არათუ მოხდა, არამედ გარდაბანში, ფაქტობრივად, ის განაგებდა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს.

**— ახლა რატომ მოხდა მისი დაკავება?**

– შეხედეთ, რომელ მინისტრთან დაკავშირებული კადრების გავრცელების მერე მოხდა მისი დაკავება. როგორც კი ისეთ პოლიტიკოსს შეეხო, რომელსაც ამერიკა ლობირებს, მაშინვე უბრძანეს პროკურატურას, რომ აღარ დაეფარებინათ ხელი ამ გუნდისთვის. ამ ფაქტმა ცხადყო, რომ პროკურატურამ იცოდა ამ ყველაფრის თაობაზე, მაგრამ არ იჭერდა მთელი ამ სამი წლის მანძილზე არავის. ფაქტია, რომ მათ ეს თავისუფლება გაცვალეს რაღაცის სანაცვლოდ.

**— რის სანაცვლოდ?**

– ეს არის ინფორმაციები, რომლებიც თავის დროზე მიაწოდა ლელუაშვილმა ხელისუფლებას. ჩემი ინფორმაციით, გარდაბნის რაიონში სიტუაციის დალაგების სანაცვლოდ, მან მიიღო თავისუფლება. ახლო წარსულში, როცა ჯამარაული იყრიდა კენჭს, ლელუაშვილი იჯდა „ქართული ოცნების“ შტაბში. ამ ადამიანს ხელში უჭირავს აზერბაიჯანული მოსახლეობა. ეს არის ფიგურა, რომელიც აკონტროლებდა ამ მხარეს შევარდნაძის პერიოდიდან – მაშინ ეს ადამიანი გუბერნატორის მოადგილე იყო. ამის მერე, ეს გავლენები არ დაკარგა, იმიტომ, რომ ადეიშვილს დასჭირდა ასეთი კაცი და ამ პერიოდში ძალიან მოიმაგრა მან ზურგი. საბოლოოდ კი აზერბაიჯანელებს ლელუაშვილის გარეშე ცოლი არ მოჰყავდათ, ყველგან ვაჟა ლელუაშვილი უნდა ჰყოლოდათ საპატიო სტუმრად.

ერთი ახსოვდეს ყველას, რომ ხელისუფლება ამ ადამიანს დიდხანს არ დატოვებს პატიმრობაში, კიდევ გაურიგდება მას და ისევ ვიხილავთ მას თავისუფლებაზე და ამ თავისუფლებას მიიღებს არჩევნებზე ქვემო ქართლში მიხმარებით, სადაც ლელუაშვილის შიშით და კავშირებით, მთელი რეგიონი მისცემს ხმას „ქართულ ოცნებას“. პროკურატურა იძულებული გახდა, დაეჭირა, თორემ კაცს, რომელიც მთელ რეგიონში ულაგებს სიტუაციას ხელისუფლებას, რატომ დაიჭერდნენ?!



**„პროკურატურა იძულებული გახდა, დაეჭირა, თორემ კაცს, რომელიც მთელ რეგიონში ულაგებს სიტუაციას ხელისუფლებას, რატომ დაიჭერდნენ?!“**

მე ხელი მაქვს მოწერილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე, რომ არ გავახმაურო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, ამიტომაც ვერ ვისაუბრე დეტალურად, თუმცა ვთქვი ის, რაც საზოგადოებამ აუცილებლად უნდა იცოდეს.

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

## საპარლამენტო არჩევნებისთვის ცესკოში პირველი ლევან მამალაძის პარტია დარეგისტრირდა



პოლიტიკური გაერთიანება „სახალხო ხელისუფლება“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისთვის დარეგისტრირდა.

2 აპრილს, ცესკოს თავმჯდომარემ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისთვის პოლიტიკური გაერთიანება „სახალხო ხელისუფლება“ რეგისტრაციაში გაატარა. აღნიშნული პარტია პირველად დარეგისტრირდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნებში მონაწილეობის მიზნით.

ცესკოს ინფორმაციით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების მსურველ პარტიებს დარეგისტრირება პირველ აგვისტომდე შეეძლებათ. (pia.ge)

## მიწის რეგისტრაციისას აზომვითი ხარჯების სუბსიდირება ბიუჯეტიდან მოხდება



მიწის რეგისტრაციის პროცესში აზომვითი ხარჯების სუბსიდირება ბიუჯეტიდან მოხდება.

როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფოს ქონების ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, საამზომველო კომპანიები სპეციალური კითხვარის შევსებას დაიწყებენ.

– მათ უნდა შეავსონ სპეციალურად მომზადებული ონლაინკითხვარი. ჩვენ გვაქვს შეთავაზება კონკრეტული ფასებით. გაიმართა შეხვედრა ამზომველებთან, რომლის მთავარი მიზანი იყო, მათი პრობლემების მოსმენა და შენიშვნების გათვალისწინება. ამ ეტაპზე დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს, ამზომველების ჩართულობა დიდია და ჩვენ ვცდილობთ, ყველა მოსაზრება გავითვალისწინოთ, – აღნიშნეს სახელმწიფოს ქონების ეროვნულ სააგენტოში.

უწყების ინფორმაციით, მონაცემების დამუშავებისა და ბაზრის კვლევის შემდეგ უკვე კონკრეტული დეტალები გახდება ცნობილი.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, უფლებადაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადების ხარჯების ანაზღაურება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელდება. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნანუკა ჟორჟოლიანი რამიშვილის „იმედიდან“ განთავისუფლებას ეხმიანება



„როგორ უნდა მოახერხო კაცმა ის, რომ არც ერთ კოლეგას არ ეწყინოს შენი სამსახურიდან გაშვება. ერთი დამცველი წამლად ვერ იშოვო. ასეა, როცა ადამიანები არ გიყვარს, არც მათ უყვარხარ, – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

შეგახსენებთ, რომ შალვა რამიშვილმა ტელეკომპანია „იმედისგან“ მიიღო წერილი ყველა ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით. ტელეწამყვანი ტელეკომპანიისგან განმარტებებს ითხოვს. (timer.ge)

## „ლევან მამალაძის არჩევნებში მონაწილეობა მის სისხლის სამართლებრივ სტატუსზეა დამოკიდებული“



იურისტ ლევან ალაფიშვილს არ ჰგონია, რომ ლევან მამალაძემ საპარლამენტო არჩევნებისთვის ცესკოში პერსონალური რეგისტრაცია უპრობლემოდ შეძლოს.

იურისტის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით, საპარლამენტო არჩევნებისთვის ორი რეგისტრაცია არსებობს: პარტიის განაცხადი რეგისტრაცია, რომ პარტია არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც პირველ აგვისტომდეა შესაძლებელი; ამის მერე იწყება მეორე პროცესი – პარტიული სიის რეგისტრაცია.

მისი თქმით, საქართველოში რეგისტრირებული ყველა პარტია არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას და ამის აკრძალვის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

– მაგრამ სხვა საკითხია, ლევან მამალაძე პერსონალურად მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას. ეს დამოკიდებულია მის სისხლის სამართლებრივ სტატუსზე და ე.წ. ცხოვრების ცენზზე – საქართველოში უკანასკნელი 2 წლის პერიოდში ცხოვრების ცენზზე, – განაცხადა ლევან ალაფიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ცესკოს თავმჯდომარემ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისთვის პოლიტიკური გაერთიანება „სახალხო ხელისუფლება“ რეგისტრაციაში 2 აპრილს გაატარა, რომლის ერთ-ერთი ლიდერი ლევან მამალაძე. (pia.ge)

# ვაჟა ლელუაშვილის განთავისუფლების ფარული

## ვაი, თქვე უბედურებო, ეს რა დღეში ხართ, ეგეთი რა მიჰქარეთ, რომ ვეღარ



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

8 აპრილს პროკურატურამ ფარული კადრების საქმე ნაწილობრივ გახსნა და ვაჟა ლელუაშვილთან ერთად, რამდენიმე მაღალჩინოსანიც დააკავა:

„საქართველოს პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოვლენილნი არიან ის პირები, რომელთა მიერ განხორციელდა მიმდინარე წლის 11 და 14 მარტს ინტერნეტსივრცეში გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერების უკანონოდ მოპოვება და შენახვა.

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, დაკავებულია ამ დანაშაულში მონაწილე 5 პირი, ერთი პირის დაკავება ვერ მოხერხდა, ვინაიდან გამოძიებას მიემალა, ერთ პირს კი დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება.

კერძოდ, პროკურატურის მიერ დაკავებულნი არიან შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილე ვასილ ლელუაშვილი;

ამავე დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი რევაზ შიუკაშვილი;

ამავე დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს ყოფილი უფროსი რომან ზაალიშვილი;

შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს ყოფილი უფროსი ირაკლი ყიფშიძე;

შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების ყოფილი უფროსი ზურაბ პავლიაშვილი;

შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების უფროსის ყოფილი მოადგილე გიგლა შიოშვილი მიემალა გამოძიებას, ხოლო კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის მე-6 სამმართველოს ყოფილ უფროსს გივი კაციტაძეს დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება, ვინაიდან მას დატოვებული აქვს საქართველოს საზღვრები და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას.

გამოძიებით დადგენილია, რომ 2011-2012 წლებში, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის დირექტორის ყოფილი მოადგილის ვასილ ლელუაშვილის ორგანიზებითა და დავალებით, ამავე დეპარტამენტის თანამშრომლები მაკომპრომეტირებელი მასალის შეგროვების მიზნით ახდენდნენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირებისა და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების წინასწარ შერჩევას, უკანონო თვალთვალს და მათი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების მოპოვებას.

კერძოდ, დადგენილია, რომ 2012 წლის მაისში, საქართველოს შს სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს უფროსს ირაკლი ყიფშიძეს ჰქონდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2012 წლის 5 მაისს, ერთ-ერთი პოლიტიკოსი აპირებდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მდებარე სასტუმროში გაჩერებას. ამ ფაქტის შესახებ, მან შეატყობინა ვასილ ლელუაშვილს, რომლის დავალებითაც პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის ჩაწერის მიზნით, დაიგეგმა სასტუმროს ნომერში ფარული გადამღები მოწყობილობის დამონტაჟება. დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, 2012 წლის 5 მაისს, ვასილ ლელუაშვილისა და ირაკლი ყიფშიძის დავალებით შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილმა თანამშრომლებმა ზურაბ პავლიაშვილმა და გიგლა შიოშვილმა ორგანიზება გაუწიეს სასტუმროს ნომერში ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის განთავსებას, რითაც უკანონოდ მოიპოვეს პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

ამ ფაქტიდან ერთ თვეში, 2012 წლის 5 ივნისს, ვასილ ლელუაშვილის დავალებით, ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს იმჟამინდელმა უფროსმა რევაზ შიუკაშვილმა და მისმა მოადგილემ რომან ზაალიშვილმა ორგანიზება გაუწიეს ხსენებულ ბინაში ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის განთავსებას, რა გზითაც უკანონოდ მოიპოვეს ოპოზიციურად განწყობილი კიდევ ერთი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი.

ჩატარებული გამოძიებით, ასევე, გახსნილია ვასილ ლელუაშვილის ორგანიზებით განხორციელებული კიდევ ერთი დანაშაულებრივი ფაქტი, რომელიც ეხება 2013 წლის მაისში საჯარო სივრცეში გავრცელებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერის უკანონოდ მოპოვებას. კერძოდ, 2011 წლის დეკემბერში ქ. თბილისში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში ვასილ ლელუაშვილის დავალებით კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის მე-6 სამმართველოს უფროსმა გივი კაციტაძემ ორგანიზება გაუწია ფარული სათვალთვალო აღჭურვილობის განთავსებასა და ჟურნალისტის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის მოპოვებას.

შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები სასამართლოს განჩინების საფუძველზე იქნენ დაკავებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით“.

მთავარმა პროკურატურამ მხოლოდ ამ ინფორმაციის გასაჯაროება ჩათვალა საჭიროდ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა დეტალების გახმაურებისგან ჯერ თავს იკავებს. თუმცა, შევეცდებით, მკითხველს დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ, სავარაუდოდ, რა და როგორ მოხდა და ამ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, ბრალდებულ ვაჟა ლელუაშვილის ძველი კავშირებიც გავიხსენოთ.

განვმარტავ, რომ პროკურატურის განცხადებაში ნახსენები 2012 წლის 5 მაისს მოპოვებული ჩანაწერი, წელს, 14 მარტს გავრცელდა ინტერნეტსივრცეში და ერთ-ერთი მაშინდელი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის პირადი ცხოვრების შემცველი იყო. სავარაუდოდ, ეს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროშია გადაღებული. ტელეკომპანია „იბერიით“ გავრცელებული ინფორმაციით, სავარაუდოდ, ეს სასტუმრო დუშეთის რაიონში მდებარე სასტუმრო „ბაზალეთია“. სავარაუდოდ, 203-ე ნომერი. მოკლედ, გამოძიებამ ამ ეტაპზე გამოავლინა გავრცელებული სკანდალური ვიდეოების ფარულად გადამღებები, ამ ვიდეოების შემნახავები, მაგრამ ვინ ატვირთა ეს ვიდეოები ინტერნეტში, ჯერ ამაზე გამოძიება დუმს.

ამ ბინძური საქმის მთავარი მოთავე, ვაჟა ლელუაშვილი რამდენიმე საათის დაკავებული იყო, როცა მისმა მეუღლემ გაავრცელა ვაჟა ლელუაშვილის ვიდეო, რომელიც მის დაჭერამდე რამდენიმე დღით ადრეა ჩაწერილი. გთავაზობთ ვაჟა ლელუაშვილის ამ პრევენციულ განცხადებას სრულად:

**„სანდო წყაროდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პროკურატურა აპირებს, დამაბრალოს დანაშაული, რომელიც მე არ ჩამიდენია. კერძოდ, პროკურატურა აპირებს, ჩამიდოს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რომელიც მე არ მაქვს. ჩადება შეიძლება მოხდეს მეხსიერების ბარათზე, შეიძლება სიდი-დისკზე, შეიძლება კომპიუტერი წაიღონ და ჩაიწერონ, ან სულაც კომპიუტერში შეიძლება დისტანციურად ჩაწერონ კადრები, ასეთი ტექნიკური საშუალება შესაძლებელია. აგრეთვე, ცრუ მოწმეების გამოყენებით, პროკურატურა აპირებს, თითქოსდა მე ეს მასალები მოვიპოვე. სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ჩემთან არანაირი ინფორმაცია არ არსებობს, არასოდეს არაფერი არ გადამიღია, არც არაფერი შემინახავს, მით უმეტეს, არც გამივრცელებია“.**

ეს ვიდეო ერთ რამეს ნათელს ხდის. პროკურატურის მიერ მოპოვებული უკანონო ფარული ჩანაწერები, რის გამოც ეს 5 კაცი დაიჭირეს, ვაჟა ლელუაშვილის სახლიდან ვერ იქნებოდა ამოღებული, ის, ალბათ, სხვა ბრალდებულთა სახლებში ნახა გამოძიებამ,

### ფარული ჩანაწერები

რადგან, თუ ლელუაშვილს ინფორმაცია ჰქონდა, რომ მის დაჭერას აპირებდნენ და ეს სავარაუდოდ, ასეა, დანაშაულის მტკიცებულებებს სახლში არ შეინახავდა. ახლა, პროკურატურამ რომ განაცხადოს, ფაილები ლელუაშვილის სახლიდან ამოვიღეთ, ან მის კომპიუტერში იყოო, პირადად მე, ამას ვერ დავიჯერებ. შესაძლოა, მას მართლა არ გააჩნდა ვიდეოკომპრომატები სახლში, მაგრამ კუდ-ში მუშაობის პერიოდში პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებზე უკანონო ფარულ თვალთვალსა და მოსმენებს, ვიდეოგადაღებებსა და სხვა ამგვარ უბედურებას რომ ხელმძღვანელობდა, ამის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია. ვაჟა ლელუაშვილის საკურატორო ზონები კუდ-ში და შესაბამისად, ამ განხრით, თბილისი, კახეთის რეგიონი და ქვემო ქართლი გახლდათ. თავის დროზე ამის შესახებ „ალიას“ „სახალხო კრების“ წევრი, ზურაბ ხუბულაშვილი ექსკლუზიურად მოუთხრობდა.

ვაჟა ლელუაშვილი როცა სრულიად უდანაშაულო კაცად და მსხვერპლად ცდილობს თავის წარმოჩენას, ორი რამ ავიწყდება. ერთი, რომ უკვე წლებია, მის სახელთან ასოცირდება ეს ფარული მოსმენები და სხვადასხვა ვიდეოკომპრომატების გადაღება ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე, ამის შესახებ იმჟამინდელი ოპოზიციონერები ბევრს საუბრობდნენ. მეორეც, ლელუაშვილი 2012 წლის 18 ნოემბერს დააკავეს, ხუთი მუხლით წაუყენეს ბრალი: 158-ე – კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა, 284-ე – კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, 285-ე – კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება, 333-ე – სამსახურე-



**„ოცნება“! ეს კაცი, ვაჟა ლელუაშვილი, დაჭერილი არ გყავდათ იმ ფარული და უკანონო გადაღებებისთვის? რატომღა გამოუშვით?**



**ააა, შანტაჟის გზით გამოვიდა ციხიდან და შოთა ხიზანიშვილიც ხელს გამოაყოლა? სად არის იმის გარანტია, რომ დღესაც იმავეს არ გააკეთებს და „ქართული ოცნების“ ახლა უკვე სხვა ლიდერთა დაშანტაჟების გზით, ციხეს თავს არ დააღწევს?**

ბრივი უფლებამოსილების გადამეტება. და 187-ე – სხვისი ქონების განზრახ დაზიანება. მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მაშინ ლელუაშვილი მის მიმართ წაყენებული 5 ბრალიდან სამს დაეთანხმა, კერძოდ, ლელუაშვილმა დანაშაული აღიარა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, სხვისი ქონების დაზიანებასა და უკანონოდ მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებაში. ბრალი კი სხვისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან არ იყო დაკავშირებული. ამ მუხლსაც ამნისტია შეეხო და ამ უნიათო ხელისუფლების დამსახურებით, ლელუაშვილმა საპყრობილე დატოვა. ციხეს თავი შოთა ხიზანიშვილმაც დააღწია, ის მოგვიანებით 35 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გამოუშვეს ციხიდან, მასაც ერთი ბრალი დაუტოვა გამოძიებამ, მაგრამ ამ მუხლსაც ამტკიცებს, ვაჟა ლელუაშვილმა გასცა ბრძანება, ორ ადამიანზე უკანონო ფარული გადაღებისო. ლოგიკურად, ლელუაშვილს ეს ფარული კადრები, ანუ შანტაჟის იარაღი ექნებოდა 2012 წლის ნოემბერში, როცა დაიჭირეს, რადგან გადაღებები ადრე მოხდა. ეს ორი ადამიანი კი ისინი გახლავთ, რომელთა სექსუალური ცხოვრების ამსახველი ვიდეოებიც გავრცელდა 11 და 14 მარტს. იმ მომენტში, როცა და იგივე ზურაბ ხუბულაშვილი „ალიას“ არწმუნებდა, რომ ფეიქრიშვილი ზვიად ძიძიგურმა ლამაზი თვალების გამო არ შეიფარა და, სავარაუდოდ, იმ მიწების დიდი ნაწილი მის ახლობლებს გადაუფორმა, ანუ ძიძიგურს მისცა, რის გამოც იჭერდნენ და რომელიც, მერე უნდა ჩამოერთმიათ.

მედიით გავრცელებული ინფორმაციით, ვაჟა ლელუაშვილი შს მინისტრის მოადგ-

### ფარული ჩანაწერები

იმ პოლიტიკოსთა მიერ, ვისზეც მას კომპრომატები აქვს და შესაბამისად, პროკურატურაზე, ასევე, ფარული ზეწოლა განხორციელდეს მის გასაშვებად. ვაი, თქვე უბედურებო, ეს რა დღეში ხართ, „ქართული ოცნების“ ლიდერებო. ეს ვის ხელში ხართ ჩავარდნილები! ეგეთი რა მიჰქარეთ, რომ ველარ

# სპეცოპერაცია უკვე დაწყებულია „ქართულ ოცნებაში“

## „ქართული ოცნების“ ლიდერებო თავისუფლდებით ჩადენილი დანაშაულისგან?!




მკითხველს შევახსენებ, რომ იმ დროს ვაჟა ლელუაშვილთან ერთად დაიჭირეს შს მინისტრის ყოფილი მოადგილე და იმ დროს თბილისის მოქმედი ვიცე-მერი, შოთა ხიზანიშვილი. მასაც თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და კერძო კომუნიკაციების საიდუმლოების დარღვევაში დასდეს ბრალი. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამოძიება შოთა ხიზანიშვილისა და ვაჟა ლელუაშვილს დაჭერით, ვანო მერაბიშვილსა და დათა ახალაიაზე გასვლას აპირებდა, ორივენი მზად იყვნენ, მათ წინააღმდეგ მიეცათ ჩვენება, ეთქვათ, რომ ფარულ მოსმენებს შს მინისტრისა და კუდ-ის უფროსის დავალებით ახორციელებდნენ. სასამართლომ შოთა ხიზანიშვილსა და ვაჟა ლელუაშვილს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სხვათა შორის, ხიზანიშვილს თავდებში უდგებოდა თბილისის იმჟამინდელი მერი, გიგი უგულავა, მაგრამ სასამართლომ მისი თავდებობა არ გაითვალისწინა და არც ის 20 000-ლარიანი გირაო, რასაც ხიზანიშვილი სთავაზობდა სასამართლოს თავისუფლების სანაცვლოდ. მოკლედ, ვაჟა ლელუაშვილი ციხეში იჯდა და სწორედ უკანონო ფარული ჩანაწერების გადაღების ბრალდებით, დღეს რასაც ედავებიან, ზუსტად იმ ბრალდებით, მაგრამ ამ კაცმა ციხეს თავი დააღწია, 4 ბრალი მოუხსნა გამოძიებამ და მხოლოდ ერთი დაუტოვა, ეს ამნისტია შეეხო. მოკლედ, პროკურატურამ, შეიძლება ითქვას, სრული უნიათობა გამოიჩინა და ვერც ხიზანიშვილსა და ვერც ლელუაშვილს ვერაფერი დაუმტკიცა. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხიზანიშვილმა და ლელუაშვილმა გამოძიებასთან ითანამშრომლეს, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებზე სერიოზული კომპრომატები მისცეს და ამიტომ გაათავისუფლეს. თუმცა, ეს ასე რომ იყოს, დღეს ლელუაშვილს ხელახლა, იმავე ბრალდებით, რითიც დაჭერილი იყო, აღარ დაიჭერდნენ. უფრო დამაჯერებელია ის ვერსია, რომ ვაჟა ლელუაშვილმა და შოთა ხიზანიშვილმა მაშინ ციხიდან თავი დააღწიეს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ლიდერების დაშანტაჟების გზით. ამ ვერსიის თანახმად, ამ საქმის მოგვარება ციხეში ითავა ლელუაშვილმა, მან, კუდ-ს ყოფილი თანამშრომლების, მისი ყოფილი ხელქვეითების ხელით კონკრეტულ წონიან პოლიტიკოსებს გაუგზავნა მათი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, ასევე, მათი კუდ-თან თანამშრომლობის დამადასტურებელი ვიდეო, აუდიო და სხვა სახის მტკიცებულებები და დაუმუქრა – თუ მას და შოთა ხიზანიშვილს ციხიდან სუფთად არ გამოუშვებდნენ, ეს მასალები გასაჯაროვდებოდა. ეს ვერსია მართლა დამაჯერებელია. თუნდაც იმიტომ, რომ დღეს პროკურატურა ლელუაშვილი და ხიზანიშვილი ციხეში ისხდნენ, ერთი მინისტრი იყო და მეორე – დეპუტატი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ კადრების გავრცელების მუქარის შიშით, ისინი დაეხმარნენ დაკავებულებს ციხიდან გამოსვლაში და შესაძლოა, „ქართული ოცნების“ სხვა გავლენიანი ლიდერებიც.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ვაჟა ლელუაშვილი არა მხოლოდ „ქართული ოცნების“ ამ ორ ლიდერ ქალბატონზე ფლობდა მაკომპრომეტირებელ ინფორმაციას, რომელთა ფარული გადაღებისთვისაც დღეს დაკავებულია, არამედ ბიძინა ივანიშვილის კოალიციის მრავალ გავლენიან პოლიტიკოსზე (რაც შეეხება ჟურნალისტებზე კომპრომატების მოპოვებას, ეს საქმე, ასევე, მათი გადაბირება და და შანტაჟი, ამბობენ, რომ უკვე კუდ-ის უფროსის პირველი მოადგილის, სოსო თოფურიას კომპეტენცია იყო). ზურაბ ხუბულაშვილი ჩვენთან საუბრისას აცხადებდა, რომ ვაჟა ლელუაშვილმა, არჩევნების შემდეგ, სწორედ ხელისუფლების ლიდერთა დაშანტაჟების გზით, პარლამენტის წევრი, მისი მეგობარი, თემურ ფეიქრიშვილი დაჭერას გადაარჩინა, რომელსაც წავკისსა და ტაბახმელაში ჰექტრობით მიწების უკანონო მითვისებას ედავებოდნენ. სხვათა შორის, თემურ ფეიქრიშვილი დღეს ზვიად ძიძიგურის ფრაქცია „კონსერვატორებისა“ და უმრავლესობის წევრია ილესთან, გელა ხვედელიძესთან ეშურებოდა საქმის დაჭერას, სურდა, მისთვის კომპრომატები გადაეცა და სანაცვლოდ, ხელშეუხებლობის გარანტია მიეღო. პირველ ეტაპზე, როგორც ჩანს, ეს არ გამოუვიდა და სწორედ ამის შემდეგ დაიჭირეს, მაგრამ ციხიდან, სავარაუდოდ, ამის გაკეთება მოახერხა, თუმცა, დროებით.

დღეს ვაჟა ლელუაშვილი ციხეშია და იმავეს ედავებიან, რასაც 4 წლის წინათ. „ოცნება“, ეს კაცი დაჭერილი არ გყავდათ იმ ფარული და უკანონო გადაღებებისთვის? რატომღა გამოუშვით? აა, შანტაჟის გზით გამოვიდა ციხიდან და შოთა ხიზანიშვილიც ხელს გამოაყოლა? თუ ეს მართალია, სად არის იმის გარანტია, რომ დღესაც იმავეს არ გააკეთებს და „ქართული ოცნების“ ახლა უკვე სხვა ლიდერთა დაშანტაჟების გზით, ციხეს თავს არ დააღწევს? მით უმეტეს, ვაჟა ლელუაშვილს სხვა საქმეებთან ერთად კუდ-ში სწორედ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების თვალთვალი, მათზე კომპრომატების შეგროვება ევალებოდა და არ არსებობს საქართველოს ხელისუფლებაში იმჟამინდელი ოპოზიციონერი, რომელზეც მას კომპრომატი არ ჰქონდესო. არ გამოვრიცხოთ, რომ ვაჟა ლელუაშვილის განთავისუფლების ფარული სპეცოპერაცია უკვე დაწყებულია „ქართულ ოცნებაში“ თავისუფლდებით ჩადენილი დანაშაულისგან?! დიდი ეჭვი მაქვს, თქვენ სიცოცხლის ბოლომდე ვაჟა ლელუაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მძევლები იქნებით და რასაც დაგიკვეთენ, იმას შეასრულებთ.

და კიდევ. ვაჟა ლელუაშვილის დაკავება გიორგი დგებუაძის, იგივე „მასტერას“, ჰოლანდიიდან ექსტრადიციას საეჭვოდ დაემთხვა. პროკურატურა იმთავითვე აცხადებდა, რომ „მასტერასთან“ პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების უკანონო გადაღება-გავრცელებზეც ექნებოდა კითხვები, რადგან ეს კაცი წლების მანძილზე კუდ-ში ამ საქმით იყო დაკავებული და სწორედ ვაჟა ლელუაშვილის ხელქვეითი გახლდათ. პროკურატურის კულუარებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ „მასტერამ“ ჩაუშვა ვაჟა ლელუაშვილი და დანარჩენი 6 ბრალდებული, თავად კი „ნავთლუღის სპეცოპერაციის“ საქმეში მონაწილეობის გამო, რისთვისაც იძებნებოდა, მსუბუქ სასჯელს მიიღებს. მეორე ვერსიით კი, გამოძიებამ, უბრალოდ, ვაჟა ლელუაშვილი და მისი 2012 წელს დაკავების ფაქტი გაიხსენა, ადგნენ და აიყვანეს, მის წინააღმდეგ კი ჩვენებები ისევ იმ ხალხმა მისცა, ვინც 2012 წელს მზად იყო, იგივე გაეკეთებინა, მაგრამ მაშინ ეს აღარ გახდა საჭირო, ლელუაშვილმა ციხეს „ქართული ოცნების“ ლიდერთა დახმარებით თავი დააღწია...

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბაქოში, ომის გაგრძელების მოთხოვნით, აქცია გაიმართა



აზერბაიჯანის დედაქალაქის ქუჩებში ქვეყნის ეროვნული დროშებით ხელში, ასობით ადამიანი შეიკრიბა და ომის გაგრძელების მოთხოვნით აქცია გაიმართა.

აღნიშნულ ინფორმაციას აზერბაიჯანული მედია ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, აქციის მონაწილეები, რომელთა უმეტესობაც ახალგაზრდები არიან, მთიან ყარაბახში საომარი მოქმედებების გაგრძელებას ითხოვენ.

საპროტესტო აქცია პატრიოტული სიმღერების ფონზე გაიმართა. (pia.ge)

## „ქართული ოცნების“ მესიჯი, რომელიც სამართლიანობის აღდგენას ეხებოდა ამომრჩევლის სატყუარა იყო“



„ტვ პირველის“ ეთერში სტუმრად მყოფმა პოეტმა ვაჟა ოთარაშვილმა, კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ შეუსრულებელ დაპირებებზე ისაუბრა.

ოთარაშვილი საზოგადოებას კოალიციისგან გაწბილებულად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ პირველ რიგში ქვეყანაში სამართლიანობას უნდა ეზეიმა.

– უპირველესი, რასაც საქართველოს მოსახლეობა მოითხოვდა, იყო სამართლიანობის აღდგენა. მოსახლეობა, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ მათთან არც ერთი მილიარდერი არ ჩამოივლიდა და ფულს არ დაურიგებდა, თუ არ ჩავთვლით არჩევნებზე „ნაციონალური ხროვის“ დროს დარიგებულ 20 და 100 ლარებს. სამწუხაროდ, წინასაარჩევნოდ უპირველესი მოლოდინი, განცდა სამართლიანობა აღდგენილიყო, ზონდერები დასჯილიყვნენ, არ მოხერხდა – „ნაციონალური მოძრაობის“ სექტის ნაწილი ისევ თანამდებობებზეა. ის ხალხი, ვინც ხალხს აწამებდა და აშანტაჟებდა, ვინც ქუჩაში კლავდა და ბიზნესს ატერორებდა, დაწინაურდა სამართალდამცავ ორგანოებში, პროკურატურაში, იუსტიციაში თუ სხვაგან. 150-ზე მეტი ახალგაზრდაა დახოცილი ქუჩაში და არც ერთი სამართლიანი გადაწყვეტილება „ქართულმა ოცნებამ“ არ მიიღო.

წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ მიერ გადმოგდებული მესიჯი, რომელიც სამართლიანობის აღდგენას ეხებოდა, იყო სატყუარა ამომრჩევლებისთვის. სახარება უპირველესად ქადაგებს – „ნეტარ არიან სიმართლისთვის დევნილნი“ – სიმართლე და სამართლიანობა არის დემოკრატიის ფუნდამენტი“, – განაცხადა ვაჟა ოთარაშვილმა. (daijesti.pia.ge)

## მამუკა არეშიძე — ვაჟა ლელუაშვილი ცდილობდა ორმაგ თამაშს, ნაწილობრივ აქეთაც იყო, ნაწილობრივ — იქითაც



ექსპერტი მამუკა არეშიძე არ გამორიცხავს, რომ ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებულ ვაჟა ლელუაშვილზე „მის ყოფილ პატრონებს“ კომპრომატები ჰქონოდათ.

როგორც არეშიძე აცხადებს, მან არ იცის, ცდილობდა თუ არა ხელისუფლება ლელუაშვილის გამოყენებას, თუმცა დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნება“ მისგან ინფორმაციის მიღებას ეცდებოდა.

– მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ არ არის გამორიცხული, ლელუაშვილისნაირ პიროვნებაზე, რომელიც სხვაზე ქმნიდა კომპრომატებს, მის ყოფილ პატრონებს მასზე ჰქონოდათ კომპრომატები. ის ცდილობდა ორმაგი თამაშით თამაშს, როგორც ჩანს. ნაწილობრივ აქეთაც იყო, ნაწილობრივ იქითაც იყო დარჩენილი. ეს გარდაბანში, ბოლოს გამართულმა გამგებლის არჩევნებმაც გამოაჩინა. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა გამოაცხადა, თითქოს ის ლამის შტაბის უფროსად იყო წარმოდგენილი. ტყუილია ეს ამბავი. ის პოზიციონირებდა, თითქოს „ქართულ ოცნებას“ უჭერდა მხარს, სინამდვილეში ის ქსელი, რომელიც მას გარდაბანში ფართოდ ჰყავს და რომელიც ჩემთვის ცნობილია, ისევ თავისი ყოფილ პატრონებისთვის მუშაობდა. ეს მისი სტილია, – აღნიშნა არეშიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ლიბანში ყოფილ მინისტრს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს



ლიბანის სასამართლომ ინფორმაციის ყოფილ მინისტრ მიშელ სამაჰას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლომ ის ტერორისტული აქტების მომზადებაში დამნაშავედ ცნო.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სამაჰას ახლო კონტაქტები ჰქონდა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადთან. ბრალდების მხარის ცნობით, ტერორისტული შეტევების მიზანი ქვეყნის დესტაბილიზაცია იყო. თავად მიშელ სამაჰა ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ საკუთარ ქვეყანას პირნათლად ემსახურებოდა და მისი მთავარი საზრუნავი ლიბანელი ხალხის უსაფრთხოება იყო. (kvira.ge)

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**გასული კვირის პოლიტიკურ ქრონიკას გიგლა ბარამიძე აჯამებს და „ალიასთან“ ინტერვიუში იმ სქემაზე საუბრობს, რომლითაც ბიძინა ივანიშვილი აპირებს საპარლამენტო უმრავლესობის შექმნას.**

**— გასულ კვირას საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მონაცემები, რამდენი ბავშვი შიმშილობს და რამდენი სულს ლაფავს გაჭირვებაში, ამ ფონზე კულტურის სამინისტრო გვამცნობს, რომ 29 მილიონს ხარჯავს ბიუჯეტიდან ცნობილი მსოფლიო ვარსკვლავების ჩამოყვანაში. რას ფიქრობთ ამ თემაზე, რეალობას ასცდა ხელისუფლება და რის გამოც მიხეილ სააკაშვილს აკრიტიკებდნენ, რატომ იმეორებენ?**

– ჩვენ გვახსოვს „ისტერნ პრომოუშენი“, ასეთი ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელი იყო კულტურის დღევანდელი მინისტრი მიხეილ გიორგაძე და მიხეილ სააკაშვილის დაკვეთით აწყობდა კონცერტებს, ჩამოჰყავდა მომღერლები, იყო ტაშფანდური, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ, როდესაც საერთაშორისო კომპეტენტური ორგანიზაციები აქვეყნებენ, რომ შენს ქვეყანაში არის კატასტროფული მდგომარეობა, ბავშვები შიმშილით გეხოცებიან და ნახევარი საქართველო უკიდურესად გაჭირვებულია, ამ ფონზე რა საჭიროა იგივე ვარსკვლავები ჩამოვიყვანოთ, რომელიც სააკაშვილს ჩამოჰყავდა. კულტურის მინისტრ გიორგაძეს ახლაც იგივე რანგში ჩამოჰყავს მომღერლები, ხაზს ვუსვამ, ეს ცუდი ნამდვილად არ არის, მაგრამ ამისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 30 მილიონამდე ლარი. გვეუბნებიან, რომ კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი სიმბოლურად 30 ლარი იქნებაო. ერთია, რომ კულტურის მინისტრის და მისი სამეგობროს ხელშია ფილარმონია, თითქოს, მათი კომერციული ობიექტი იყოს, მაგრამ მეორეა ის, რომ კულტურის მინისტრი ამ ხალხს დასცინის, თუ მისთვის სიმბოლურია 30 ლარი, ეს თანხა მოსახლეობისთვის ერთი კვირის საჭმლის ფულია... და თუკი ჩვენ ვიხდით ფულს ბიუჯეტიდან ვარსკვლავების ჩამოყვანაში, რომელიც ჩვენი ჯიბიდან გაღებული თანხაა, დამატებით ბილეთის ფული რატომ უნდა გადავიხადოთ?!. ყველაფერი იცით, რას მიანიშნებს? როგორ ვერ აზროვნებენ სახელმწიფოებრივად მინისტრები. არა შეჯდა მწყერი ხესაო, მათზეა ნათქვამი...

**— გასული კვირა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ივანიშვილი გამოჩნდა „ქართული ოცნების“ ოფისში. რატომღაც ყველა ელოდა, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ მინისტრები მისი მისვლიდან რამდენიმე საათში გადადგებოდნენ. რა ინფორმაცია გაქვთ, რა ხდება ხელისუფლების კულუარებში?**

– მეგონა, მუცლით მეზღაპრეობისა და პოლიტიკური ხელცქვიტობის კვირეული დაუმთავრდა ხელისუფლებას და გადავიდოდა საქმეზე არჩევნების წინ, მაგრამ მაინც უამრავ შეცდომას უშვებენ და ყოვლად გაუმართლებელ ნაბიჯებს დგამენ. რაც შეეხება ივანიშვილის მისვლას „ქართული ოცნების“ ოფისში, იმის მანიშნებელია, რომ იქ ბევრი მიმართულებით იყო საუბარი, მათ შორის, საკადრო მიმართულებითაც, რაც არ უნდა იძახონ „რესპუბლიკელებმა“, რომ ჩვენი ნებით მივდივართ კოალიციიდან, გეტყვით, რომ თავისი ნებით არავინ მიდის, მათ შორის, არც „ფორუმი“ წასულა საკუთარი სურვილით, ყველას მიუთითეს კარისკენ. ვფიქრობ, უახლოეს დღეებში იდგა საკითხი, შეეთავაზებინათ მათთვის მინისტრთა პორტფელების დატოვებაც, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი ღია დარჩა. რაც თქვენთან ინტერვიუში მითქვამს, ასრულდა და ახლაც დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, „რესპუბლიკელები“ იძულებული გახდებიან, ძალიან მალე დატოვონ მინისტრების პორტფელები, მათ გაჰყვებიან მოადგილეებიც, ეს არ მოხდება აგვისტოში, როგორც თვითონ აანონსებენ. მათგან მოვისმენთ კომენტარებს, რატომ გადაწყვიტეს აგვისტომდე გაცილებით ადრე პოსტებიდან გადადგომა.

**— ითქვა, რომ ნატო-ს ვარშავის სამიტამდე თავდაცვის მინისტრის გადადგომა იქნებოდა ქვეყნისთვის საზიანო. ნატოს გენერალურმა მდივანმა გასულ კვირას თქვა, რომ ნატო ახალ წევრებს არ მიიღებს, მათ შორის, საქართველოს. ეს პოლიტიკური კალენდარი რას შეცვლის და რას ჩამოიტანს ხიდაშელი ვარშავიდან?**

– დამერწმუნეთ, არაფერს ჩამოიტანს, ჩვენ ხომ ვიცით, რაც იქნება ვარშავის სამიტზე, ვინ ეკითხება ამათ რამეს, ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული, რა და როგორ უნდა იყოს. დიახ, გამოვიდა სტოლტენბერგი და განაცხადა, ამ ეტაპზე ნატო-ს გაფართოება არ იგეგმებაო. ამ „რესპუბლიკელებმა“ ინტელექტუალობა იმუნიტეტად და ინდულგენციად რომ აქციეს, თითქოს, წიგნები მათ გარდა არავის წაუკითხავს, ახლა ვარშავის სამიტი ამოიჩემეს, თითქოს, იქიდან მაპით დაბრუნდებიან. უბედურება იცით, რა არის? ამათ ჰგონიათ, რომ ვინმეს სჯერა მათი გადაყრილი საკენკის, არადა, მაქსიმალურად ცდილობენ, ხელისუფლებაში ყოფნა შეინარჩუნონ, შექმნან ილუზია, თითქოს რაღაც ძალას წარმოადგენენ, რომ ამასობაში იქნებ მოასწრონ თავისი ხალხის ჩასმა რეგიონალურ, რაიონულ, ცენტრალურ სტრუქტურებში არჩევნებისთვის. ძალიან კარგად იციან, რომ ეგენი „ოცნებაში“ არავის სჭირდებიან, ბიძინა ივანიშვილს აქვს ასეთი სტრატეგია, ჩუმად და გაწელვით აღწევს მიზანს; ყველამ იცოდა შიგნით, რომ „რესპუბლიკელებზე“ და „ფორუმზე“ დიდი ხნის წინათ ჯვარი იყო დასმული, მაგრამ ივანიშვილმა ეს საკითხი ეტაპობრივად გაწელა და მიზანს მიაღწია. ისინი მინისტრები, ფაქტობრივად, აღარ არიან, თავს იტყუებენ. ხიდაშელს კი წინასწარ ვეტყვი, ვარშავის სამიტიდან რითაც გამოუშვებენ. ტექსტია გამზადებული და იტყვიან, – ნატო-ს კარი ღიაა, მაგრამ გაკვირდებით, ჯერ კიდევ ბევრი გაქვთ გასაკეთებელიო. ჰოდა, ხიდაშელმა და სხვებმა სახლში რომ ყავაზე დასხდებიან, ეგეთი ზღაპრები ერთმანეთს მოუყვნენ. ნუ ატყუებენ ადამიანებს.

## „რაც თქვენთან ინტერვიუში მითქვამს, ასრულდა და ახლაც დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა“



**— რას ფიქრობს არასაპარლამენტო ოპოზიცია იმ კანონპროექტზე, რომელიც სპეციალურად პრემიერ-მინისტრისთვის შეიქმნა, კვირიკაშვილი შეინარჩუნებს თანამდებობას და პარალელურად, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიას ჩაუდგება სათავეში. არის თუ არა ეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება? აქვე გკითხავთ, იჩქარა თუ არა პრეზიდენტმა, როცა გამოაცხადა არჩევნების თარიღი — 8 ოქტომბერი?**

– ჩვენ პრაქტიკულად ვიცოდით, რომ არჩევნები იქნებოდა ოქტომბერში, კონკრეტულ რიცხვს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ კარგი იქნებოდა, კოლეგიალობის თვალსაზრისით, ჭკუა ეკითხა ოპოზიციის წარმომადგენლებისთვის, მათგანაც მოესმინა მოსაზრებები. გამოჩნდა, რომ ცესკო, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობოები არ იყვნენ საქმის კურსში არჩევნების თარიღის გამოცხადების შესახებ. ყველაზე მთავარი, ჩვენ, ოპოზიციური პარტიებიც, არ ვიყავით საქმის კურსში. პრეზიდენტს მოუვიდა იურიდიული ლაფსუსი, იმდენად იჩქარეს, რომ ახლა მოუწევთ ამ საკითხის უკან წაღება. ესეც მათი არაპროფესიონალიზმის მორიგი დასტურია. პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის შეხვედრაზე აღმოჩნდა, რომ დოკუმენტი არ არის სრულყოფილი და უკან უნდა იქნას გამოთხოვილი. რაც შეეხება პრემიერს, ის გაურბის უმთავრესს, საზოგადოებას არჩევნებთან დაკავშირებით, გული აქვს გატეხილი, ოპოზიცია ითხოვს, შეიცვალოს საარჩევნო კოდექსი ისე, როგორც თვითონ დღევანდელი ხელისუფლება ითხოვდა ოპოზიციაში ყოფნის დროს და „ნაცმოძრაობა“ ამაზე არ თანხმდებოდა. დღეს კი ჩვენ არჩევნებზე გავდივართ „ნაციონალების“ მიერ საკუთარ თავზე მორგებული კანონით, დღეს „ოცნებას“ ეს კანონი აწყობს. იმის მაგივრად, რომ საარჩევნო კოდექსი შეეცვალათ, ყველაფერს აკეთებენ, რათა ადმინისტრაციული რესურსების ბერკეტები შეინარჩუნონ. როდესაც პრემიერ-მინისტრი არ ტოვებს თანამდებობას და პარალელურად არის პარტიული სიის სათავეში, სპეციალურად ცვლილებები შედის კანონში, ეს იმის მანიშნებელია, რომ იქნება ისევ და ისევ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, რაც უკვე ვნახეთ საგარეჯოში. მაგალითად, მკვლელობები და სისხლიანი რეჟიმის მეთოდები არ იქნება გამოყენებული, მაგრამ მნიშვნელობა არა აქვს, ხმას როგორ მოიპარავ, კაცის მოტაცებით თუ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით. შესაცვლელი სხვა რამეა...

**— ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, „ქართული ოცნება“ უმრავლესობით ვეღარ მოხვდეს პარლამენტში, თუ გავითვალისწინებთ ხალხის უკიდურეს უკმაყოფილებას. თქვენი ინფორმაციით, რა სქემით ფიქრობს ივანიშვილი უმრავლესობის შექმნას პარლამენტში?**

– „ქართულ ოცნებას“ მძიმე დღეები უდგას, საზიზღარი კადრების გავრცელება, კოალიციის დაშლა, ამ ფონზე, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო, ივანიშვილს მორალურად გაემხნევებინა თავისი თანაგუნდელები, ამიტომაც, გამოჩნდა ის „ქართული ოცნების“ ოფისში. არავის ვაკნინებ, მაგრამ დაახლოებით ისეთი სიტუაციაა აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოში, როგორც ქართულ ზღაპრებში – ზეცაში ფრინველი ვერ გაფრინდება, მიწაზე – ქვეწარმავალი, თუ იმ ერთი კაცის ნება არ იქნება. ასე რომ, ივანიშვილის გარეშე ესენი ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ. ნურავინ იფიქრებს, კვირიკაშვილი არის ის ლიდერი, რომელსაც ძალუძს რაიმე ინიციატივის განხორციელება ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე, ეს არის ნონსენსი. თქვენთან ინტერვიუში ექსკლუზიურად ვამბობ, რომ ბიძინა ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს, თავისი უმრავლესობა შექმნას 2016 წლის პარლამენტში, ამ ხნის მანძილზე მან ბევრი პოლიტიკური გაკვეთილი მიიღო. იცის, რომ პარტია „ქართულ ოცნებას“ და თავად მასაც რეიტინგი აქვს დავარდნილი, თუმცა აქვს ფინანსები, ადმინისტრაციული რესურსები, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი „ოცნება“ უმრავლესობით ვერ მოვა, ივანიშვილი გამოიყენებს თავის ბერკეტებს, შექმნის გუნდს და პარლამენტში მოხვედრილი სხვადასხვა პარტიებიდან წამოიყვანს სამ-ოთხ პოლიტიკურ სუბიექტს. ჩვენ ვხედავთ, პოლიტიკურ იდეოლოგიას მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ესა თუ ის პოლიტიკოსი აკმაყოფილებდეს მის სიმპათიას.

## სიღნაღის საკრებულოს წევრები დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გიორგი მათეშვილი, ამავე საკრებულოს წევრი იოსებ ბეგიაშვილი და სიღნაღის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი, ბესიკ ბალარჯიშვილი დააკავა.

გამოძიების მიერ დადგენილია, რომ ბრალდებულებმა, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 1 ლარად შესყიდვაში დახმარების სანაცვლოდ, მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვეს 100 000 ლარი, ხოლო წინასწარ გამოართვეს 60 000 ლარი. დაკავებულთა პირადი ჩხრეკისას საგამოძიებო სამსახურის მიერ ამოღებულია ქრთამის სახით აღებული თანხა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილი „გ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 11-დან 15 წლამდე ვადით. (პირველი რადიო)

## აშშ-ის ელჩი „პანამის დოკუმენტზე“



ე.წ. პანამის დოკუმენტის გამოქვეყნებას საქართველოში აშშ-ის ელჩი იან კელი ეხმაურება და იმედს გამოთქვამს, რომ გამოძიება გამჭვირვალედ ჩატარდება.

– მასალა შეიცავს 11,5 მილიონ ცალკეულ დოკუმენტს. ჩემთვის რთული იქნება ამ ეტაპზე რაიმე კომენტარის გაკეთება. აშშ-ის პოზიცია არის ცალსახა – ჩვენ მომხრე ვართ გამჭვირვალე მთავრობის, მე ვგულისხმობ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. ჩვენი ოფიციალური პირების მიმართ მოქმედებს საკმაოდ მკაცრი წესები ფინანსურ დოკუმენტაციასთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, პოლიტიკური შედეგები სახეზეა – ისლანდიის პრემიერ-მინისტრი გადადგა. მომდევნო დღეებში ველოდები, რომ საკმაოდ გამჭვირვალედ ჩატარდება ეს გამოძიება, – განაცხადა იან კელიმ. (პირველი რადიო)

## გორში 20 წლის ბიჭი ტბაში დაიხრჩო

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძერევში 20 წლის ახალგაზრდა ტბაში დაიხრჩო. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი მეგობრებთან ერთად სანადიროდ იმყოფებოდა, ტბაში შესულმა კი წყლიდან გამოღწევა ვეღარ შეძლო. (ნიუპოსტი)

## სოსო ცინცაძე — ბინძური წინასაარჩევნო კამპანია გველის



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე წინასაარჩევნო პერიოდში კომპრომატების ტალღას ელოდება. მისი განცხადებით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს კონკურენტული გარემო საეჭვოა და უფრო მოსალოდნელი ქაოსური სიტუაციაა.

– კომპრომატების ტალღა რომ მოსალოდნელია, ეს ფაქტია, ვინაიდან ჯერ არჩევნების თარიღიც არ იყო დანიშნული, რომ ეს ყველაფერი უკვე დაიწყო, იგივე ფარული ჩანაწერების გავრცელება. როგორც ეტყობა, ეს მხოლოდ ყვავილებია, ნაყოფს ცოტა მოგვიანებით უნდა ველოდოთ. ბოთლიდან რომ ჯინს ამოუშვებ, მერე მისი უკან ჩამწყვდევა, პრაქტიკულად, შეუძლებელი ხდება. როდესაც იმ ხალხმა, ვინც კომპრომატების სპეციალისტები არიან, გემო გაუგო და ეშხში შევიდა, მაშინ უკვე წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში თითო ასეთ კომპრომატს შავი ოქროს ფასი დაედება, ამიტომ ბინძური წინასაარჩევნო კამპანია გველის. ჩვენ მიჩვეულები ვართ ერთი პოლიტიკური დომინირებული ძალის მიერ წარმართულ წინასაარჩევნო კამპანიას, სადაც აზრიც არ აქვს ხოლმე ვილაცასთან კამათს, ან კონკურენციის გაწევას, ვინაიდან გარემო კონკურენტუნარიანი არ არის. დღესაც კონკურენტული ცოტა საეჭვოა, მაგრამ ქაოსური გარემო მოსალოდნელია. მღვრიე წყალში თევზის დაჭერის სურვილით ბევრი მებადური გამოჩნდება, – განაცხადა ცინცაძემ.

პოლიტოლოგის შეფასებით, ბევრზე ჯერ კიდევ განაჩენი არ გამოუტანიათ იმ პოლიტიკურ სივრცეში, სადაც გადაწყვეტილებებს იღებენ.

– „სოციალ-დემოკრატები", „მრეწველები" და ალბათ, „კონსერვატორები" ისეთ პოზაში დგებიან, თითქოს მაგათზეა დამოკიდებული დარჩებიან თუ არა. ისინი, უბრალოდ, ლოდინის რეჟიმში არიან და იმ საოცნებო კაბინეტის მისაღებში არიან ჩაცუცქულები და ელოდებიან, როდის შეუშვებენ იქ, თუ განაჩენს გამოუტანენ, რომ თქვენს თავს თავად მიხედეთ. ამიტომ იუმორისტულ ელფერს იღებს ეს ყველაფერი. ტრაგედიის სტილში ცოტა მოგვიანებით გადავა, როდესაც კომპრომატები დაიწყება. ჯერ კომედიაა, დრამა მაშინ იქნება, – განაცხადა ცინცაძემ. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ ართმევს ნაჩუქარ „ბუკებს" მასწავლებლებს განათლების სამინისტრო?

**„ამათი მიზანია, გაყარონ ძველი პედაგოგები, რომლებშიც ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ეროვნული მუხტი"**



დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80







**რამდენიმე დღის წინ, დაწყებითი კლასების პედაგოგები დაგვიკავშირდნენ. ისინი გვიყვებოდნენ, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავალებით, იმ „ბუკების" უკან დაბრუნებას სთხოვდნენ, რომლებიც მათ 4 წლის წინათ პირველ კლასში მიიღეს. მათივე თქმით, მათ აღნიშნული „ბუკები" საჩუქრად გადაეცათ და ამიტომაც გაუგებარი იყო, რის საფუძველზე თხოვდნენ ამ ნივთის უკან დაბრუნებას.**

**„ალია" საკითხში გასარკვევად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც აღნიშნული საკითხი ასე განმარტეს: „ზოგადად, ასე ხდება — როდესაც პედაგოგი მუშაობას იწყებს დაწყებითი სკოლის მოსწავლეებთან, მას, ისევე როგორც მოსწავლეებს, გადაეცემა ბუკი. ეს კომპიუტერი არ არის პედაგოგის — როგორც ასეთი, ის აღირიცხება სკოლის ბალანსზე, შესაბამისად, თუ პედაგოგი მიდის სკოლიდან, ან უსრულდება 4 წელი და არ აგრძელებს მუშაობას ისევ დაწყებით კლასში, ეს ბუკი უბრუნდება სკოლას. მათ ეს უწერიათ ხელშეკრულებებში და ცუდია, თუკი ამის თაობაზე არ იცოდნენ. ისე კი, არათუ პედაგოგი უბრუნებს სკოლას ბუკს, არამედ მოსწავლეც, თუ ის გადადის საჯაროდან კერძო სკოლაში".**

**ამ და განათლების სფეროში გასულ კვირას განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან ამბებზე „ალიას" განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი ესაუბრა:**

– ის, რაც „ბუკების" მიმართულებით ხდება, არის ძალიან სამწუხარო. პედაგოგებს უნდა ჰქონოდათ განმარტებული, რომ ეს ნივთები მათთვის არ იქნებოდა საკუთრებაში გადაცემული. ხელშეკრულებები კი ამბობდა, რომ სკოლის იყო ეს ნივთი და გადაეცემოდა პედაგოგს, მაგრამ ამის მერე ის როდის იყო ვალდებული, უკან დაებრუნებინა, ამაზე დაწვრილებით არ იყო განმარტებული, რამაც გამოიწვია ამ ეტაპზე პედაგოგების მღელვარება. როგორც ჩანს, ხელშეკრულებებში ჩადებული ინფორმაცია, რომ კომპიუტერი იყო აღრიცხული სკოლის ბალანსზე, არ აღმოჩნდა დაწყებითი კლასის პედაგოგებისთვის ბოლომდე გასაგები.

**— პირველკლასელთა საყოველთაო ონლაინრეგისტრაცია 4 მაისს დაიწყება. რა ინფორმაცია გაქვთ, რა უნდა გაითვალისწინონ პირველკლასელთა მშობლებმა, რა ხარვეზებია მოსალოდნელი რეგისტრაციის პროცესში?**

– ეს ელექტრონული რეგისტრაცია, ყოველ წელიწადს დიდი ხარვეზებით მიმდინარეობს. სხვათა შორის, ნურავის ეგონება, რომ აქ არ შეიძლება „ჩაწყობა". მთავარია, ვინ როგორ მოინდომებს და ეს კეთდება დიდი გამჭვირვალობის ნიღაბქვეშ. აი, ამიტომ ვარ წინააღმდეგი ამ ონლაინრეგისტრაციების.

**— „ჩაწყობაში" რას გულისხმობთ, რა ხდება?**

– შეხედეთ, როგორ გგონიათ – როგორ ხდება 1 და 2 წუთში ძალიან დიდ სკოლებში ჯგუფების შევსება? ისეთი კლასების, რომელთაც რამდენიმე პარალელური ჯგუფი აქვს?! რამდენი მშობელია, სასურველ სკოლაში რომ რეგისტრაციის დაწყებიდან 1-2 წუთში ვეღარ ახერხებს დარეგისტრირებას? ძალიან ბევრი და ეს ხდება სხვადასხვა ტექნოლოგიებით, რომელთა ახსნაც სპეციალისტების საქმეა.

**— განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განმარტავს, რომ რეგისტრაციის უფლება აქვს მხოლოდ იმ ბავშვს, რომელსაც 6 წელი 15 სექტემბრის ჩათვლით უკვე შესრულებული აქვს. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ამ წესის ძალში დატოვება? ამ საკითხზე დიდი ხმაური იყო ატეხილი გასულ წელს, ბევრ სკოლაში, სწავლა ერთი კვირის დაგვიანებითაც დაიწყო, თუმცა ამ პერიოდში დაბადებული ბავშვები მაინც სკოლის გარეთ დარჩნენ.**

– როდესაც სამინისტრო აწესებდა კონკრეტულ თარიღს, მაშინ მეც ვიყავი ჩართული ამ გადაწყვეტილების მიღებაში. დაუშვებელია, სკოლაში მიიღო 6 წლამდე ბავშვი. ისეთი პრეცედენტიც კი არსებობდა – 4 წლის და რამდენიმე თვის ბავშვი რომ მიიღეს სააკაშვილის დროს სკოლაში. ასეთი ფაქტების გამოსარიცხად თუნდაც ის 15 სექტემბერი მაშინ მივიჩნიეთ კარგ შემთხვევად. სწავლის დაწყების თარიღიც განისაზღვრა 15 სექტემბრით და ასე გადაწყდა. მაშინ ვერ გავითვალისწინებდით იმას, რომ სწავლა ვერ დაიწყებოდა განსაზღვრულ თარიღში. ის, რომ ბევრ სკოლაში არ დაიწყო სწავლა 15 სექტემბერს, არის არანორმალური შემთხვევები და ეს საკითხი კიდევ ცალკე განხილვის საგანია.

**— მასწავლებელთა სქემასა და პედაგოგთა ტრენინგებში ცვლილებები შედის. ეს ის სქემაა, რომლითაც ძალიან იწონებს თავს უწყება და ამავდროულად დიდი კრიტიკის საგანიცაა. რატომ გადაწყდა მასში ცვლილებების შეტანა, რა იცით ამის თაობაზე?**

– სამინისტრო არ განმარტავს, კონკრეტულად რა ცვლილებები შევიდა. ცვლილებები უნდა შესულიყო აბა, რა? იმ თვითშეფასების კითხვარმა ხალხი სულ გააგიჟა და რაც მთავარია, ეს სქემა არის სულ მთლიანად გადასაგდები, ეს სქემა არ მუშაობს. ვერც ვადებში ჯდებიან, ვერ დგება სამოქმედო გეგმა თავის დროზე და რა აზრი აქვს ამ სისულელის ტრიალს და ამით პედაგოგების დატვირთვას? არაეფექტურია ეს სქემა, ძვირიც გვიჯდება და არის მოუქნელი და არაობიექტური, ამასთანავე, არაკანონიერიც.

**— არაკანონიერი რატომაა?**

– ახალდამთავრებულ სტუდენტს, რომლიც 60-კრედიტიან პროგრამას გაივლის, აძლევენ უფროსი მასწავლებლის სტატუსს, ხოლო მოქმედ მასწავლებელს, რომელიც ათეული წლის მანძილზე მუშაობს, იმას აძლევენ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს. ეს სქემა არის ხანშიშესული პედაგოგების გასაყრელად, აი, მარტო ამ მზაკვრული გეგმის შესასრულებლად, არ უნდათ საბჭოთა პერიოდში დაბადებული და განათლებამიღებული პედაგოგები და გამკვირვებია, რატომ არ იღებენ ამ ყველაფერზე ხმას პედაგოგები. რატომ გადიან იმ გამოცდაზე, რომელიც თავიდან ბოლომდე გაურკვეველია. რატომ არ ხსნიან ტესტებს, რატომ არ დგება ტესტების კრებულები და რატომ არ არის მითითებული სწორი პასუხები? ან კომისიის თავმჯდომარე არაპროფესიონალი დირექტორი უნდა იყოს, რომელსაც მოთხოვნებში არც კი უწერია, რომ პედაგოგიური განათლება უნდა ჰქონდეს და მერე ამათ უნდა ატარებინონ პედაგოგებს ვიდეოგაკვეთილები და სამსახიობო კურსებზე ვინც ივლის, კარგად იმსახიობებს და დადგამენ სპექტაკლებს, ის წავა წინ. ცვლილებები კი არა, სულ გადააგდონ ეს უვარგისი სქემა. ეს არ არის პედაგოგებზე ზრუნვა, ან რომელ ზრუნვაზეა საუბარი, როცა სამარცხვინოდ ქვეყანაში პედაგოგების ლანძღვა მიდის – 6 ათასი პედაგოგი გავიდა გამოცდაზე და გამოაცხადეს, რომ თითქოს სრულიად ქვეყნის 83%-მა ვერ გადალახა ბარიერი და ჩაიჭრა. ეს მოხდა გამიზნულად. ამათი მიზანია, გაყარონ ძველი პედაგოგები, რომლებშიც ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ეროვნული მუხტი და შემოყარონ ახალგაზრდები, ახალი იდეოლოგიით. აბა, ეროვნული მუხტის გატარებაში მათ გრანტს არავინ არ მისცემთ და რაში აწყობთ?!

## წყნეთი-ახალდაბის დამაკავშირებელი გზის ნაწილი ჩამოინგრა



წყნეთი-ახალდაბის დამაკავშირებელი გზა გასული წლის 13 ივნისის სტიქიის შემდეგ ავარიულ მდგომარეობაშია და აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე რამდენიმე თვეა, გეოლოგები მუშაობენ, თუმცა ჯერჯერობით გზის მდგომარეობის შესახებ დასკვნა მიღებული არაა, შესაბამისად, გზის კაპიტალური შეკეთების ღონისძიებებიც არ დაწყებულა.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, გზის მდგომარეობა მათ ქალაქთან დაკავშირებას აფერხებს, რადგან მნიშვნელოვნად გართულებულია ტრანსპორტის მოძრაობა. (niuposti)

## „რუსეთი მხარე იყო საქართველოსა და უკრაინაში არსებულ კონფლიქტებში, ახლა მხარეა ყარაბახსა და სირიაში"



თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი აცხადებს, რომ მთიან ყარაბახში განვითარებულ პროცესებში რუსეთი კონფლიქტის მხარეს წარმოადგენს.

– რუსეთი აცხადებს, რომ თურქეთი ყარაბახის კონფლიქტის მხარეს წარმოადგენს. სინამდვილეში, მხარე არის რუსეთი, – განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა.

ამასთანავე, როგორც რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა აღნიშნა, რუსეთი მხარე იყო საქართველოში და უკრაინაში არსებული კონფლიქტების დროს, „ახლა კი ის მხარე გახდა სირიის კონფლიქტშიც". (pia.ge)

## არჩევნების გამოცხადებული თარიღი ჩვენს მოლოდინს შეესაბამება

საპარლამენტო არჩევნების თარიღთან დაკავშირებით პირველი კომენტარი გააკეთა საქართველოში შეერთებული შტატების ელჩმაც. იან კელის თქმით, მათ ჰქონდათ მოლოდინი, რომ არჩევნები ოქტომბერში ჩაინიშნებოდა.

– არჩევნების დანიშვნის საკითხი საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტია. რამდენადაც ვიცი, გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი მარგველაშვილი საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით. გამოცხადებული თარიღი ჩვენს მოლოდინს შეესაბამება, ჩვენ ვიცოდით, რომ არჩევნები უნდა დანიშნულიყო ოქტომბერში, – განაცხადა იან კელიმ. (პირველი რადიო)

## ბრაიზამ — რუსეთი სულაც არ შემიქიაო!..



– ეს ჩემს მიერ გაკეთებული განცხადების არასწორი ინტერპრეტაცია იყო. რეალურად, ვთქვი, რომ რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომლის პრეზიდენტი და მინისტრები ლავროვი და შოიგუ აკეთებენ განცხადებებს და აქვთ კონტაქტი კოლეგებთან, ხოლო აშშ-ის ლიდერებს არანაირი მსგავსი ნაბიჯი არ გადაუდგამთ. ასევე, მე განვაცხადე, რომ რუსეთი ერთადერთი ქვეყანა ჩანს, რომლის ლიდერსაც საკუთარი ქვეყნის ინტერესები უფრო აინტერესებს, - აცხადებს მეთიუ ბრაიზა.

Вестник Кавказа-მ ინტერვიუ გაავრცელა, სადაც ბრაიზა ამბობს, რომ „ყარაბაღში მშვიდობისთვის მხოლოდ რუსეთი იბრძვის". (pia.ge)

## „მასტერა" — „ღირსებაშელახული ვარ"

თბილისის საქალაქო სასამართლომ კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსანი, გიორგი დგებუაძე, იგივე „მასტერა" პატიმრობაში დატოვა.

მოსამართლემ დგებუაძის გათავისუფლებაზე უარის მიზეზად მიმალვის საფრთხე დაასახელა, რადგან იგი თავს არიდებდა გამოძიებას.

გია დგებუაძე ჰოლანდიაში 2014 წლის ივნისში საქართველოს პროკურატურის მოთხოვნით დააკავეს. მისი ექსტრადირება საქართველოში 22 მარტს განხორციელდა.

– ჩემთვის ახლა მიმალვა თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. მე ამ საქმეზე ღირსებაშელახული ვარ, - განაცხადა მან სასამართლო პროცესზე.

დგებუაძის თქმით, ის არ აპირებს მიმალვას და გამოძიებისათვის ხელის შეშლას, შესაბამისად, მოითხოვს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გაუქმებას.

– ვთვლი, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი ფაქტები სულ სხვა მიმართულებით წაიყვანს სიტუაციას - შექმნის იმ რეალურ სურათს, რაც დაკავშირებულია ამ ტრაგიკულ ოპერაციასთან.

არანაირად არ ვაპირებ არც მიმალვას და არც თავის არიდებას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, ასევე, ის, რომ 22-23 თვე დაიწყო, რაც წინასწარ პატიმრობაში ვიმყოფები.

რა მნიშვნელობა აქვს, ეს იქნება ჰოლანდია ბელგია თუ მარსი? ამიტომ, გთხოვთ, დააკმაყოფილოთ ჩემი ადვოკატების მოთხოვნა, - განაცხადა გიორგი დგებუაძემ სასამართლო პროცესზე.

გიორგი დგებუაძის სასამართლო პროცესი 17 მაისს განახლდება.

დგებუაძეს ორი ბრალდება აქვს წაყენებული - ორი ან მეტი პირის მიერ განზრახ მკვლელობა, რაც 10-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს, მეორე - ძალადობით ან იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (3-დან 8 წლამდე პატიმრობა). (pia.ge)

# რა საშიშ ნივთიერებებს შეიცავს ენერგეტიკული სასმელი „ბუმი" და რატომ არ აწერია გამოკვეთილად, რომ ერთზე მეტის დალევა არაა რეკომენდირებული?!

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



ალბათ, ყველას ერთხელ მაინც გვიყიდია ე.წ. ენერგეტიკული სასმელი, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, გვაფხიზლებს, ენერგიას გვმატებს და ხელს გვიწყობს შემოქმედებით, საქმიან აქტიურობაში. ბოლო რამდენიმე თვეა, ქართულ ბაზარზე გამოჩნდა სხვადასხვა დასახელების რამდენიმე ასეთი ე.წ. „ენერჯაიზერი", „ბუმი", რომელიც, სულ რაღაც, ერთი ლარი ღირს, არც გემო დაეწუნება და მოცულობითაც გაცილებით დიდია — 330 მლ, ვიდრე სხვა მათი „კოლეგა" ენერგეტიკულები, რომლებიც, სულ რაღაც, 250 მლ-ია და ფასიც ორჯერ და სამჯერ ძვირია.

რას ვსვამთ რეალურად და ვიღებთ თუ არა იმ ეფექტს, რის ის „ბუმ-ფაიარის" ქილაზეა მითითებული, სასმელი კოფეინის საკმაოდ დიდ დოზას შეიცავს.

– სხვათა შორის, კოფეინს ახასიათებს ეს მომენტი, რომ კი, ბატონო, დადებითად მოქმედებს, მაგრამ ეს არის ისეთი ეფექტი, შენს ენერგიას ეხმარება, რომ ორგანიზმში ათმაგად სწრაფად მოიხმარო და დახარჯო. რაღაც პერიოდის შემდეგ, უკურეაქციას იძლევა და რაც მთავარია, კი არ გვიმატებს, პირიქით, ჩვენი ორგანიზმიდან იღებს აქტიურ ნივთიერებებს. მეორე: ენერგეტიკულ სასმელში არის ისეთი ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმისთვის არც ისე სასარგებლოა, აქ არამარტო კოფეინზეა საუბარი, ბევრი – „კოკა-კოლაც" საქართველოში ისხმება, მაგრამ აქ არ არის წარმოებული, კონცენტრატი ჩამოდის, მას აქ ემატება მარტო წყალი და გაზი. მე არ ვიცი, აქ არსებული ენერგეტიკული სასმელის შემადგენლობა, არ შემისწავლია ჯერ ეს საკითხი, მაგრამ...

**— მე წაგიკითხავთ მის შემადგენლობას და არსებული ინფორმაციის ირგვლივ ვიმსჯელოთ (ყველა ინგრედიენტს ვუკითხავ).**

– აი, ტაურინი რომ თქვით ახლა – ეს ნამდვილად არ არის ის ნივთიერება, რომელიც ადამიანმა უნდა მიიღოს. მე არ ვიცი, რა რაოდენობით არის ეს ერთ ქილაში, მაგრამ...

**— გეტყვით: ქილა არის 330 მლ-ი, მასში ტაურინი შედის** ბა რომელი ნივთიერების მიმართ რა დამოკიდებულების არის. ამიტომ მისი ასე ხელაღებით მიღება გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული. საერთოდ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ამ ენერგეტიკული სასმელების სისტემატური მოხმარება არ არის რეკომენდებული. რაც შეეხება წარწერას: ეს უნდა იყოს იმ ზომის, რა ზომითაც ძირითადი ნივთიერებებია მითითებული, თუმცა, როდესაც ეს წარწერა გამაფრთხილებელია, ცოტა უფრო მკვეთრად უნდა იყოს დატანილი, რომ ადამიანმა ყურადღება მიაქციოს.

**— ამ შემთხვევაში ვერ მიაქცევს ყურადღებას, იმდენად**

### საფრთხე!

არის სავალდებულო და ახლა თუ ამ სასმელმა იმ მდგომარეობაში გადაგვიყვანა, რომ მისი მიღების გარეშე არ შეგვიძლია თავისუფლად აქტიურობა, ეს იმას ნიშნავს, რომ დამოკიდებული ხდებით მასზე. მეორეც ერთი, ამ ნივთიერებების ორგანიზმში დაგროვება კიდევ მეორე ვარიანტია და არავინ იცის, ვის ორგანიზმზე როგორ მოქმედებს.

**— ანუ ენერგეტიკულ სასმელში შემავალი ნივთიერებების ნაწილი ადამიანის ორგანიზმში ილექება?**

– ილექება, რაღაცას აფუჭებს, რაღაცაზე ცუდად მოქმედებს, რაღაცაზე მიჩვევას იწვევს და ა.შ. აქ მთელი კომპლექსია, ცოტა-ცოტა ყველაფერზე მოქმედებს და დროთა განმავლობაში ეს იწვევს გამოფიტვას. ჩემი რჩევა იქნება, რომ, რა თქმა უნდა, მოსახლეობამ თავი შეიკავოს ენერგეტიკული სასმელის მოხმარებისგან. შეიძლება ცოტა რაოდენობამ არაფერი არ ქნას, მაგრამ, თუ მისი მიღება სისტემატურ ხასიათს იღებს, უკვე ხდება დამოკიდებულება და ეს კი, თავისთავად, მერე ხელს უშლის ორგანიზმს ნორმალურად ფუნქციონირებაში. ყველაზე კარგია ნატურალური წვენები – ენერგიასაც იძლევა, შიგნით არის ის ბუნებრივი შაქრები, რაც ორგანიზმისთვის საჭიროა, ხილის წვენები შეიცავს ყველა იმ ნივთიერებას, რომლებსაც ჩვენი ფერმენტები ადვილად თმობს და ითვისებს, ხოლო როდესაც ეს ნივთიერებები ხელოვნურია, მისი ათვისება ძალიან ძვირი უჯდება ორგანიზმს...



**„ენერგეტიკული სასმელების მიღების შემდეგ, ადამიანი იმდენად იფიტება, რომ მასზე დამოკიდებული ხდება და თუ კიდევ არ მიიღო, ჰგონია, რომ რაღაც ვერ არის ფორმაში"**



**გამოც ამ იაფფასიან (და, ზოგადად, ენერგეტიკულ) სასმელს ვანიჭებთ უპირატესობას?**

**„ალიას" კვების ექსპერტი, პროფესორი ეთერ სარჯველაძე ესაუბრა:**

– ამ ეტაპისთვის საქართველოში არსებული ენერგეტიკული სასმელების ანალიზი არ მაქვს გაკეთებული, თუმცა იმ მოცემულობით, რაც გვაქვს, შემიძლია, გითხრათ: ენერგეტიკული სასმელის მოხმარება იწვევს შეჩვევას და რაც მთავარია, მეცნიერები როგორც ამტკიცებენ, თუ ის იაფფასიანია, ეს ნიშნავს, რომ ის არის სინთეზური ნივთიერებების კრებული, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ნამდვილად არ ახდენს დადებით გავლენას. ქილაზე რომ აწერია, დღიურად ერთ ქილაზე მეტი ენერგეტიკული სასმელის მოხმარება რეკომენდებული არ არისო, მინდა გითხრათ, რომ დოზა ქმნის შხამს. როცა ადამიანს სწყურია და სხვა მეტი არაფრის საშუალება არ არის იმ მომენტში, შეიძლება დალიოს, მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება, ის ხანგრძლივი ან პერიოდული მოხმარებისთვის გამოიყენოს.

**— როგორც ერთ-ერთი იაფფასიანი ენერგეტიკული სასმელი** სხვაც არის ასეთი. მაგალითად, კოფეინი შედის ჩაიშიც და ის დღეში შეიძლება რაღაც დოზით მიიღო, მაგრამ ჩაიში არ არის ის შემცველობა, რომელიც ორგანიზმისთვის რაღაც ტრაგედიას წარმოადგენს. ენერგეტიკული სასმელის შემთხვევაში კი პირიქითაა, კი არ გვმატებს, გამოაქვს ჩვენი ენერგია ორგანიზმიდან. მის მოხმარებას დროებითი ეფექტი აქვს და შემდეგ ორგანიზმი, სხვათა შორის, ზარმაცდება და კიდევ ითხოვს ამ სასმელს. სწორედ აქედან ხდება მასზე შეჩვევა. არის „ეტიკეტირების შესახებ კანონი", რომელიც ამბობს, ენერგეტიკული სასმელის შემადგენელი ნივთიერებები, კალორიულობა უნდა იყოს მითითებული ქილაზე და ეს თუ ყოველთვის არის დაცული, ამაზე ახლა ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერჯერობით არ ჩამიტარებია ენერგეტიკული სასმელების კვლევა-ანალიზი. მეორეც: ეს სასმელები ჩვენი ჩამოსხმა ხომ არ არის?

**— მაგალითად, „ბუმ-ფაიარის" ქილაზე მითითებულია, რომ ის დამზადებულია საქართველოში სს „იბერია რეფრეშმენტის" მიერ, კომპანია შპს „SAH & Co"-ს დაკვეთით და ტექნოლოგიით.** **30მგ/100 მლ-ზე, ანუ უხეშად რომ ვთქვათ, ერთი ქილა, მინიმუმ, 90 მგ ტაურინს შეიცავს.**

– ზუსტად ეს ტაურინი არის ის ე.წ. ენერგიის მიმცემი, რომელიც რეალურად, ენერგიას ჩვენს ხარჯზე მოიხმარს. მისი ეფექტია ორგანიზმის უბრალო აღგზნება, სტიმულს აძლევს მას, რომ ენერგია მაქსიმალურად დაიხარჯოს. ზუსტად ეს ნივთიერება შედის „რედ ბულშიც" და ნამდვილად არ არის კარგი და მისაღები, თუმცა აკრძალული არ არის. მე ყოველთვის ვამბობ – მნიშვნელობა აქვს დოზას.

**— კიდევ ერთი საკითხი: სიგარეტის კოლოფს ყოველთვის დიდი გამაფრთხილებელი წარწერა აქვს გარეკანზე — „მოწევა კლავს", „მოწევა იწვევს იმპოტენციას" და ა.შ. ენერგეტიკული სასმელის ქილაზე, შემადგენლობის ჩამონათვალის ქვემოთ, ძალიან წვრილი ასოებით წერია, რომ დღეში ერთზე მეტი ქილის მოხმარება რეკომენდებული არ არის და ეს რამდენად სწორია? არ უნდა იყოს ეს გაფრთხილება დიდი ასოებით დატანილი ქილაზე?**

– ეს ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ერთზე მეტი რაოდენობით მისი მიღება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, არავინ არ იცის, კონკრეტული პიროვნე- **წვრილად წერია ეს გაფრთხილება, თან შემადგენელი ნივთიერებების ჩამონათვალის ბოლოშია. შეიძლება ითქვას, რომ ეს დარღვევაა?**

– კი და სხვათა შორის, სიგარეტზე იმიტომ წააწერეს ეს გაფრთხილება... მსოფლიოში ძალიან დიდი ბიზნესი იყო, იქ არ არის საუბარი მხოლოდ ნიკოტინზე, მასში მთელი კომპლექსია ისეთი ნივთიერებების, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე ცუდად მოქმედებს. ასეა ენერგეტიკულ სასმელშიც: ერთი ნივთიერება მიიღე, ნაწილი ორგანიზმმა ვერ აითვისა და სადღაც დაილექა, კიდევ რაღაც ნივთიერება დაემატა და ა.შ. ენერგეტიკული სასმელების მიღების შემდეგ, ადამიანი იმდენად იფიტება, რომ მასზე დამოკიდებული ხდება და თუ კიდევ არ მიიღო, ჰგონია, რომ რაღაც ვერ არის ფორმაში, ენერგია აკლია, მის გარეშე მერე უკვე არ შეგიძლია და ა.შ. არადა, პირიქით, ეს სასმელი ენერგიასართმევს ადამიანს, სულ ამას ვამბობ და მთავარი მისი მახასიათებელი სწორედ ეს არის. არადა, საერთოდ ჩვენ ორგანიზმს იმიტომ ვააქტიურებთ, რომ მას საკუთარი ენერგია ჰქონდეს, ხომ? და ჯანსაღ კვებასთან ერთად, ჯანსაღი ცხოვრების წესიც

**„ალია" ეცადა, „ბუმის" მწარმოებლებს დაკავშირებოდა, თუმცა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. თუ მათ კომენტარის გაკეთების სურვილი ექნებათ, დაგვიკავშირდნენ.**

# რითი ვართ დაკავშირებული აზერბაიჯანთან და სომხეთთან და რაზე აიწევს ფასები?

## „შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ჩვენმა ხელისუფლებამაც ცალსახად მხარი დაუჭირა აზერბაიჯანს“



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



მართალია, მას შემდეგ, რაც რუსეთმა თავისი „ჯადოსნური ჯოხი“ დაიქნია, მთიან ყარაბახში ცეცხლი შეწყდა, მაგრამ სომხეთ-აზერბაიჯანის მტრობა მაინც ძალაში რჩება, რაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ მთელი კავკასიისთვის. სიტუაცია წკიპზეა საქართველოშიც, ამას წინებზე პირადად შევესწარი, როცა ერთ რესტორანში სომხები თავიანთ ეროვნულ მოტივებზე ცეკვავდნენ, როგორ დატოვეს იქაურობა კბილების ღრჭიალით ეროვნებით აზერბაიჯანელებმა. ღმერთმა ნუ ქნას, თუ მინავლებული ნაღვერდალი პერიოდულად გაღვივდა და ბოლოს იფეთქა, რა საფრთხე ელოდება ჩვენს ქვეყანას თუნდაც ეკონომიკური თვალსაზრისით? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ,

**კრიტიკულ მომენტში თუნდაც საწვავისა და გაზის მხრივ ჩვენ შეიძლება დავრჩეთ ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე, რაკი საერთოდ უარს ვამბობთ „გაზპრომზე“.**

როგორც ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე და აზერბაიჯანულ ბიზნესწრეებთან დაახლოებული სერგო ჯავახიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ჩვენთვის უპირველესად დამანგრეველია ცალკეული პოლიტიკოსების უპასუხისმგებლო განცხადებები:

– კერძო პირებს რომ თავი დავანებოთ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ჩვენმა ხელისუფლებამაც ცალსახად მხარი დაუჭირა აზერბაიჯანს. არადა, ბევრი ვერ ერკვევა, დღეს

**აზერბაიჯანი იბრძვის იმ შვიდი რაიონის დასაბრუნებლად, რომელიც ყარაბახის შემდეგ დამატებით წაიღო სომხეთმა, ამ ეტაპზე ლაპარაკი არ არის მთელ ყარაბახზე. ეს ნიშნავს დაახლოებით იმას, ახლა ჩვენ რომ წამოვიწყოთ ბრძოლა კოდორის ხეობისთვის და არა აფხაზეთისთვის. კი, ბატონო, შეიძლება ჩვენ შინაგანად ვუჭერდეთ მხარს, რადგან ანალოგიური პრობლემა გვაქვს, მაგრამ არსებობს მეორე მხარეც.**

ამ დღეებში შევესწარი ასეთ ფაქტს: საქართველოში მცხოვრები სომხები მისულები იყვნენ ნატო-ს წარმომადგენლობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე და იქიდან გამოსულები პირდაპირ იძახიან – ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ, ქვეყნის საგარეო კურსს ვუჭერთ მხარს და ამიტომაც მოვედითო. რა გამოდის? ეს ადამიანები სადღეგრძელოების სათქმელად მივიდნენ ნატო-ს წარმომადგენლობაში? რაღაც არ მგონია, თუ ჩვენ არ დავუკვირდებით საკუთარ პოზიციებს და განცხადებებს, ან ერთი მეზობლისგან მივიღებთ პრობლემებს, ან მეორისგან. ყარაბახში ომი იქნება თუ არ იქნება, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მაინც დავდგებით ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების წინაშე.

**საკმარისია, დაიწყოს სომხეთისთვის კორიდორის მიცემის საკითხზე საუბარი, ეგრევე დაგვარტყამს აზერბაიჯანი და ეს იქნება იმაზე მეტი კონფლიქტი, ვიდრე ამჟამად არსებობს ყარაბახში.**

**— სერგო, რა ეკონომიკური ბერკეტები აქვს აზერბაიჯანს, გარდა საწვავისა?**

– ბერკეტები აქვს არა მხოლოდ აზერბაიჯანს, არამედ სომხეთსაც, ჩვენ ნუ გვავიწყდება სამხრეთ საქართველო, სადაც სულ სომეხი მოსახლეობაა და მათ აბუნტებას ბევრი არაფერი უნდა. რაც შეეხება ყარაბახს, იქ რაც არ უნდა მოხდეს, წესით, ამან არ უნდა იმოქმედოს ჩვენზე, თუკი კატასტროფული სიტუაცია არ შეექმნება თავად აზერბაიჯანს ეკონომიკურად და არ დაეცემა მანათის კურსი, მაგრამ თუ ამ კონფლიქტში ჩაებნენ რუსეთი და თურქეთი, ამათ მიემატა ირანი და თურქმენეთი, მაშინ მთელ კავკასიას შეექმნება პრობლემები, ეს უკვე სხვა საკითხია და საერთოდ აღარც უნდა ვიოცნებოთ აბრეშუმის გზაზე.

**— გაზი და ნავთობი, კიდევ რა გვაკავშირებს აზერბაიჯანთან?**

– გვაკავშირებს მნიშვნელოვანი ინვესტიციები, პროცენტულად აზერბაიჯანული ინვესტიციები რომ შევადაროთ ნებისმიერ სხვა ქვეყანას, ყველაზე დიდი ინვესტორია ამ ეტაპზე. ჩვენ ვნახეთ, როგორ იმოქმედა მანათის გაუფასურებამ, საქართველოდან ფულის ამოღება დაიწყეს და როგორ ფიქრობ, ფართომასშტაბიანი ომი არ იმოქმედებს?

**არა მგონია, ისეთი მასშტაბური ომი დაიწყოს, რომ საქართველო-აზერბაიჯანის გაზსადენს შეეხოს, მაგრამ რა იცი, რა ხდება? თუ შეეხება, მაშინ დიდ კრიზისს უნდა ველოდოთ.**

რა გამოდის? აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ მზად არიან, მიუსხდნენ მაგიდას მოსალაპარაკებლად, ხოლო ჩვენ ვაკეთებთ პროვოკაციულ განცხადებებს? არავინ არ ფიქრობს, რომ რაც ეს ორი ქვეყანა არსებობს, ასევე არსებობს ყარაბახის პრობლემა, ხან ერთისა იყო, ხან მეორისა, ეს კონფლიქტი ორი-სამი საუკუნეა, მიმდინარეობს და კარგახანს იქნება. ჩვენ ისიც გვეშლება, რომ სომხეთს ცოტა ისე ვუყურებთ, აგდებულად, არადა, მართლა არ არის ხელწამოსაკრავი, ნუ გვგონია, თუ ჩვენ გასასვლელს არ მივცემთ, ქვეყანაში ვერაფერს ვერ შეიტანს, სომხებს ძალიან დიდი გავლენა აქვთ მსოფლიოში და კერძოდ, ამერიკაში, ებრაელების შემდეგ, შეუძლიათ, კარგად გაგვიფუჭონ საქმე ყველა დონეზე. ვიმეორებ, ინვესტიციების მხრივ ერთ-ერთი ლიდერია აზერბაიჯანი, ნავთობპროდუქტების გარდა შეგვიძლია ვილაპარაკოთ სამშენებლო ფირმებზე – „დირსი“, „აკორდ ჯორჯია“ და სხვა. ასევე, აზერბაიჯანელების ხელშია ავეჯის წარმოება და იქიდან შემოგვაქვს ხორბლის დიდი ნაწილი. როგორც ვიცი, 2012 წლის ბოლოს თბილისში გაიხსნა აზერბაიჯანული „პაშა ბანკი“ და ჩვენი მეზობლები აპირებენ საბანკო სექტორში უფრო ფართოდ შემოსვლას. ჯერ კიდევ 2007 წელს შემოვიდა „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი“. არ დაიჯერებ და სომხეთს საქართველოსთან დადებითი სავაჭრო ბრუნვა აქვს, ანუ ჩვენთან სომხური საქონელი უფრო მეტი შემოდის, ვიდრე გადის. აქ ძირითადად საუბარია სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ჩვენგან შედის მზესუმზირა, ყურძენი, ხორბალი, სიმინდი, სასუქი და მედიკამენტები, ხოლო შემოგვაქვს ახალი კარტოფილი, გარგარი, ატამი, რძის პროდუქტები და ხორცი. შეიძლება სამარცხვინოა, რაც შემოგვაქვს ყველაფრის წარმოება ადგილზე შეგვიძლია, მაგრამ, ასე თუ ისე, ვაჭრობა გვაქვს. რა თქმა უნდა, თუ კავკასიაში კრიზისი დაიწყება და იქნება ფართომასშტაბიანი კონფლიქტი, ეს იმოქმედებს ფასებზეც, ელემენტარული საკითხია, ერთი ხელის გაწვდენაზეა აზერბაიჯანი და შედარებით იაფად შემოდის საწვავი... რაც უფრო დაგრძელდება გზა, მით მეტი იქნება ტრანსპორტირების ხარჯები. აი, ამიტომ არის დიდი სიფრთხილე საჭირო, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ე.წ. პოლიტიკოსებს არ ესმით.

**„ინვესტიციების მხრივ, ერთ-ერთი ლიდერია აზერბაიჯანი, ნავთობპროდუქტების გარდა, შეგვიძლია, ვილაპარაკოთ სამშენებლო ფირმებზე — „დირსი“, „აკორდ ჯორჯია“ და სხვა. ასევე, აზერბაიჯანელების ხელშია ავეჯის წარმოება და იქიდან შემოგვაქვს ხორბლის დიდი ნაწილი. როგორც ვიცი, 2012 წლის ბოლოს თბილისში გაიხსნა აზერბაიჯანული „პაშა ბანკი“ და ჩვენი მეზობლები აპირებენ საბანკო სექტორში უფრო ფართოდ შემოსვლას. ჯერ კიდევ 2007 წელს შემოვიდა „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი“. არ დაიჯერებ და სომხეთს საქართველოსთან დადებითი სავაჭრო ბრუნვა აქვს, ანუ ჩვენთან სომხური საქონელი უფრო მეტი შემოდის, ვიდრე გადის“**

## კრიზისი

## „თქვენ ისურვებდით ოჯახში ფატიან, გაბანჯგვლულ კაცებს პატარძლად?!“



გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 8 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, შესაძლოა, ოჯახის განსაზღვრებასთან დაკავშირებით რეფერენდუმიც ჩატარდეს, თამაზ მეჭიაური ეხმაურება.

– თუ თვითონ იციან, რომ ამომრჩევლის განწყობა არის ისეთი, რომ ეს ჩანაწერი კონსტიტუციაში უნდა გაკეთდეს, მაშინ რატომ ეთამაშებიან ასე ცუდად მათ? თქვენ ისურვებდით, თქვენს ოჯახში ასეთი ქორწინების ჩატარებას?! ფატიან კაცებს ისურვებდით თქვენს ოჯახში, გაბანჯგვლულებსა და წვერიანებს?!.. – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (newspress.ge)

## „იქცევა თუ არა დასვენების პერიოდად აგვისტოს თვე, პარტიებზეა დამოკიდებული“

ექსპერტ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნების 8 ოქტომბერს ჩანიშვნა პარტიებისთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან მისი თქმით, პოლიტიკური პარტია არჩევნებისთვის ყოველთვის მზად უნდა იყოს.

რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტური გარდაუვალია, საყვარელიძე აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილი თემაა.

– მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის დანიშვნა, ასე ვთქვათ, გადაწყვეტილი თემაა. რაც შეეხება ვადებს, არ მგონია, რომ ეს იყოს პრობლემა, იმიტომ, რომ პოლიტიკური პარტია არჩევნებისთვის ყოველთვის მზად უნდა იყოს, – განაცხადა საყვარელიძემ.

ექსპერტის თქმით, აგვისტო ძალიან პრუდუქტიულია იმისთვის, რომ რეგიონებთან პარტიებმა კონტაქტები დაამყარონ.

– აგვისტო დასვენებად იქცევა თუ არა, პარტიებზეა დამოკიდებული, იმუშავებენ – გამოიყენებენ. ამავე დროს, აგვისტო ძალიან პრუდუქტიულია იმისთვის, რომ პარტიებმა რეგიონებთან და მით უმეტეს, სააგარაკო რეგიონებთან კონტაქტები დაამყარონ. ნებისმიერი თარიღი, რაც არ უნდა დასახელდეს, ყოველთვის შეიძლება აქციო იმად, რომ მოუმზადებელია. ვადა ცუდად მომზადებულისთვის ყოველთვის ცოტაა და კარგად მომზადებულისთვის – არა. მეეჭვება, რომ „ქართული ოცნებაც“ კარგად იყოს მომზადებული. ამის აკვიატება, რომ სხვა მომზადებულია და მე არაო, ოპოზიციის მხრიდან არ მგონია, სწორი იყოს, – განაცხადა საყვარელიძემ. (pia.ge)

ყოველკვირეული

## სირიაში კანიბალი-გულისმჭამელი ოპოზიციონერი მოკლეს



სირიაში „ჯაბჰატ ან-ნურსას“ ბოევიკი, აბუ საკარი მოკვდა, რომელიც სამთავრობო ჯარისკაცების გულების ჭამით გახდა ცნობილი.

აბუ საკკარის ჯგუფს პროვინცია ლატაკიაში თავს დაესხნენ და ის დახვრიტეს. ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი, ვინ გაანადგურა ისლამისტების დაჯგუფება – სამთავრობო ჯარებმა თუ კონკურენტმა ჯგუფებმა.

აბუ საკკარი სირიის სამოქალაქო ომში თავდაპირველად სირიის თავისუფალი არმიის „ფაკურის ჯგუფში“ იყო, რომელიც ხომსის რაიონში იდგა. შემდეგ მან საკუთარი დაჯგუფება შექმნა სახელად „ომარ ალ-ფაკურის დამოუკიდებელი დაჯგუფება“ და თავი ოპოზიციონერად გამოაცხადა. 2013 წელს ის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სამთავრობო ჯარისკაცის ცხედრიდან გული ამოიღო და კამერის წინ შეჭამა. მაშინ მან თქვა: „ალაჰის წინაშე ფიცს ვდებ, რომ ჩვენ შევჭამთ თქვენს გულს და ღვიძლს, თქვენ, ასადის ძაღლო-ჯარისკაცებო“.

ვიდეოჩანაწერმა სირიაშიც და დასავლეთშიც დიდი აღშფოთება გამოიწვია, მათ შორის სირიის შეიარაღებულ ოპოზიციაში, რომლებმაც აბუ საკკარს „ამბოხებული-კანიბალი“ უწოდეს. (timer.ge)

## საცობები თბილისში — შეზღუდვები 17 აპრილამდე გაგრძელდება — მერიის განცხადება



6 აპრილიდან 17 აპრილის ჩათვლით, ღამის 23:00 საათიდან დილის 08:00 საათამდე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე საავტომობილო მოძრაობა „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიიდან თამარ მეფის ხიდის პანდუსამდე გადაიკეტება.

თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ინფორმაციით, შეზღუდვა დედაქალაქში მიმდინარე გზების კაპიტალურ შეკეთებას უკავშირდება.

– ამ პერიოდის განმავლობაში გადაადგილება შესაძლებელი იქნება ალტერნატიული გზით: მარჯვენა სანაპიროზე დაბრუნება შესაძლებელი იქნება ვახუშტის სახელობის ხიდის პანდუსით გმირთა მოედნისა და კოსტავას ქუჩების გავლით, – აცხადებენ მერიაში. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# დავით ზურაბიშვილი: „2 ადამიანი პირადად ვიცი, ვისაც აშანტაჟებდნენ!“

## „წინა არჩევნების შემდეგ, „ოცნების“ რეიტინგი თუ არ დავარდა, თორემ არ მოუმატებია ნამდვილად“




**როგორც „ალიასთან“ საუბარში თბილისის საკრებულოს წევრი, „რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილი ამბობს, პარტიას 8 ოქტომბერს არჩევნებზე გასვლა დამოუკიდებლად საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი და რაიმე ბლოკში არ გაერთიანდება.**

**— თქვენი კოალიციიდან წამოსვლა დაემთხვა პერიოდს, როდესაც ყველაზე სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა გქონდათ, კონსტიტუციაში ჩაიწერებოდა თუ არა, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. თქვენს პარტიასთან დაპირისპირებული ადამიანები კი მუდმივად ხაზს უსვამენ, რომ „რესპუბლიკელები“ ხართ ერთსქესიანთა ქორწინების მომხრე და ამას ლობირებთ, ეს სიმართლეა?**

– პირველ რიგში, ძალიან კატეგორიულად მინდა ვთქვა, რომ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილების თემა არანაირ კავშირში არ არის კოალიციიდან ჩვენს გამოყოფასთან და ვინც ასე წარმოაჩენს სიტუაციას, ის შეგნებულად იტყუება. მეორე, რაც შეეხება ქორწინების თემას, კიდევ ერთხელ მინდა მკაფიოდ განვაცხადო, „რესპუბლიკურ“ პარტიას მიაჩნია, რომ ის ჩანაწერი, რაც არის კანონმდებლობაში, სადაც ცალსახად წერია, რომ ქორწინება, ოჯახი არის ქალსა და მამაკაცს შორის კავშირი, არის სწორი განსაზღვრება. ჩვენ ამას მხარს ვუჭერთ და არ ვითხოვთ მის შეცვლას. უბრალოდ, ჩვენ ვამბობთ, რომ კონსტიტუციაში შესატანად ამ საკითხის დაყენება, არის აბსოლუტურად ხელოვნურად მოტანილი თემა. არავინ არ ეწინააღმდეგება იმ დებულებას, რომელიც კანონმდებლობაშია და რომლის შეცვლის საჭიროებასაც არავინ არ აყენებს. ეს არის მხოლოდ შავრაზმული, პრორუსული, ანტიდასავლური ძალებისთვის კოჭის გაგორება, მეტი არაფერი. ამ თემის ხელოვნურად შემოტანა, რომ თითქოს ჩვენ ევროპა გვემუქრება და თავს გვახვევს ერთი სქესის ადამიანთა ქორწინებას... ამ არასწორი შეხედულების დამკვიდრების ერთგვარი ექოა ესეც და არავითარი რეალური მიზანი და მიზეზი ამ კამპანიას არ შეიძლება ჰქონდეს. ვინც ამას აკეთებს და ამას მხარს უჭერს, ნებით თუ უნებლიეთ მხარს უჭერს ლევან ვასაძის, სანდრო ბრეგაძის, გურამ ფალავანდიშვილისა და მსგავსი ტიპის „მოღვაწეთა“ პოპულარიზებას და გააქტიურებას. თორემ ჩვენ არანაირი ერთსქესიანთა ქორწინების მომხრე და პროპაგანდისტები არ ვართ, ეს არის ტყუილი!

**— და მაინც, რატომ დატოვეთ კოალიცია ამ ფორმით?**

– ვფიქრობთ, რომ იმ ურთიერთობებმა, იმ ფორმატმა, რაც იყო კოალიციაში, ამოწურა თავისი შესაძლებლობები, განსხვავებებმა, რომელიც ადრეც იყო, ახლა ღიად იჩინა თავი, მაგრამ ახლა ვთვლით რომ ეს განსხვავებები ღიად უნდა გამოვხატოთ. აღებული პასუხისმგებლობა, ქვეყნის მართვა კი უნდა მომხდარიყო, ამიტომ ადრე რაღაცებს ნაკლებად ვამბობდით, მაგრამ ახლა ვთვლით, რომ საარჩევნოდ, ერთად ყოფნისთვის საჭიროა მეტი ერთიანი ხედვის არსებობა, მეტი პოლიტიკური ერთობა, რაც არაა და ამიტომ აზრი აღარ ჰქონდა.

**— რაც შეეხება პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს, რომელთა გადაღებაში ბრალდებული ადამიანების ერთი ნაწილი დააკავეს, თუმცა ესეც არჩევნების მოახლოებასთან ერთად ხდება, მაშინ როცა ვაჟა ლელუაშვილზე და მის დანაშაულებრივ მოქმედებებზე მასმედია წლებია საუბრობს, რატომ არ დააკავეს აქამდე ეს ადამიანები?**

– ის, რომ ამგვარი რამ ხდებოდა ძველი ხელისუფლების დროს და კარდები იყო პოლიტიკური შანტაჟის იარაღი, დიდი ხანია ვიცით, 2 ადამიანი პირადად ვიცი, ვისაც აშანტაჟებდნენ. რა თქმა უნდა ახლა ასე არ დავასახელებ. ასევე, არავის გაჰკვირვებია არც ვაჟა ლელუაშვილის გვარი. თუმცა ნამდვილად იწვევს კითხვებს, რატომ არ იყო აქამდე ეს საქმე გახსნილი. ეს პიროვნება იყო ერთი პერიოდი დაკავებული, მერე გამოვიდა, მერე თითქოს კარგი ურთიერთობა ჰქონდა „ქართული ოცნების“ გარკვეულ ჯგუფთან და ახლა ისევ დაიჭირეს. ასე რომ, დაველოდოთ პროცესს, ისეთი ამბავია, აქ არაფერი დაიმალება. მაგრამ ეს ხალხი, ვინც ახლა დაკავებულია, დამზადების გამო დააკავეს და არა გავრცელების. ეს ვაჟა ლელუაშვილი არ არის ის ტიპი, რომელიც პოლიტიკურ კამპანიებს გეგმავს, ის არის დამგეგმავის შემსრულებელი.

**— თუმცა სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ხელს სწორედ სპეცსამსახურის წევრებს ახოცავენ და ამბობენ, თითქოს ეს არ იყო პოლიტიკური ნება, დამნაშავეების დასჯასაც კი ითხოვენ, თან ხელისუფლებას ადანაშაულებენ, რომ არ დასაჯეს ეს ადამიანები. პარადოქსული სიტუაციაა...**

– სააკაშვილი რომ გაიკვირვებს კადრების არსებობას, ეს დაახლოებით იგივე ამბავია, თითქოს სტალინმა რომ არ იცოდა, ხალხს რომ ხვრეტდნენ. სპეცსამსახურის წარმომადგენელი თავის ჭკუაზე ასეთ რამეს არც იღებს და არც ავრცელებს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური ნებით ხდებოდა წინა ხელისუფლების. რამაც მიიღო სისტემური ხასიათი. მიხეილ მაჭავარიანმა ახლახან განაცხადა, ისე რომ თვალი არ დაუხამხამებია, რომ ჩვენ დროს არჩევნები არ ყალბდებოდაო, დაახლოებით იგივე ტიპის განცხადებებია ისიც, რომ არ იცოდნენ არაფერი. აშკარა მყვირალა ფაქტზე გვეუბნებიან, რომ არ არსებობს.

**— რაც შეეხება გავრცელების ფაქტებს, არსებული ხელისუფლების პირობებში გაქვთ მოლოდინი, რომ გამოავლენენ და დააკავებენ დამნაშავეებს?**

– თუ ვერ იპოვიან, ვინც ეს გაავრცელა, ძალიან ცუდი იქნება ხელისუფლებისთვის.

**— უკვე ვიცით არჩევნების თარიღი, ასევე, გვესმის „ქართული ოცნებისგან“, რომ დამაჯერებლად გაიმარჯვებენ, თქვენ რას ელით? მრავალფეროვანი მოცემულობა რომაა და არა მხოლოდ ორი დაპირისპირებული მხარე, ეს ფაქტია.**

– კი, ნამდვილად არ იქნება ეს არჩევნები პოლარიზებული, მხოლოდ ორ ძალას შორის, შუა რომ გაკრეფილია, პირიქით. იგივე მაჟორიტარულ არჩევნებში, 50% – იანი ბარიერის არსებობის შემთხვევაში, ძალიან ბევრგან იქნება მეორე ტური. რაც თვითმმართველობის არჩევნებმაც ცხადყო და წინა არჩევნების შემდეგ, „ოცნების“ რეიტინგი თუ არ დავარდა, თორემ არ მოუმატებია ნამდვილად. ამიტომ ასეთ პირობებში, ვფიქრობ, 5-6 პარტია შეძლებს შესვლას პარლამენტში და ეს იქნება პირველი სერიოზული მრავალპარტიული პარლამენტი, რაც არის ძალიან კარგი. თუ ადეკვატურად იქნება მოსახლეობის არჩევანი ასახული, ასე მოხდება. 2012 წელს იყო, ფაქტობრივად, პოლიტიკური არმაგედონი, დღეს ასეთი რეალობა არ გვაქვს ქვეყანაში. ბუნებრივია, სააკაშვილსაც ჰყავს მომხრეები და ივანიშვილის „ოცნებასაც“, მაგრამ ვართ სხვა პარტიებიც, რომელსაც ასევე ჰყავს მხარდაჭერები, იგივე „თავისუფალი დემოკრატები“, „ლეიბორისტული პარტია“, „ბურჯანაძის პარტია“, „პატრიოტთა ალიანსი“ და სხვები, რომელთაც აქვთ პრეტენზია, რომ მოხვდნენ პარლამენტში.

**— თქვენს პოლიტიკურ გუნდს საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი, რომ მარტო გავიდეს არჩევნებზე? „ეროვნული ფორუმიც“ გამოეყო კოალიციას და ხომ არ ფიქრობთ საერთო ბლოკის გაკეთებას?**

– დიახ, ჩვენი გადაწყვეტილებაა მარტო გასვლა და არ ვაპირებთ პოზიციის შეცვლას. თუმცა „რესპუბლიკური“ პარტია პარლამენტში ითანამშრომლებს ყველა იმ ძალასთან, რომელიც იქნება დემოკრატიაზე, პროგრესზე, ქვეყანაში ინსტიტუციონალურ განვითარებაზე ორიენტირებული. და ვინ იქნებიან ეს ძალები დავინახავთ, როდესაც დასრულდება არჩევნები. ჩვენ ვართ ჩამოყალიბებული ჩვენს ღირებულებებში და ფასეულობებში, ამისდა მიხედვით ვაპირებთ

### არჩევნები

მომავალში თანამშრომლობას სხვასთანაც.

**— მაჟორიტარული სისტემა ახსენეთ, არასაპარლამენტო ოპოზიცია კარგა ხანია ითხოვს ამ სისტემის გაუქმებას, ეთანხმება თუ არა „რესპუბლიკური“ პარტია ამას?**

– ჩვენ ყოველთვის ვიყავით გაუქმების მომხრე, მაგრამ უნდა გამოვიდეთ იმ რეალობიდან, ახლა რაც არის. თუ შესაძლებელია კომპრომისული ვარიანტი, რომელიც ჩვენი თანამონაწილეობით თავის დროზე იქნა შემუშავებული, რომელიც, წესით, 2016 წელს ამოქმედდება. როგორც ჩემთვის ცნობილია, „ქართული ოცნება“ არ იყო თანახმა ამაზეც, მაგრამ შემდეგ წამოვიდა კომპრომისზე და თუ ეს კომპრომისული ვარიანტი მიღებულია, კარგია. უბრალოდ, ახლა სხვა გადაწყვეტილება არ არის რეალისტური. რაც არ არის რეალისტური, იმის მოლოდინი სჯობს, არ გვქონდეს.

**— თუმცა თუ არ გაუქმდა აღნიშნული საარჩევნო სისტემით არჩევნების ჩატარება, არასაპარლამენტო ოპოზიცია ქუჩაში აქციების მოწყობას აანონსებს...**

– მათი ნებაა, მაგრამ საბოლოოდ პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, კიდევ ერთხელ ვამბობ, „ოცნება“ კომპრომისზეც რომ წამოვიდეს, 2016 წლიდან გვექნება ცვლილება და თუ ძაან გავჯიუტდებით, შეიძლება მივიღოთ ის ვარიანტიც, რომ იგივე დაგვრჩება. რეალურად ეს ორი არჩევანია ახლა მხოლოდ, რადგან ის, რომ ამ პარლამენტმა უმრავლესობით მხარი დაუჭიროს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას, ეს არის გამორიცხული. ამიტომ ბრძოლის აზრს ვერ ვხედავ. ისე კი ღიად ვაფიქსირებ, რომ ვართ მომხრე, რეგიონული პროპორციული სისტემის და ეს რომ უფრო რეალური იყოს, ამას დავუჭერდით მხარს, მაგრამ სულ არაფერს, კომპრომისული ვარიანტი, რა თქმა უნდა, გვირჩევნია.



# რა მორალზე იქნება საარჩევნო კამპანია გათვლილი, თანამდებობებს გმირები მოირგებენ თუ ბოზები

**„სამწუხარო კი ის არის, რომ ვიდრე პარლამენტში შევლენ, გულზე მჯიღს იცემენ და გვპირდებიან – ქვეყანას ავაშენებთო. როგორც კი იმ ჯადოსნურ სკამზე დასხდებიან, „მერსედესებში“ საჯდომი გაუთბებათ, ყველაფერი ავიწყდებათ“**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



არჩევნების თარიღი ცნობილია, 8 ოქტომბერს დიდი ალბათობით საქართველოში პოლიტიკური სურათი შეიცვლება. „ეროვნულმა ფორუმმა“ დატოვა როგორც კოალიცია „ქართული ოცნება“, ასევე დატოვა საპარლამენტო თანამდებობები, თუმცა რადიკალურ ოპოზიციონერებად ჯერჯერობით არ გვევლინებიან. „ფორუმის“ გზავნილი ასეთია, თუკი ვერ გადალახავენ საარჩევნო ბარიერს, ისინი პარტიის ლიკვიდაციას გამოაცხადებენ. შესაძლოა, ამას ვიღაცისთვის შანტაჟის დატვირთვა ჰქონდეს, მაგრამ

**ამომრჩეველს ცალ ფეხზე ჰკიდია გუბაზ სანიკიძე და მისი პარტიული ლიდერები, რადგან ამ ურაპატრიოტმა ადამიანმა ამომრჩეველი მოატყუა და საკუთარი რეალური სახე დაგვანახა, მან თქვა, რომ მისთვის პრიორიტეტულია მილიონების შოვნა და არა, სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებზე ზრუნვა.**

აი, აქ დაესვა წერტილი ეროვნულ „ფორუმს“. რაც შეეხება „რესპუბლიკურ პარტიას“, რომელიც თავადაც ვერ გარკვეულა რა მოდელში იმყოფება, ფაქტობრივად, კოალიციიდან გასულია, თუმცა არ ტოვებს ხელისუფლებას, „რესპუბლიკური პარტია“ ძალიან ჰგავს იმ მეძავ ქალს, რომელსაც ურტყამენ, შეურაცხყოფას აყენებენ, მაგრამ ფულიან კლიენტს ხელიდან არ უშვებს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა დაგვანახა შემდეგი მორალი – ომებს გმირები კი იგებენ, მაგრამ თანამდებობებს ბოზები ირგებენ. რა მორალზე იქნება 2016 წლის საარჩევნო კამპანია გათვლილი, თანამდებობებს გმირები მოირგებენ თუ ბოზები, ამას 8 ოქტომბერს ვნახავთ.

**საინტერესოა „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერის, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძის, რომელსაც ჭირის დღესავით ეჯავრება „რესპუბლიკური პარტია“, ხედვა და აღქმა მიმდინარე პროცესებისა:**

– კოალიციის დაშლა გასაოცარი ამბავი სულაც არ არის, ეს კოალიცია გახლდათ განსხვავებულ აზრთა ხელოვნური ნაჯვარი და შეიქმნა იმისთვის, რომ მათ დაემარცხებინათ „ნაციონალური მოძრაობა“, მე ის უფრო მიკვირს, როგორ გაძლო აქამდე ამ კოალიციამ, ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში უმრავლესობას კოალიციის დანარჩენი სუბიექტების გარეშე ვერ შეაგროვებდა. თავის დროზე ალასანიას გუნდის გასვლამ გარკვეული პრობლემები გამოიწვია. მაშინ უკვე ნათელი იყო, რომ კოალიცია ამ ფორმით დიდხანს ვერ გაძლებდა და არჩევნებამდე აუცილებლად დაიშლებოდა. რაც შეეხება კოალიციიდან „ეროვნული ფორუმის“ გასვლას, თავისი შინაარსით ეს პარტია არაფრისმთქმელი იყო კოალიციაში, თვითონაც არ იჩენდნენ მაინცდამაინც დიდ ნებას და სურვილს, ემოქმედათ, აქტიურად ჩართულიყვნენ პროცესებში. კოალიციაში ყველაზე პრეტენზიული „რესპუბლიკური პარტია“ იყო, რომლებიც, ჩემი აზრით, დიდად არ განსხვავდებიან „ნაციონალებისგან“. მოგეხსენებათ, რომ ხალხი ისედაც უკმაყოფილოა „ქართული ოცნების“, პოლიტიკურად, ძირითადი მიზეზი გახლავთ ისიც, რომ „ოცნებამ“ ადგილი არ მიუჩინა დამნაშავე „ნაციონალურ მოძრაობას“, რამდენიმე კაცის დაპატიმრება არ ნიშნავს სამართლიანობის აღდგენას. ამერიკელებმა მოგვახვიეს თავს თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელი, ისე დაიარება, თითქოს თამარ მეფე იყოს, თამარ მეფობას იმიტომ იჩემებს, რომ მას გვერდს უმშვენებს დავით სოსლანი, ანუ დღევანდელი დავით უსუფაშვილი. მის განკარგულებაშია „მონათუხუცესი“ გიგლა აგულაშვილი, თავს იმით იწონებენ ძმები „მხარგრძელები“ – ლევან და დავით ბერძენიშვილები, მართალია, მხარგრძელები სომხები იყვნენ, ესენი ქართველები არიან, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ მხარგრძელებიდან ერთმა ძმამ უღალატა საქართველოს, მეორემ – არა, ესენი კი ორივე ღალატობენ. აი, ესენი არიან დღევანდელი პოლიტიკის „სტოსის“ წამყვანები, უფრო მეტი მოინდომეს და დაიწყეს ვაჭრობა. მოითხოვეს მეტი მინისტრის პორტფელი, მეტი საპარლამენტო მანდატი. არაერთხელ ვთქვი, რომ „რესპუბლიკელებთან“ ერთად არჩევნებზე გასვლა ნიშნავს „ქართული ოცნების“ კრახს. ისედაც გულგატეხილი ქართველობა არ მისცემდა ხმას „ოცნებას“, ამიტომ ეს პოლიტიკური განქორწინება რომ მოხდა, პირადად მე, ამას დადებითად ვაფასებ. შეიძლება „ქართული ოცნება“ დაზარალდეს, მაგრამ არა ამ მიზეზით, რომ „რესპუბლიკელებს“ ან „ფორუმს“ დაშორდნენ, არამედ იმის გამო, რომ არის ტენდენცია,

**შესაძლოა, „ოცნების“ სია დაკომპლექტდეს ახალგაზრდა, გამოუცდელი ახალგაზრდებით, რომლებმაც დასავლეთში მიიღეს განათლება და კარგად ჟღურტულებენ ინგლისურად. ჩემი აზრით, ეს არის დიდი ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯი, პარლამენტი არის ქართული სახელმწიფოს ორგანო, უპირველეს ყოვლისა, იქ მოხვედრილმა ადამიანმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს მშობლიური ენა,**

ამას გარდა, პარლამენტში უნდა მოხვდნენ ადამიანები, რომელთაც ქვეყნის განვითარებაში აქვთ შეტანილი წვლილი და მათ საზოგადოება იცნობს. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვაქცევთ იმ ადამიანების წარსულს ყურადღებას, ვისაც ხმას ვაძლევთ, ის კი ძვირად გვიჯდება.

**— როგორი ტიპის პოლიტიკოსები გინდათ, ნახოთ პარლამენტში, თქვენს გემოვნებას აკმაყოფილებს — მეჭიაური, თოფაძე, ტყემალაძე, კვაჭანტირაძე და ასე შემდეგ?**

– ძალიან დიდ პატივს ვცემ გოგი თოფაძეს, ის ჩემ თვალწინ ჩამოყალიბდა, ჩვენ ვიცით მისი წარსული როგორ ებრძოდა ჯერ შევარდნაძის რეჟიმს, შემდეგ სააკაშვილს, რომ ქართული ბიზნესი და წარმოება გადაერჩინა. მე მჯერა იმ ხალხის, ვინც საკუთარ თავზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს დააყენებს, სამწუხარო კი ის არის, რომ ვიდრე პარლამენტში შევლენ, გულზე მჯიღს იცემენ და გვპირდებიან – ქვეყანას ავაშენებთო. როგორც კი იმ ჯადოსნურ სკამზე დასხდებიან, „მერსედესებში“ საჯდომი გაუთბებათ, ყველაფერი ავიწყდებათ. თქვენ ახსენეთ მეჭიაური, სხვათა შორის, მისი საუბარი ძალიან მომწონს, ის ხშირად ამბობს სიმართლეს. მატყუარა არ უნდა გააკარო პარლამენტს, ადამიანები, რომლებიც არ არიან გულწრფელები და იმას ამბობენ, რაც დასავლეთს ესიამოვნება, ისინი ყოველთვის ჩაიდენენ დანაშაულს. მე მაგალითად, პატივს ვცემ ირაკლი ღარიბაშვილს, ის არის გულწრფელი, მას სტკივა ქვეყანა, აფასებს ეროვნულ ღირებულებებს, ამიტომაც მოიცილეს ამერიკელებმა „რესპუბლიკელების“ დახმარებით, არ აპატიეს ქართული აზრი და ქართული პოზიცია, რაც ქართველი კაცის გულს ესადაგებოდა, იმას ამბობდა. ირაკლი ღარიბაშვილი ამბობდა, რომ ერთსქესიანთა ქორწინება მიუღებელია ქართველი კაცისთვის, ესენი კი დღემდე საპირისპიროს ტიკტიკებენ, ამიტომაცაა, რომ ვრცელდება ამაზრზენი კადრები, ხან 69 პოზა, ხან – რაღაც უბედურება. იმაზე კი არ დაობენ, რომ ეს უბედურებები არ უნდა ხდებოდეს ხელისუფლების დონეზე, არამედ იმას ეძებენ, ვინ გააავრცელა ეს ამაზრზენი პორნოკადრები. თურმე ამის გავრცელება დიდი დანაშაული ყოფილა.

**— თქვენი აზრით, ვის აწყობდა პორნოკადრების გავრცელება და არ არის ეს დანაშაული?**

– ჯერ ერთი, ძალიან დიდი დანაშაულია ის, რომ გააავრცელეს ეს ამაზრზენი კადრები, მაგრამ იცით, რა მიკვირს? ამ კადრებში მონაწილე ფიგურანტები რომ ისეთი ამაყები დადიან, თითქოს, საგმირო საქმე ჩაიდინეს. ალასანიას ვაჟის ქორწილში ალასანიას პარტიის წევრი ქალბატონი, რომელსაც პორნოვიდეო აუტვირთეს, მითხრეს, რომ ერთობოდა და კისკისებდა, არადა მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს, დარდისგან ლოგინად ჩავარდა... თურმე რას ამბობ, მას მეუღლესთან ერთად კარგად მოულხენია... აი, ეს არის უბედურება, რადგან საქართველოში უზნეობა ზენიტშია აყვანილი. ძნელია ამ უზნეობასთან ბრძოლა, რადგან მთელი არასამთავრობო ორგანიზაციები სწორედ რომ ამ უზნეობას ქადაგებს, ესენი არიან ფულზე სულგაყიდული აგენტები. ვერ დამისახელებთ ერთ საკითხს, რომელიც მათ საქართველოს დასაცავად წამოჭრეს... და მთავარი, მთელი ტელევიზიები ამ სიბინძურეს ქადაგებენ და ეს არის გარყვნილების ბადე, სადაც ისპობა ყოველგვარი წმინდა აზრი. ადამიანი დაიყვანეს ცხოველამდე, დღეს თითქმის ნახევარი საქართველო, ვისაც ელიტარული წრის წარმომადგენლად მოაქვთ თავი, მაიმუნებად არიან ქცეული, აი, ეს არის უბედურება. არ შეიძლება ასეთი უზნეო ადამიანების თანამდებობაზე გაჩერება, რომლებზეც არსებობს კომპრომატები. მათი უზნეობა არა მარტო ქართველ ხალხს შეურაცხყოფას, არამედ საშიშიც არის სახელმწიფოსთვის. ეს კადრები მთელ მსოფლიოშია გავრცელებული და ასეთი კომპრომატებით ბევრ რამეს გააკეთებინებენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები მავანს.

**„იცით, რა მიკვირს? ამ კადრებში მონაწილე ფიგურანტები რომ ისეთი ამაყები დადიან, თითქოს, საგმირო საქმე ჩაიდინეს. ალასანიას ვაჟის ქორწილში ალასანიას პარტიის წევრი ქალბატონი, რომელსაც პორნოვიდეო აუტვირთეს, მითხრეს, რომ ერთობოდა და კისკისებდა, არადა, მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს, დარდისგან ლოგინად ჩავარდა... თურმე რას ამბობ, მას მეუღლესთან ერთად კარგად მოულხენია... აი, ეს არის უბედურება, რადგან საქართველოში უზნეობა ზენიტშია აყვანილი“**





## გია ხუხაშვილი — პირველი არჩევნებია, როდესაც სიძულვილსა და ნეგატივზე აწყობილი ორპოლუსიანი კონფიგურაცია არ გვაქვს



– ვფიქრობ, წინასაარჩევნო კამპანია საინტერესო და განსხვავებული იქნება, რადგან ეს პირველი არჩევნებია, როდესაც სიძულვილსა და ნეგატივზე აწყობილი ორპოლუსიანი კონფიგურაცია არ გვაქვს, – აცხადებს ექსპერტი გია ხუხაშვილი.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო კამპანია, პრაქტიკულად, უკვე დაწყებულია. მისივე თქმით, არჩევნების თარიღი ცნობილია და ყველა პარტია, საქმეს თავისი დღის წესრიგით შეუდგება.

– ბევრი ნეგატივი იქნება, მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ არ იქნება ორპოლუსიანი, ანუ ორი დიდი ცენტრი არ გაკეთდება, რაც, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდიდა პოსტსაარჩევნო პერიოდში ნორმალური პროცესის განვითარებას. ამ მანკიერ წრეში ვტრიალებდით – იყო იმედგაცრუება, პროტესტი, მერე დიდი იმედები და ისევ ამ მანკიერ წრეზე ვტრიალდებდით. ახლა გვეძლევა შანსი, რომ აქედან გამოვიდეთ და საბოლოო ჯამში, პარლამენტში მივიღოთ 5-6 პარტია, შეიძლება მეტიც, – განაცხადა ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, კოალიციები უკვე შედგება არა პრინციპით: „ყველა ერთის წინააღმდეგ“, არამედ პოსტსაარჩევნო პერიოდში კონკრეტული პოზიტიური დღის წესრიგით.

– ასე რომ, თუ ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ რაღაც საოცრება არ მოიფიქრა იმისთვის, რომ ისევ უკან დაგვაბრუნონ წარსულში, ამ პროცესში ქვეყანა პოზიტიურ გამოცდილებას შეიძენს და პოლიტიკური ელიტისთვისაც საკმაოდ საინტერესო გამოცდა იქნება, რადგან პოსტსაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების ფორმირებისთვის კოალიციების შექმნის საჭიროება ჯერჯერობით არ გვქონია. ახლა ქვეყანას აქვს შანსი, რომ ეს გამოცდილებაც შეიძინოს. მე ამ ყველაფერს დადებითად ვუყურებ, – განაცხადა ხუხაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## „თამაზ ელიზბარაშვილი ქმრიან ქალბატონებს სექსმომსახურებას სთავაზობს“

ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი სოციალურ ქსელში მორიგ სკანდალურ სტატუსს აქვეყნებს:

– მრავალქალ „გამოვლილი“ უაღრესად გამოცდილი, პროფესიონალი მამაკაცი უანგაროდ, ექსტრაკლასით, თავდაუზოგავად, სურვილის შემთხვევაში დაუნდობლად და შეუბრალებლად „მოემსახურება“ მაღალი საჯარო თანამდებობის მხოლოდ ქმრიან ქალბატონებს ფარული გადაღებისგან დაცვის 100%-იანი გარანტიით. ტ: 599 183 ....
პაროლი: „ვაი ჩვენს პატრონს...“ – წერს ელიზბარაშვილი. (etanews.ge)

## მაგდა პაპიძის საქმეს 12 ნაფიცი მსაჯული განიხილავს



ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის საქმეზე, ნაფიცი მსაჯულების შერჩევა 18 აპრილიდან დაიწყება.

როგორც მაგდა პაპიძის დამ ლანა პაპიძემ განაცხადა, 7 აპრილის სხდომაზე ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით 100-კაციანი სია შედგა, რომლებიც ნაფიცი მსაჯულების სავარაუდო კანდიდატები არიან.

სწორედ ამ სიიდან მოხდება 12 ნაფიცი მსაჯულის არჩევა, რომელიც პაპიძის საქმეს განიხილავს.

პროცესს მაგდა პაპიძეც ესწრებოდა. (ნიუპოსტი)

## ნინო გოგუაძე: თავდაცვის მინისტრის კანდიდატურის ძიება მიმდინარეობს



მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთმა წევრმა ნინო გოგუაძემ აღნიშნა, რომ ის საკადრო ცვლილებებს მთავრობაში დაახლოებით ერთი თვის ვადაში ელოდება.

გოგუაძის თქმით, მთავრობაში დასავლეთისთვის მოსაწონი თავდაცვის მინისტრის კანდიდატურის ძიება მიმდინარეობს.

„საკადრო ცვლილებები მოსალოდნელია, მაგრამ როდის განხორციელდება არ ვიცი. თუმცა, აუცილებლად რომ განხორცილდება სადღაც, ერთ თვის ვადაში, ეგ ვიცი. მე ვფიქრობ, რომ თავდაცვის მინისტრის კანდიდატურის ძიება მიდის, რომელიც დასავლეთისთვის ასე თუ ისე მისაღები იქნება". – განაცხადა გოგუაძემ.

მთავრობაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ინფორმაციები მას შემდეგ ვრცელდება, რაც „რესპუბლიკურმა პარტიამ" თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა, – არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა.

„რესპუბლიკელებს" აღმასრულებელ ხელისუფლებაში სამი მინისტრი ჰყავთ: თინა ხიდაშელი, გიგლა აგულაშვილი და პაატა ზაქარეიშვილი. (newspress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# რატომ გაიჭედა შალვა რამიშვილი?

## დუმილის უფლება არა, იხვის ტოლმა, პირდაპირ ეთერში ჩაგაფსმევინა ინგამ!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61









**თუკი თაღლითობისა და გამოძალვის ბრალდებით გასამართლებული რამიშვილი აუცილებლად უნდა გამოსულიყო ციხიდან და ივანიშვილის გუნდში, ანუ ქერის ორმოში, უნდა გადაშვებულიყო თავით, სააკაშვილის მიერ ქვეყნიდან გაძევებულ გელბახიანს რატომ არ ჰქონდა სამშობლოში დაბრუნების უფლება?**

ციხეგამოვლილი, „ოცნებაგამოვლილი" და „მაესტროგამოვლილი" ფიზიკოსი, შალვა რამიშვილი, რომელიც ჟურნალისტობდა და ბოლოს თითქოს ტელეკომპანია „იმედში" დაივანა, იქიდანაც გაუშვეს. გაშვებაც არის და გაშვებაც, მას ბრალად ედება მსახიობ თათია სამხარაძეზე (ტასო ბარნოვა) სექსუალური ძალადობა, ანუ სექსუალური შევიწროება. 5 აპრილს შალვა რამიშვილმა განაცხადა, „იმედმა" მოულოდნელად და პირობების დარღვევით შეწყვიტა ხელშეკრულება იმ ფირმასთან, რომელიც ამზადებდა „ილო ბეროშვილის შოუს", სკეტჩ-შოუს „ერთხელ საქართველოში", ეთერში ჯერ არგასულ სერიალს – „ორი დაქალი" და უზრუნველყოფდა ჩემს მონაწილეობას გადაცემა „პოლიტიკაშიო". შალვა ასევე წუხდა, მიუხედავად ჩემი არაერთი მოთხოვნისა, „იმედს" არც ჩემთვის, არც ფირმისთვის და არც საზოგადოებისთვის არ განუმარტავს ამ ქმედების მიზეზი. თუმცა ვრცელდება ხმები, თითქოს ეს ყოველივე დაკავშირებულია ჰიპოთეტურად არსებულ სექსუალური შინაარსის ფარულ ჩანაწერთან, რომელიც თითქოს აქვს კომპანიის ყოფილ თანამშრომელს, თათია სამხარაძეს და რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. აგრეთვე, ჟურნალისტურ წრეებში ვრცელდება ხმები, თითქოს ამ ჩანაწერს გაეცნო „რუსთავი 2"-ის ზოგიერთი თანამშრომელი, მაგალითად, ნანუკა ჟორჟოლიანიო. ნუ, ახლა ნანუკა რომ ნახავდა (ამათ ყველაფერზე მიუწვდებათ ხელი), ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ შალვას რომ რაღაც მართლა აქვს მიქარული, ეს შემდგომ დღეებშიც დადასტურდა. აქ შალვამ გააკეთა ცოტა უცნაური განცხადებაც:

**„თუ ეს რაღაც ჩანაწერი შეიცავს ჩემს მაკომპრომეტირებელ ცნობებს, მაშინ ყველას ვალია, არ დაუშვათ ჩანაწერის უკანონო გასაჯაროება, რაც შესაბამის სამართლებრივ შედეგებს გამოიღებს".**

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, თათია სამხარაძემ პრესკონფერენცია გამართა და თქვა, რამიშვილი სექსუალურად მავიწროებდა, მეუბნებოდა, თუ ჩემთან არ დაწვები, შენი კარიერა დამთავრდებაო. თათია, ანუ ტასო, არ დაწვა შალვასთან და დაუმთავრდა კიდეც კარიერა, გაუშვა სამსახურიდან. ამას მოჰყვა მარგო ლუჩკოს (ის ადრე მუშაობდა რამიშვილთან და უცნაურად წავიდა) განცხადება, ამ კაცმა მეც იმიტომ მომიშორა, რომ მასთან არ დავწექიო:

„გადაცემიდან ჩემი წასვლის მიზეზი ჩემს მორალურ პრინციპებთან შოუს ხელმძღვანელის, შალვა რამიშვილის მხრიდან შეუსაბამო მოთხოვნების წამოყენება იყო. მე არ განვეკუთვნები ისეთი ადამიანების რიცხვს, რომლებსაც სააშკარაოზე გამოაქვთ შიდა სამზარეულო, მით უმეტეს, თუ პროფესიული თანამშრომლობა, ხელმძღვანელის მხრიდან სხვა სახის, ჩემთვის სრულიად მიუღებელ ურთიერთობებს გულისხმობს".

როგორც ახლა ირკვევა, როგორც ინკოგნიტო წყარო უყვება „ალიას", რამიშვილს მსგავსი სექსუალური შევიწროების მცდელობა ჰქონია რუსეთში მოღვაწე თიკა კანდელაკთანაც, რომელმაც თურმე საკითხი არ გაახმაურა, მაგრამ შინაურულად კი „დაურაზბორკა":

„თიკა კანდელაკს შალვა ბავშვობიდან იცნობს, თავის დროზე ვრცელდებოდა ჭორები, რომ დაქორწინებასაც აპირებდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა. კანდელაკი 2013 წლის ნოემბერში იყო ჩამოსული თბილისში, 38 წელი შეუსრულდა და დაბადების დღე რესტორან „ფუნიკულიორში" გადაიხადა, სადაც ახლობლებთან ერთად ასევე იმყოფებოდნენ დავით საგანელიძე და შალვა რამიშვილი. ეტყობა, შალვას ნოსტალგია მოეძალა და ჩალიჩი დაიწყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, სექსუალური შევიწროების მცდელობა ჩაეშალა".

ორი დღის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, „იმედის" ხელმძღვანელობამ რამიშვილის გაშვებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა:

**„შპს „ტელეიმედმა" შალვა რამიშვილთან დაკავშირებულ კონტრაქტორ კომპანიასთან გაწყვიტა საქმიანი ურთიერთობა. რაც შეეხება იმ სატელევიზიო პროდუქტებს, რომლებსაც ხსენებული კონტრაქტორი კომპანია „ტელეიმედისთვის" ამზადებდა და გადიოდა ეთერში, ვაცხადებთ, რომ არხი ინარჩუნებს ამ გადაცემებს და აპირებს თანამშრომლობის გაგრძელებას შემოქმედებითი ჯგუფის წარმომადგენლებთან".**

როგორც ხედავთ, განცხადება არასრულყოფილია, რადგან „იმედის" ხელმძღვანელობა არ პასუხობს მთავარ კითხვას: რატომ, რის საფუძველზე გაწყდა ურთიერთობა? თქვენი არ ვიცი და... მე პირადად მგონია, რომ თათია სამხარაძეს კარგი პატრონი აღმოაჩნდა ტელევიზიაში და შალვას რომ ეგონა, ფეხებს ვერავინ მომჭამსო, სწორედ მაშინ დაატეხეს თავზე მეხი.

რამიშვილის თქმით, ბრალდებები, რომელიც მის წინააღმდეგ გაისმის, თურმე კამპანიურ ხასიათს იღებს, დადგმულ სპექტაკლს წააგავს და მის ინტერესშია, რომ ყველაფერი პროკურატურაში ან სასამართლოში გაირჩეს. თათია სამხარაძემაც მიმართა სასამართლოს. შალვა რამიშვილი ჩვენც (საზოგადოებას) მოგვმართავს:

**„მეგობრებო! მე ვიცი, რომ ზოგიერთ თქვენგანს არ მოვწონვარ და ვძულვარ კიდეც. მე არ მიცხოვრია მამა აბრამის კრავის ცხოვრებით, მაგრამ მოძალადე არასდროს არ ვყოფილვარ. თუმცა მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის მეც, იცავს ამ ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები... მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმფცია".**

ყოჩაღ, შალვას უსწავლია, რომ ამ ქვეყანაში არსებობს კონსტიტუცია და უდანაშაულობის პრეზუმფცია... თუმცა, ჩემი აზრით, კი არ უსწავლია, უბრალოდ, ახლა სჭირდება, თორემ საქართველოში კონსტიტუცია და პრეზუმფცია 2012-შიც არსებობდა, როცა თავქუდმოგლეჯილი დარბოდა და უკრაინიდან საქართველოში ვალერი გელბახიანის ჩამოსვლას აპროტესტებდა. მე არ ვიცი, რა დაუშავა ვალერი გელბახიანმა, მაგრამ, თუკი თაღლითობისა და გამოძალვის ბრალდებით გასამართლებული რამიშვილი აუცილებლად უნდა გამოსულიყო ციხიდან და ივანიშვილის გუნდში, ანუ ქერის ორმოში, უნდა გადაშვებულიყო თავით, სააკაშვილის მიერ ქვეყნიდან გაძევებულ გელბახიანს რატომ არ ჰქონდა სამშობლოში დაბრუნების უფლება? არ მიყვარს, როცა წაქცეულს წიხლებს ურტყამენ და ამას არც ახლა ვაკეთებ, მაგრამ როცა ადამიანი ისევ ცდილობს თავის დაძვრენას და იმიჯსაც კი ახსენებს, იძულებული ვარ, რაღაც-რაღაცები შევახსენო. 2012-ში ბიძინა ივანიშვილმა რომ მითხრა, საქართველოში პირველი ჟურნალისტი ხარო, გახსოვს, ხომ? მაგას რა დაგავიწყებს, როცა ყველაზე მეტად შენ დაიბოლმე და გადახვედი ჭკუიდან? აი, მე მაშინ მივხვდი, რომ შენ სატელევიზიო კარიერას ასე სამარცხვინოდ დაამთავრებდი. რამდენიმე თვე დაუსრულებლად ღლიცინებდი პირდაპირ ეთერში: აუ, ზედელაშვილია პირველიო? არა, ამას ბიძინა არ იტყოდაო... ვაჰმე, ეს როგორ დავიჯეროოო? არა, არა, ყველაფერი მოგონილიაო! იმდენიც ვიცი, რომ საკუთარ გაზეთში თავის ქებას კიტრის ფასი აქვს... ის ფრაზა სპეციალურად არ ამოვიღე ინტერვიუდან და როცა ივანიშვილი მესაუბრებოდა, მაშინვე ვუთხარი, ეს უნდა გამოვაქვეყნო-მეთქი. დიახ, მეც მაინტერესებდა, რა რეაქცია გექნებოდათ შენ და შენნაირებს. კარგი, ეს დავივიწყოთ და შემდეგზე გადავიდეთ: შენ ამბობ, ეს მე ვარ ის კაცი, რომელიც საჯაროდ მოითხოვდა და მოითხოვს „ტელეიმედისგან" ჩემი და ჩემთან ერთად 40 კაცის გაგდების მიზეზის დასახელებასო. შალვა, შენ ისე ჩახლართე „იმედში" სიტუაცია, ინგა გრიგოლიასთანაც კი ჩაგივარდა ენა, როცა გკითხა, მე რომ გამომიშვეს, მაშინ ეს ტელევიზია რატომ „გააპრავეო"? დუმილის უფლება გამოიყენე, არა? დუმილის უფლება არა, იხვის ტოლმა, პირდაპირ ეთერში ჩაგაფსმევინა ინგამ! ასევე, შენ მოუწოდებ მოქალაქეებს: „დაიცავით კანონი და მიუხედავად ჩემდამი პირადი დამოკიდებულებისა, სასამართლოს გადაწყვეტილებებამდე შეძლებისდაგვარად შეინარჩუნეთ ობიექტურობა".

ვიიიშ... შენ თვითონ როდის იცავდი კანონს და როდის ინარჩუნებდი ობიექტურობას?

**თათია სამხარაძე ამბობს:**

**„ჩემზე ხორციელდებოდა სექსუალური სახის ზეწოლა. ის საუბრობს, რომ არის ოდიოზური ფიგურა, რომელსაც შეუძლია, არათუ ადამიანები გაუშვას სამსახურებიდან, არამედ სხვა სამსახურშიც დაბლოკოს. არ შეიძლება ტელეკომპანიაში მიდიოდნენ გოგოები და ეუბნებოდნენ, რომ ვიღაცის საწოლზე გადიოდეს მათი კარიერული გზა. მე დამენგრა კარიერა!"**

**მსახიობი ანრი ბიბინეიშვილი:**

**„შალვა ჩემო „ნიჭიერო", ეს რა გიქნეს, ა?! წწუ! წწუ! წწუ! წწუ! წწუ! ჯერ ხო გაგიშვეს და ახლა „ცილიც დაგწამეს", მოძალადეო? კარგით რა! მოძალადე არ ვიცი, მაგრამ ე.წ. ქასთინგზე დაბარებული გოგონების რაღაც ნაწილი ამბობდა სულ, რომ შალვა მათ ასე სთავაზობდა სამსახურს: „განვცალკევდეთ ერთიერთზე და ამის მერე ვნახოთ, რამდენად აკმაყოფილებ ქასთინგის მოთხოვნებსო"!**

გახსოვს, შალვა, ციხიდან რომ იწერებოდი, ბევრი ცუდი გავაკეთე, მაპატიეთ, აქ ბევრი რამ ვისწავლე, აქედან სულ სხვანაირი გამოვალო? არააა... ადამიანები ასე იოლად არ იცვლებიან...

*თემის გაგრძელება მე-17 გვერდზე*

სანწლ (ასხლოლი) — სახელწოდება: *სიახლეები*

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# შალვა რამიშვილი: „რას მეკითხები?! ახლა შენ ამას დაბეჭდავ და ჩემი ცოლი ამას ნახავს! რას აკეთებთ ახლა? შეიძლება ასე ადამიანის პირად ცხოვრებაში ქექვა?“



## „ზუსტად ვიცი, რატომ მომიშორეს ეკრანიდან!“



*დასაწყისი მე-16 გვერდზე*

„ალია“ გთავაზობთ ინტერვიუს **შალვა რამიშვილთან** **(სტილი მაქსიმალურად დაცულია):**

– პროკურატურაში დავიკითხე მე უკვე და დანარჩენი საგამოძიებო ქმედებები თუ იქნება, ჩემს კომპეტენციაში ამაზე პასუხი არ შედის.

— **დაკითხვა რას ეხებოდა — „იმედიდან“ თქვენი დათხოვნის თემას, თუ თათია სამხარაძის განცხადებას, ჩანაწერის შესახებ?**

– როდესაც გავიგე, რომ თათია სამხარაძეს ჰქონდა რაღაც ფარული ჩანაწერი, რომელშიც იყო ასახული ჩემი მასზე ძალადობა, მე იმწუთში მივმართე კომპეტენტურ ორგანოს, პროკურატურას და შემდეგ უკვე დაიწყო ჩემი დაკითხვა. ჩანაწერის თაობაზე მე პროკურატურაში ვერ ვისაუბრებდი, რადგან არც მოსმენილი მაქვს ეს ჩანაწერი და არც ვიცი, რას ეხება. საუბარი იყო იმაზე, რომ თათია სამხარაძემ გაავრცელა კულუარულად ინფორმაცია, კონკრეტულად ტელევიზიის დირექტორს უთხრა, რომ აქვს ჩანაწერი, რომელზედაც ჩანს, რომ მე მასზე სექსუალურად ვძალადობ.

— **ერთ-ერთ თქვენს ბოლო განცხადებაში ამბობთ, რომ ამ ყველაფრის უკან სხვა რამ დგას, თათიას ვიღაცები იყენებენო...**

– მე მგონი, ახლა ეს არის რაღაც გარკვეული კამპანია ჩემს წინააღმდეგ, უნდათ, ასეთ სიბინძურეში გამსვარონ და მოიგონონ, მოხლართონ... ამ რაღაც სისულელის გამო 50 კაცი, სტუდიის წევრები, დატოვეს ქუჩაში და გააუქმეს ყველა გადაცემა, რომელიც იყო...

— **ვინ შეიძლება იყენებდეს თათიას და რა პოლიტიკურ წრეებზეა საუბარი?**

– პოლიტიკური წრეები აქ არაფერ შუაშია, ცალსახად შემიძლია გითხრათ. აქ არის უკვე ბიზნესწრეებზე საუბარი, რომელზეც მე კომპეტენტურად მოგვიანებით ვისაუბრებ.

— **ჭორის დონეზე, კულუარული ინფორმაციით, თავის დროზე თინა კანდელაკმაც თქვა, რომ მის მიმართაც გქონდათ სექსუალური შევიწროების მცდელობა...**

– აი, ამას რომ ამბობთ, რაღაც წყარო ხომ უნდა მიუთითოთ?

— **კულუარულ ინფორმაციაზე მაქვს საუბარი.**

– ჭორებზე ნუ მეკითხებით, იმიტომ, რომ დავიღალე უკვე... მეკითხებით რაღაც სრულიად აბსურდულ რაღაცას.

— **2013 წელს, როდესაც თინა საქართველოში იყო, მის დაბადების დღეზე...**

– მე ვიყავი მის დაბადების დღეზე მთელი დღე და ამ დროს კანდელაკმა ვიღაცას უთხრა, რომ მასზე სექსუალურად ვძალადობდი ადრე? რას ნიშნავს ეს?.. რას მეკითხები? ახლა შენ ამას დაბეჭდავ და ჩემი ცოლი ამას ნახავს. რას აკეთებთ ახლა? შეიძლება ასე ადამიანის პირად ცხოვრებაში ქექვა?

— **კულუარულად გავიგეთ და ვამოწმებ... ამბობენ, თინას უთქვამს ეს ერთ კონკრეტულ წრეში...**

– სად თქვა, ვის უთხრა? რომელ კონკრეტულ წრეში? მოდით, ჩავყვეთ ამ ყველაფერს. შენი სახელი მითხარი, გენაცვალე?!

— **ნინო ლაბარტყავა.**

– ნინო, რატომ აკეთებ ამას? ახლა ამას წაიკითხავს ჩემი შვილი, ჩემი დედა, ცოლი და რას წერ, რას მეკითხები? როგორ შეიძლება ასეთი რაღაცების კითხვა?

— **მე იმას ვამბობ, რომ იქნებ ეს ამბავიც თქვენს წინააღმდეგ აგორებული კამპანიის ნაწილია, რომ ასეთი ჭორი ვრცელდება კანდელაკთან დაკავშირებით?**

– ვინა ხარ შენ, ნინო? საიდან მოხვედი ჟურნალისტიკაში? რას მეკითხები – თინა კანდელაკმა რომელიღაც კონკრეტულ წრეში დაბადების დღეზე, რომელსაც ვესწრებოდი... თინა არის ჩემი მეგობარი, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა. თინამ ინტერვიუში ეს თქვა, რომ ჩემი პირველი რომანი არის შალვა რამიშვილიო, ეს ინტერვიუ არსებობს და შენ მეკითხები – სადღაც იმ დაბადების დღეზე, რომელზეც ერთ-ერთი მთავარი სტუმარი მე ვიყავი, ცალკე წრეში სადღაც თქვა, რომ მე მასზე ვიძალადე? რას მეკითხებით, ხალხო, გამოშტერდით სულ?

— **არ გინდა ასეთი საუბარი!**

– აბა, რას მეკითხები? (ყვირის) შენ რომ ამას დაწერ, დედაჩემი, ჩემი ცოლი ხომ წაიკითხავს ამას?.. ჟურნალისტიკაში ვარ 25 წელი, სად დაიწერა, ვინ თქვა მაშინ კონკრეტულად მიმითითეთ წყარო, რაზე დაყრდნობით მეკითხებით. ახლა მე რომ გკითხო შენ – გორდება ინფორმაცია, რომ შენ „პანელზე“ დგახარ ხიდთან, სწორი ვიქნები?

— **თუ დამირეკავ კომენტარზე და შემეკითხები, პასუხს გაგცემდი... შენ ყვირილზე გადადიხარ. გეკითხები უკვე მერამდენედ, ასეთი ინფორმაციის აგორება ხომ არ არის იმ კამპანიის ნაწილი, რომელიც შენს წინააღმდეგ აგორდა...**

– სად მუშაობ? ვინ გასწავლა ჟურნალისტიკა? დებილი ხარ შენ, ვიღაცა ხარ! (ყვირის) დავაი, დაახვიე, რა! (ყვირის).

**ზუსტად 2 წუთში უკვე თვითონ მირეკავს:**

– ნინო, ბოდიშს გიხდი, ავღელდი წელან... ახლა დავწყნარდი და შეგვიძლია, ვისაუბროთ, გისმენთ, რა გაინტერესებს?

— **(ვუხსნი ისევ)...**

– მოდი, პირდაპირ ასე დაწერე, რა: თუ ვინმე მიიჩნევს თავს ჩემს მსხვერპლად, მაშინ გამოვიდეს და წავიდეს სასამართლოში, თუ არადა, მორჩეს ჭორაობას, რა. პროკურატურას მე მივმართე პირველმა.

დავმშვიდდი ახლა... თინა კანდელაკზე რა კითხვა არის, რომ ნორმალური პასუხი გაგცე?

— **(ვუმეორებ)...**

– 2013 წელს დაბადების დღეზე თბილისში რომ გადაიხადა, ნომერ პირველი სტუმარი ვიყავი მე, თავიდან ბოლომდე. ეს მოხდა მთაწმინდის რესტორანში. იყო ძალიან ბევრი ადამიანი, მეორე ოთახში იყვნენ დეპუტატები „ქართული ოცნებიდან“, ჩემი მეგობრები, რომლებიც მე თინას გავაცანი. თინა კანდელაკს ძალიან დიდი ხანია ვიცნობ, თითქმის ბავშვობიდან. ჩვენ ვიყავით ერთმანეთის შეყვარებულები, პირდაპირ გეტყვით და ამას იმიტომ ვამბობ, რომ თინამ უკვე დაწერა ეს. სექსუალური შევიწროება მასთან არ დამჭირვებია არასდროს და არც მქონია სექსი, პირდაპირ გეტყვით, რა. ხომ შეიძლება, მაგ ასაკში პლატონურად იყო შეყვარებული? შენ გაინტერესებს, მქონდა თუ არა სექსი კანდელაკთან?

— **მე ის კითხვა დავსვი იმიტომ, რომ მაინტერესებდა, ხომ არ თვლიდი, რომ ეს...**

– თინასთან დაკავშირებით, ძალიან სერიოზული ქონების პატრონია ის ქალი და უსერიოზულესი ტელევიზიის მენეჯერია, ხო? თუ „ალია“, ან სხვა გაზეთი შეძლებს, მისწვდეს, ჰკითხოს – შევავიწროე თუ არა 2013 წელს დაბადების დღეზე? მანამდე ეს გოგო, ჩემი მეგობარი, არ მინახავს. სკაიპით ვურეკავ ხოლმე, შეიძლება ტელეფონით ვავიწროებდი, ეს დაწერე ყველაფერი, რა... შეიძლება ვავიწროებდი სკაიპით და ვეუბნებოდი... ხო, დაახლოებით, 100 მილიონი დოლარის ქონების პატრონია და მე ჩემს სამსახურეობრივ მდგომარეობას ვიყენებდი და ვეუბნებოდი – გავაგდებინებ შენს თავს მაგ მედიას, თუ არ გაიხდი და ტელევიზორში მკერდს არ მაჩვენებ-თქო, სკაიპში... მოკლედ, როგორი საგიჟეთია, იცი?

— **აბსოლუტურად მესმის...**

– მე და თათია სამხარაძეს რა ურთიერთობა გვქონდა, რაზე ვსაუბრობდით და როგორ ვხუმრობდით, ეს არის ჩემი და თათია სამხარაძის საქმე, ხო? როგორც კი ამ გოგომ ჩაწერა რაღაც, ამით რაღაც ზღვარს გადავიდა, ხო? ეგრეა ახლა, ადამიანურად რომ განვიხილოთ, ასეა, არ ვარ მართალი? ოთხი წელია ვიცნობ. ჩემს ცოლს რეებს წერს, რომ იცოდე, როგორ უყვარს და როგორ უნდა ბავშვების მონახულება, აი, ზუსტად ამ შევიწროების ფაქტის შემდეგ. არსებობს ეს მიმოწერა. ჩემთან სახლში რამდენჯერმე ნამყოფია, საქმიანი, მეგობრული ურთიერთობა რომ აქვს ჩემთან, ჩემს ცოლთან, ყველასთან, ჩემს უახლოეს მეგობარ პროდიუსერთან, რომელიც, სხვათა შორის, გოგონაა, ვინც ჩემთან მუშაობს და რომელიც, სხვათა შორის, სულ იცავდა მაგას თავის დაგვიანებების და უდისციპლინო მოქცევის გამო. მე ვარ გაოგნებული უბრალოდ ამით, მაგრამ არ მიკვირს, რა, რადგან ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა-ს პრინციპია. ახლა ეს ფემინისტი ქალბატონები, რომლებიც რაღაც გარკვეული პროცესის მედროშედ იყენებენ და კანონმდებლობაში ცვლილება უნდათ, ჩემი აზრით, მალე ნახავენ, რომ ეს არის აბსურდული საქმე და ჩემს სექსუალურ მონსტრად გამოყვანა როგორ უნდა... მე უკვე მივხვდი, რომ ეს ადამიანები არც ჩემს საქმიან რეპუტაციას დაგიდევენ რამედ, არც დედაჩემს, ჩემს ცოლს, რომელსაც ოთხი

### სასწრაფო

ღამეა არ უძინია – ამათ არაფრად არ თვლიან, მაგრამ ნუ, ახლა, როგორ გითხრათ, სასამართლო არსებობს ამ ქვეყანაში და ამ პროცესებს მე ყველას მოვიგებ, მე დარწმუნებული ვარ ჩემს სიმართლეში და მოვიგებ და დამთავრდება ეს ყველაფერი. აი, მერე რას იტყვიან ის ადამიანები, რომლებიც ახლა თათია სამხარაძეს უდგანან გვერდში? რაც მთავარია, ტელეკომპანია „იმედზეა“ აქ პრობლემა, არ გაინტერესებთ ეგ თემა?

— **როგორ არ მაინტერესებს? გისმენთ!**

– ტელეკომპანია „იმედმა“ 50 კაცი გამოაგდო და დღემდე არ იძახის – რატომ? ეს არის სამარცხვინო ტელევიზია, რომელსაც სამარცხვინო დირექტორი ჰყავს, რომელსაც არ ჰყოფნის იმის გამბედაობა, გამოვიდეს და მე კი არა, საზოგადოებას უთხრას, ჩემს გარდა 50 კაცი რატომ გააგდეს? ეს არის ყველაზე დიდი საშინელება, რომ ნომერ 2 ტელევიზია საქართველოში არის ისეთი, როგორიც არის და რომელსაც მართავს სრულიად უსუსური ადამიანი, რომელიც ახლა ჩირგვებში ზის, არ საუბრობს და ძალმომრეულ გადაწყვეტილებებს იღებს და მათი მიღების შემდეგ, ეშინია საუბარი ამ თემაზე. ეს არის ყველაზე ამაზრზენი, რაც ხდება. ამ საქმის გასაღები არის ეს: რატომ მომიშორეს ეკრანიდან? ამაზე უნდა ვისაუბროთ.

— **როგორ ფიქრობთ, რატომ მოგიშორეს?**

– კი არ ვფიქრობ, ზუსტად ვიცი, რატომ. უბრალოდ მე მინდა, მოვაგროვო ყველა სამხილი, რომ შემდეგ... სასამართლო პროცესების განაჩენებით ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ მე ძალადობა არ ჩამიდენია, ხომ უნდა დამტკიცდეს, ხომ უნდა თქვას პროკურატურამ, არის თუ არა იქ ძალადობა? ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მერე ბევრი რაღაც უნდა გაირკვეს. მე „ფეისბუკში“ დროდადრო ვაწყდები ვიღაც გოგონების სტატუსებს, ჩემზეც იძალადაო, შემდეგ ეს სტატუსები ქრება. ვინ არიან ეს გოგონები, არც მახსოვს. ეს არის ძალიან დაბალი დონის კამპანია, გესმით? და შესაბამისად, მოვითხოვ, რომ ყველაფერი გაირკვეს.

## ეროს რამაზოტის კონცერტის ბილეთების ფასი 20-დან 90 ლარამდე იქნება



იტალიელი მუსიკოსის, ეროს რამაზოტის კონცერტის ბილეთების ფასი 20-დან 90 ლარამდე იქნება.

რამაზოტის კონცერტი 24 აპრილს თბილისში, სპორტის სასახლეში გაიმართება. (2030.news)

## „არავის წარმოუდგენია, რომ, თუ 20 წლის ბიჭები ერთმანეთის ლოშნით გამოვლენ, თქვენ ამას მოიწონებთ“



პარლამენტის ვიცე-სპიკერის განცხადებით, რეფერენდუმის ჩატარება დღის წესრიგში დადგება იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება საკონსტიტუციო ცვლილებების გატანა და 113 დეპუტატის მხარდაჭერის მობილიზება.

ჩატარდება თუ არა 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ქვეყანაში რეფერენდუმი და განისაზღვრება თუ არა კონსტიტუციით ქორწინების ცნება – გედევან ფოფხაძის იდეაზე დუშეთში იმსჯელეს, სადაც საყოველთაო სახალხო განხილვა გაიმართა.

ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს არ არის რომელიმე კონკრეტული პოლიტიკოსის იდეა, არამედ ინიციატივა საზოგადოების განწყობის გამომხატველია.

საკონსტიტუციო ცვლილებები გულისხმობს, კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციის განსაზღვრას, როგორც მამაკაცისა და ქალის ერთობას.

„მრეწველების“ ლიდერი გოგი თოფაძე კი მიიჩნევს, რომ რეფერენდუმი აუცილებლად უნდა ჩატარდეს, მიუხედავად იმისა, მოხერხდება თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება.

– არავის წარმოუდგენია, რომ მთიულეთში, სვანეთში, ყაზბეგში, ორი ახალგაზრდა მამაკაცი გამოვა, 20 წლის ბიჭი მოვა და ერთმანეთის ლოშნით გამოვლენ და თქვენ ამას მოიწონებთ. პარლამენტში 113 ხმა უნდა დავაგროვოთ, რა თქმა უნდა, რეფერენდუმი მაინც გვინდა ჩავატაროთ, იმიტომ, რომ ეს უფრო ძლიერი იურიდიული ნორმაა, მაგრამ თუნდაც 113 რომ იყოს, 120-იც რომ იყოს, ესე იგი 20 პროცენტი ამას არ ემხრობა, – განაცხადა გოგი თოფაძემ. (rustavi2.com)

## ქუმსიშვილი: ვრჩები მმართველობით ნაწილში



დიმიტრი ქუმსიშვილი საარჩევნო სიაში დიდი ალბათობით არ იქნება. ამის შესახებ თავად ეკონომიკის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა. ქუმსიშვილის თქმით, ის რჩება აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

– საარჩევნო სიაში ძალიან დიდი ალბათობით არ ვიქნები, იმიტომ, რომ ვრჩები მმართველობით ნაწილში. რაც ეხება თარიღებს, თარიღები გამოცხადებულია, პრეზიდენტმა გადმოაგზავნა, - განაცხადა ქუმსიშვილმა. (news.ge)

## ვალიშვილი „გაზპრომზე“: ჩვენთვის მისაღები შედეგის შემოთავაზება თუ არ მოხდებოდა, ბუნებრივია, დათანხმებას არავინ აპირებდა

– „გაზპრომის“ შემოთავაზებას არ დავთანხმდებოდით, თუ ჩვენთვის მისაღები პირობები არ იქნებოდა, - ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ისაუბრა. მარიამ ვალიშვილის განცხადებით, „გაზპრომის“ თემა, მისი იმიჯიდან გამომდინარე, ყოველთვის ხმაურიანი იყო არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც.

– ხელშეკრულებაში, რომელიც დადებული არის „გაზპრომ-ექსპორტსა“ და გაზის ტრანსპორტირების კომპანიას შორის, პირობა არის უცვლელი — 10 პროცენტი გატარებული მოცულობისთვის და ბუნებრივია, ხელშეკრულების ვადაც არის ერთწლიანი, განსაზღვრული მხოლოდ წლის ბოლომდე.

ხმაურიანი თემა „გაზპრომთან“ მიმართებაში მარტო საქართველოსთან მიმართებაში არ შეიძლება, ევროპაშიც, „გაზპრომის“ იმიჯიდან გამომდინარე ყოველთვის ხმაურიანი თემა არის. ვის როგორ უნდოდა ამ თემის წარმოჩენა, მე არ ვიცი, მაგრამ ძალიან პრაგმატული მიდგომა იყო მთელი ამ თვეების განმავლობაში ჩვენი მხრიდან. არის შედეგი, რომელიც იყო თეორიაში ჩვენთვის მისაღები, ამ შედეგის შემოთავაზება თუ არ მოხდებოდა, ბუნებრივია, დათანხმებას არავინ არ აპირებდა, - განაცხდა ვალიშვილმა.

შეგახსენებთ, „გაზპრომმა“ ქართული მხარის მიერ შეთავაზებულ კონტრაქტს ხელი მოაწერა. ენერგეტიკის სამინისტროს განცხადებით, ძალაში რჩება კონტრაქტის ძველი პირობები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ბუნებრივი აირის სომხეთში ტრანზიტის სანაცვლოდ, გატარებული გაზის 10 პროცენტი დარჩება. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



# 7 მაისიდან

## „ბოდიშს ვიხდით, იმ შექმნილი პრობლემის გამო, რაც მეტროპოლიტენის




**„მემანქანე, აუნაზღაურებელი ჯანმრთელობის ხარჯზე, საათში 6.92 ლარად, დღის განმავლობაში 300 000 მგზავრს ემსახურება!“**

ეს პროტესტი ერთი თვის წინ დაიწყო, მეტროს თანამშრომლები ხელფასის მომატებასა და შეღავათებს ითხოვდნენ. 21-დღიანი საპროტესტო ვადის გასვლის შემდეგ, თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ მეტროს თანამშრომლების წელთანამსახურების ანაზღაურებისთვის დამატებით 1 მილიონი ლარი გამოყო, თუმცა, მემანქანეებისთვის ხელფასის გაზრდაზე უარი თქვა.

„სატრანსპორტო კომპანიაში 6000-მდე თანამშრომელია დასაქმებული, რომელთა საერთო სახელფასო განაკვეთი კომპანიის საერთო შემოსავლების 65%-ს აღემატება. აქედან გამომდინარე, კომპანია არ განიხილავს დასაქმებულთა ცალკეული ჯგუფისთვის (მემანქანეები) ანაზღაურების გაზრდას, ვინაიდან ეს გამოიწვევს სამართლიან უკმაყოფილებას სხვა თანამშრომლებში, შესაბამისად, ხელფასის მატება ყველა დასაქმებულისთვის საჭიროებს საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსების მოზიდვას, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია“, განაცხადეს კომპანიაში.

ხელფასის მატებასთან დაკავშირებით მემანქანეების მხრიდან გამოთქმული მოთხოვნების საპასუხოდ, სატრანსპორტო კომპანია მათ სახელფასო განაკვეთებს აქვეყნებს. კომპანია აცხადებს, რომ მეტროს მემანქანეების სახელფასო განაკვეთი შედგება საათობრივი ანაზღაურებისგან, ასევე, მავნე და მძიმე პირობების დანამატის, დღესასწაულებზე და ღამის საათებში შესრულებული სამუშაოს, კლასის (თანრიგის) დანამატის, ასევე მეცამეტე ხელფასისა და სააღდგომო პრემიისგან. მალალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე აქვე წარმოგიდგენთ მეტროს მემანქანეების საშუალო ხელფასებს:

დეპოს მორიგე – 1 455 ლარი;

დეპოს მანევრის მემანქანის თანაშემწე – 981 ლარი;

დეპოს მანევრის მემანქანე – 1 300 ლარი;

მეტროპოლიტენის ადმინისტრაციის ამ განცხადების შემდეგ, 8 აპრილს, დილით თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეები და სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე პირები მეტროსადგურ „დიდუბის“ შესასვლელთან შეიკრიბნენ და აქცია-ბრიფინგი გამართეს.

**„ალია“ მეტროპოლიტენის გაფიცულ თანამშრომლებს ესაუბრა, რომლებიც „ერთობა 2013“-ის წევრები არიან.**

**ემზარ ბარბაქაძე, „ერთობა 2013“-ის წევრი:**

– ვეხმაურები სატრანსპორტო კომპანიის მიერ გამოქვეყნებულ ცრუ განცხადებას, მივმართავ საზოგადოებას! სწორედ ამ ტყუილებმა მიიყვანა მემანქანეები ამ უკიდურესობამდე, რაც იმ განცხადებაში ციფრებია მოყვანილი, სულ მცირე, 30 პროცენტით ნაკლებია რეალობა, რაც შეეხება დანამატებს, თითოეული მათგანი წინა დამსაქმებელთან ჩვენი ბრძოლის შედეგია, მათ შორის ის სოციალური დახმარებები, რომელიც კომპანიამ ახსენა, ეს თანხები იხარჯებოდა ერთეულების პრემიებში და ამ პრემიებზე, ამიტომ უარი ვათქმევინეთ და ეს თანხა მეტროპოლიტენის თანამშრომლებისა და სააღდგომო დანამატს, მეცამეტე ხელფასში გადავარიცხვინეთ, ესეც წინა დირექტორის პირობებში განხორციელდა, თუ ეს მათი მიღწევაა, მაშინ რატომ გვეუბნებიან უარს ამ დანამატების კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანაზე? სატრანსპორტო კომპანიის ეს განცხადება, ცეცხლზე ნავთის დასხმაა! მოვითხოვთ, გამოაქვეყნონ ადმინისტრაციის ხელფასები, დანამატები და პრემიები, ასევე ყოველი სამივლინებო ხარჯები და ამ მივლინებების შედეგები. ასევე, მოვითხოვთ, გამოაქვეყნონ მათ მიერ განხორციელებული პროექტები, ინოვაციები და. ა.შ. საინტერესოა, ამ წელიწად-ნახევარში რა გააკეთეს კომპანიის განვითარებისთვის?!

**იოსებ ციცქიშვილი, „ერთობა 2013“-ის წევრი:**

– მივესალმები ქალაქ თბილისის მოსახლეობას, მეტროპოლიტენის ელმატარებლების მემანქანეთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირ „ერთობა 2013“-ის სახელით და პირველ რიგში, ბოდიშს ვიხდით, იმ შექმნილი პრობლემის გამო, რაც მეტროპოლიტენის გაჩერებას მოჰყვება, მაგრამ ამ ყველაფერში ჩვენი ბრალეულობა მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ ვცდილობთ საკუთარი შრომის უფლებების დაცვას. სატრანსპორტო კომპანიის საიტზე დაიდო, საჯაროდ, მემანქანეთა ხელფასები, რაც ერთმნიშვნელოვნად პროვოკაციული ქმედებაა. თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ თანხები მინიმუმ 30%-იანი ცდომილებით იქნა გამოქვეყნებული. ხაზის მემანქანის ანაზღაურება ნამუშევარი საათების მიხედვით ხდება, რომელიც საათში 6,92 ლარს შეადგენს (დაბეგვრის გარეშე). თვეში მუშა საათების რაოდენობაა 144-დან 150 საათამდეა, დანარჩენი, უბრალო არითმეტიკაა 150*6,92=1038 ლარი, ამას დამატებული 56 ლარი მძიმე, მავნე და სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში მუშაობისა +8 ლარი ღამის გათევის სამსახურებრივი ვალდებულებისთვის და ყოველთვიური მეცადინეობის დანამატი 16 ლარი... ეს ყველაფერი 2013 წელში წინა დამსაქმებელთან ჩვენი აქტიურობის შედეგადაა მიღწეული. დავიბრუნეთ 2006 წელს უკანონოდ გაუქმებული დანამატების მცირე ოდენობა, საპრემიო ფონდი გავაუქმეთ, რაც მთლიანად თითზე ჩამოსათვლელ პიროვნებებს ერგებოდათ, შევქმენით მეცამეტე ხელფასისა და სააღდგომო დანამატის პრეცედენტი, ვიყავით აქტიურები და დღესაც ასე ვრჩებით საკანონმდებლო დონეზე შრომის კოდექსის განხილვის დროს. ეს ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე, 2013 წელს წინა დამსაქმებელთან მიღწეული დათმობებია. სხვათა შორის, აქტიურ ფაზაში იყო 2014 წელს წელთა ნამსახურევის გადახდა და ღამის საათის ანაზღაურება (სხვა ბევრ საკითხთან ერთად), მაგრამ ადგილობრივი არჩევნების მერე დამსაქმებელი შეგვეცვალა... ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით თბილისის მერიასთან და კომპანიის ხელმძღვანელებთან, მაგრამ ბოლო წელიწად-ნახევარი უშედეგოდ ვიბრძვით... რაც იმაში გამოიხატება, რომ ცამეტპუნქტიანი, პირობამოცემული საკითხები, რომელშიც დღევანდელი მოთხოვნებიც იყო, 2015 წლის 30 აპრილამდე უნდა გადაწყვეტილიყო, რაც არ შესრულდა. სწორედ ამან გამოიწვია დღევანდელობა. მემანქანე, აუნაზღაურებელი ჯანმრთელობის ხარჯზე,



# მეტრო გაჩერდება?!

## გაჩერებას მოჰყვება, მაგრამ სხვა გზა არ დაგვიტოვეს“



**„რისკებს ჩამოგითვლით — მთელი დღე მიწისქვეშ გატარება, დღისა და ღამის ეფექტი, რომელიც მხედველობას ანადგურებს, ელექტრული ველის ზემოქმედება, ვიბრაცია, ხმაური, რადიაციული ფონი (მობილური ოპერატორების გადამცემები), რკინის მტვერი, სიბნელე, პროფესიული დაავადებები, რისგანაც მემანქანეთა 40% საპენსიო ასაკამდე იღუპება, საწარმოო შემთხვევები, რომლებიც ჯანმრთელობის დაკარგვით დასრულდა, მეტროპოლიტენში სუიციდის ფაქტები“**

საათში 6.92 ლარად, დღის განმავლობაში 300 000 მგზავრს მოემსახურება... ამის განსჯა თქვენთვის მომინდია... მე ისეთ თემებზე გავამახვილებ ყურადღებას, როგორიცაა მთელი დღე მიწისქვეშ გატარება, დღისა და ღამის ეფექტი, რომელიც მხედველობას ანადგურებს, ელექტრული ველის ზემოქმედება, ვიბრაცია, ხმაური, რადიაციული ფონი (მობილური ოპერატორების გადამცემები), რკინის მტვერი, სიბნელე, პროფესიული დაავადებები, რისგანაც მემანქანეთა 40% საპენსიო ასაკამდე იღუპება, საწარმოო შემთხვევები, რომლებიც ჯანმრთელობის დაკარგვით დასრულდა, მეტროპოლიტენში სუიციდის ფაქტები, რაც ძალიან მძიმედ აისახება მემანქანის ჯანმრთელობაზე, ყოველდღიური კომისიები და მზადყოფნა მუშაობისთვის, ყოველთვიური სწავლა და გამოცდები, უდიდესი ყურადღების მობილიზება და პასუხისმგებლობა და ბოლოს, მარტო ყოფნა გვირაბის სიღრმეში, როცა ყველაფერზე პასუხს აგებ, მათ შორის მოძველებულ მატარებელზე და მგზავრებზე. ადვილია ლაპარაკი აღებულ ფულზე და არა იმაზე, რის ფასად არის ნაშოვნი. აქვე, მოვუწოდებ თბილისის მერიასა და სატრანსპორტო კომპანიის მაღალჩინოსნებს, როგორც ჩვენი ხელფასები გაასაჯაროვეს (ცდომილებით), გაასაჯაროონ თავიანთი ხელფასები, პრემიები, დანამატები, დაზღვევები, სატრანსპორტო საშუალებები და საწვავი, მივლინებების ხარჯები და მათი შედეგები და ამ ქვეყნისთვის გაკეთებული საქმეების მარგი ქმედების კოეფიციენტი.

ბოლოს, დღევანდელ კოლაფსურ მდგომარეობის პასუხისმგებლობას 100%-ით ვაკისრებთ ქალაქ თბილისის მერიას და სატრანსპორტო კომპანიის მესვეურებს, იმიტომ, რომ მათ მიერ გაკეთებულმა უპასუხისმგებლო განცხადებამ თებერვალში წელთანამსახურეების სარგებლის ჩარიცხვის თაობაზე ბოლო წვეთის ეფექტი იქონია ისეც დამძიმებულ სოციალურ გარემოზე და დღის წესრიგში სამი საკითხი დადგა: 1. ხელფასის კორექცია, ლარის მსყიდველუნარიანობის დაკარგვის გამო (2013 წლის ხელფასზეა ლაპარაკი) – არ განიხილეს;

2. წელთანამსახურევი (ერთჯერადად ჩასარიცხი) გვქონდა 2006 წლამდე – ახლა მუშაობენ;

3. ღამის საათის განსხვავებულად ანაზღაურება (გვქონდა 2006 წლამდე) – არ განიხილეს.

**ჩვენი მოთხოვნები არის აპოლიტიკური და სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული!!! რაც შეეხება 2006 წელს, ხელფასში ყველა დანამატის გაერთიანებას, ვპასუხობთ: 2006 წელს ისეთი მიზერული იყო მემანქანის ხელფასი, რომ, რომ არა ის ყველა დანამატი, რაც გვქონდა, გაუსაძლისი იქნებოდა ჩვენი სახელფასო პირობები და ხელმძღვანელობამ, თანხა რომ მიმზიდველი ყოფილიყო, ჩვენთან შეუთანხმებლად გააერთიანა. ჩვენი ახლანდელი და მაშინდელი ხელფასები გაასაჯაროონ. ასევე, მაშინდელი ხელმძღვანელობის ხელფასები და ახლანდელი, მათ ხელფასებში რა დანამატი გაერთიანდა?!**

თბილისის სატრანსპორტო კომპანია „ალიასთან“ კომენტარს არ აკეთებს, თუმცა მეტროპოლიტენის თანამშრომლებისა და მემანქანეებისთვის გაწეული შეღავათების შესახებ ვებსაიტებზე ინფორმაციას ათავსებს. „კომპანიის მიერ მემანქანეებისთვის ხელფასის მატება, სხვა თანამშრომლების უკმაყოფილებას გამოიწვევს. მათი თქმით, კომპანია შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარება მძიმე პირობებში მომუშავე მემანქანეებსა თუ თანამშრომლებს. თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ მემანქანეების საშუალო ხელფასებიც გაასაჯაროვა... მემანქანეების მხრიდან წამოსული დამატებითი მოთხოვნები ხელფასის მატებასთან დაკავშირებით არარეალურია, რადგანაც მეტროს მემანქანეების სახელფასო განაკვეთი შედგება საათობრივი ანაზღაურებისგან. ასევე, მავნე და მძიმე პირობების დანამატის, დღესასწაულებზე და ღამის საათებში შესრულებული სამუშაოს, კლასის (თანრიგის) დანამატის, ასევე მეცამეტე ხელფასისა და სააღდგომო პრემიისგან. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, აქვე წარმოგიდგენთ მეტროს მემანქანეების საშუალო ხელფასებს:

**დეპოს მორიგე — 1 455 ლარი;**

**დეპოს მანევრის მემანქანის თანაშემწე — 981 ლარი;**

**დეპოს მანევრის მემანქანე — 1 300 ლარი;**

**მემანქანე ინსტრუქტორი — 1 986 ლარი;**

**ხაზის მანევრის მემანქანე — 1 300 ლარი;**

**ხაზის მემანქანე — 1 731 ლარი;**

**ხაზის მემანქანის თანაშემწე — 1 096 ლარი;**

თბილისის სატრანსპორტო კომპანიას, ასევე, გაფორმებული აქვს კოლექტიური ხელშეკრულება საწარმოში დასაქმებულთა გაერთიანებებთან (პროფესიულ კავშირებთან), რომელიც მიზნად ისახავს კომპანიაში დასაქმებულთა სოციალური და შრომითი პირობების გაუმჯობესებას და სოციალური პარტნიორობის პრინციპის დანერგვას. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გაერთიანებების წევრებს კომპანია დამატებით უნაზღაურებს ერთჯერად ხარჯებს:

**დაოჯახების შემთხვევაში — 250-400 ლარი დამატებით 10 სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულება; დასაქმებულ ქალთათვის ბავშვის შეძენის შემთხვევაში — 375-700 ლარი დამატებით ორი თვის სახელფასო ანაზღაურება; ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში — 250-375 ლარი დამატებით 5 სამუშაო დღე ანაზღაურებადი შვებულება; თანამშრომლის გარდაცვალების შემთხვევაში — 1000-ლარიანი დახმარება ოჯახს; კომპანიის ყველა თანამშრომელი სარგებლობს უფასო მგზავრობით (მეტრო, ავტობუსი) და კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევით.**

**აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სატრანსპორტო კომპანიაში დასაქმებულია 6000-მდე თანამშრომელი, რომელთა საერთო სახელფასო განაკვეთი შეადგენს კომპანიის საერთო შემოსავლების 65%-ს. აქედან გამომდინარე, კომპანია არ განიხილავს დასაქმებულთა ცალკეული ჯგუფისთვის (მემანქანეები) ანაზღაურების გაზრდას, ვინაიდან ეს გამოიწვევს სამართლიან უკმაყოფილებას სხვა თანამშრომლებში. შესაბამისად, ხელფასის მატება ყველა დასაქმებულისთვის საჭიროებს საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსების მოზიდვას, რისი საშუალებაც ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია.**

**თავის მხრივ, სატრანსპორტო კომპანია მოუწოდებს მეტროს მემანქანეებს უფრო მეტად გაითავისონ ის პასუხისმგებლობა, რაც მათ აქვთ საზოგადოების წინაშე და ზუსტად გააანალიზონ გაფიცვის შედეგები, რომელიც გამოიწვევს ქალაქის სატრანსპორტო ქსელის მნიშვნელოვან შეფერხებას, ვინაიდან თბილისის მეტროს მომსახურებით ყოველდღიურად 300 ათასამდე მგზავრი სარგებლობს“.**

მოკლედ, შეთანხმება ვერ შედგა, მეტიც, სატრანსპორტო კომპანიამ კიდევ ერთი განცხადება გაავრცელა: „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელობასა და მემანქანეების გაერთიანება „ერთობა 2013“-ს შორის ინტენსიურად გრძელდება მოლაპარაკებები

### პროფკავშირი

მემანქანეების მხრიდან დასმულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. კომპანია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ მოთხოვნებზე კონსტრუქციული მოლაპარაკებების გამართვის შემთხვევაში არსებობს რესურსი, იმისთვის, რომ საბოლოოდ მიღწეული იყოს კომპრომისი „ერთობა 2013“-თან, რომელიც დააკმაყოფილებს, როგორც მემანქანეებს, ასევე არ დააზარალებს კომპანიას და არ გამოიწვევს ქალაქის სატრანსპორტო ქსელის შეფერხებას. აქედან გამომდინარე, შემათანხმებელი პროცედურების გაგრძელების მიზნით, კომპანიამ მიმართა შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ საშუალებებს, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა განცხადება „გაფიცვის გადადების შეჩერების შესახებ“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 აპრილის განჩინებით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მოთხოვნა 30 კალენდარული დღის ვადით გაფიცვის გადადების თაობაზე დაკმაყოფილდა, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნულ პერიოდში, ანუ 7 მაისამდე საგაფიცვო მოქმედებების განხორციელება ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობად და გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებას.

ასე რომ, სატრანსპორტო კომპანიამ ერთი თვით დაბლოკა მეტროპოლიტენის თანამშრომლების პროტესტი.

როგორც „ერთობა 2013“-ის წევრები „ალიასთან“ აცხადებენ, ისინი არ გაჩერდებიან და თუ არ მოგვარდება დათქმული დროში მათი პრობლემები, 7 მაისს გაიფიცებიან...

## მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების რეიტინგში საქართველო 113-ე ადგილზეა



Global Finance-მა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების სია გამოაქვეყნა. გამოცემა ანალიზისას მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებს დაეყრდნო და ცვლადებად ერთ სულ მოსახლეზე მშპ, ინფლაციის დონე და მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა გამოიყენა.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების რეიტინგში საქართველო 113-ე ადგილზეა. რაც შეეხება რეგიონის ქვეყნებს, რეიტინგში 116-ე ადგილი დაიკავა სომხეთმა, 64-ე ადგილზეა აზერბაიჯანი, მას ორი საფეხურით უსწრებს თურქეთი, ხოლო რუსეთი 51-ე ადგილზეა.

რაც შეეხება მსოფლიოს 10 ყველაზე მდიდარ ქვეყანას, პირველ ადგილზე ყატარი გავიდა, სამეულში შედიან ლუქსემბურგი და სინგაპური.

მეოთხე-მეხუთე პოზიციებზე ბრუნეი-დარუსალამი და ქუვეითი არიან. ასევე, ათეულში შედიან, ნორვეგია, არაბეთის გაერთიანებული საამიროები და ჰონკონგი. ათეულს ასრულებენ ამერიკის შეერთებული შტატები და შვეიცარია.

რეიტინგის პირველი 25 ქვეყნიდან 12 ევროპულია. (businesscontact.ge)

## პოროშენკო Roshen-ს ვერ ყიდის




უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ვერ შეასრულა დაპირება, რომ გაყიდდა კომპანია „როშენს“, მიზეზი კი მყიდველის არარსებობაა, – ამის შესახებ მან იაპონიის ნაციონალურ პრესცენტრში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– ჩემი კომპანია და ქვეყანა საომარ მდგომარეობაში იმყოფება, მყიდველი არ მოიძებნა. ჩემი კომპანიის აქტივების ნაწილი რჩება რუსეთში. ამავე დროს ოფშორები აბსოლუტურად გამჭვირვალე მექანიზმია, რომლითაც სარგებლობენ პოლიტიკოსები მთელი მსოფლიოდან. უბრალოდ, მე პირველი უკრაინელი პოლიტიკოსი ვარ, რომელსაც სურს, გაყიდოს აქტივები, რომლებიც ამავე დროს სრულიად გამჭვირვალეა, – განაცხადა პრეზიდენტმა.

უკრაინის პირველი პირი ადრე აცხადებდა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ჩამოშორდა მის საკუთრებაში არსებული აქტივების მართვას და ის საკონსალტინგო კომპანიას გადასცა სამართავად. იურიდიული კომპანია Avellum-ი ამავე დროს აღნიშნავს, რომ უკრაინული კომპანია „როშენი“ განაგრძობს გადასახადების გადახდას უკრაინის ტერიტორიაზე და ყველა ბრალდება გადასახადისგან თავის არიდების შესახებ უსაფუძვლოა. (businesscontact.ge)

## საფრანგეთი პროსტიტუციას კრძალავს



2-წლიანი დებატების შემდეგ საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატა ბოლო მოსმენით განიხილავს პროსტიტუციის აკრძალვის კანონპროექტს, რომელიც მთავრობის ინიცირებით არის შეტანილი.

პირველი მოსმენა კანონპროექტზე 2013 წლის დეკემბერში გაიმართა.

კანონპროექტის მიხედვით, ე.წ. კლიენტებს ეკრძალებათ სექსუალურ მომსახურებაში თანხის გადახდა. მსგავსი კანონი შვედეთში 1999 წლიდან მოქმედებს.

წარდგენილი კანონპროექტის მიხედვით, პირები, რომლებიც სექსისთვის ფულს გადაიხდიან, პირველ ჯერზე 1500, ხოლო განმეორებით შემთხვევაში 3500 ევროთი დაჯარიმდებიან.

„ფრანსპრესის“ ინფორმაციით, სექსმუშაკები ეროვნული ასამბლეის შენობის წინ გაფიცვის მოწყობასა და კანონპროექტის გაპროტესტებას აპირებენ, რომელიც მათ სამუშაო ადგილებს დააკარგვინებს. არსებული მონაცემებით, დღესდღეობით საფრანგეთში 30-40 ათასი სექსმუშაკია.

ამ დროისთვის პროსტიტუცია საფრანგეთში ლეგალიზებულია, თუმცა საჯარო ადგილებში კლიენტების მოზიდვა და რეკლამირება აკრძალულია. ასევე, აკრძალულია ბორდელები. (euronews.ge)

## მიკროავტობუსიდან, რომელიც რიკოთის უღელტეხილზე გაქურდეს, 80 ათასამდე ლარია წაღებული




მიკროავტობუსი, რომლითაც ბათუმელი მოვაჭრეები თბილისში, ლილოს ბაზრობაზე მოდიოდნენ, რიკოთის უღელტეხილზე გაქურდეს.

ამის შესახებ ერთ-ერთი მოვაჭრე აცხადებს. მისი თქმით, წაღებულია 80 ათასამდე ლარი.

შემთხვევა 7 აპრილს გამთენიისას მაშინ მოხდა, როდესაც მიკროავტობუსი რიკოთზე გაჩერდა და მასში არავინ იმყოფებოდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება 177-ე, ქურდობის მუხლით დაიწყო. (frontnews.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# მთავარ პროკურატურას კეზერაშვილის „ყურით ჩამოთრევის“ ახალი შანსი მიეცა!!!

### იმედია, მოსამართლე ასმათ კოხრეიძე „ალია ჰოლდინგისა“ და კეზერაშვილის საქმეზე გონივრულ და სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანს

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირებაზე უარი ჯერ საფრანგეთის ექსპროვანსის სასამართლომ განაცხადა, ამჯერად კი საქართველოს ხელისუფლებას მის გადმოცემაზე უარი ლონდონის სასამართლომ განუცხადა.

კეზერაშვილი ქართული სამართალდამცველების მიერ რამდენიმე ბრალდებით იძებნება, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ შეძლეს ევროპელი მოსამართლეებისა და პროკურორების დარწმუნება დავით კეზერაშვილის დანაშაულში, ან, უბრალოდ, ამის სურვილი არც აქვთ და ეს არც გააკეთეს. როცა საფრანგეთის სასამართლოში კეზერაშვილის საქართველოში ექსტრადირების საკითხი იხილებოდა, ფრანგი პროკურორები გაოცებას ვერ მალავდნენ, იმდენად უსუსური მტკიცებულებები ჰქონდათ გაგზავნილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან, იუსტიციის სამინისტროს კი ეს მტკიცებულებები მთავარმა პროკურატურამ მიაწოდა. მაშინ გავრცელდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მთავარ პროკურატურაში ეს შეგნებულად გაკეთდა და ადეიშვილის პროკურორებმა და გამომძიებლებმა გააკეთეს. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლონდონის სასამართლოშიც იგივე მოხდა. მოკლედ, საქმე გვაქვს მთავარი პროკურატურის სრულ უუნარობასთან. თუმცა, ორიოდე დღის წინ საქართველოს ხელისუფლებას კიდევ გაუჩნდა შანსი, დავით კეზერაშვილის საქართველოში ჩამოყვანისა და გასამართლებისა არა მხოლოდ ძველ ბრალდებებზე, არამედ, სავარაუდოდ, ახალი ბრალდების საფუძველზე.

შვეიცარიული მედიის ინფორმაციით, ე.წ. „პანამურ დოკუმენტებში“ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის სახელი ფიგურირებს.

როგორც შვეიცარიული გამოცემა **Tribune de Geneve** წერს, 2006 წელს, როდესაც დავით კეზერაშვილმა თანამდებობა დაიკავა, ის მხოლოდ ერთ ბინას ფლობდა. „2008 წლის დეკემბერში, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ, ის იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა და... მალევე ოლიგარქი გახდა“, – წერს **Tribune de Geneve**. გამოცემის ინფორმაციით, კეზერაშვილის გადადგომიდან 10 დღეში ნდობით აღჭურვილმა პირმა მისთვის სამი ოფშორული კომპანია დააფუძნა. აღნიშნული კომპანიების ანგარიშებზე ნავთობის გაყიდვიდან მიღებული დიდი თანხები ირიცხებოდა.

**Tribune de Geneve**-ის ინფორმაციით, „პანამური დოკუმენტებიდან“ ირკვევა, რომ 2012 წელს კეზერაშვილის ერთ-ერთმა ოფშორულმა კომპანიამ შვეიცარიულ ბანკში, **Banque Cantonale de Geneve**-ში **(BCGE)** გახსნა ანგარიში, სადაც 20 მილიონი ფრანკი გადაირიცხა. ამას გარდა, რამდენიმე შვეიცარიულ ბანკში **(ABN AMRO da BNP Paribas)** ანალოგიური გზით გადაირიცხა კიდევ 25 მილიონი ფრანკი.

შვეიცარიული გამოცემა, ასევე, აღნიშნავს, რომ 2013 წელს დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ კორუფციის ბრალდებით გამოძიება დაიწყო და ინტერპოლმა მისი დაკავების ორდერი გასცა. გამოძიების დაწყების შემდეგ 2013 წლის მაის-ივნისში კეზერაშვილის ნდობით აღჭურვილმა პირმა პანამურ იურიდიულ კომპანიას **Mossack Fonseca**-ს მოულოდნელად დოკუმენტების უკანა თარიღით რეგისტრირება მოსთხოვა. ამის შემდეგ, სასამართლო საქმის წარმოების დაწყებამდე, კეზერაშვილმა მთელი თავისი აქტივები სხვა ორ ოფშორულ კომპანიაში გადაიტანა.

**Tribune de Geneve**-ის ცნობით, კეზერაშვილის ნდობით აღჭურვილმა პირმა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა შეკითხვებს უპასუხა, რა დროსაც განაცხადა, რომ ის ფინანსური შუამავლის როლს არ ასრულებდა და მის კომპანიას კლიენტების ანგარიშებისადმი წვდომა არ ჰქონდა.

2016 წლის 7 აპრილს შვეიცარიის პროკურატურამ რამდენიმე ბანკის საქმიანობის შესწავლა დაიწყო, მათ შორის ერთ-ერთი **BCGE**-ია, რომელშიც დავით კეზერაშვილთან დაკავშირებულ კომპანიას ანგარიში ჰქონდა გახსნილი.

გამომძიებელი ჟურნალისტების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ გამოქვეყნებული მასალების თანახმად, პანამური იურიდიული კომპანია **Mossack Fonseca** ზოგიერთ შემთხვევაში კლიენტებს ფულის გათეთრებასა და გადასახადებისგან თავის არიდებასა და სანქციების გვერდის ავლაში ეხმარებოდა. გამოძიება **Mossack Fonseca**-ს 11,5 მილიონი დოკუმენტის შესწავლას ეფუძნება. იურიდიული კომპანიის კლიენტებს შორის ნახსენები არიან მსოფლიოს ყოფილი და მოქმედი ლიდერები, პოლიტიკოსები, ცნობილი სპორტსმენები.

ამ საქმეში ჩართული ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ ამ ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიები და შესაბამისად, მათი მფლობელები, დიდი ოდენობით „შავ ფულსაც“ ათეთრებდნენ, იარაღითაც ვაჭრობდნენ უკანონოდ და ტერორისტებსაც ამარაგებდნენ იარაღით, ასევე, სხვადასხვა გზით აფინანსებდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებს. დავით კეზერაშვილი კი ამ ყველა ბრალდებაშია ეჭვმიტანილი სხვადასხვა ქართველი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მიერ. ამის შესახებ ქართულ და უცხოურ მედიაში არაერთი პუბლიკაცია დაბეჭდილა და ტელევიზიითაც არაერთი მასალა გასულა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მიერ ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიების მიერ იარაღით უკანონო ვაჭრობის შესახებ ლაპარაკია ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონისა და საქართველოში ამერიკის ელჩის, ჯონ ტეფტის მიმოწერაში, რომელიც თავის დროზე „ვიკილიკსმა“ გაასაჯაროვა. იმ დროს თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი იყო და სავარაუდოდ, ეს კომპანიები მის სახელზე იყო რეგისტრირებული.

თუ საქართველოს პროკურატურამ ამ მიმართულებით იმუშავა, წესით, ნათელი მოეფინება იმ ფაქტსაც, როგორ გახდა თავდაცვის მინისტრობიდან გადამდგარი დავით კეზერაშვილი 2 წელიწადში მილიარდერი და „ნაცმოძრაობის“ მთავარი დამფინანსებელი. მოკლედ, მთავარ პროკურატურას შანსი მიეცა, დავით კეზერაშვილს ისეთი ბრალი წაუყენოს, ვერც ერთი ქვეყნის სასამართლომ ვერ გაუბათილოს და ვნახოთ, გამოიყენებს თუ არა ამ შანსს.







მკითხველს შევახსენებ, რომ დავით კეზერაშვილი „ალია ჰოლდინგსა“ და პირადად მე, ჟურნალისტ ლევან ჯავახიშვილსაც გვიჩივის 2014 წლის 23 ივნისს, გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებული ჩემი სტატიის გამო – „როგორ იუბილეებს იხდიდნენ „ნაციონალები“ და მათი ოჯახის წევრები ბიუჯეტის ხარჯზე“. ამ პუბლიკაციაში, დახურულ წყაროზე დაყრდნობით, ვწერდი, რომ 2008 წლის 22 სექტემბერს, დავით კეზერაშვილმა, სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით გადაიხადა დაბადების დღე, რაც 17 000 ლარი დაჯდა. კეზერაშვილი ამ ფაქტს უარყოფს და სასამართლოსაც მიმართა. ჩვენგან დავით კეზერაშვილი მოითხოვს, გავრცელებული ცნობების უარყოფას და მორალური ზიანის საფასურად, 2 500 ლარს. ეს საქმე საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ასმათ კოხრეიძემ განიხილა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. გავრცელებული ცნობების უარყოფაც დაგვავალა „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ მეშვეობით და კეზერაშვილის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად(!!!) ეს 2500 ლარიც დაგვაკისრა. ეს დაუსწრებელი გადაწ-

### სამართალი

ყვეტილება მოსამართლე ასმათ კოხრეიძემ იმიტომ გამოიტანა, რომ მე სასამართლო პროცესზე წარმოვადგენ საკუთარ თავსაც და „ალია ჰოლდინგსაც“, ცხადია, შესაბამისი რწმუნების საფუძველზე და ორჯერ, საპატიო მიზეზის, ავადმყოფობის გამო, ვერ დავესწარი სასამართლო სხდომას, ორივე შემთხვევაში, პროცესის დაწყებამდე ვერ მოვასწარი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ჩემი ავადმყოფობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. პირველად ეს 2015 წლის 22 ივლისს მოხდა, მეორედ, იმავე წლის 29 ივლისს. სწორედ ამ დღეს გამოიტანა მოსამართლე ასმათ კოხრეიძემ დაუსწრებელი გადაწყვეტილება დავით კეზერაშვილის სასარგებლოდ. თუმცა, სასამართლოს ორივე შემთხვევაში წარვუდგინე ჩემი ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობები, რომელთა თანახმადაც, ავად ვიყავი და სასამართლო სხდომებს ამის გამო ვერ დავესწრებოდი. მეტიც, როცა მოსამართლე ასმათ კოხრეიძემ ჩვენთვის გამამტყუნებელი გადაწყვეტილება მიიღო, იმ დროს ერთ-ერთ კლინიკაში ვიწექი და სხდომას როგორ დავესწრებოდი? ამ ცნობების საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, ხელახლა განეხილა ჩვენი საქმე, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ ასმათ კოხრეიძის მიერ, დავით კეზერაშვილის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმებულია და ყველაფერი თავიდან დაიწყო. საქმე ისევ მოსამართლე ასმათ კოხრეიძეს დაეწერა და პროცესი 15 აპრილს არის ჩანიშნული.

იმედია, ქალბატონი ასმათ კოხრეიძე გონივრულ და სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანს, იმ მოსამართლეთა რიგებში არ ჩაეწერება, რომელნიც, მიზეზთა გამო, დღემდე ცდილობენ „ნაციონალური“ მოძრაობის“ სხვადასხვა ლიდერთა „გათეთრებას“ და ამჯერად, საქართველოს სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულ დავით კეზერაშვილს „თეთრ ყვავად“ არ წარმოაჩენს...

# რატომ გაეჩხირა ისევ ყელში „ალია“ კინწურაშვილს?!

## ივანიშვილი მეტის ღირსია, რადგან ასეთებისთვის შექმნა სასათბურე პირობები!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61







**კინწურაშვილი, რომელიც თავის დროზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელი იყო და რომელსაც დიდი თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებდნენ, ნაკერავზე იხევა და ევროპელ „მეგრანტეებთან“ „დანოსს“ „დანოსზე“ აგზავნის**

**მაშინ, როცა კინწურაშვილს 1 თეთრიც კი არ შეაქვს ბიუჯეტში (საგადასახადო კოდექსის თანახმად, საქართველოში გრანტის მიმღები განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან), „ალიას“ მხოლოდ 2015 წელს საშემოსავლოს, მოგების ქონებისა და მიწის გადასახადის სახით შეტანილი გვაქვს 98 ათას 875 ლარი და 47 თეთრი!**

თამარა კინწურაშვილმა, „ემდეეფის“ („მედიის განვითარების ფონდი“) „ნაციონალმა“ დედა-დედოფალმა, კიდევ ერთხელ ამოქოქა თავისი დაჩლუნგებული „დრუჟბა“ და გადაწყვიტა, საბოლოოდ გადაგვხერხოს თავის სიმაღლეზე. დიახ, მან კიდევ ერთხელ „დაუპიპინა“ თავის ევროპელ დამფინანსებლებს, საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება საბიუჯეტო რეკლამის განთავსება ისეთ მედიებში, რომლებიც სიძულვილის ენასა და ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებენო. აი, შარშან ხომ გაცნობეთ, 2013-2014 წლებში გაზეთებმა – „ალიამ“ და „კვირის პალიტრამ“ ერთად დაახლოებით 20 ათასი აშშ დოლარამდე სამინისტროებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისგან სარეკლამო კონტრაქტებისა და სხვა ხელშეკრულებათა სახით რომ მიიღესო... ჰოდა, ნუ იტყვით, საქართველოს მთავრობას იგივე 2015 წელსაც „მიუქარავსო“. თამარ კინწურაშვილი, რომელიც თავის დროზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელი იყო და რომელსაც დიდი თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებდნენ, ნაკერავზე იხევა და ევროპელ „მეგრანტეებთან“ „დანოსს“ „დანოსზე“ აგზავნის, საქართველოს მთავრობას რეკომენდაციებს ვაძლევთ, მაგრამ არ ითვალისწინებსო. ალბათ, გახსოვთ (ამაზე უკვე ვწერდით), კინწურაშვილის „კანტორა“ ჩვენს მთავრობას ასეთ რეკომენდაციებს აძლევდა:

„ხელისუფლებამ უნდა გადახედოს მის კონტრაქტებს მედიასაშუალებებთან და გააუქმოს, ან განაახლოს ისინი, თუ მედია შეიმჩნევა რასისტულ ან ჰომო-ტრანსფობიურ სიძულვილის ენის გამოვლენაში. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მომავალი კონტრაქტები შეიცავდნენ დათქმას კონტრაქტის გაუქმების შესახებ, თუკი მედიაში გამოვლინდება რასისტული ან ჰომო-ტრანსფობიური სიძულვილის ენა“.

უკაცრავად, მაგრამ მე პირადად ასეთი „სამადავოლნი“ ქაჯები იშვიათად მინახავს...

> **ჯერ ერთი, რა შუაშია „ალია“ და „კვირის პალიტრა“ ერთად და მეორეც — რატომ არ აკონკრეტებ, სად, როდის და რა ფორმით გამოვავლინეთ რასისტული ან ტრანს-ჰომოფობიური თუ სიძულვილის ენა?! წესით, როცა ასეთ ბრალდებას აყენებ, თუ მართლა „ბალვანი“ არა ხარ, ფაქტებიც უნდა დადო.**

თუმცა თამარ კინწურაშვილმა როგორ უნდა დადოს ფაქტები, როცა არ არსებობს? წერს, „ალია“ რასიზმს ავლენს თავის სტატიებში, სიძულვილის ენას ამკვიდრებს საზოგადოებაშიო და მორჩა, ამაში იღებს ასი ათასობით დოლარს, რომელსაც რატომღაც აგენტურული საქმიანობის დაფინანსებას კი არა, მედიის განვითარებისთვის გამოყოფილ გრანტს ეძახიან. არადა, კინწურაშვილი ისე ავითარებს საქართველოში მედიას, როგორც ვინიტუ ინჩუჩუნას ვაჟი ასტაბილურებს საქართველოში ლარის კურსს!

> „ემდეეფის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2015 წელს ბეჭდვითი მედიიდან ყველაზე დიდი თანხა — 85 ათას 915 ლარი მიუღია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“; შემდეგ ადგილზეა „რეზონანსი“ — 74 ათას 536 ლარი; „კვირის პალიტრა“ — 73 ათას 513 ლარი; „ვერსია“ — 54 ათას 716 ლარი. „ჯორჯია თუდეი“ — 28 ათას 600 ლარი, „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ — 21 ათას 815 ლარი; „ენციკლოპედია ქუთაისი“ — 14 ათას 994 ლარი; სხვები — 82 776 ლარი. ისე, ჩვენ არა მხოლოდ პირველ ხუთეულში შემავალი გამოცემებისა უნდა შეგვშურდეს, არამედ „სხვებისაც“, რადგან მათთვის თითქმის 83 ათასი ლარი მიუციათ.

თამარ კინწურაშვილის „კანტორას“ ისევ გამოუცხვია „დანოსი“ ევროპული თუ ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საქართველოს მთავრობის ცალკეული ერთეულები კვლავ აგრძელებენ ისეთ მედიასაშუალებებთან სერვის-კონტრაქტების გაფორმებას, რომლებიც სიძულვილის ენას და ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებენო. მაგალითად, ასეთები გახლავთ „საქართველოს რესპუბლიკა“, „ობიექტივი“, „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, „ასავალ-დასავალი“ და სხვანიო. „მედიის განვითარების ფონდის“ ანგარიშში ჩვენ ჯერ კიდევ 2015 წელს ვწერდით, რომ ევროსაბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე ჩვენს მთავრობას უნდა შეემუშავებინა ისეთი რეგულაციები, რომლებიც ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკას კონტრაქტების გაფორმების წინაპირობად აქცევდა და უზრუნველყოფდა იმას, რომ სახელმწიფო არ შევიდოდა ფინანსურ ურთიერთობაში ისეთ ორგანიზაციებთან, რომლებიც სიძულვილს აღვივებენ, მაგრამ რად გინდა, შეაყარე კედელს ცერცვიო.

> ესე იგი, ამ კინწურაშვილს, ისე აქვს უკვე გაჩხერილი ყელში გაზეთი „ალია“, აღარ იცის, რა მოიფიქროს და რაში დაგვადანაშაულოს. არადა, მაშინ, როცა თვითონ მუქთახორობას ეწევა და 1 თეთრიც კი არ შეაქვს ბიუჯეტში (საგადასახადო კოდექსის თანახმად, საქართველოში გრანტის მიმღები განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან), „ალიას“ მხოლოდ 2015 წელს საშემოსავლოს, მოგების ქონებისა და მიწის გადასახადის სახით შეტანილი გვაქვს 98 ათას 875 ლარი და 47 თეთრი. ახლა ამოცანა გვეკითხება: კინწურაშვილს, რომელიც ყოველ 6 თვეში კიკინებს იშლის და ნერვიულობს, „ალიას“ რეკლამის სახით ფულს აძლევენო, 47 თეთრი მაინც შეუტანია ბიუჯეტში?!

> **ესე იგი, რა გამოდის? ჩვენ, როგორც იტყვიან, წელებზე ფეხს ვიდგამთ, ღამეებს ვათენებთ, ოფლს ვღვრით, ბიუჯეტს ვაკოწიწებთ, ხოლო კინწურაშვილი და მისნაირები „ბაირამობენ“. მეტიც, ასეთი უსაქმურები აქეთ გვადანაშაულებენ რასიზმში თუ ანტიდასავლურ საქმიანობაში!**

არ დაიჯერებთ, გრანტიჭამია კინწურაშვილი ისე შორს წასულა, ბიძინა ივანიშვილს ხელს ადებს, ეროსი კიწმარიშვილი შენი „გასაღებულიაო“. თურმე ეროსის სიკვდილამდე ასეთი რამ უთქვამს:

„მე მინდა, ვუთხრა ივანიშვილს, როცა „რუსთავი 2“-ზე

### გაგრძელება

საუბრობს, თვალებში შემომხედოს. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რამ ვიცით მეც და მან ისეთი, რისი გამომჟღავნებაც ბევრ ადამიანს დააზარალებს. აქვე მოვუწოდებ მას, რომ, თუკი როგორც განაცხადა, ქიბარ ხალვაშმა და მან რაიმე ისეთი იციან, რაც მე არ ვიცი, ან ხმამაღლა გამოაცხადოს, ან როგორც იტყვიან, სამუდამოდ გაჩუმდეს“.

აი, ამ სიტყვების შემდეგ ეროსი კიწმარიშვილი მისავე მანქანაში მკვდარი იპოვესო, – დასძენს კინწურაშვილი. სხვათა შორის, თვითმკვლელობის ვერსიას არ იზიარებენ და საეჭვო გარემოებებზე მიუთითებენ კიწმარიშვილის ოჯახის წევრებიო. ეს გახლავთ არა ირიბი ბრალდება, არამედ პირდაპირ ხელის დადება.

მკვლელობა, ჰომოფობია, რასიზმი, სიძულვილის თესვა საზოგადოებაში – ეს გახლავთ კინწურაშვილის უაპელაციო ბრალდებები, რომელსაც ფაქტების გარეშე წერს და ევროპაში აგზავნის. ბოლოს და ბოლოს, როდემდე, ხომ უნდა გაეცეს საკადრისი პასუხი ამ 1937-იანი წლების გადმონაშთს?! ჰმ... მედიის განვითარება არა, ხახვი, ეს არის ნეოკომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც თავადვე იკვებება ათასნაირი გრანტებით და ცესკოდან გადარიცხული საეჭვო წარმომავლობის თანხებით. ისე, ჩვენ რა დავაშავეთ, თორემ ბიძინა ივანიშვილი მეტის ღირსია, რადგან ასეთებისთვის შექმნა სასათბურე პირობები!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „არ უნდა დავუშვათ, რომ გიორგი კვირიკაშვილს გადადგომის ვალდებულება ჰქონდეს“



ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი აცხადებს, რომ გიორგი კვირიკაშვილის პოსტიდან გადადგომის ვალდებულება არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს გამოიწვევს მთავრობის გადადგომასაც წინასაარჩევნოდ. მისი თქმით, ეს პროცესები ქვეყნის სტაბილურობას შეარყევს.

– ჩვენი სურვილია, კვირიკაშვილი, როგორც ჩვენი ლიდერი, სიის პირველი ნომერი იყოს, მაგრამ არ უნდა დავუშვათ, რომ მას პოსტიდან გადადგომის ვალდებულება ჰქონდეს, რადგან ეს მთავრობის გადადგომას, მოკლე ვადაში ახალი შემადგენლობის დამტკიცებას და თვენახევრიანი მთავრობის დაკომპლექტების პროცესს მოიტანს. ამით კი, დიდი გამოწვევების წინაშე მდგარი ქვეყანა დაზარალდება. რყევებს უნდა მოვერიდოთ და სტაბილურობა შევინარჩუნოთ. შიში, რომ შესაძლოა, პრემიერმა ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენოს, უსაფუძვლოა, - განაცხადა გია ვოლსკიმ.

პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები უნდა განიხილოს, რომლის თანახმადაც, დეპუტატობის კანდიდატ პრემიერმინისტრს წინასაარჩევნოდ თანამდებობიდან გადადგომის ვალდებულება არ ექნება. (ghn.ge)

## საია პრემიერს მოუწოდებს, არ მოაწეროს ხელი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არჩევნების თარიღთან დაკავშირებით

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პრემიერს მიმართავს და მოუწოდებს, არ მოაწეროს ხელი პრეზიდენტის განკარგულებას. არჩევნების თარიღთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაცია ამას საარჩევნო თარიღის ხელოვნურ გადავადებად აფასებს, რაც შესაძლოა, უარყოფითად აისახოს წინასაარჩევნო გარემოზე.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ჩანაწერი ემსახურება არჩევნების თარიღის ხელოვნურ გადავადებას, რაც წინააღმდეგობაშია საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან, ასევე, ამას შეუძლია, უარყოფითი გავლენა მოახდინოს წინასაარჩევნო გარემოზე. სამართლებრივად სწორი გამოსავალი ამ შემთხვევაში იქნება ის, რომ მთავრობამ და პრემიერმა ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და დაუბრუნოს პრეზიდენტს მოტივირებული შენიშვნით მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, – განაცხადა ანი ნაცვლიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ახალი... მოვლენა...

## ისემც თქვენი კურკლი გახმეს, ყველასი!..



– რუსეთი მთიან ყარაბახში კონფლიქტის დარეგულირებით დაინტერესებულია, – აღნიშნულის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აზერბაიჯანში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ირანელ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ, სერგეი ლავროვმა მთიანი ყარაბახის კონფლიქტზე ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმება არ დაირღვევა.

– მოსკოვი მთიან ყარაბახში კონფლიქტის დარეგულირებით დაინტერესებულია. ვფიქრობთ, არსებული სიტუაცია მოითხოვს, რომ ყველა ჩვენგანი უფრო აქტიურად იყოს ჩართული მიმდინარე პროცესებში, რათა საკონტაქტო ხაზთან საბოლოო შეთანხმება მოხდეს და ნდობა აღდგეს. მათ ეს საკითხი ეუთოს მინსკის ჯგუფის სპეციალურ წარმომადგენელთან და ეუთოს მოქმედ თავმჯდომარესთანაც განიხილეს, – განაცხადა მან. (ipress.ge)

## უკრაინის პრეზიდენტმა ნიდერლანდების რეფერენდუმს „ევროპაზე თავდასხმა“ უწოდა

უკრაინის პრეზიდენტმა, პეტრო პოროშენკომ, ნიდერლანდებში, უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების შესახებ ჩატარებულ რეფერენდუმს ევროპაზე თავდასხმა უწოდა.

– მინდა ყველას შევახსენო, რომ რეფერენდუმის ორგანიზატორების მიზანი უკრაინა-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება არ იყო. ეს არის თავდასხმა ევროპის ერთიანობაზე, თავდასხმა ევროპული ღირებულებების გავრცელებაზე, – განაცხადა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ნიდერლანდების კონსტიტუციისა და კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული რეფერენდუმი საკონსულტაციო ხასიათს ატარებს და საბოლოო გადაწყვეტილებას ნიდერლანდების ხელისუფლება მიიღებს.

ნიდერლანდებში რეფერენდუმი 6 აპრილს ჩატარდა – წინასწარი მონაცემებით, რეფერენდუმში მონაწილე მოქალაქეთა 61,1 პროცენტი უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების რატიფიცირების წინააღმდეგია. თუმცა, საბოლოო პასუხი 12 აპრილს, ოფიციალური შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი, როცა საკუთარ პოზიციას ნიდერლანდების მთავრობაც დააფიქსირებს. (ნიუპოსტი)

ეთერ ბალაძე
593 15-64-47



**სასწრაფო ისე იგვიანებს, რომ ამ დროში, შესაძლოა, ადამიანი გარდაცვლილი დახვდეს. მაგალითად, ჩემმა მეზობლებმა სასწრაფო 21 საათზე გამოიძახეს, 11 წლის გოგონას მაღალი ტემპერატურა და სუნთქვის უკმარისობა ჰქონდა, სასწრაფო 12 საათზე მოვიდა. თუმცა, ამ ხნის განმავლობაში ბავშვის დედა ყოველ 15 წუთში სასწრაფოს ურეკავდა, იქ კი ეუბნებოდნენ, რომ დახმარების ბრიგადა უკვე გამოსული იყო. ასეთი შემთხვევა ბევრია, მათ შორისაა შორენა ბეგაშვილის შვილის ევა ბარბაქაძის შემთხვევაც, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ.**

სასწრაფოს ექიმების მიმართ კი არა, სასწრაფოს მორიგე ტელეფონისტების მიმართ მაქვს პრეტენზია, რომ, ალბათ, შეტყობინებას დროულად არ გადასცემენ. თუმცა, არ ვიცი, რა ხდება სასწრაფოში და რატომ იგვიანებენ? 3 საათი სასწრაფოს დაგვიანება სამარცხვინოა, თანაც დედაქალაქში, ისეთ დროს, როცა გზა თითქმის ცარიელია. ჩემს შვილს რომ რაიმე მოსვლოდა, არავის არ ვაპატიებდი.

**მარი ჩანჩიბაია, სტუდენტი:**

– მოულოდნელად ცუდად ვა და იატაკზე დავეცი. ცოტა აზრზე რომ მოვედი, სასწრაფოს დავურეკე, როგორღაც კართან მივედი და კარი გავაღე, თუმცა, ისევ თავბრუსხვევა ვიგრძენი, მერე არაფერი მახსოვს, ასე რამდენ ხანს ვიყავი, თვალები რომ გავახილე, ისევ თავბრუსხვევას ვგრძნობდი, ველარ წამოვდექი. არც მეზობლები არ შემხმიანებიან. დიდი ხანი გავიდა, სასწრაფო არ ჩანდა. ძალა მოვიკრიბე და ისევ დავრეკე და ისევ მისამართს მეკითხებიან, მე კი სულ ტყუილად ველოდი, მეგონა, უკვე წამოსული იყვნენ. ბოლოს, სასწრაფო ღამის 1 საათზე მოვიდა, იმ დროს, მარების მუშაობის არაპროფესიონალიზმს, არაკომპეტენტურობასა და გულგრილ მიდგომას. ახლა, დამშვიდებულ გონებაზე შევეცდები, ზუსტად აღვწერო განვითარებული მოვლენები. შემთხვევის დადგომიდან 2-3 წუთში, 6:29 წუთზე დავრეკე 112-ში და შევატყობინე მომხდარის შესახებ, აქვე ვუთხარი, რომ გოგონა ცოცხალი იყო და მას სასწრაფოდ სჭირდებოდა დახმარება. მითხრეს, რომ ბრიგადა გამოსული იყო და მალე მოვიდოდა, თუმცა ეს მალე გაიწელა დაახლოებით 22-23 წუთი. პერიოდულად ვრეკავდი 112-ში და ვეკითხებოდი, სად იყო იყო

### »» უნდა მოვკვდეთ?!

ადგილზე მივიდნენ და გოგონას დამამშვიდებელი გაუკეთეს (ჩემი ვარაუდია), საკაცეზე გადააწვინეს ისე, რომ კისერი არ დაუფიქსირეს. გადააწვინეს საკაცეზე ადამიანი, რომელიც მე-5 სართულიდან გადმოვარდა, სასწრაფოს მოსვლამდე გვეხვეწებოდა, გვერდზე გადამატრიალეთ, ყველაფერი მტკივაო და მიუხედავად დიდი სურვილისა, ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ პატარა გოგონას რაიმეთი დავხმარებოდით და მისთვის ტკივილი შეგვემსუბუქებინა, ვცდილობდით, მისთვის ამის საშუალება არ მიგვეცა

# რატომ იგვიანებს სასწრაფო დახმარება ზოგჯერ 2-3

## სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი გიორგი ეს ნერვული გაღიზიანება თუ წნევის გაზომვა... ამის გამო გვიწევს





**„ჯერ რეკავენ ლანძღვა-გინებით... გადის სასწრაფო პაციენტთან და მძღოლები გზას არ უთმობენ, ერთ-ერთი ჩვენი მძღოლი, იმის გამო, რომ ხმოვანი სიგნალი ჩართო, გზაში მძღოლებმა საშინელ დღეში ჩააგდეს. არის ფაქტები, როცა ადგილზე მისულ ექიმებს აგინებენ და შეურაცხყოფას აყენებენ“**



**„ასე უგონოდ ვეგდე და სასწრაფო კი თურმე გამოსულიც არ იყო... წნევა 200 მქონია. სასწრაფო დახმარებამ ღამის 2 საათზე გადამიყვანა საავადმყოფოში. ერთი თვე ვმკურნალობდი, ახლა წნევის შედეგად ხელის თითებს ვეღარ ვამოძრავებ. დაწერეთ სასწრაფოზე, ასე როგორ შეიძლება დაგვიანება?“**

**„ჩვენი ექიმები ნამდვილი გმირები არიან, საკუთარი სიცოცხლის ფასად ბევრჯერ რისკავენ. მათი შრომა შეუფასებელია. და მეტსაც გეტყვით — ჩვენთვის ექიმის შეურაცხყოფა მიუღებელია!“**

**„ალია“ სასწრაფოს დახმარებით უკმაყოფილო მოქალაქეებს ესაუბრა.**

**ნატა ფურცხვანიძე, ბავშვის დედა:**

– ჩემს შვილს მაღალი ტემპერატურა, ღებინება და სუნთქვის უკმარისობა ჰქონდა. 21 საათზე გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარება, მაგრამ ამაოდ ველოდეთ, სასწრაფო არ მოვიდა. ამის შემდეგ, ყოველ 15 წუთში ვრეკავდი და ვკითხულობდი, სასწრაფო დახმარება წამოვიდა თუ არა. რამდენჯერმე აც დავრეკე სხვადასხვა ოპერატორები მპასუხობდნენ და მისამართს იწერდნენ. ხანაც მეუბნებოდნენ, სასწრაფო დახმარების ბრიგადა უკვე გამოსულიაო. ერთი სიტყვით, მთელი სამი საათი, 12 საათამდე სასწრაფოს ველოდე და როგორც იქნა, გამოჩნდნენ. როცა სასწრაფოს ექიმს ვუსაყვედურე, რომ ამდენ ხანს რატომ არ მოხვედით-მეთქი, მიპასუხეს, შეტყობინება 6 წუთის წინ მივიღეთო, არადა მთელი სამი საათი ვრეკავდი, ბავშვი სიცხისგან იწვოდა, ვირუსული ინფექცია აღმოაჩნდა და სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ამ ინფექციურში გადაიყვანა. გავხვდი, ჯერ სასწრაფოს დავურეკე, მერე მეზობელს, რადგან მარტო დარჩენის მეშინოდა, საღამოს 8 საათზე, სასწრაფოს დავურეკეთ, მაგრამ 11 საათამდე არ მოვიდნენ. მეზობლები სხვადასხვა ტელეფონებიდან რეკავდნენ, ეკითხებოდნენ, სასწრაფო როდის მოვიდოდა, პასუხს კი ვერ აძლევდნენ. ვირუსული ინფექცია მქონდა, მაღალი სიცხე, რამდენჯერმე გავითიშე. სანამ სასწრაფო მოვიდოდა, ერთ ჩემს მეზობელს ისიც კი უთხრეს, მანქანები დაკავებულია და ფასიანი სასწრაფო გამოიძახეთო, ფასიანის თანხა არ მქონდა. 11 საათზე სასწრაფომ ინფექციურში გადამიყვანა, მადლობა ღმერთს, გადავრჩი, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ ამ მოლოდინში დავლუპულიყავი? ისე გავმწარდი, ვიფიქრე, სარჩელს შევიტან სასწრაფოს წინააღმდეგმეთქი, მაგრამ, რადგან გადავრჩი, ამაზე ფიქრს თავი დავანებე.

**თათული გაბუნია, პენსიონერი:**

– მარტოხელა ვარ, პენსიონერი, წნევები მაწუხებს, მაგრამ სამი დღის წინ, თავბრუ დამეხროცა უკვე ველარ ვლაპარაკობდი. აღმოჩნდა, რომ წნევა 200 მქონია. სასწრაფო დახმარებამ ღამის 2 საათზე გადამიყვანა საავადმყოფოში. ერთი თვე ვმკურნალობდი, ახლა წნევის შედეგად ხელის თითებს ვეღარ ვამოძრავებ. დაწერეთ სასწრაფოზე, ასე როგორ შეიძლება დაგვიანება?

**სოციალურ ქსელში აქტიურად მიმდინარეობს განხილვა ერთ-ერთი მომხმარებლის ირაკლი ჩორგოშვილის სტატუსზე, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ ინციდენტის დროს სასწრაფო დახმარების მანქანამ 22-23 წუთით დააგვიანა ადგილზე მოსვლა: უცვლელად გთავაზობთ ირაკლი ჩორგოშვილის პოსტს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სასწრაფო დახმარების გულგრილობა და არაკომპეტენტურობა:**

„ვფიქრობ, ყველამ იცით რამდენიმე დღის წინ მომხდარი შემთხვევის შესახებ, როდესაც ახალგაზრდა გოგონა მე-5 სართულიდან გადმოვარდა. მე პირადად შევესწარი ამ ფაქტს და მინდა ჩემს თვალწინ განვითარებულ მოვლენებს შევეხო, კერძოდ, კი სასწრაფო დახმარება და რატომ უნდებოდა ამდენი ხანი ადგილზე მისვლას, ოპერატორმა მომახსენა, რომ ბრიგადა სხვა გამოძახებაზე იყო და იქიდან მოდიოდა. გამოსული ვიყავი ქუჩაში სასწრაფოს დასახვედრად და ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე სასწრაფო, რომელმაც პეტრიაშვილის ქუჩიდან ამოუხვია და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მოსეირნობდა, მოჰყვებოდა მის წინ მიმავალ მანქანას მშვიდად და აუღელვებლად, არ ჰქონდა ხმოვანი სიგნალი ჩართული და რომ არა ჩემი და პატრულის (პატრულის ეკიპაჟი დაახლოებით 10 წუთში ადგილზე იყო) ძახილი და ხელების ქნევა სხვა ქუჩაზე აუხვევდა. მიუხედავად ამისა, ერთი წამითაც არ უფიქრია, აჩქარებულიყო და ასევე, ზანტად გააგრძელა ჩვენი მიმართულებით მოძრაობა. მას შემდეგ რაც რადგან ისეთი დილეტანტისთვისაც კი, როგორიც მე ვარ პირველადი დახმარების აღმოჩენაში, ცხადი იყო, რომ მისი განძრევა ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, რადგან, სავარაუდოდ, ხერხემალი და შეიძლება ფუძის ძვალიც კი დაზიანებული ჰქონდა და მისი განძრევა ამ მდგომარეობაში შესაძლოა, ფატალურადაც კი დასრულებულიყო. ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, პატარა გოგონას, სასწრაფო დახმარებაში მომუშავე „პროფესიონალები“ აწვენენ საკაცეზე და არ უფიქსირებენ კისერს! ახლა მაქვს რამდენიმე კითხვა თქვენთან, 112 გეორგია/112 საქართველო! თუ არ გყავთ შესაბამისი რაოდენობის ბრიგადები, რომ გასაჭირში მყოფ ადამიანს სწრაფად აღმოუჩინოთ დახმარება, როცა მათი სიცოცხლე ბეწვზე კიდია და თითოეული წამი გადამწყვეტია, რატომ არ ამატებთ ბრი-

გადებს? რატომ არ ჰქონდა სასწრაფო დახმარების ბრიგადას ხმოვანი სიგნალები ჩართული და რატომ მოსეირნობდა მშვიდად და აუღელვებლად? რატომ არ დაუფიქსირეს ადამიანს კისერი, როცა სახეზე იყო მრავლობითი მოტეხილობები, გამოწვეული სიმაღლიდან ვარდნის გამო?

აქვე დიდი „სიყვარულით“ მოვიკითხავ ყველა იმ ადამიანს, ვინც არ ატარებს სასწრაფო დახმარების ბრიგადას, სახანძრო დახმარების მანქანასა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟსაც კი. აუცილებლად საკუთარ თავზე და საყვარელ ადამიანზე უნდა გამოსცადოთ ის რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისთვის ზუსტი ინფორმაციის მისაღებად არ მოუმართავს. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება და ახლაც იგივეს გავიმეორებ – ეს არის დეზინფორმაცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა. ცენტრმა დეტალურად შეამოწმა ბრიგადის მოძრაობის გრაფიკი. როგორც დოკუმენტურად დადგინდა, აღნიშნული გამოძახება 26 მარტს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ 18:32:37 სთ-ზე მიიღო და პაციენტთან 10 წუთში მივიდა (მისვლის გამოძახებაზე, იქნება ეს ნერვული გაღიზიანება თუ წნევის გაზომვა. ამის გამო გვიწევს ბევრ ისეთ მისამართზე მისვლა, სადაც არ უნდა დავდიოდეთ.

**დღე-ღამეში თითო ბრიგადაზე 30 გამოძახება მოდის. ერთი სიტყვით, ჩვენთან სასწრაფო სამედიცინო დახმარება თავისი სპეციფიკით არ მუშაობს. საზოგადოებაც არასწორად აღიქვამს მის დანიშნულებას. ჩვენ გადავიქეცით ამბულატორიად ბორბლებზე.**

**— და ამ დროს ავადმყოფმა რა უნდა ქნას? ის თავს ცუდად გრძნობს და სასწრაფოს არ უნდა გამოუძახოს? აბა, რისთვის ხართ?**

საშინელ დღეში ჩააგდეს. არის ფაქტები, როცა ადგილზე მისულ ექიმებს აგინებენ და შეურაცხყოფას აყენებენ.

საზღვარგარეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მუშაობა სპეციალური პროტოკოლებით არის დარეგულირებული. მსოფლიოს 40 ქვეყანაში მოქმედებს ერთი და იგივე სახის პროტოკოლი, რომლის მიხედვითაც, უშუალოდ, სასწრაფოს გამოძახება, ძირითადად, 5-6 მოტივით ხდება. მაგალითად, ავარია, ღია სისხლდენა, გულის შეტევა, ა.შ. დანარჩენ გამოძახებებზე სასწრაფო ბრიგადა არ გადის, ან პაციენტს პირდაპირ აფრთხ-

### » უნდა მოგიყვეთ?!

დღებას –

საჭიროა სპეციალური პროტოკოლების დანერგვა საქართველოში, რომელიც თავად გაფილტრავს, რა შემთხვევაში უნდა გავიდეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოძახებაზე. ვცადეთ, ეს გაიდლაინები დაგვეწერა საქართველოში, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ შესაბამისი სპეციალისტები არ არიან, რომლებიც ამას გააკეთებდნენ. ევროპაში სასწრაფო 70-იანი წლებიდან შევიდა აქტიურ ფაზაში და ეს სისტემა კიდევ ვითარდება. დაკვირვებებისა და კვლევის

# საათითაც კი და რა უნდა ქნას ამ დროს ავადმყოფმა?

## ბუთხუზი: „ჩვენი ბრიგადები დადიან ყველა გამოძახებაზე, იქნება ბევრ ისეთ მისამართზე მისვლა, სადაც არ უნდა დავდიოდეთ!“




**„სამი საათის დაგვიანებით მოვიდა სასწრაფო! ბავშვი სიცხისგან იწვებოდა და სუნთქვის უკმარისობა ჰქონდა... ჩემს შვილს რომ რაიმე მოსვლოდა, არავის არ გაპატიებდი“**



საშინელება, რაც შეიძლება მათ დაგვიანებას მოჰყვეს?“ – წერს ჩორგოშვილი სოციალურ ქსელში.

**რაც შეეხება ექიმების მიერ პაციენტის, ევა ბარბაქაძისთვის აღმოჩენილი გადაუდებელი დახმარების პროცესის მიმდინარეობის საკითხს, როგორც ამას პრესით სასწრაფო დახმარების ცენტრი აცხადებს, ცენტრის მიერ შესწავლის სტადიაშია. მართალია, ამ კონკრეტულ ფაქტს სასწრაფოს დახმარების ცენტრი, ასე თუ ისე, გამოეხმაურა, მაგრამ სხვა ფაქტებზე, სადაც, სასწრაფო კი არ იგვიანებს, ორი და ზოგჯერ სამი საათიც კი არ მიდის, სასწრაფოს ექიმები აცხადებენ, რომ შეტყობინება 2 საათის წინ კი არა, 7 წუთის წინ გადაეცათ. ვის დავუჯეროთ ამ შემთხვევაში? ან ვინ ტყუის? ფაქტი კი ერთია, სასწრაფო კატასტროფულად იგვიანებს და განმკითხავი არავინაა.**

**„ალია“ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორს გიორგი ბუთხუზს ესაუბრა. მას, უპირველესად, ევა ბარბაქაძის შემთხვევა მოვუყევით:**

– 31 მარტს სოციალურ ქსელში გავრცელდა ერთ-ერთი მომხმარებლის ინფორმაცია, სადაც თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოძახებაზე დაგვიანებით მისვლასა და გულგრილობაში იყო დადანაშაულებული. მოგვიანებით ეს ინფორმაცია რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომაც ისე გაავრცელა, დრო: 18:42:14 სთ.). მოზარდს ადგილზე ჩაუტარდა პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი მანიპულაციები და 18.52-სთ-ზე დაიწყო პაციენტის ჰოსპიტალიზაციის პროცესი. რაც შეეხება ექიმების მიერ პაციენტისთვის აღმოჩენილი გადაუდებელი დახმარების პროცესის მიმდინარეობის საკითხს, ის თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ შესწავლის სტადიაშია.

**— არის კიდევ შემთხვევები, როდესაც სასწრაფომ ორ საათნახევარი დაიგვიანა. როცა სასწრაფო მოვიდა, ექიმებმა განაცხადეს, რომ შეტყობინება 10 წუთის წინ გადასცეს. რა ხდება რეალურად, ოპერატორები იქცევიან დაუდევრად, თუ სასწრაფოს მანქანები?**

– დღეს ჩვენი ბრიგადები დადიან აბსოლუტურად ყველა

– ამას თავისი ობიექტური მიზეზიც აქვს – თუნდაც ის, რომ თავის დროზე გასხვისდა პოლიკლინიკური სექტორი, ამან კი პირველადი ჯანდაცვის რგოლი შეასუსტა. სტატისტიკურად კი ვითარება ასე გამოიყურება – გამოძახებების 40%-ია მხოლოდ ჩვენი საუწყებო, დანარჩენი არასასწრაფო გამოძახებაა. გარდა ამისა, აუცილებლად მინდა აღვნიშნო – საზოგადოების დამოკიდებულება ექიმების მიმართ. რეკავენ არაადეკვატურად, ლანძღვითა და გინებით. მართალია, ზარები 112-ში შედის, მაგრამ ზარებზე წვდომა ჩვენც გვაქვს და მოსმენა შეგვიძლია... გადის სასწრაფო პაციენტთან და მძღოლები გზას არ უთმობენ, ერთ-ერთი ჩვენი მძღოლი, იმის გამო რომ ხმოვანი სიგნალი ჩართო, გზაში მძღოლებმა ილებენ, რომ ბრიგადა მოვა დაგვიანებით.

**— ავადმყოფმა რა ქნას ამ დროს?**

– პრობლემა კომპლექსურად უნდა გადაიჭრას და საზოგადოებამაც გააცნობიეროს, რა დროს უნდა გამოიძახოს სასწრაფო და რა დროს მიმართოს ოჯახის ექიმს.

**— ერთ შემთხვევაში სასწრაფომ დაიგვიანა, როცა რამდენჯერმე დარეკა პაციენტმა, ოპერატორმა უპასუხა, რომ ყველა მანქანა დაკავებული იყო და ფასიანი სასწრაფოთი ესარგებლა. თუ თანხის გადახდის საშუალება არ აქვს ადამიანს, ამ შემთხვევაში განწირულია?**

– კიდევ ერთხელ გავიმეორებ – პრობლემა უნდა გადაიჭრას კომპლექსურად. მე ნამდვილად ვერ გაგცემთ პასუხს, რა თქვა ოპერატორმა. მე სხვა რაღაცაზე გავამახვილებ ყურა-

შედეგად, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენც ვიყიდოთ. ეს საკითხი ყველა დონეზეა წამოწეული და ამ პროცესში მონაწილე ყველა მხარის თანხმობა მოპოვებულია. მოკლედ, როგორც კი გაიდლაინებს შევიძენთ, მერე იმ სტანდარტებით ვიმოქმედებთ, რა სტანდარტებითაც მოქმედებს ევროპა და სასწრაფოც რეალურად შეასრულებს თავის ფუნქციას.

**— ძალიან ხშირად ადამიანები სასწრაფოს არაკომპეტენტურობასა და დაუდევრობას უჩივიან, რა ხდება რეალურად, არაპროფესიონალები მუშაობენ?**

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ჩვენთან მოქმედებს სასწავლო ცენტრი და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტებით ექიმთა გადამზადების მუდმივი პროცესი. გარდა ამისა,

**თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში არის სამსახური, რომელიც ნებისმიერ საჩივარს სწავლობს და მერწმუნეთ, ექიმების მიმართ ოფიციალური პრეტენზია ძალიან იშვიათია. ხშირ შემთხვევაში, საკითხის შესწავლის შემდეგ ექიმის პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება. ჩვენი ექიმები ნამდვილი გმირები არიან, საკუთარი სიცოცხლის ფასად ბევრჯერ რისკავენ. მათი შრომა შეუფასებელია.**

და მეტსაც გეტყვით – ჩვენთვის ექიმის შეურაცხყოფა მიუღებელია!

**„ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე სასწრაფო, რომელმაც პეტრიაშვილის ქუჩიდან ამოუხვია და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მოსეირნობდა, მოჰყვებოდა მის წინ მიმავალ მანქანას მშვიდად და აუღელვებლად, არ ჰქონდა ხმოვანი სიგნალი ჩართული და რომ არა ჩემი და პატრულის (პატრულის ეკიპაჟი დაახლოებით 10 წუთში ადგილზე იყო) ძახილი და ხელების ქნევა სხვა ქუჩაზე აუხვევდა. მიუხედავად ამისა, ერთი წამითაც არ უფიქრია, აჩქარებულიყო და ასევე, ზანტად გააგრძელა ჩვენი მიმართულებით მოძრაობა“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეს არის პოლიტიკური თამაში — მარაზმი, რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს — გიორგი ვაშაძე



გედევან ფოფხაძის ინიციატივას 8 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნების პარალელურად რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმცირესობის წევრი, გიორგი ვაშაძე ეხმაურება და ინიციატივას მარაზმს უწოდებს:

– ეს არის პოლიტიკური თამაში, მარაზმი, რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს, ნაცვლად იმისა, რომ ეკონომიკურ პრობლემებზე ისაუბროს და ახალი ინიციატივებით გამოვიდეს. იმას, რაც დღეს კანონით განმტკიცებულია და საქართველოს კანონი ისედაც ცნობს ქალისა და მამაკაცის ქორწინებას, პოპულისტური, ბინძური, მორუსული ტექნოლოგიით სურთ, რომ ხალხს შეუქმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს რაღაც პრობლემაა ამ კუთხით. მე მსურს, საზოგადოებას ვუთხრა, რომ დღევანდელი სამოქალაქო კოდექსი უშვებს მხოლოდ და მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინებას, არავინ არ გეგმავს ამ მუხლის შეცვლას, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ. (ნიუპოსტი)

## „29 მილიონად რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა — უკვე აღარაფრით განსხვავდებით მიშასგან!“



დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი ზვიად ტომარაძე კულტურის მინისტრს აკრიტიკებს და სოციალურ ქსელში წერს:

– ხელისუფლებას 27 მაისს თბილისში მომღერალი რობი უილიამსი და ეროს რამაზოტი ჩამოჰყავს და ბიუჯეტს 29 მილიონი ლარი დაუჯდებაო, მოგვახარა კულტურის მინისტრმა!

უკვე აღარაფრით განსხვავდებით მიშასგან!!!

განა ჩვენს ქვეყანას ისე აქვს საქმე აწყობილი, რომ 29 მილიონი კონცერტში გადაყაროს???

მავნებლებო!!!

29 მილიონად რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეიძლებოდა ამ გალატაკებულ ქვეყანაში? თქვენც ტაშფანდურზე გადახვედით? – წერს ტომარაძე. (tb24.ge)

## საქართველო ამ დროისთვის ბუნებრივ აირს რუსეთიდან იღებს



შაჰ-დენიზის გაზსადენზე შეფერხების გამო საქართველო ამ დროისთვის ბუნებრივ აირის რუსეთიდან იღებს. განცხადებას ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი აკეთებს:

– ასე იყო შარშან ზაფხულში, როდესაც აფეთქების გამო სამხრეთ კავკასიურ მილსადენზე იყო გარკვეული პრობლემები. შაჰ-დენიზი რთული გეოლოგიური პირობების მქონე საბადოა, არის ხოლმე შეფერხებები. შეფერხების შესახებ შეტყობინება მივიღეთ. შესაბამისად, ბუნებრივ აირს ვიღებთ ალტერნატიული წყაროებიდან, რაც გვაქვს – ყაზახის მილსადენი და რუსეთიდან შემომავალი მილსადენი. ეს არის სუფთა ოპერატიული მართვის თემა. თუ რაღაც შეფერხებაა ერთ წყაროზე, დეფიციტს ვავსებთ ალტერნატიული წყაროებით, რათა შენარჩუნებული იყოს უწყვეტი გაზმომარაგება და ეს არ იგრძნოს არც ერთმა მომხმარებელმა, – აღნიშნა მარიამ ვალიშვილმა. (პირველი რადიო)

## 24 წლის გოგიტას არასრულწლოვნის ცოლად მოყვანისთვის პატიმრობა ემუქრება



შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგაზეულის მკვიდრს, აჭარისა და საქართველოს, საერთაშორისო ტურნირების 40-გზის ჩემპიონს მკლავჭიდში არასრულწლოვნის ცოლად მოყვანისთვის პატიმრობა ემუქრება.

24 წლის გოგიტა ხიმშიაშვილის წინააღმდეგ საქმე მას შემდეგ აღძრეს, როდესაც შვილი შეეძინა და ბავშვი ბათუმის იუსტიციის სახლში დაარეგისტრირა.

გოგიტა ხიმშიაშვილი ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ემზადება და სპეციალურ მომზადებასაც გადის, თუმცა უფლებადამცველ თამაზ ბაკურიძის თქმით, მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია, ის დააკავონ.

თამაზ ბაკურიძე პროკურატურას მიმართავს, შესაბამისი ზომები გაატაროს. (regnews.ge)



გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70


მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში სრულიად საქართველო პარლამენტის ახალ შემადგენლობას აირჩევს. „ახალი“ ვახსენე და მათ რიგებში, ალბათ, არაერთ ნაცნობ სახეს ვიხილავთ, ადამიანებს, რომლებმაც წლების განმავლობაში თავი „განსაკუთრებულად“ დაგვამახსოვრეს. ქვეყნის უმაღლეს ორგანოს დაბადებიდანვე ერთი ჭირი შეუჩნდა – დეპუტატების ნაწილს შორის მუდმივი ფიზიკური დაპირისპირება და მუშტის დახმარებით ანგარიშსწორება. ამ კუთხით არაერთი „სისხლიანი ფაქტი“ გაგვაჩნია და დღევანდელ წერილში ზოგიერთი, განსაკუთრებით „ხმაურიანი ამბის“ გახსენებას შევეცდები.

ისეთი მტვრის ბული დაუყენებია შენობაში, ხალხს თვალებზე ბინდი გადაეკრა. ნათაძემ გოცირიძე ხომ ჩამოიტოვა უკან და შემფასებლები რომ ყოფილიყვნენ, ნოდარი ჩქაროსნულ სირბილში რეკორდს მოხსნიდა ნამდვილად“.

ბატონი ნოდარი შარვლის ჩახდას გადაურჩა, თუმცა ფილმ „რეკორდის“ მთავარი გმირისა არ იყოს, მისი სპორტული მიღწევაც დაუფიქსირებელი აღმოჩნდა.

შემდეგი „გმირი“ ყოფილი დისიდენტი ირაკლი წერეთელია. 1993 წლის 2 ივნისის სხდომაზე ირაკლი წერეთელმა პარლამენტს აცნობა, რომ დილით დაუდგენელი პირი თავს დაესხა. მაგრამ, როგორც ჩანს, თავდასხმა წარმატებით იქნა მოგერიებული, რადგან, წერეთლის თქმით, იმ

ერთი პერიოდი ვახტანგ რჩეულიშვილი პარლამენტში ყელშეხვეული დადიოდა და ამბობდა, უწყლო აუზში ჩავხტიო... თუმცა, მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ის სცემეს. სხვათა შორის, როცა პარლამენტს სოცლიდერის გალახვის ფაქტი მოედო, თითქმის ყველა ერთხმად აცხადებდა: ახია რჩეულიშვილზე, დიდი ხნის წინათ უნდა ეცემათო...

ცხონებული ნოდარ გრიგალაშვილი ბორჯომის მაჟორიტარი იყო. სამცხე-ჯავახეთში ვახტანგ რჩეულიშვილის სიმამრმა რამდენიმე ჰესი ოფიციალურად შეისყიდა. გრიგალაშვილსა და რჩეულიშვილის სიმამრს შორის ინტერესთა კონფლიქტი სწორედ აქ გაჩნდა. ამით გაღიზიანებულმა გრიგალაშვილმა ერთხელ, სხვა ნაციონალებთან ერთად,

ალგაზრდა პეტრე ცისკარიშვილი ჩხუბში პირველობას არავის უთმობდნენ.

ის თუ გახსოვთ, დავით კერესელიძემ პეტრე ცისკარიშვილს ლოყაზე რომ „მოუთათუნა“. მაშინ კერესელიძემ სააკაშვილს პატარა შევარდნაძე უწოდა. ბოსის შეურაცხყოფით შეურაცხყოფილმა ცისკარიშვილმა კერესელიძეს ხურდა დაუბრუნა. ვალში არც კერესელიძე დარჩა და ცისკარიშვილს საყელოში სწვდა, მიკროფონს მოსწყვიტა და გარეთ გაათრია. მერე ცისკარიშვილს, მოწინააღმდეგეთა მთელი ფრაქცია შეესია და, ჯამში, დაჭრილ-დაკაწრული აღმოჩნდა. ორ დღეში ცისკარიშვილი კერესელიძეს ღიმილით მიუახლოვდა და კაი გემრიელი ალიყური აჭამა, იმანაც ცისკარიშვილს ლოყაზე ჩამოფხაჭნა. ამ დღიდან

»» დაჭყა!

თურმე ედვარდ სურმანიძესაც შეძლებია კონტროლის დაკარგვა. მისი დამრტყმელი ძალა ძირითადად ფეხები ყოფილა. პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე სურმანიძემ კაკუბავას რუსეთის აგენტი ეძახა, ამაზე კაკუბავამ სურმანიძეს გვარიანად შეუკურთხა და საპასუხოდ წიხლიც მოხვდა. მერე კაკუბავა ამბობდა, სურმანიძეს ის ფეხი უნდა მოვაჭრა, რომლითაც ჩამარტყაო.

ყველაზე „სასაცილო“ ვიტალი ხაზარაძისა და გიორგი გულიაშვილის ჩხუბი ყოფილა. გულიაშვილმა თავის დროზე პარლამენტში ასლან აბაშიძე ჩაანაცვლა, ის ადრე პრეზიდენტის დაცვაში მუშაობდა და ფიზიკურადაც კარგი ნავარჯიშები გახლდათ. ხაზარაძემ კი გაიწია

# მიხეილ მაჭავარიანი: „ვინ არის, ბიჭო, შენი პიდარასტი, მე ვარ, ბიჭო, ცისფერი?!“

## პარლამენტის ყველაზე სკანდალური ჩხუბები და გაწევ-გამოწევები







დამოუკიდებელი ქართული პარლამენტის ერთ-ერთი „თვალსაჩინო ინციდენტი“ ნოდარ ნათაძესა და რომან გოცირიძეს „შეემთხვათ“. ალბათ, გახსოვთ ე.წ. „კარვის ქალები“ და საქმენი მათ საგმირონი.

ბატონი თემურ მირიანაშვილი ამ ამბავს შემდეგნაირად იხსენებდა.

„ერთხელ გულდაწყვეტილმა რომან გოცირიძემ შემომჩივლა, სირბილში მარცხი ვიწვნიე, ნოდარ ნათაძემ თავი მომჭრაო. გამიკვირდა, შენ ახალგაზრდა კაცი ხარ და მოხუცმა სირბილში როგორ გაჯობა-მეთქი. იმ დროს პარლამენტის შენობა ქალებს ჰქონდათ ბლოკირებული, აქციებს მართავდნენ, შიგნით არავის უშვებდნენ. არადა, რომანსა და ნოდარს შესვლა უნდოდათ თურმე. მერე როგორღაც, შეძვრნენ და კუთხის შესასვლელიდან შეიპარნენ. მათი შესვლა ქალებს შეუმჩნეველი არ დარჩათ. ჯერ ბუზღუნი დაიწყეს და მერე უფრო გაავდნენ. ამ დროს რომანი წინ გარბოდა, ნოდარი კი უკან მისდევდა. აქციის მონაწილე ქალები გაკაპასდნენ და იყვირეს: მოდით, ამათ ვაჩვენოთ ახლა სეირი და ნოდარ ნათაძეს შარვალი ჩავხადოთო. ეს რომ გაიგო ნოდარ ნათაძემ, თურმე,

ნაძირალას საკადრისი მიუზღო და მოძალადის თავდასხმა საკუთარი ძალებით მოიგერია. ვინ იყო ეს ადამიანი და რა ვერ გაიყო წერეთელთან, ეს დღემდე არავინ იცის.

გამოხდა ხანი. პარლამენტში ახალი „კადრები“ გამოჩნდნენ, მათ შორის განთქმული „ჩხუბისთავებიც“. ამ კატეგორიის ლიდერის „ყვითელი მაისური“ უპირობოდ ვახტანგ რჩეულიშვილს ეკუთვნოდა.

ბატონი ვახტანგის პირველი „მსხვერპლი“ პოლიტიკოსი-მორბენალი, შარვლის ჩახდას გადარჩენილი ნოდარ ნათაძე აღმოჩნდა. 1992-95 წლების პარლამენტში ყოფნისას, შევარდნაძის გვერდით გამოჯგიმულმა რჩეულიშვილმა „ბორჯომი“ მშვიდად დაისხა ჭიქაში და ნოდარ ნათაძეს სახეში „ვაჟკაცურად“ შეასხა. რჩეულიშვილის მორიგი დაპირისპირებები უფრო „მძაფრი“ გამოდგა. ყველაზე სკანდალური რჩეულიშვილ-მაჭავარიანის ჩხუბი აღმოჩნდა. „ვინ არის, ბიჭო, შენი პიდარასტი, მე ვარ, ბიჭო, ცისფერი?“ – გაჰკიოდა მიშა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მაჭავარიანმა საფერფლე ესროლა რჩეულიშვილს და თავი გაუტეხა.



განაცხადა, რჩეულიშვილი თბილისიდან უნდა გავასახლოთ, ეგ და მისი სიმამრი კონტრაბანდისტები არიანო. ეს იყო და ეს. მეორე დღეს პარლამენტში მისულ გრიგალაშვილს რჩეულიშვილისგან თავში მუშტი მოხვდა. მაშინ პირველი სოციალისტი გამწარებული გაიძახოდა, მე „კარენნოი“ თბილისელი ვარ, ამ მათხოვარმა ეს რა მაკადრაო. ასე შერჩა გრიგალაშვილს თავში თხლეშა.

გრიგალაშვილმა, თავის მხრივ, გია ბარამიძეს საქვეყნოდ უთხრა, შენ კი ხარ კაი ბიჭი, მაგრამ ჟვანია და მისთანები არაპოპულარულ განცხადებებს შენ გაკეთებინებენ და ვისაც როგორ უნდა, ისე გიყენებსო. ამის გამო გრიგალაშვილმა ბარამიძეს „ლელვის ფოთოლი“ შეარქვა. შეარქვა და მოხვდა კიდეც.

საერთოდ, პარლამენტში მოჩხუბრები ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ცემა-ტყეპის მოყვარულნი და ინტელიგენტურად დედის მაგინებლები. ვახტანგ რჩეულიშვილი და ახ-

არ გასულა დიდი ხანი და ცისკარიშვილი ისევ გაეხვია დავიდარაბაში. მთელმა საქართველომ იხილა ტელევიზიით – როგორ გაათრია ფოიეში კერესელიძემ მიკროფონთან მდგარი ცისკარიშვილი, ამ გაწევ-გამოწევაში კი ცისკარიშვილს ვიღაცამ სახე დანით დაუსერა. ცისკარიშვილმა თქვა, რომ ეს დავით საგანელიძემ ჩაიდინა. რამდენიმე დღეში ცისკარიშვილმა საგანელიძეს კასტეტი ჩაარტყა. მაშინ ის პროკურატურამ ლამის დაიჭირა, მაგრამ სამართალდამცავებს წინ დეპუტატის იმუნიტეტი გადაეღობათ.

შევეშვათ ცისკარიშვილი-რჩეულიშვილის „დუეტს“ და იმ დეპუტატების „საქმენი“ გავიხსენოთ, რომლებიც ჩხუბისთავთა კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნებოდნენ.

გულიაშვილისკენ, მაგრამ მას სწორედ გულიაშვილის ფიზიკური მონაცემების შეეშინდა და მისი პათოსიც ისეთი იყო: „დამიჭირეთ, არ მიმიშვათო“.

ჯემალ გოგიტიძესა და თამაზ ნადარეიშვილს შორის თითქმის მთელი პარლამენტი ჩადგა და ყველაფერი მხოლოდ დედის გინებით დასრულდა. გოგიტიძემ ნადარეიშვილს რუსეთის აგენტი ეძახა: „შენ არ გინდა აფხაზეთში დაბრუნება, იმიტომ, რომ აქ შენი ფრაქციით მშვენივრად გრძნობ თავს“. „ვის არ უნდა დაბრუნება, შე ნაძირალა, ეს ასლანი აფინანსებს აფხაზებს და აგენტი შენ თვითონ ხარ“. დაახლოებით ასეთი გადაძახილი გაიმართა მათ შორის, მერე კი ერთმანეთზე გაიწიეს.

მოჩხუბართა კატეგორიაში სანდრო ბრეგაძეც მოხვდა. ერთ-ერთი სხდომის დასრულების შემდეგ ბრეგაძეს „უწყინარ“ კობა დავითაშვილთან შეკამათება მოუვიდა. როდესაც საკუთარი სიმართლე ვერ დაამტკიცა, დეპუტატი სანდრო კოლეგა კობას კატასავით ზურგზე შეახტა და რამდენჯერმე თავში ხელი ჩაარტყა...

*გაგრძელება იქნება*

# უნივერსიტეტში ახალი სკანდალი იწყება!

## „ქართული ოცნება“ თსუ-ს რექტორად დავით ნარმანიას ამზადებს?!






გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



სკანდალი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სკანდალების ახალი ეტაპი იწყება. მართალია, რექტორი ლადო პაპავა თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ ახლა დღის წესრიგში დგება ახალი რექტორის არჩევნები, რომელიც ამა წლის აგვისტოში გაიმართება. ვინ არიან კანდიდატები, ვის სურს პირველკაცობა უნივერსიტეტში და ვის რა პერსპექტივა აქვს? როგორც საუნივერსიტეტო კულუარებში ამბობენ, რექტორობის ერთ-ერთი კანდიდატურა დიპლომატი ლადო ჭანტურიაა, რომელსაც თითქოს მხარს უჭერს პროფესორთა მნიშვნელოვანი ნაწილი. შემდეგ რიგში დგანან „ქართული ოცნების“ ფავორიტები: დავით ნარმანია, გია ჟორჟოლიანი, ირაკლი კოვზანაძე და ნოდარ ხადური. რექტორობა, ასევე, სურს პროფესორ ილია თავხელიძეს, რომელიც გამოჩენილი მათემატიკოსის – ილია ვეკუას შვილიშვილი და ასევე, გამოჩენილი ფიზიკოსის – ალბერტ თავხელიძის ძმისშვილი გახლავთ (თავის დროზე ორივე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი იყო). კიდევ ერთი კულუარული ინფორმაცია, რომელიც პრეზიდენტ მარგველაშვილის თამაშზე მიანიშნებს: ამ დღეებში მისმა საპარლამენტო მდივანმა, გიორგი კვერენჩხილაძემ თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა და თითქოს გულწრფელად განაცხადა, სხვა მიზეზი არ ყოფილა, გარდა იმისა, რომ ეს იყო ჩემი პირადი გადაწყვეტილება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვარ და მინდა, უფრო აქტიურად დავუბრუნდე პედაგოგიურ საქმიანობას, ვნახოთ, მომავალში რა იქნებაო. ისე, კაცმა რომ თქვას, კვერენჩხილაძეს რა ხელს უშლიდა პედაგოგიურ მოღვაწეობაში მარგველაშვილის საპარლამენტო „პადელნიკობა“, ყანა ჰქონდა გასათოხნი თუ დიდი ოფლისღვრა იყო საჭირო? მოგვიანებით გაჩნდა კულუარული ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი მარგველაშვილმა მიავლინა უნივერსიტეტში მომავალ რექტორად, თუმცა აქ უკვე გაორებული სიტუაციაა – ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, კვერენჩხილაძეს კი სურს პირველკაცობა, მაგრამ არა უნივერსიტეტში, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოში. შეგახსენებთ, გიორგი პაპუაშვილს ვადა გაუვიდა და საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარე უნდა ჰყავდეს. რა თქმა უნდა, ახლა „ნაციონალებს“ ასეთი მნიშვნელოვანი ბერკეტის ხელიდან გაშვება არ უნდათ და ცდილობენ, მარგველაშვილის დახმარებით ამ თანამდებობაზე კვერენჩხილაძე დასვან. თუ ეს ფანდი გაუვათ, მარგველაშვილი უნივერსიტეტის რექტორობისთვის სხვა კანდიდატურას გამოძებნის.

ბოლო დღეებში საუნივერსიტეტო ელიტა კულუარებში ალაპარაკდა, რომ „ქართული ოცნება“ თსუ-ს რექტორად დავით ნარმანიას ამზადებს. თუ ასეა, მაშინ იგივე „ოცნებას“ მოუწევს, თბილისის მერის არჩევნები საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩაატაროს. სხვათა შორის, ეს ვერსია სარწმუნოა თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ივანიშვილმა მას ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაუსვა „დიაგნოზი“:

„ნარმანია თავისი მოღვაწეობით არის მეცნიერი, მეცნიერებიდან წამოვიდა ის პოლიტიკაში და შესაძლოა, მთლიანად ეს შლეიფი ვერ მოიშორა. ზედმეტად მკვლევარია, მაგრამ ეს არ აზარალებს იმას, რასაც აკეთებს. შეიძლება ცოტას აყოვნებს, ცოტას აფერხებს, შეიძლებოდა უფრო ცეცხლის დანთება, მაგრამ, საერთო ჯამში, ნარმანიას სახით ჩვენ გვყავს ხალხის სამსახურში მდგარი პოლიტიკოსი“.

რაკი ნარმანია მეცნიერი და ზედმეტად მკვლევარია, ესე იგი, მისი ადგილი უნივერსიტეტშია, ცოტა დაყოვნება და ცოტა შეფერხებები ამ დაწესებულებაში მოსულა, არაფერი უჭირს.

დღის წესრიგში, ასევე, დგას აკადემიური საბჭოს განახლების საკითხი და ბუნებრივია, როგორც ამბობენ, ამ კუთხითაც მიდის „ქართული ვარიანტი“, ანუ აკადემიური საბჭოს ზოგიერთი წევრი, რომელიც ვლადიმერ პაპავას „ერთგულად“ ედგა გვერდით, „ოცნების“ რიგებში ეძებს თავშესაფარს. ალბათ, ეს არ გაგიკვირდებათ, რადგან ჩვენში ასეთი წესია!

და მაინც... რა დააშავა, ან რა ვერ გააკეთა ვლადიმერ პაპავამ, რასაც „დააშავებს“ ან რას გააკეთებს თუნდაც დავით ნარმანია? როგორც უნივერსიტეტის კულუარებში ლაპარაკობენ, ვლადიმერ პაპავამ ვერ შეძლო ელემენტარული საკითხების გადაწყვეტაც კი, მან ვერ ჩაიხედა და შეისწავლა უნივერსიტეტის საკუთრებაში თუ სარგებლობაში არსებული ქონების საკითხი, სადაც სრული გაუგებრობაა. თუ ჩამონათვალს გადავხედავთ, რა ქონებას ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მართლაც, ხან უნდა იცინოთ, ხან კიდევ იტიროთ:

ბამბუკის კიოსკი – 2; სამგზავრო საბაგირო გზა ბაკურიანში; კიოსკი „სნეჟოკი“ და პავილიონი „სმოლენსკი“; 50-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლი-ბინა და კოტეჯი მთელ საქართველოში (ბაკურიანი, მცხეთა, თბილისი, დუშეთი, წყალტუბო, ჩოხატაური, ოზურგეთი, ხარაგაული, ახმეტა, ბათუმი, თიანეთი, ქუთაისი, ონი, რუსთავი, ყაზბეგი, გუდაუთა და ა.შ); ჯანდარის მეურნეობის ბეტონის ღობე; რამდენიმე საქვაბე და ღია-დახურული საწყობი; ავტოფარეხი და ავტოსახელოსნო ბაკურიანში; დაუმთავრებელი სასტუმრო წყნეთში; რამდენიმე ბანაკი, რომლის შესახებაც არავინ იცის. აი, ეს უკვე უნივერსიტეტი კი არა, ანომალიაა. რასაკვირველია, ამ ყველაფერს ვლადიმერ პაპავას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ ის, უბრალოდ, ვალდებული იყო, სიტუაცია ამ კუთხითაც გაერკვია და დაელაგებინა. თუმცა მან არაფერი გააკეთა, რადგან ჩათვალა, რომ ადმინისტრაციის საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო, კანონით არ ევალებოდა. ასეთმა მიდგომამ კი, რასაკვირველია, უკიდურესად „გააბლატავა“ სააკაშვილის დროს დანიშნული (და არა არჩეული) აკადემიური საბჭო, ადმინისტრაცია, სტუდენტური თვითმმართველობა და ყველაფერი რა შედეგითაც დამთავრდა, უკვე ვიცით.

როგორც უნივერსიტეტში მოღვაწე ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“ საუბარში, პაპავამ ვერ შეძლო პროცესების მართვა და შეეწირა კიდეც უნივერსიტეტში დამკვიდრებულ მახინჯ პრაქტიკას – მან დღის წესრიგში ვერ დააყენა „ნაციონალური“ აკადემიური საბჭოს გადარჩევის აუცილებლობა და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, უნივერსიტეტში ვერ დააბრუნა ის პროფესორ-მასწავლებლები (ყოველ შემთხვევაში, მათი უმრავლესობა) რომლებიც თავის დროზე უსამართლოდ გააძევეს სასწავლებლიდან. ასევე, უპრინციპობა გამოიჩინა, როცა თანხმობა მისცა კანადის მთავრობის მიერ დაფინანსებულ „ლგბტ“ კონფერენციის ჩატარებას, სახელწოდებით – „სტუდენტებში „ლგბტ“-ს მგრძნობელობის ამაღლება“, რაც მოგვიანებით ისევ სტუდენტების აქტიურობით ჩაიშალა.

თავად ვლადიმერ პაპავა „ალიასთან“ საუბარში ამბობს, რომ ის ვერასოდეს იმუშავებდა გია ხუბუას მეთოდებით და უნივერსიტეტიდან ვერ გაყრიდა პროფესორ-მასწავლებლებს. რაც შეეხება სხვა საკითხებს, ადმინისტრაციას თავისი საქმე აქვს კანონით გაწერილი, ხოლო რექტორს – თავისი და ამიტომაც ვერ ჩაერეოდა ტექნიკურ საკითხებში. ამ შემთხვევაში პარლამენტს უნდა შეეტანა კანონმდებლობაში ცვლილებები და მისთვის მიენიჭებინათ სხვა უფლებებიც. ასეა თუ ისე, ერთი რამ ფაქტია, უნივერსიტეტში დღემდე მოქმედებს და არავის შეუცვლია სააკაშვილის მიერ მიღებული კანონი და რასაკვირველია, ამავე კანონით მოქმედებდა მისი წინამორბედიც, როცა უნივერსიტეტი გაწმინდა „მავნე ელემენტებისგან“, ხოლო ვინც ნებით არ ისურვა წასვლა, პოლიციის ძალით გააძევა. ამიტომ, პაპავას შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნამეტან „დემოკრატიას“ და გადამეტებულ ჰუმანურობას. არადა, ყველა ელოდებოდა, რომ დღეს თუ ხვალ აღდგებოდა სამართლიანობა, თუმცა აღდგა მხოლოდ „ელგებეტეების“ პრეტენზიული კონფერენციები ფაქიზი „მგრძნობელობის“ დამკვიდრებასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, ლადო პაპავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გახდა ყოველგვარი „ჩაწყობის“ გარეშე, ხელისუფლება არჩევნებში არ ჩარეულა თუნდაც იმის გამოც, რომ მისი კანდიდატურა ერთი პერიოდი მისაღები იყო ხელისუფლებისთვისაც მისივე პოზიციების გათვალისწინებით. თუმცა რექტორის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა ახალი წლის დღეებში გამართულმა კორპორაციულმა საღამომ, სადაც ბატონი ლადო გახლდათ თამადა და როგორც ამბობენ, ძალიან ცუდად მოიხსენია „ქართული ოცნება“, უფრო სწორად, ბოდიში მოიხადა „ქართული ოცნების“ ხსენებაზე. მართალია, ვლადიმერ პაპავამ „ალიასთან“ ეს ფაქტი უარყო, მსგავსი არაფერი ყოფილაო, მაგრამ მავანმა და მავანმა ჩანაწერები წაიღეს იქ, სადაც ჯერ არს. გარდა ამისა, ამ საღამოზე დაფიქსირდა ერთი ისეთი ფაქტი, რაზეც პაპავას მაშინვე უნდა ეფიქრა და დასკვნები გამოეტანა – ამ საღამოს პროტესტის ნიშნად არ დაესწრნენ ეკონომიკური და იურიდიული ფაკულტეტების არც ხელმძღვანელები და არც წარმომადგენლები. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ვინ ვის აჯობებს, საუნივერსიტეტო არჩევნები რომ სკანდალების გარეშე არ ჩაივლის, ეს უკვე ჩანს.

## „პანამის დოკუმენტების“ გამოქვეყნების უკან აშშ დგას – ვლადიმერ პუტინი



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მიიჩნევს, რომ ე.წ. „პანამის დოკუმენტების“ გამოქვეყნების უკან აშშ დგას.

– „ვიკილიკსმა“ გვაჩვენა, რომ ამ ამბის უკან აშშ-ის ოფიციალური პირები და ორგანოები დგანან. ისინი ზოგჯერ საკუთარ თავს უფლებას აძლევენ, საჯაროდ მოგვაყენონ შეურაცხყოფა, ამისთვის ადმინისტრაციის ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა ბოდიშიც მოიხადა, თუმცა არა იმიტომ, რომ შერცხვათ, არამედ იმიტომ, რომ ისინი მათზე ჭკვიანები არიან, ვინც ეს გააკეთა, – განაცხადა პუტინმა.

ე.წ. „პანამის დოკუმენტების“ თანახმად, ოფშორული კომპანიების საშუალებით რუსეთიდან 2 მილიარდამდე აშშ დოლარის გატანა მოხდა. საქმეში რუსეთში ცნობილი პოლიტიკოსები, მათ შორის პუტინის მეგობარი, მუსიკოსი, ვიოლონჩელისტი სერგეი როლდუგინი ფიგურირებს. (ნიუპოსტი)

## აჰა, შეჭამენ და დაჯიჯგნიან ახლა ამ ქალს!..



– სხვა სექსუალური ორიენტაცია არის ადამიანური ნაკლი, – ამ მოსაზრების გამო პრეზიდენტის მიერ წარდგენილი უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატი ნინო თოდუა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან კრიტიკის ობიექტი გახდა.

ისინი თოდუას ჰომოფობიური განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებენ და პრეზიდენტს კანდიდატურის უკან გატანას სთხოვენ.

– ნაკლი ყველას აქვს, მე ჩემი ნაკლი მაქვს, იმათ ეს ნაკლი აქვთ. ყველამ თავის ნაკლზე უნდა იზრუნოს. მე რომ ვინმემ მითხრას, რომ თქვენი ნაკლია ის, რომ თქვენ ხშირად სხვას განიკითხავთ – მაქვს ეს ნაკლი – მე რომ ვთქვა, არა, ეს ნაკლი არ არის, სწორი იქნება? მას ამ მხრივ ჩემზე უკეთესი მდგომარეობა აქვს, მაგრამ ეს ნაკლი აქვს. სხვა სექსუალური ორიენტაცია არის ადამიანური ნაკლი, – განაცხადა თოდუამ.

ცნობისთვის, პარლამენტში, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატებთან დაკავშირებით იმსჯელეს. პრეზიდენტის მიერ წარდგენილი ორივე კანდიდატურა ჩავარდა. (პირველი რადიო)

## თურქეთი ევროკავშირს ემუქრება

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდორანმა ევროკავშირი დახმარების გამოყოფასთან დაკავშირებით მიცემული პირობის შეუსრულებლობაში დაადანაშაულა.

ერდორანმა განაცხადა, რომ თუ ევროკავშირი ანკარასთვის მიცემულ პირობას არ შეასრულებს და თურქეთს დაპირებულ 3 მილიარდ ევროს არ გადაურიცხავს, შეთანხმებას თურქეთიც დაარღვევს.

– ჩვენი ბიუჯეტი თითქმის 3 მილიონ დევნილს ინახავს, ხოლო ევროპისგან დაპირებული ფინანსური დახმარება ჯერ არ ჩანს. თუ ევროკავშირი თავის პირობას არ შეასრულებს, მიღწეულ შეთანხმებას თურქეთიც დაარღვევს, – განაცხადა ერდოღანმა.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრ აჰმედ დავუთოღლუს შორის შეთანხმება შედგა, რომ მიგრაციის კრიზისის მოსაგვარებლად, ევროკავშირი თურქეთს 3 მილიარდ ევროს გამოუყოფს. (pia.ge)

## მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით, საქართველოში კონცერტების სერია დაანონსდა

ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა კულტურის მინისტრთან, მიხეილ გიორგაძესთან ერთად მედიას ახალი პროექტი **Check in Georgia** გააცნო. ქუმსიშვილის თქმით, აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ტურიზმის განვითარებასა და საქართველოს ცნობადობის გაზრდას მსოფლიოში.

– აღნიშნული პროექტი, ფაქტობრივად, მთელ საქართველოს მოიცავს. ეს იქნება კონცერტების სერია, რომლის ძირითადი ამოცანაა, საქართველო გახდეს კულტურული ცენტრი რეგიონში. ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის ტურიზმი. მხოლოდ 2016 წლის სამი თვის მონაცემით, ტურიზმმა საქართველოს მოუტანა დამატებით, 84 მილიონი ლარის შემოსავალი. ჩვენ გვაქვს 14 მილიონიანი ზრდა, ხოლო დამატებით, 154 ათასი საერთაშორისო ტურისტი. კონცერტები და ღონისძიებები დამატებით წამახალისებელია, რომელიც ტურიზმს ეხმარება. ასევე, ზრდის საქართველოს ცნობადობას. არაერთი ვარსკვლავი გვეწვევა წლის განმავლობაში. ადგილობრივი შოუბიზნესის წარმომადგენლები გამართავენ არაერთ კონცერტს. რობი უილიმსმა „ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე უკვე დადო აფიშა, რომ 27 მაისს ჩამოდის საქართველოში და აღნიშნულია, რომ კონცერტი საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი იქნება, – განაცხადა ქუმსიშვილმა. (pia.ge)

გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



### ძველი პოლიტიკოსები

# ნიკო ლეკიშვილი: „ახლა შეიძლება ზოგიერთმა ჩაიცინოს კიდეც,

## რას ამბობს დავით ნარმანიასა და დღევანდელ

## რა ჭორები აუგორეს ნიკო ლეკიშვილს და საიდან

**ბატონ ნიკო ლეკიშვილს თბილისის მერობა რთულ დროს მოუწია. ალბათ, გახსოვთ ის პერიოდი: უშუქობა, გაზის დეფიციტი, პურის გრძელი რიგები, ქუჩებში ათასი ჯურის შეიარაღებული ადამიანები... ორი წლის დაძაბული მუშაობის შემდეგ ლეკიშვილმა ქალაქში ნაწილობრივი წესრიგის დამყარება მოახერხა. ამის შემდეგ ამ თანამდებობაზე რამდენიმე ადამიანი გამოიცვალა, მაგრამ თბილისელებს ლეკიშვილი დღემდე ახსოვთ. ამის ნათელი დადასტურებაა ის გამოკითხვა, რომელიც ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმა ჩაატარა და ბატონმა ნიკომ „თბილისის საუკეთესო მერის" ნომინაციაში ორჯერ იმარჯვა.**

**20 აპრილს ნიკო ლეკიშვილს დაბადებიდან 69 წელი უსრულდება. რამდენიმე დღის წინ ქალაქის ყოფილ თავს სახლში ვეწვიე.**





– ღმერთის წყალობით თავს კარგად ვგრძნობ. ასაკი ჯერ თავს არ მახსენებს. მოგეხსენებათ, ახალგაზრდობაში წყალბურთზე დავდიოდი და საცურაო აუზს დღესაც ყოველდღე ვსტუმრობ. ამის გარდა, ფეხით ხშირად ვსეირნობ.

**— ცოტა ხნის წინ თქვენს ერთ ძველ ინტერვიუს გავეცანი და აღმოჩნდა, რომ თქვენი მერობის პერიოდში, თბილისში მხოლოდ ორი მშენებლობის ნებართვა გაგიციათ!**

– მართალი ბრძანდებით. დღესაც კარგად მახსოვს, რომ ერთი სახლი გრიბოედოვისა და ჭავჭავაძის კუთხეში აშენდა, მეორე კი ქაშუეთის ეკლესიის უკან. საქმე ისაა, რომ იმ დროს თბილისში მშენებლობების არც მოთხოვნა იყო და არც საამისო სახსრები არსებობდა. ეს ყველაფერი 2000 წლიდან დაიწყო და დღეისთვის ის მახინჯი ფორმები მიიღო, რასაც ვხედავთ. გულისტკივილის გარეშე თბილისის ქუჩებში ვერ გამივლია ისეთი სახე მიიღო ამ უკონტროლო მშენებლობებმა.

**— ეს ფაქტორი რას უნდა მივაწეროთ?**

– არსებობდა თბილისის განვითარების ე.წ. გენერალური გეგმა, რომელსაც მოქმედების ვადა 2000 წელს ამოეწურა, მის განახლებაზე კი დღემდე არავის უფიქრია. ამავე დროს შემოვიდა ე.წ. „კოეფიციენტის გადასახადიც". რას ნიშნავს ეს. მაგალითად, მშენებელს სამსართულიანი სახლის აგების უფლება მისცეს. თუ დამატებით გარკვეულ თანხას გადაიხდიდა, შეეძლო ეს სამი სართული ათად ექცია. ეს მავნე ტენდენცია ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების" მოსვლამდე გრძელდებოდა. დღეს კი შეჩერებულია მაგრამ ასობით ძველი გაცემული ნებართვა მაინც არსებობს. თითოეულის გასაჩივრებასა და სასამართლოებში ბჭობას დიდი ენერგია, დრო და ძალა სჭირდება. ამიტომ უსახური სახლების რაოდენობა თბილისში კვლავ მატულობს. ერთსაც გეტყვით. ძველი გენერალური გეგმის თანახმად, სპორტის სასახლის უკან ბინათმშენებლობა გათვალისწინებული არ ყოფილა. უნდა გაშენებულიყო აკადემიური ქალაქი და რამდენიმე კვლევითი ინსტიტუტი. ეს შენობები 2-3-სართულიანები უნდა ყოფილიყო. თავად იცით, დღეს რას დაემსგავსა იქაურობა.

**— დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს მშენებლობები ვერ აღკვეთა, თქვენ კი რამდენიმე თვეში ქალაქი ჯიხურებისგან გაათავისუფლეთ...**

– მიმაჩნია, რომ მაშინ მეტი პრინციპულობა გამოვიჩინე, ვიდრე ამჟამინდელი ხელისუფლება დღეს ავლენს. მარტო სადგურის მოედანზე რვა ათასი ჯიხური იყო განლაგებული. „ბუტკები" თბილისის იერსახეს ამახინჯებდა. ვიცოდი, რომ თითოეული ამ ნაგებობის უკან რამდენიმე ოჯახი იდგა. ამის მიუხედავად, მათი აღების არაპოპულარული ნაბიჯი მაინც გადავდგი. რა არ გადავიტანე მაშინ: სახლში მოვარდნები, ოჯახის წევრების დაშინება, ჩემს საწინააღმდეგოდ მოწყობილი უამრავი მიტინგი. ერთიც მინდა გითხრათ. ეს „ბუტკები" კი არ გაგვინადგურებია, არამედ სხვა ადგილებში გადავიტანეთ. ამით მათ მფლობელებს სასამართლოში ჩივილის შესაძლებლობა მოვუსპეთ.

**— როგორც მახსოვს, მერობის დროს შეიარაღებულ დაჯგუფებებთანაც არაერთი კონფლიქტი გქონიათ.**

– მქონდა. საწვავს ქალაქის ცენტრში, ყოველგვარი ზედამხედველობის გარეშე ასაღებდნენ. ეს ნამდვილი ანარქია იყო. ხომ არ შეიძლებოდა, იგივე ოპერის თეატრის წინ, საწვავით ვაჭრობა... დავიბარეთ ეს ხალხი, ქალაქის მასშტაბით სპეციალური ადგილები გამოვუყავით და ბენზინგასამართი სადგურების აგებაც დავიწყეთ. რასაკვირველია, დიდ წინააღმდეგობას წავაწყდი. ერთ დილასაც თავისუფლების მოედანზე 200-250 ბენზინმზიდი მანქანა მომივარდა. მილიცია კურდღელივით დაფრთხა და ამ მოვლენებს შორიდან უყურებდა, არც გაემტყუნებოდათ – არც იარაღი ჰქონდათ და მოძრაობითაც საკუთარი „ჟიგულებით" დადიოდნენ. გამოვედი მერიის შენობიდან, „აჯანყებულებს" შევხვდი და მათთან დიდი დაპირისპირება და შელაპარაკება მომიხდა. ამ პრობლემის მოგვარებაში ისევ თბილისელობამ მიშველა. პირდაპირ ვუთხარი, რომ, თუ ქალაქელები არიან, თბილისისთვის პატივი უნდა ეცათ და ქალაქის მოწესრიგებაში დაგვხმარებოდნენ. საბედნიეროდ, დამიჯერეს და ქუჩებში საწვავის გაყიდვამ ცივილიზებული სახე მიიღო.

**— ცნობილია, რომ ქართულ-აფხაზური, ასევე, სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაჭრაზეც მუშაობდით...**

– 1996 წელს, როდესაც სახელმწიფო მინისტრი ვიყავი, მომივიდა ხმები, რომ აფხაზებს ქართველებთან დიალოგი სურდათ. ამავე დროს ჩემმა მეგობარმა პრიმაკოვმაც დამირეკა და სოხუმში ჩასვლა მირჩია. ერთ დღესაც მე, რამდენიმე მინისტრი და ბიზნესმენი თემურ ჭყონია აფხაზეთში გავეშურეთ. ვიცოდი, რომ აფხაზებს რამდენიმე ერთობლივი ეკონომიური პროექტი ჰქონდათ და თბილისელი ბიზნესმენის წაყვანაც მსურდა. სამწუხაროდ, ჭყონიას გარდა, ჩვენთან ერთად წამოსვლა ყველას შეეშინდა. ჩავფრინდით ადლერში, იქიდან კი სოხუმში გადავედით. აფხაზებმა შესანიშნავად მიგვიღეს და იგრძნობოდა, რომ მოლაპარაკებებზე წამომსვლელები იყვნენ. რასაკვირველია, პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი არ ყოფილა, რადგან პირდაპირ მიგვანიშნეს, რომ ამ ამბავს რუსეთის გარეშე ვერ გადავწყვეტდით. არძინბას, ბაღაფშსა და მთავრობის სხვა წევრებს რამდენჯერმე შევხვდით. უპირველეს ყოვლისა, „ენგურჰესის" პრობლემა მოვაგვარეთ, რადგან მანამდე აფხაზებს, როდესაც სურდათ, შუქს მაშინ გვითიშავდნენ. ეს ამბავი ქართული მხარისთვის დადებითად გადაწყდა. მოგვარდა სატელეფონო საუბრების თემაც. ჩვენთან ერთად კავშირგაბმულობის იმდროინდელი მინისტრი ფრიდონ ინჯიაც იმყოფებოდა და მისი დიდი მცდელობით გადაწყდა რომ სოხუმი რუსეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს უშუალოდ თბილისის მეშვეობით დაუკავშირდებოდა. ე.ი. სატელეფონო ზარი ჯერ ქვეყნის დედაქალაქში შემოდიოდა, აქედან კი უცხოეთში გადიოდა. აფხაზებს სურდათ ადგილობრივი წისქვილკომბინატის განკერძოება. ამისთვის ერთობლივი საწარმოს შექმნა შემოგვთავაზეს. ამის გარდა, თურქეთიდან შემოსული თხევადი გაზის ხარისხითა და ფასით უკმაყოფილოები იყვნენ და თქვენ შემოიტანეთო, – გვითხრეს. ასევე, სურდათ, რომ საწვავი ქართულ მხარეს შეეტანა. რასაკვირველია, ყოველივე ამაზე დასტური მივეცით, მაგრამ... დავბრუნდით თბილისში და აფხაზეთიდან ლტოლვილებმა, აფხაზეთის მთავრობის წევრებმა და იმ დროს არსებულმა ოპოზიციამ სულ მოღალატეები გვეძახა. ამის გამო ერთობლივი ბიზნესპროექტის იდეები ვერ განხორციელდა. იმასაც მაყვედრიდნენ, ფულის გათეთრება უნდა და აფხაზებს იმიტომ შეეკრაო. დარწმუნებული ვარ, აფხაზებთან დაახლოების ისტორიული შესაძლებლობა ხელიდან გავუშვით. რასაკვირველია, გლობალურ პოლიტიკურ საკითხებს ვერ ვწყვეტდით, მაგრამ მთავარი იყო ამ ორ ხალხს შორის თავდაპირველად თუნდაც ეკონომიკური ურთიერთობა მომხდარიყო. შემდეგ უკვე გალის ცნობილი მოვლენები და ეს იდეები საერთოდ აღარავის ახსოვდა. შემდეგ ხელისუფლებაში ახალი ხალხი მოვიდა და საერთოდ ყველამ მიივიწყა.

**ძველი ჰოლოფოტოები**

# „რაღა დროს ნიკო ლეკიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებააო... რატომ?“

# ხელისუფლებაზე თბილისის ყოფილი მერი?

# წამოვიდა გამოთქმა „თბილისი ნიკოსია“?





**— ამ თემასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი კონრად ადენაუერი მახსენდება. იცით, ადენაუერმა რა გააკეთა? — მიუხედავად იმისა, რომ ამხელა ქვეყანა წაართვა, საბჭოთა კავშირში რამდენჯერმე არაოფიციალურად ჩავიდა და სტალინთან შეხვედრასაც ეცადა, მაგრამ რახან სტალინმა არ მიიღო, მოლოტოვს შეხვდა. 1955 წელს კი, საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა.**

– რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს. მაშინდელ მათ ლიდერთან ჩიბიროვთან ჩინებული ურთიერთობა მქონდა. მოვახერხეთ და ცხინვალთან კარგი ეკონომიკური კავშირები დავამყარეთ. თოფაძემ იქ ლუდის გაყიდვა დაიწყო, ჭყონიამ კი – „კოკა-კოლასი“. ამის გარდა, თბილისში ოსეთში წარმოებული მინერალური წყალი „ბაგიათას“ გასაღებას შევუდექით. ამ ნაბიჯებმა ის გამოიწვია, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ლარმა მიმოქცევა დაიწყო და რუსულ რუბლს ტოლს არ უდებდა. სამწუხაროდ, ჩიბიროვი თანამდებობიდან მალე წავიდა, „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ქართულ-ოსური ურთიერთობები როგორ განვითარდა, ყველამ კარგად ვიცით.

**— შემდეგ სახელმწიფო მინისტრის თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადექით...**

– ეს თანამდებობა ჩემი თვითმიზანი არასდროს ყოფილა. საჩემო ადგილი თბილისის მერობა გახლდათ და სხვაგან მუშაობა არ მსურდა. სამწუხაროდ, იმდენჯერ მთხოვეს, რომ უარი ველარ ვუთხარი და დავთანხმდი. იმ დროს სახელმწიფო მინისტრს რეალურად არავითარი ძალაუფლება არ ჰქონია. გადაწყვეტილებებს უშუალოდ ედუარდ შევარდნაძე და მთავრობის სხვა წევრები იღებდნენ. თანაშემწე რომ ამეყვანა, ბრძანებაზე ხელი ქვეყნის პრეზიდენტს უნდა მოეწერა. საკმაოდ პრინციპული ადამიანი გახლავართ და ამას ვერ ვეგუებოდი. ამის გამო არაერთ მინისტრთან გარკვეული უთანხმოებაც მქონდა. როცა უშიშროებამ ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურისა და ,,ოდეერების“' ინსტიტუტის აღდგენა დააპირა, ვიზა არ მივეცი და უშიშროების მაშინდელ მინისტრთან, შოთა კვირაიასთან კონფლიქტი მომივიდა. ახლაც მიმაჩნია, რომ ,,ოდეერების“ ინსტიტუტი, რომელიც მაშინ მოიშალა, როცა უშიშროების მინისტრად ირაკლი ბათიაშვილი მოვიდა, დამღუპველია. მოკლედ, ვიზა მე არ მივეცი, მაგრამ კვირაია შევარდნაძესთან შევიდა და ხელი მოაწერინა. „ოდეერი“ კორუფციის წყარო გახდა. მაგალითად, რკინიგზით ნავთობი ან ხორბალი მოდიოდა, „ოდეერი“ გააჩერებდა და ვიდრე ფულს არ მისცემდნენ, არ უშვებდა. ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღეს დადგენილება, რომ უცხო ქვეყნებში ჩამოსასხმელი ღვინო გასაყიდად გაეტანათ. ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ცოტა ხანში აღმოვაჩინე, რომ მოლდოვაში გასაყიდად დაახლოებით 2 ათასი ტონა ხვანჭკარა გაუტანიათ. ასეთი შემთხვევა ბევრი იყო და, ბოლოსა და ბოლოს, თანამდებობის დატოვების გადაწყვეტილება მივიღე.

**— ამბობდნენ, რომ ბევრი მტერი გყავდათ, რომლებსაც თქვენი შესაძლო გაპრეზიდენტებისა ეშინოდათ. ასე იყო?**

– პირდაპირ გეტყვით, რომ პრეზიდენტობა არასდროს მსურდა. ისიც ვიცი, ბინძურ ჭორებს ვინ მიგორებდა. ერთხელ ვითომცდა ჩემმა სიძემ ნუგზარ შევარდნაძე დააყაჩაღა, ერთხელაც ვითომ ჩემმა ვაჟიშვილმა რაღაც დანაშაული ჩაიდინა, არადა ორი ქალიშვილის მამა გახლავართ. უკეთეს მაგალითს მოგიყვანთ. როდესაც თბილისში უშუქობის დრო იდგა, სახლში პატარა შვილიშვილი მყავდა და ბავშვის ოთახის გასანათებლად მომცრო „დვიჟოკი“ ვიყიდე. ერთ დღესაც ხმაური შემომესმა, გავიხედე და ჩემი სახლის წინ ასიოდე ადამიანი დავინახე. ისინი ჩემი ბინიდან გამოსულ შუქს აპროტესტებდნენ. ამათგან ერთი განათების ბოძზე იყო ასული და ჩემს ბინაში შემავალ „ლევი ხაზს“ ეძებდა. ეს ადამიანი ერთ-ერთი სოლიდური გაზეთის მთავარი რედაქტორი გახლდათ.

**— სახელმწიფო სამსახურში დიდი გამოცდილება დააგროვეთ. „ნაციონალური მოძრაობა“ გასაგებია, „ქართულ ოცნებას“ სამსახური არ შემოუთავაზებია, ან თუნდაც თბილისის განვითარების საქმეში დახმარება არ უთხოვიათ?**

– სამსახური არ შემოუთავაზებიათ და არც მე მითხოვია. ამ ცხოვრებაში საკუთარი პრინციპები მაქვს და გარკვეულ ნაბიჯებს არასდროს გადავდგამ. რასაკვირველია, ამ მთავრობის წევრებს კარგად ვიცნობ, დავით ნარმანიასაც რამდენჯერმე შევხვედრივარ, მაგრამ არანაირი შემოთავაზება მათგან არ ყოფილა.

**— ამჟამინდელ ხელისუფლებაზე რას გვეტყვით?**

– რა გითხრათ, წინამორბედებს აშკარად სჯობიან და ქვეყანა ნორმალურ დინებაზე დააყენეს. რასაკვირველია, შეცდომებიც აქვთ. ამათგან უმთავრესად მაინც უკანონოდ ჩამორთმეული ქონების ხალხისთვის დაბრუნების საკითხის გაჭიანურება მიმაჩნია. რამდენიმე ათასი ასეთი საქმე ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. თითოეული ამ ფაქტის უკან უამრავი გაწამებული ოჯახია და ისინი დღემდე სამართალს უშედეგოდ ეძებენ. ისიც კი არ ესმით, რომ ახალი არჩევნები ახლოვდება და მარტო ამ ხალხის სახით პოტენციური მოწინააღმდეგეები შეიძინეს.

**— თბილისის ამჟამინდელ მერს როგორ შეაფასებთ, ან რას ურჩევთ?**

– ვურჩევდი, ქალაქის განვითარების ახალი გენერალური გეგმის სასწრაფოდ გაკეთებას. უამისოდ თბილისი ვერ განვითარდება. თავად განსაჯეთ. საცხოვრებელი უბნების მეტი ნაწილი უზომოდ გადატვირთულია. ვაკის რაიონი ავიღოთ. ბოლო წლებში მისი მოსახლეობის რიცხვი სამჯერ გაიზარდა. ამ დროს საკომუნიკაციო საშუალებები ძველ დონეზე დარჩა. ეს ეხება როგორც სანიაღვრე კოლექტორებს, ასევე, საკანალიზაციო სისტემას. ამ პრობლემას დროზე თუ არ მიეხედა, ერთ მშვენიერ დღეს იფეთქებს და ქალაქში შარშანდელი მეწყერის მსგავსი ტრაგედია დაგვიტრიალდება.

**— ბატონო ნიკო, ისევ ჭორებს მინდა დავუბრუნდეთ.**

– ვიცი, ეხლა რასაც მკითხავთ და თავად გიპასუხებთ. არანაირი მილიონერი მე არ ვარ. ვისაც უნდა დაიჯეროს, ვისაც – არა, იმას თბილისურად დაველაპარაკები. რუსთაველის პროსპექტზე მე სახლები არ გამიყიდია. ვინც ეს გააკეთა, მოგვიანებით გამოჩნდა. ჩემს ბიზნესებს რაც შეეხება. თავის დროზე წილი მართლა მქონდა „კოკა-კოლაში“ და გავყიდე. ამჟამად რაჭაში პატარა ღვინის ქარხანა და ვენახები მაქვს და მეგობრებთან ერთად ვამუშავებ. დიდი შემოსავალი არ მაქვს, მაგრამ მე და ჩემს ოჯახს გვყოფნის. რაც შეეხება გამოთქმას „თბილისი ნიკოსია“. მას თავისი ისტორია აქვს. დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ თბილისის მერი გავხდებოდი, ოჯახთან და მეგობრებთან ერთად ხმელთაშუა ზღვაზე გემით ვმოგზაურობდი. ერთ დღეს კვიპროსის ქალაქ ნიქოზიას ვეწვიეთ, სადაც ტრადიციული ღვინის ფესტივალი იმართებოდა. გაიმართა რამდენიმე კონკურსიც, სადაც სიმღერა მომიწია. საღამოს დასასრულს ქალაქის საპატიო გასაღები გადმომცეს. ჩემი მეგობრები ხუმრობდნენ, რაღა „ნიქოზია ნიკოსია“ უნდა იყოს, არ სჯობს, ჯერ „თბილისი ნიკოსია“ იყოსო. აქედან წამოვიდა და წამოვიდა. ზემოთ სიმღერა ვახსენე და ერთხელ „თბილისობაზე“ ნანი ბრეგვაძესთან ერთად სიმღერა „თბილისო“ შევასრულე. მეორე დღეს გაზეთშიც დაიწერა, ნიკო ლეკიშვილს სიმღერაც არ სცოდნიაო. კარგი რა, ადამიანო, ვთვლი, რომ მერობის დროს გარკვეული შეცდომები მართლა მქონდა, მაგრამ სიმღერას რაც შეეხება, ეს საქმე კარგად გამომდის და ამ მხრივ, კრიტიკა უნამუსობაა. სამწუხაროდ, სახელმწიფო სამსახურში ყოფნისას სიმღერასა და ახლობლებთან ერთად დროის გატარებას ხშირად ვერ ვახერხებდი. სამაგიეროდ, ეს დანაკლისი 2008 წლის შემდეგ, რაც პოლიტიკიდან ოფიციალურად წამოვედი, „ათმაგად“ ავინაზღაურე.

**— ბოლოს გკითხავთ, ამბობენ, მიმდინარე წლის არჩევნებში ნიკო ლეკიშვილიც მიიღებს მონაწილეობასო, მართალია?**

– ამ საკითხზე ხშირად ვფიქრობ. არ დაგიმალავთ და რამდენიმე ჯგუფის მიერ გარკვეული შემოთავაზებები ნამდვილად მაქვს. თუ მონაწილეობას დავთანხმდი, ან რაჭაში, ან თბილისში, პლეხანოვზე მაჟორიტარად აუცილებლად ვიყრი კენჭს. დარწმუნებული ვარ, თუ არ გააყალბეს, მოვიგებ. ახლა შეიძლება ზოგიერთმა ჩაიცინოს კიდეც, რაღა დროს ნიკო ლეკიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებააო... რატომ? კლინტონი და ტრამპი ჩემი ასაკისანი არიან, სანდერსი ჩემზე ბევრად უფროსია და აშშ-ის პრეზიდენტობაზე იყრის კენჭს. ჩემთვის თბილისის სამსახური ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ეს არის ის ფაქტორი, რამაც დიდ პოლიტიკაში დაბრუნებაზე დამაფიქრა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქუთაისში მოსახლეობამ დათვი შენიშნა



ქალაქ ქუთაისში ადგილობრივმა მოსახლეობამ დათვი შენიშნა. შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა, რის შესახებაც მაცხოვრებლებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეს.

სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აღნიშნული დაადასტურეს და განაცხადეს, რომ სათანადო კანონმდებლობის თანახმად, მათ გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმირება მოახდინეს.

დათვი ქუთაისის ქუჩებში მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. სავარაუდოდ, ის დასახლებულ პუნქტში გაზაფხულის სეზონისთვის დამახასიათებელმა საკვების ნაკლებობამ მიიყვანა. (newspress.ge)

## ,,ნატო ხედავს რუსეთის აგრესიას და, შესაბამისად, პასუხობს“



ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის განცხადებით, კონსტრუქციული დიალოგი და ალიანსის გაძლიერებული თავდაცვა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და იმედოვნებს, რომ რუსეთთან დიალოგი შესაძლებელი იქნება.

მისი თქმით, ნატო თვალს ადევნებს რუსეთის აგრესიულ ქმედებებს და, შესაბამისად, პასუხობს მას, თუმცა არ აპირებს, სიტუაცია ცივი ომის ზაფამდე მიიყვანონ.

კითხვაზე, როგორია რუსეთის მხრიდან რეალური საფრთხე, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ გარდაუვალ საფრთხეებს ვერა, თუმცა ალიანსი რუსეთის აგრესიულ ქმედებებს ხედავს.

– ჩვენ ვერ ვხედავთ ნატოსთვის გარდაუვალ საფრთხეებს, მათ შორის ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებზე. რუსეთის აგრესიული ქმედებები სიფრთხილეს მოითხოვს და ჩვენ შესაბამისად ვიქცევით. ნატო არ ეძებს კონფრონტაციას რუსეთთან. ჩვენ გვერდს ავუვლით ახალ ცივ ომს და ვიმედოვნებთ, რუსეთთან დიალოგი გამოვა, – განაცხადა ალიანსის მდივანმა ატლანტიკურ საბჭოში.

იენს სტოლტენბერგმა დასძინა, რომ კონსტრუქციული დიალოგი და სერიოზული თავდაცვითი ღონისძიებები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

შეგახსენებთ, რომ ნატოს ევროპული სარდლობის მეთაურმა, გენერალმა ფილიპ ბრიდლავმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უსაფრთხოების პოლიტიკიდან ნატო დაშინების პოლიტიკაზე გადადის. (pia.ge)

## „თუ მეხსიერება არ მღალატობს, სააკაშვილმა 2012-ში 1 ოქტომბერს არ დანიშნა საპარლამენტო არჩევნები?"

ჟურნალისტი ინგა გრიგოლია პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო არჩევნების თარიღის დასახელებას „ფეისბუკით" გამოეხმაურა:

– არ მესმის, რატომ აპროტესტებს ზოგიერთი 8 ოქტომბერს არჩევნების დანიშვნას... თუ მეხსიერება არ მღალატობს, სააკაშვილმა 2012-ში 1 ოქტომბერს არ დანიშნა საპარლამენტო არჩევნები? ხოდა, გაიმარჯვა „ოცნებამ" და ახლა რატომ არ უნდა დაენიშნათ ვითომ 8 ოქტომბერს? რაშია პრობლემა, მართლა ვერ ვხვდები, - წერს გრიგოლია. (news.ge)

## სომხური პრესა: თუ ქართველი ლეგიონერები ასე მაგრები ხართ, რატომ ვერ იბრუნებთ აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს?



სომხური გამოცემა „Новое время" ეხმაურება უკრაინაში მყოფ ქართველ მებრძოლთა განცხადებას იმის შესახებ, რომ ისინი მზად არიან ყარაბახში მიმდინარე პროცესებში ჩაერთონ და აზერბაიჯანის მხარეს იომონ.

– ქართული ეროვნული ლეგიონი მზად არის აზერბაიჯანელი ხალხის მხარდასაჭერად თავისი მაღლაკვალიფიცირებული ოფიცრების ნაწილი საქართველოდან მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში გადაისროლოს. ეს განცხადება ლეგიონის მეთაურმა მამუკა მამულაშვილმა გააკეთა.

„მთიან ყარაბაღში, რომელიც აზერბაიჯანის განუყოფოფელ ნაწილად მიიჩნევა, აზერბაიჯან-რუსეთის კონფლიქტია გაჩაღებული! ჩვენ მხარს არ ვუჭერთ კონფლიქტს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის და კარგად ვიცით, რომ ეს შეტაკება რუსეთისა და ვლადიმირ პუტინის რეჟიმის მიერაა პროვოცირებული", - ასე დაწერა მან თავის სოციალურ გვერდზე.

ამ რამდენიმე დღის წინ მამუკა მამულაშვილი, უკრაინის შეიარაღებულ ძალებში უცხოელთა სამსახურის უფლების კანონის მიღების შემდეგ, ერთ-ერთი პირველი უცხოელი გახდა, რომელმაც უკრაინული სამხედრო ბილეთი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ქართული ეროვნული ლეგიონის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ „ანტიტერორისტულ ოპერაციაში" - ასე უწოდებს უკრაინის მთავრობა დონბასში 2014 წლიდან მიმდინარე სამხედრო მოქმედებებს.

რჩება ერთი კითხვა, რომელიც ქართველ ლეგიონერებს უნდა დავუსვათ: „თუ ეგრეთი მაგარი მებრძოლები ხართ, რატომ ვერ იბრუნებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს?" — წერს გამოცემა. (newspress.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# „ამ მთავრობისთვის თავგანწირული დავრბოდი... მიტინგები რომ იყო, სად არ დავრბოდი — ზუგდიდი გინდა, ქუთაისი გინდა და ამოწყვეტა ამათი! უარესობაა კიდე! რატო არ გამიხმა ის ხელი, რო ამათ ხმა მივეცი!"

**ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე რთული სამუშაო, წლის ნებისმიერ პერიოდში, ნებისმიერი ამინდის პირობებში ქუჩაში დგომა და ვაჭრობაა. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ კაცს ადამიანური სამუშაო პირობები გქონდეს და ამიტომ ძალიან ბევრი პურის ფულს ქუჩაში დგომითა და ვაჭრობით შოულობს... „პროფესიის" დღევანდელი რესპონდენტი ორი ქალბატონია, რომლებიც ვაგზალთან, ქუჩაში საკვებით ვაჭრობენ და უკვე პროფესიად ქცეულ სამუშაოზე საუბრობენ.**

**— თქვენი გარემოვაჭრედ მუშაობა რამ განაპირობა?**

არაფერი. დახმარებას რას ვითხოვთ ჩვენ, იცი? ცოტა შეღავათი რომ მოგვცენ, ელემენტარულად, გარეთ მუშაობის პირობები რომ მოგვცენ, ჩვენ ბაზრებში ვერ შევალთ, ესაა. მოგვცენ საშუალება, რომ გარეთ ცოტა ხანი ვირჩინოთ თავი.

**— ვინმე გიშლით გარეთ დგომას? პატრული ხომ არ გავიწროებთ?**

– ახლა არავინ, არც პატრული გვავიწროებს, წელიწადზე მეტია გარეთ ისე ვართ, რომ არ შეგვხებია არავინ. უმადური არ ვარ, მწვანილია, მარა პურის ფულს ვშოულობ და ყველას მადლობა, რომ ახლა არავინ გვიშლის მუშაობაში ხელს და ვითხოვთ, რომ ეს მდგომარეობა ასე გაგრძელდეს.

# „ნორმალურად ვიყავით კომუნისტების პერიოდში, რაც ჩვენი ქვეყანა აირია და დაიქცა, იმის მერე ასე ვარ ქუჩაში"



# „დილის 7-ის ნახევრის მერე ღამის 11 საათამდე ქუჩაში ვარ, ვშრომობ, ვწვალობ თოვლში, ქარში, წვიმაში, მზეში... რა ვქნათ? ამ ზამთარს თოვლსა და ყინვაში 63 წლის ქალი გარეთ რომ დადგება, იმას რა ენერგია უნდა ჰქონდეს, როგორ იქნება?"



**ცისანა ბებო, მწვანილსა და კვერცხს ყიდის ქუჩაში:**

– აბა, სად უნდა წავსულიყავი, დედა? აგია მთავარი. სხვა არანაირი საშუალება არ გაგვაჩნია, რამე რომ გავაკეთოთ. ჩვენ ბიზნესმენები არ ვართ, ფულიანი ხალხი არ ვართ. 20-30 ლარის მწვანილს ვყიდულობ და 30 ლარი ერთი დღის „ჩეკის" ფულია ბაზარში, აქ რომ გადავიხადოთ. იქ მწვანილის ასაღები ფული, იქ ჩეკის ფული და სახლში რა წავიღო? ჩვენს უკან ხომ ოჯახები დგას – საჭიროება, გაჭირვება, რაღაც პრობლემები ხომ გვაქვს? რა გაგვეკეთებინა მეტი? ვირჩიეთ აქ, გარეთ დგომა.

**— რამდენი ხანია, რაც აქ დგახართ?**

– აბაშიდან ვარ. 20 წელი კი იქნება უკვე. მიტოვებული სახლ-კარი გვაქვს, გადმოვარდნილები ვართ ქუჩაში. რაიონებში არაფერი არაა, რა უნდა გავაკეთოთ? გადმოცვენილი ვართ აქ, რომ ლუკმაპური ვიშოვოთ. რაცხა გაჭირვებაც გვაქვს, ჩვენი დღე ასე მიგვაქვს.

**— დღეში საშუალოდ რამდენი გრჩებათ ვაჭრობიდან?**

– 10, 15, 18 ლარი, მეტი რა გვრჩება გგონია? მწვანილიდან რა უნდა ავიღო ამაზე მეტი, დედა? ამ 15 ლარით გაგვაქვს დღე. ვსუნთქავთ, მეტი

**— თქვენ რამე პროფესია თუ გაქვთ?**

– საშუალო განათლება მაქვს და მერე ტექნიკური დავამთავრე. მე პარტიული თანამშრომელი ვარ, ბებო, 30 წელი ერთ წარმოებაში ვიმუშავე, დამსახურებული მუშა ვიყავი, კომუნისტების დროს ბინა მომცეს უკაპიკოდ, ერთი თეთრი არ გადამიხდია, ისე. მერე აირია ქვეყანა, რაიონში არაფერი არ იყო და წამოვედი აქეთ სამუშაოდ. დილის 7-ის ნახევრის მერე ღამის 11 საათამდე ქუჩაში ვარ, ვშრომობ, ვწვალობ თოვლში, ქარში, წვიმაში, მზეში... რა ვქნათ? ამ ზამთარს თოვლი და ყინვაში 63 წლის ქალი გარეთ რომ დადგება, იმას რა ენერგია უნდა ჰქონდეს, როგორ იქნება?

**— ოჯახი გყავთ, ალბათ, ხომ?**

– მეუღლე გარდაცვლილი მყავს, შვილები მუშაობენ და მის თავს ძლივს ირჩენენ, 200 და 300 ლარი თვეში ბევრია?

# „ამ მთავრობის გულისთვის საკუთარ დას კინაღამ თვალები ამოვთხარე, არიქადა უკეთესი იქნება, გვეშველება-მეთქი, მაგრამ საერთოდ გაგვძვრა იმედები"

სანამდეც გავუძლებთ ასე, ვიყოთ გარეთ, რომ ვიმუშაოთ.

**— გასაყიდ მწვანილს სად იღებთ ხოლმე?**

– აქვე დაბლა „ოპტავოია", „ტაჩკას" რომ ფული მივცე ერთი ლარი, იმას ვერ ვიმეტებ და ხელით მოვათრევ, რა ვქნა? ის ერთი ლარი ორი პურია.

**— დღევანდელ სიტუაციას როგორ შეაფასებთ?**

– ნორმალურად ვიყავით კომუნისტების პერიოდში, რაც ჩვენი ქვეყანა აირია და დაიქცა, იმის მერე ასე ვარ ქუჩაში. რომ იკითხო კომუნისტური პარტია არავის მოსწონს და ახლა ისეთ დღეში ვართ, „ამოდი, სულოო", იტყვი. რამდენს არ აქვს 1 ლარი, რომ პური იყიდოს... ბანკები აქვთ, ვალები აქვს ყველას.

**— ახლანდელი ხელისუფლება კაი ხანია გვპირდება, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლებაო.**

– დედა, არც ერთს, არავის არაფერი გაუკეთებია, ყველა იბრძვის მისი სკამისთვის, კარიერისთვის და მისი თავისთვის. ხალხისთვის არავინ ზრუნავს. ყველა მთავრობამ მილიარდები იშოვა. ესენი პატიოსანი ხალხი კი არიან, მკვლელობები არ ხდება, მარა ოხერი ყველგან ოხერია, ოჯახის დედმამიშვილი გამოდის ოხერი და იგენს კი ჯობიან ესენი, მე ასე ვარჩევ, რომ იმ მთავრობას კიდე ეს ჯობია ათასწილად.

**— ახლა არჩევნები რომ იქნება ოქტომბერში, აპირებთ მისვლას?**

– გაჩერებული ვარ, შვილო, არ ვიცი, რა გავაკეთო. უკეთესობას ჯერჯერობით ვერაფერს ვხედავ და მე თვითონ არ ვიცი, რა გავაკეთო. მე წინა არჩევნებზე აბაშაში ჩავედი და ხმა მივეცი „ოცნებას" და ახლა ვინ იქნება უკეთესი, არ ვიცი.

**ქალბატონი ნონა, კიტრსა და პომიდორს ყიდის ქუჩაში:**

– ამ მთავრობისთვის თავგანწირული დავრბოდი, აქედან წავედი მარტვილში არჩევნებზე ხმის მისაცემად და აქ რომ ვმდგარიყავი იმ დღეს, პურის ფულს მაინც გავაკეთებდი და ისიც დავკარგე. ესენიც არაფრის მაქნისები არიან, რატო არ გამიხმა ის ხელი, რო ამათ ხმა მივეცი! მიტინგები რომ იყო, სად არ დავრბოდი – ზუგდიდი გინდა, ქუთაისი გინდა და ამოწყვეტა ამათი! უარესობაა კიდე. თურმე ის მთავრობა ჯობია ამას ბევრად, მაშინ არ ჩანდა, ისინი რასაც აკეთებდნენ კარგს, ახლანდელი დრო შევარდნაძის დრო მგონია ყველანაირად. ახლა საღამოს ქუჩაში რომ გავიდე, მეშინია და მაშინ უშიშრად დავდიოდი ღამე ქალი, მარტო რომ წავსულიყავი ღამის 2-3 საათზე აქედან.

**— გინდათ, „ნაციონალები" რომ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში?**

– კი, მოვიდნენ, ის მირჩევნია. ამ მთავრობის გულისთვის საკუთარ დას კინაღამ თვალები ამოვთხარე, არიქადა უკეთესი იქნება, გვეშველება-მეთქი, მაგრამ საერთოდ გაგვძვრა იმედები. ახლა არჩევნებში ვინ მისცემს ამათ ხმას? ალბათ, გააყალბებენ და კი, ასე „მისცემენ" და ასე შეიძლება მოიგონ, თორე სინამდვილეში ამათ არავინ მისცემს ხმას. ცხონებული მამაჩემი რომ ადგეს და იმ სკამზე რომ დაჯდეს, მაინც თავისთვის იბრძოლებს მაგი და თავის სკამისთვის და არ ვიცი... გვეგონა, ესენი კარგები იქნებოდნენ, მარა საერთოდ არაფერი არ არიან.

**— დღევანდელი ხელისუფლების რამე თუ მოგწონთ?**

– არაფერი საერთოდ. რა გააკეთეს, რაა? გზას აკეთებდა სააკაშვილი და ისიც ვერ დაუმთავრებიათ. რაც ხალხს შეჰპირდნენ, რომელი ერთი გააკეთეს? არიქა, ბანკებს შევუმსუბუქებო... ის კი არა, ნარ-

## პრიორიტეტი

მანია თბილისში რომ დანიშნეს, მეორე დღეს გამოვიდა და გარემოვაჭრეები აგვყარეს, ისე საცოდავად დავრბოდით ვედრო-ვედროებით, იმასაც გვართმევდნენ და რამდენი ჯარიმა დაგვიწერეს და გადავიხადეთ, ვინ იცის? ევროპულ ქვეყნებში გარევაჭრობა არ არის და იმათ უნდა მივბაძოთო, რომ იძახიან, ევროპულ ქვეყნებში, შენი ჭირიმე, იმდენი ხელფასი და პენსია აქვთ იმათ... იტალიაში 2 ათას 600 რაღაცა ყოფილა ერთი პენსიონერის პენსია და ჩვენთან საცოდავად 160 ლარია, ის დამადლებული 10 ლარი დაუმატეს და მორჩა. აქ ახლა ვინც დგას, ყველას უკან 5-6 ადამიანი მაინც დგას, ერთი მუშაობს და 6 უნდა არჩინოს.

**— თქვენც გყავთ ოჯახი, ხომ?**

– როგორ არ მყავს, ეს ჩემი მეუღლეა (იქვე მდგას მამაკაცზე მიმითითებს). თბილისში ქირით ვცხოვრობთ. მისდღემში არ მივსულვარ მთავრობასთან და არ მითხოვია, რამე შეღავათები მქონოდა. ის კი არა, დიაბეტიანი შვილი მყავს და არაფერი შეღავათები არ გამაჩნია.

**— თქვენი შემოსავალი რამდენია თვეში?**

– დაახლოებით, სადღაც 300 ლარი იქნება. კაი, წვალებას დავანებოთ კიდე თავი, ახლა არჩევნებია კარზე მომდგარი და მიტო გვაჩერებენ აქ, თორე ვინ გაგვაჩერებს? გამოგვეკიდებოდნენ – გავრბოდით, რამდენი ჯარიმა დაგვიწერეს და რამდენჯერ წაგვართვეს „ტავარი".

**— ჯარიმას რამდენს წერენ ხოლმე?**

– პირველ ჯერზე 20 ლარია, მერე ერთი წლის განმავლობაში თუ კიდევ გამოგიჭირეს, უკვე 100 ლარია. ახლა წელიწადზე მეტია არ შეგვხებია არავინ, მაგრამ გვემუქრებიან, არჩევნების მერე აგყრით აქედანო. ევროპის დონე კი არა, დაანახონ იმ ევროპას, როგორ გაწამებულ საქართველოში ვცხოვრობთ ერთი!

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



ჩემს სოფელში ერთი ბირჟაა, სადაც მუდმივად სხედან ჯანიანი ყაზილარები და მოსთქვამენ, სამუშაო არ გვაქვს, გვიჭირს, ამის პატრონი დედაცო! ამ დროს გაიხედავ და ამ ყაზილარების ველ-მინდვრები დასამუშავებელია, იგეთი ბალახი აბიბინებულა, დილით გაძვალტყავებული ძროხა რომ შეაგდო, საღამოს გატიკნული ჯიქნებით გამოვა. უყურებენ ღამე ამ ჩვენ თავგასიებულ პოლიტიკოსებს ტელევიზორში, გამოვლენ დილას

მომეწონა იუნას პოეზია და ვკითხე, რა გჭირს, რა ხდება-მეთქი? მისგან ასეთი პასუხი მივიღე: „სასაცილოა უკვე, გელა... სირცხვილია, როდემდე? ამათ ქაქუცა ჩოლოყაშვილები მაინც არ ეგონოთ თავი, ან ჟანა დარკები“!

ისე, მართალია ეს ქალი, პარლამენტში დილეტანტი ხარ, ლოგინში დილეტანტი ხარ, ვენახში არ ვარგიხარ, ჭამა-სმაში ღორი ხარ, ცხოვრებაში ბოზი ხარ... მაშ, რა დამსახურებისთვის ზიხარ, როგორც ბებიაჩემი თებრო იტყოდა, ზემო თაროს?

ჩვენ, პოეტები საქართველოს!



# ჩემი სოფლის ბირჟა ძალიან ჰგავს პარლამენტს — იქაც სულ ყბედობენ, ამთქნარებენ, ისევ ყბედობენ, ხან ჩხუბობენ, ერთმანეთს მტრობენ და რაღას არ აბრალებენ







**იუნა შაფათავა:**

**„კვნესის ქვეყანა, კვნესის,**
**არა ტკივილით, არა სევდით —**
**მწარე ქოშინით და სექსით,**
**პოლიტიკოსი ეკრანზე**
**კვნესის...**
**დარჩა პირღია იუნა,**
**ნინა, შორენა, თინა...“**

მთქნარებით და საღამომდე არჩევენ, ვინ უფრო დიდი სისულელე თქვა. თუ ვინმეს ჭაჭა ან რამდენიმე ლიტრა ღვინო აღმოაჩნდა, გატყვრებიან, თუ არა და დაიშლებიან ბუზღუნით. მოკლედ, რაც საქართველოში ხდება, ამას ცნობილი ქართველი სექსსიმბოლო, იუნა შაფათავაც კი აღუშფოთებია და ლექსიც დაუწერია. ცნობისთვის: როგორი მდიდარი სექსიც იუნას ჰქონია, თქვენ არც კი დაგესიზმრებათ:

**„კვნესის ქვეყანა, კვნესის,**
**არა ტკივილით, არა სევდით —**
**მწარე ქოშინით და სექსით,**
**პოლიტიკოსი ეკრანზე**
**კვნესის...**
**დარჩა პირღია იუნა,**
**ნინა, შორენა, თინა,**
**სექსის დედების ცვენას**
**გადაუხიეს მაიამ, ეკამ,**
**და წვრილმა თუ მსხვილმა**
**სექს-ბომბა და ყ... მოგლეჯილ**
**პოლიტიკოსთა წვიმამ...**
**კვნესის თბილისი, კვნესის,**
**სიცილით მუცელი გვტკივა...**
**რას ვიფიქრებდით, თურმე,**
**სექსით კეთდება ქსივა...**
**ან სექსს გავდეს ეგ პოზა,**
**ან პოლიტიკას — რჩევა,**
**დილეტანტი პარლამენტში,**
**ლოგინშიც დილეტანტად**
**რჩება... და პირიქით“!**

დასაწყისში ჩემი სოფლის ბირჟა ვახსენე, იქაც ეგრეა, ვინც წაკუზული მუშაობს და თვალში წყალი უდგას, იმას ყბედობისთვის არა სცალია, ვისაც მუშაობა ეზარება, ისევ იმას აქვს ენა გადმოგდებული სააკაშვილის ჰალსტუხივით. მოკლედ, ჩემი სოფლის ბირჟა ძალიან ჰგავს პარლამენტს – იქაც სულ ყბედობენ, ამთქნარებენ, ისევ ყბედობენ, ხან ჩხუბობენ, ერთმანეთს მტრობენ და რაღას არ აბრალებენ. გამოდის, რაც ზემოთ ხდება, ის ხდება ქვემოთაც, ანუ რაც ქვემოთ ხდება, ის ხდება ზემოთაც (ავტორი ქეთი ალასანია):

**„პირფერობის კარნავალი,**
**მოლოდინით, დაიწყო,**
**სიძულვილმა, სიყვარულის,**
**მძივით კაბა გაიწყო,**
**მერე თასი, ღვინის ნაცვლად,**
**საწამლავით აივსო,**
**გადამთვრალმა, გაბედა და**
**კაცთა მოდგმა გაიცნო,**
**ჯამბაზს სჯერა, რომ მეფეა**
**და ოცნება დაიწყო,**
**მერე გვირგვინს წაეტანა,**
**ოქრო ვერცხლით გაიწყო,**
**ცას ცრემლები მოეძალა,**
**გული ორად გაიყო,**
**როცა ნახა, სათნოება,**
**ღვარძლმა როგორ დაიპყრო,**
**ცხოვრების გზა, ვარდის ნაცვლად,**
**ეკალ-ბარდით გაივსო,**
**სამართალი რომ დაყრუვდა,**
**თვალიც მაშინ დაივსო“.**

ნახეთ, რა გენიოსური რამ თქვა იუნამ... ისაო, ქვეყანა კვნესის, ო, ისე კვნესის, მე, შორენა და თინაც კი პირღია შევყურებთო. შორენა ბეგაშვილია, ხოლო თინა ისაა, მახარაძე, „ჩემი ცოლის დაქალებში“ რომ თამაშობს და „სექსბომბობას“ აწვება. ო, მაი გაად... ესენი რომ პირს დაალებენ ვინმეს კვნესაზე, აქ უკვე სხვა რამეშია საქმე. იცით, ასე რატომ ხდება და როდის გადაქოთდა ქვეყანა? იცით, როდის მერე აღარ გვაინტერესებს სიმინდისა და ლობიოს მორწყვა? როცა ჯამბაზმა დაიჯერა, რომ მეფეა, როცა ბატმა დაიჯერა, რომ ადვოკატია, როცა ინდაური მოსამართლის სკამზე დაბრძანდა და ე.წ. ფილოსოფოსი პრეზიდენტის სასახლეში შევარდა. ძალიან უცნაურია ცხოვრება, უცნაური და ალოგიკური, მაგრამ ოდესღაც დგება მომენტი, როცა ყველაფერი იშლება და თავიდან იწყება... აქ ერთი ჩინური ანდაზა მახსენდება: „უნდა იჯდე და მოთმინებით ელოდო, როდის ჩამოატარებს მდინარე შენი მტრის გვამს“... როგორ ფიქრობთ, რა აკლია ქვეყნიერებას, რომ შედარებით ლოგიკური გახდეს ცხოვრება? ზოგი ამბობს, სამართალიო, ზოგი ამტკიცებს – რწმენაო... ჩემი აზრით კი, ერთ-ერთი მთავარი მაინც ნდობაა, რომელიც ჩვენ დიდი ხნის წინათ დავკარგეთ (ავტორი ელენიკო):

**„იჯდა, ტიროდა ნდობა, მას აღარ ჰქონდა ფასი,**
**იქცა ტყუილის მსხვერპლად, დაეცა ხალხის თვალში, ...**
**გვერდით სიცრუე ეჯდა, თვითკმაყოფილი სახით,**
**პირზე ღიმილი ეკრა, ფლიდი, პირფერი ნაკვთით.**
**ამ ყველაფერმა შექმნა, ერთი თვისება ავი,**
**მას უნდობლობა ერქვა, ერი დათრგუნა განცდით.**
**იჯდა, ტიროდა ნდობა, მას აღარ ჰქონდა ფასი,**
**გვერდით სიცრუე ეჯდა, თვითკმაყოფილი სახით“.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ზურაბ ჭიაბერაშვილი - საავადმყოფოების მიმართ ჯანდაცვის სამინისტროს დავალიანება ათეულობით მილიონი ლარია

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ჯანდაცვის პროგრამაში შეტანილმა ბოლო ცვლილებებმა დაადასტურა, რომ პროგრამა სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დგას. როგორც ჭიაბერაშვილი აცხადებს, ამის ერთ-ერთი მაგალითი ჯანდაცვის სფეროში კატასტროფულად გაზრდილი ფასების ფონზე საავადმყოფოებისათვის ანაზღაურების შემცირებაა.

– საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მდგომარეობა მიუთითებს, რომ ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო უწყების საქმიანობას 9-თვიანი პერსპექტივით უყურებს - ანუ 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე. „ქართულმა ოცნებამ“ იცის, რომ არჩევნებს წააგებს და ყველაფერს ამ პერსპექტივით უყურებს: აღარ აინტერესებს, მერე რა იქნება.

საქართველოს მთავრობის მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში შეტანილმა ბოლო ცვლილებებმა დაადასტურა, რომ პროგრამა სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე დგას. ჯანდაცვის სფეროში კატასტროფულად გაზრდილი ფასების ფონზე საავადმყოფოებისათვის ანაზღაურების შემცირებადა გადახდის ვადების გახანგრძლივება საფრთხის ქვეშ აყენებს ექიმებისა და ექთნების ხელფასებს, აუარესებს მკურნალობის ხარისხს, ზრდის პაციენტების მიერ საკუთარი ჯიბიდან გადახდებს და დაუცველს ხდის ყველაზე მოწყვლად მოქალაქეებს - პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებს, -განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

მისივე თქმით, დღეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით შეძლებულები უფრო სარგებლობენ, ყველაზე გაჭირვებულ მოქალაქეებს კი წამლის შეძენაც კი არ შეუძლიათ.

– ფონდი „კურაციოს“ მიერ ჩატარებულმა უაღრესად საყურადღებო კვლევის რესპონდენტთა 73,1 პროცენტის აზრით, მოსახლეობის ფინანსური დაცულობა უკვე გაუარესდა; რესპონდენტთა 64,9 პროცენტი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის ფინანსური დაცულობა გაუარესდება შემდეგ ექვს თვეში.

მისივე ინფორმაციით, ამიერიდან პაციენტებს ეზღუდებათ საავადმყოფოების არჩევის თავისუფლება. მოქალაქეს ერთის ნაცვლად ორი თვე მოუწევს დაფინანსებაზე ე.წ. „საგარანტიო წერილის“ მიღებისთვის ლოდინი. ასევე, საავადმყოფო ერთის ნაცვლად ორი თვე უნდა ელოდოს, ვიდრე ჯანდაცვის სამინისტრო საავადმყოფოს მიერ თანხების ანაზღაურებისათვის წარდგენილ დოკუმენტაციას შეამოწმებს. (ინტერპრესნიუსი)

## 11 –17 აპრილის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული –** ოჯახური პრობლემების გადაჭრის დროა. მოაგვარეთ უძრავი ქონებისა და მემკვიდრეობის საკითხები. გარდა ამისა, შესანიშნავი მომენტია სახლის შეძენისთვის ან გარემონტებისთვის. აუცილებლად დაუთმეთ ყურადღება ასაკიან მშობლებს და შეეცადეთ, მათი პრობლემებიც მოაგვაროთ. რაც შეეხება სიყვარულს, კვირის ბოლო დღეები, ამ მხრივ, უსაზღვროდ წარმატებული იქნება.

**სამსახური –** ბიზნესში ძალიან დიდი წარმატებები გელით.

**სასიკეთო დღეები:** 14, 15 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 აპრილი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული –** უდავოდ ხელსაყრელი მომენტი დგება ნაცნობობისთვის. გამონახეთ დრო გულახდილი ურთიერთობისთვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ პარტნიორთან დიდი დრო გაკავშირებთ. მარტოხელა კუროებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ აქტიურობა მათ არა მხოლოდ მსუბუქ ფლირტს აჩუქებს, არამედ შესაძლოა, სერიოზული ურთიერთობის წამოწყებაც შეძლონ. არცთუ შორეული მოგზაურობა, შემთხვევითი ნაცნობობა, ხანმოკლე ურთიერთობები... თუ ეს ყველაფერი გაწყობთ, საამისო დრო სწორედ ახლაა.

**სამსახური –** მივლინებები, მოლაპარაკებები, საქმიანი შეხვედრები - მიმდინარე კვირა საკმაოდ დატვირთული და საინტერესო გექნებათ.

**სასიკეთო დღეები:** 17 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 13 აპრილი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული –** არ დაგავიწყდეთ ახლობელი და საყვარელი ადამიანები. გაანებივრეთ საჩუქრებით. კვირის ბოლო დღეები შეგიძლიათ, წარმატებით გამოიყენოთ საქმიანი შეხვედრებისთვის, მოლაპარაკებების წარმოებისთვის. ასევე, საინტერესო ურთიერთობები გელით საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან. მთავარია, საკუთარ ძალებში არ დაეჭვდეთ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც თავად გსურთ.

**სამსახური –** დროა, ხელმძღვანელობასთან თქვენი დაწინაურების საკითხი განიხილოთ.

**სასიკეთო დღეები:** 11, 12 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 16 აპრილი.



ანომალია




მაია იასეშვილი
599 94-64-58

# რატომ არ უნდა მიიკეროთ ღილი ჩაცმულ ტანსაცმელზე და რატომ არ უნდა მოუყვეთ სიზმარი უცხო ადამიანს?

**რუბრიკის სტუმარია პარაფსიქოლოგი ნინო ვარსიმაშვილი:**

– პარაფსიქოლოგიურადაც და ასტრონომიულადაც, ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამე ჩვენსავე ფიქრებსა და აზრზეა დამოკიდებული, ანუ რა მუხტსაც ვუშვებთ კოსმოსში, როგორი აზრები და განწყობაც გვაქვს, ისეთივე მომავალი გვექნება. ამიტომაც აუცილებელია, რა წარუმატებლობის წინაშეც არ უნდა ვიდგეთ, შევინარჩუნოთ სწორი აზროვნება და შევძლოთ ფიქრების კონტროლი. რაც მეტი რწმენა და სიკეთის მოლოდინი აქვს ადამიანს, მით მეტი წარმატებით აჯილდოებს კოსმოსი. ხოლო ის, თუ რამდენად მალე შევძლებთ აზროვნების შეცვლას და გავითავისებთ, რომ თავად ვართ საკუთარი ბედის მმართველი და ამაში ვარსკვლავებიც გვეხმარებიან, მით მეტად გაგვიმართლებს. ასევე, დაიმახსოვრეთ, რომ პარაფსიქოლოგიური და ასტროლოგიური ლოგიკით, წარუმატებელი პესიმისტი მუდამ უიმედობას განიცდის, საკუთარი ბედსა და ცხოვრებაზე აგებს პასუხს ნეგატიური შედეგებით, რადგან თავად უქმნის კოსმიურ ძალებს ბარიერს წარმატების მოზიდვაში და ბლოკავს საკუთარ იღბალსა და მომავალს. ჩვენი ნებისმიერი ფიქრი, აზრი და ემოცია, ჩვენს ენერგეტიკულ ველზე, აურაზე აისახება. ანუ თუ გამუდმებით ვემდურით ბედს, აგრესიული და დეპრესიული ვართ, ცხოვრებას უიმედოდ ვუყურებთ, ეს ნეგატიურ კვალს ტოვებს ჩვენს ენერგეტიკულ ველზე და ვინაიდან სამყაროში მოქმედებს ასტრალური კანონები, ჩვენს ცხოვრებაში ვიზიდავთ სწორედ ამ ნეგატიური ვიბრაციის შესაბამის მოვლენებს. ადამიანები თავად ვიპროგრამებთ საკუთარ თავს, წარუმატებლობაზე გამუდმებით ვფიქრობთ და ენერგეტიკულად ვკვებავთ ორგანიზმს სწორედ ისე, როგორც ჩვენ გვინდა, შედეგად კი ცხოვრებაში გაუთვლელი მოვლენები, გაუთავებელი პრობლემები, ბარიერი და წინაღობები გვხვდება, რაც ჩვენს ბედზე, შესაბამისად, ნეგატიურად აისახება. ვისაც სურს და არ მეგულება ადამიანი, ვისაც არ სურდეს, იყოს იღბლიანი, ბედნიერი და საკუთარი ბედის განმკარგავი, მიიღოს ცხოვრებისგან რაც შეიძლება მეტი დადებითი ემოცია, სიხარული და წარმატება, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს იმის შესრულება, რაც კარმულად ევალება დედამიწაზე. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიწყოს საკუთარი აზროვნების შეცვლა, გადავიდეს ნეგატიურიდან პოზიტიურ ფიქრებზე და მთელი აქცენტი უნდა გააკეთოს იმაზე, რაც მეტ სიხარულსა და წარმატებას მოუტანს. თუ შეძლებთ საკუთარი ფიქრებისა და აზრების კონტროლს, არ აჰყვებით ემოციებს და მშვიდად მიუდგებით მოვლენებს, ამით კოსმიურ სივრცეში გაგზავნით დადებით იმპულსებს და წარმატების მოზიდვის საშუალებას მისცემთ საკუთარ თავს. არც ისე ძნელია ცხოვრებაში სასიკეთო ძვრების შეტანა. თუ მიზანსწრაფული და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული იქნებით, ეს კი ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია.





> „აუცილებლად უნდა დაუკვირდეთ, თვის რა პერიოდში გაწუხებთ მელანქოლია და უძილობა“

მაგრამ, თუ ამოუხსნელმა მელანქოლიამ შემოგიტიათ, არ იცით, რატომ ხართ ცუდ ხასიათზე და არაფერში გიმართლებთ, შეგიძლიათ, გააკეთოთ დასკვნა, რომ თქვენზე ენერგოზემოქმედების რაიმე ფორმა ხორციელდება – ჯადო, გათვალვა, ან მსგავსი ნეგატიური პროგრამა. ასეთ დროს კი ძალიან ძნელია აზროვნებაში პოზიტივის ჩართვა, ამიტომაც ასეთ ადამიანებს ვურჩევ, მაქსიმალურად თავი ხელში აიყვანონ, იფიქრონ დადებითზე და თუ მაინც ვერ მოერივნენ თავს, მიმართონ სათანადო დარგის სპეციალისტებს, რომლებიც შეძლებენ მათს მდგომარეობიდან გამოყვანას და ცხოვრებისეული პრობლემების შეცვლას სასიკეთოდ. როცა ადამიანი ფიქრობს, რომ ყველაფერი ცუდად არის, არ უნდა ელოდოს კარგს მომავალში, რადგან მისი ფიქრი კოსმოსში იგზავნება. ყველა თავის ასტროლოგიურ პერიოდს გადის და როგორც წარმატება, ასევე წარუმატებლობა, გარდაუვალია, თუმცა, ორივე დროებითია. ასევე უნდა მიაქციოთ ყურადღება, რომელ დღეებში გეძალებათ ნეგატიური ფიქრები, ბევრი უჩივის თვის გარკვეულ დღეებში განსაკუთრებულ სისუსტეს, გაღიზიანებას, წარუმატებლობას, მგრძნობელობის მომატებას და ვერ ხსნის ემოციური ფონის გაძლიერებას. საიდუმლო არ არის, რომ მთვარის ფაზებია „დამნაშავე“, აქვე მოგცემთ რამდენიმე ასტროლოგიურ რჩევას, რომელიც აუცილებლად დაგეხმარებათ. მაგალითად, თუ სავსე მთვარის დროს საძინებელს კარგად დააბნელებთ, ისე რომ მთვარის ნათებიდან წამოსული ენერგია ოთახში არ შემოიჭრება, ამით მთელი თვის განმავლობაში დააღწევთ თავს მომავალ სავსე მთვარემდე უძილობას, გაღიზიანებას, ნეგატიურ ფიქრებსა და ა.შ. ასე რომ, მთვარის შევსებამდე ერთი დღით ადრე ორგანიზმში აქტიურად მიმდინარეობს ცხიმების დაგროვება, რაც თქვენი უგუნებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ამას თავიდან აიცილებთ, თუ მთვარის შევსების წინა დღეს ხილისა და წვენების დიეტას დაიცავთ, ეცადეთ, ყოველდღიური საქმიანობით შემოიფარგლოთ და ახალი საქმე არ წამოიწყოთ.



ზოგადად, სავსე მთვარის დროს იმატებს პესიმისტური განწყობა – უძილობა, დისკომფორტი, თავის ტკივილი და გაღიზიანება, ამიტომ მაქსიმალურად უნდა შეამციროთ კონტაქტები. სამწუხაროდ, ზემოთქმული ბევრს არ სჯერა და მთვარის ფაზების მნიშვნელობაზე წარმოდგენა არ აქვს. გირჩევთ, ხშირად ახედოთ მთვარეს, გაითვალისწინოთ ეზოთერიკოსთა და ასტროლოგთა რჩევები და ამით, სწორად დაგეგმოთ თქვენი მომავალი, რათა შემდგომში პრობლემები არ შეგექმნათ და უიღბლობის პერიოდში არ აღმოჩნდეთ.

**— გარდა მთვარის ფაზებისა, ადამიანის წარუმატებელი პერიოდი კიდევ რაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული?**

– ყველას ცხოვრებაში დგება აღმასვლისა და ჩავარდნის პერიოდები, რომელსაც ეზოთერიკაში კარმული ჩავარდნისა და აღმასვლის ეტაპები ჰქვია. სწორედ ამ დროს უნდა გაიაზროთ ყველა რჩევა და სიტყვა, რომ პროგრამაში უარყოფითი კოდი არ ჩადოთ. არასოდეს დაწყევლოთ საკუთარი დაბადების დღე, არ ინატროთ სიკვდილი და ა.შ. როცა ადამიანები ბედს უმდურიან, გაუაზრებლად აკეთებენ და ვერ ვხვდებით, რომ უბედურებას კიდევ განსაცდელსა და გაჭირვებას უმატებენ. ასეთი საქციელით საკუთარ ბედ-იღბალს ვთარსავთ. ყველას გასაგონად მინდა აღვნიშნო: დიდი ყურადღება მიაქციეთ ვიზუალურ მხარეს, როგორ გამოიყურებით, არ დაიზაროთ საკუთარი თავის მოვლა, ფორმაში ყოფნა, თუ სიზარმაცის ან უხალისობის გამო გარეგნობას მოვლას ვაკლებთ, ესეც აისახება თქვენს მომავალსა და ბედიღბალზე, ამიტომაც რაც არ უნდა დიდი განსაცდელის წინაშე ვიდგეთ, ეს გარეგნობაზე არ უნდა აისახოს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, წარუმატებელი პერიოდი გვედგას, აუცილებლად უნდა გავაკონტროლოთ ყველა სიტყვა, რასაც წარმოვთქვამთ, ყველა აზრი და ქცევა, მაგრამ, თუ ვიცით, ამ გაუაზრებელ ქმედებას არასასიამოვნო შედეგი მოჰყვება, უმჯობესია თავის შეკავება. ხომ დაკვირვებიხართ, გაუაზრებელი ნათქვამი უფრო ხშირად აგვიხდება, ვიდრე გააზრებული ნანატრი. ამიტომ სურვილებიც უნდა ვაკონტროლოთ, თუნდაც ქვეცნობიერ დონეზე.

**— გათვალვის, ბედისა და ენერგოზემოქმედების დროს რის გათვალისწინება გვმართებს?**

– რასაკვირველია, არსებობს გათვალვა, ბედის შეკვრა და ნეგატიური ზემოქმედების მავნე შედეგები, რომლის გასანეიტრალებლად საგანგებო რიტუალების ცოდნაა საჭირო, მაგრამ მაინც მოგცემთ მარტივ რჩევებს, რაც ბედის სასიკეთო ცვლილებაში დაგეხმარებათ. ჩაცმულ ტანსაცმელზე ნურასდროს მიაკერებთ ღილს და ღამით ნანახ სიზმარს ნუ მოუყვებით უცხო ადამიანს. თუ ცუდი სიზმრის განეიტრალება გინდათ, ძალიან ბევრ ადამიანს უნდა მოუყვეთ, ეს ძალას აცლის სიზმრის ნეგატიურ მნიშვნელობას. ასევე, გასწავლით ერთ უძველეს წესს, რომელიც სახლში არასასიამოვნო სტუმრის შემოსვლის დროს უნდა გაითვალისწინოთ. როცა ასეთ სტუმარს ელოდებით, აუცილებლად უნდა მოწმინდოთ იატაკი სველი ჩვრით და შემოსასვლელში დადოთ სველი ღრუბელი, რომელზეც მარილი იქნება მოყრილი, ის შეიწოვს არასასურველ ენერგიას და თქვენ გადარჩებით მისი უარყოფითი ზემოქმედებისგან. წასვლის შემდეგ კი ღრუბელი გამდინარე წყალს შეუშვირეთ რამდენიმე წუთით, ხოლო ოთახი და შემოსასვლელი ისევ წყლით მოწმინდეთ და თუ მისაღებში სარკე გაქვთ, ძმრით, მარილით ან მარილწყლის ნაზავში დასველებული ქსოვილით გაწმინდეთ. ამით მთლიანად გაანეიტრალებთ არასასურველი სტუმრის ენერგიას.



## 11 –17 აპრილის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული –** კვირის მანძილზე შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ ყველაფერი, რაც ხდება, თავს უკვე გადაგხდათ. ერთი მხრივ, ეს ნამდვილად კარგია: ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებთ. თუმცა ამჯერად აუცილებელია შედეგების შეჯამება და ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება, რასაც სჭირდება არაერთი ინიციატივა, უნდა იყოთ რადიკალური და საკუთარ თავში დარწმუნებული, განსაკუთრებით ეს პირად ცხოვრებას ეხება. კვირის ბოლო დღეები შესანიშნავი დროა სერიოზული შენაძენების გაკეთებისთვის.

**სამსახური –** თუ შეძლებთ და ინიციატივას ხელში ჩაიგდებთ, ძალიან ბევრს მიაღწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 13 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 აპრილი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული –** არცთუ კარგი დროა რომანტიკული თავგადასავლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გრძნობები მოზღვავებული გექნებათ, მაინც უმჯობესია, ემოციები მოთოკოთ, რათა გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვათ. ნუ გამოიჩენთ გადამეტებულ ინტერესს პარტნიორის წარსულის მიმართ, რადგან შესაძლოა, ეს განშორების მიზეზიც კი გახდეს. შეეცადეთ, რამდენიმე საღამო სიმარტოვესა და სიმშვიდეში გაატაროთ. ჩამქრალი გრძნობების აღდგენა შეგიძლიათ, გულახდილი საუბრებით სცადოთ.

**სამსახური –** ინიციატივებისგან თავი შეიკავეთ. ცოტა ხნით სჯობს, ჩრდილში დარჩეთ.

**სასიკეთო დღეები:** 14, 15 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 16 აპრილი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული –** კვირის პირველ დღეებში პარტნიორული ურთიერთობების მიმართულებით არაერთ პრობლემას მოაგვარებთ და რთული სიტუაციიდან გამოსავალს იოლად გამონახავთ. თუ ცხოვრების უკვე წაკითხულ ფურცელს დახურავთ და ახლის წერას შეუდგებით, უკმაყოფილო ნამდვილად არ დარჩებით. ყოველ შემთხვევაში, საამისო დრო ნამდვილად დაგიდგათ. კვირის ბოლო დღეებში ცოტა უნდა მოდუნდეთ და ყური შინაგან ხმას დაუგდოთ. გადაჭარბებული აქტიურობა მხოლოდ უარყოფით შედეგებს მოგიტანთ.

**სამსახური –** იქნებ, საკუთარი საქმის წამოწყებაზე დაფიქრდეთ?..

**სასიკეთო დღეები:** 17 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 15 აპრილი.

## 11 –17 აპრილის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10

**სიყვარული –** უახლოეს მომავალში ურთიერთობები შეიცვლება ისე, როგორც ამაზე მთელი ცხოვრება ოცნებობდით. თქვენ ხომ ყველაფერი ისე გააკეთეთ, რომ რჩეულთან ურთიერთობაში სიმშვიდე და ჰარმონია გამეფებულიყო? ჰოდა, ყველაფერი მშვენივრად იქნება. თუ მაინც რაიმეს გარკვევა გახდება საჭირო, მხოლოდ ყოფილი საკითხების. რაც ყველაზე საინტერესოა, პარტნიორს ვერც კი იცნობთ. ის განსაკუთრებით დამთმობი, მზრუნველი და ნაზი გახდება. მოკლედ, სიყვარულის, სიხარულისა და ბედნიერების დრო დაგიდგათ.

**სამსახური –** მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის სურვილი დიდად არ გაქვთ, გემოზე გადაღლა მაინც მოგიწევთ.

**სასიკეთო დღეები:** 12, 16 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 14 აპრილი.

### მორიელი 23.10-21.11

**სიყვარული –** მოცემულ მომენტში შეგიძლიათ, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებზე უდიდესი გავლენა მოახდინოთ. თქვენი ავტორიტეტი და ღრიანკლის ენერგეტიკა მოწონდების სიმაღლეზეა. შესანიშნავი მომენტია საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის და რომანტიკული ურთიერთობებისთვის. წინ სასიამოვნო ნაცნობობა გელით. გამოიყენეთ ეს დრო სწორედ სასიამოვნო ნაცნობობისთვის, მიმოწერისთვის და რომანტიკული შეხვედრებისთვის.

**სამსახური –** საქმიანი შეხვედრა უცხოელ პარტნიორებთან საოცრად შედეგიანი იქნება.

**სასიკეთო დღეები:** 15, 17 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 აპრილი.

### მშვილდოსანი 22.11-21.12

**სიყვარული –** თუ გეჩვენებათ, რომ ურთიერთობაში კრიზისს განიცდით, შეეცადეთ, სადმე გაემგზავროთ და განმარტოვდეთ. ნუ იწვალებთ, მოიპოვოთ ჰარმონია და გაგება – ახლა თქვენი დრო არ არის. სექსუალური ცხოვრებაც შესაძლოა, პრობლემების წყარო გახდეს. ურთიერთობებს განახლება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული სიტუაცია ჭკუიდან შეგშლით.

**სამსახური –** დროა, სამუშაო ადგილის შეცვლაზე დაფიქრდეთ.

**სასიკეთო დღეები:** 12 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 16 აპრილი.



**მაია იასეშვილი**
599 94-64-58



**მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური რელიგია და სჯულის კანონი წინასწარმეტყველებებით გატაცებას გვიკრძალავს, ძალიან ცოტა თუ იქნება, ვისაც არ აინტერესებს ხვალინდელი დღის შეცნობა და საკუთარი მომავალი. ჩვენმა რუბრიკამ ცნობილ ადამიანებს ერთი კითხვით მიმართა — ყოფილხართ თუ არა წინასწარმეტყველთან და აგცხადებიათ თუ არა მისი ნათქვამი.**

# როგორ აუხდათ მკითხავების ნათქვამი ცნობილ ადამიანებს?

## რა უწინასწარმეტყველა ყავის ჭიქაში გია ჯაჯანიძემ რეზო ჩხიკვიშვილს?



**თემურ ჩხეიძე, რეჟისორი:**

– კი, მქონდა ასეთი შემთხვევა, ეს იყო 1989 წელს. 9 აპრილი ახალი მომხდარი იყო, მეგობარი გადამეკიდა, ჩემთან ამოდი, საინტერესო პიროვნება უნდა გაგაცნოო. ავედი, ეს კაცი პოლონელი იყო, საქართველოში კერძო მოწვევით იმყოფებოდა. ყველაფერი, რაც მითხრა, მისხალ-მისხალ დაემთხვა შემდგომში განვითარებულ მოვლენებს. მითხრა, რა მოხდებოდა რამდენიმე წლის მანძილზე არა მარტო ჩემს ცხოვრებაში, არამედ ზოგადად, რა დაემართებოდა საქართველოს, რა მოხდებოდა რუსეთში. გამაფრთხილა, რომ სასიკვდილო



საფრთხე მემუქრებოდა და მომცა რჩევა-დარიგება, რა უნდა გამეკეთებინა, რომ ცოცხალი გადავრჩენილიყავი. რამდენიმე მოვლენა რომ ზუსტად აცხადდა, მერე მეც მივყევი მის რჩევებს, მით უმეტეს, რომ თვალწინ მედგა ახლობელი ადამიანი, რომელზეც მითხრა, – აი, შენს მეგობარს ვურჩიე, შეესრულებინა ჩემი ნათქვამი, არ დამიჯერა და ახლა სასიკვდილო სარეცელს არის მიჯაჭვულიო. მართლაც ასე იყო, მომაკვდავმა დამიდასტურა მისი ნათქვამი და სამ კვირაში გათავდა კიდეც. მას შემდეგ ეს კაცი თვალითაც აღარ მინახავს, არადა, ძალიან მინდა ვუთხრა, რომ მადლობელი ვარ მისი, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, მისი რჩევები რომ არ შემესრულებინა, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი.

**ქეთევან კიკნაძე, მსახიობი:**

– ჩემს ახალგაზრდობაში ბორჯომში ცხოვრობდა სახელგანთქმული მკითხავი – სონა, გოგოები წავიდნენ სამკითხაოდ და მეც მირჩიეს წასვლა. სხვათა შორის რიგიდან გამომყო და სხვებზე ადრე შემიყვანა. ბევრი არაფერი უთქვამს, მითხრა, ერთი თვის შემდეგ, ზუსტად ამ რიცხვში, უკვე გათხოვილი იქნებიო. შენზე 17 წლით უფროს მამაკაცს გაჰყვები, რომელიც უკვე პოპულარული ადამიანია და მთელი საქართველო იცნობს, ხელოვნების სფეროს მოღვაწეაო. მაშინ დაუჯერებლად ჩავთვალე მისი ნათქვამი, რადგან თაყვანისმცემელთა შორის არავინ იყო ამ ასაკის, ის ბიჭები, კი რომლებიც ჩემს თაყვანისმცემლად ითვლებოდნენ, ჩემთვის არც ერთი არ იყო საინტერესო და გათხოვება ჩემი შორეული პერსპექტივა მეგონა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გავიცანი გიგა და ზუსტად ერთი თვის შემდეგ გათხოვილი ვიყავი. მკითხავმა ისიც მითხრა, რომ არასდროს ვინანებდი ჩემს არჩევანს და პირად ცხოვრებასა და კარიერაში წარმატებული ვიქნებოდი. ასე აგიხდათ ყველაფერი კარგი, ბევრი განსაცდელისა და პრობლემის მიუხედავად, არასოდეს დამცდენია ბედთან სამდურავი.

**რეზო ჩხიკვიშვილი, მსახიობი:**

– რუსთაველის თეატრის სპექტაკლმა „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, ჩემდაუნებურად პოპულარულ ადამიანად მაქცია, უამრავი თაყვანისმცემელი მყავდა, ყველას წერილებზე პასუხის გაცემას ვერც ვასწრებდი, ცდილობდნენ, მიებაძათ ეკა ქუთათელაძისთვის, მასავით იკეთებდნენ თმას, ჩაცმის სტილში ბაძავდნენ, ამ რჩევა-რჩევამ მიმიყვანა 29 წლამდე. არავინ მყვარებია, მაგრამ ოჯახი ხომ უნდა შემექმნა და უნდა დასრულებულიყო ეს ფლირტები. გია ჯაჯანიძემ მითხრა, როგორი გოგოები მოგწონსო? ვუთხარი, – დაბალი და მსუქანი ნუ გამომეხმაურება, ჩემი აღნაგობის იყოს-მეთქი. გავუმხილე, რომ „ჩიორაში“ რომ გოგო თამაშობს – ხათუნა ჩაგელიშვილი, მისი სტილის გოგონები მომწონდა. გიამ გადააბრუნა ყავის ფინჯანი, გულმოდგინედ დაათვალიერა ნახატები და თავდაჯერებით მითხრა, ძალიან მალე დაქორწინდები და ცოლად სწორედ ხათუნა ჩაგელიშვილს მოიყვანო. ალბათ, მალე დავშორდები-მეთქი... არა, სიცოცხლის ბოლომდე მასთან დარჩები და ძალიან ერთგული მეუღლე იქნებიო. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ყოფილა რთული პერიოდები, მაგრამ გიას წინასწარმეტყველება ამიცხადდა. მკითხავის რეკლამა არაფერში სჭირდება ჯაჯანიძეს, მაგრამ უამრავ ცნობილ ადამიანს აუცხადდა მისი წინასწარმეტყველება. სხვათა შორის, ხათუნათი ჩემი დაინტერესება იმანაც განაპირობა,





რომ სხვა გოგოებისგან განსხვავებით, ჩემით აღტაცება არ გამოუხატავს, თურმე „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, რამაც ცნობილ და პოპულარულ ადამიანად მაქცია, არც კი ჰქონდა ნანახი. ამჟამად გვყავს ორი ვაჟი, ესეც მიწინასწარმეტყველა გიამ და ლამაზი და ჰარმონიული ოჯახი მაქვს.

**ციალა გურგენიძე, მსახიობი:**

– ისე მიყვარს მკითხაობა, რომ შუაღამისას კარგი მკითხავი რომ მიმასწავლოთ, ამ ხნის ქალი არ დავიზარებ და წავალ. სხვათა შორის, ერთი ექიმი ქალბატონი ისე გარდაიცვალა, რომ ვერავინ დააჯერა, მკითხავი არ ვიყავი. ბავშვი მყავდა ანალიზებზე წაყვანილი, მეგობარი ექიმებისგან ვიცოდი, რომ იმ კლინიკაში გაუთხოვარი ექიმები იყვნენ, ამიტომაც ერთ-ერთი ექიმის ფინჯანი ავიღე და თამამად ვუთხარი, რომ მის ქმარს ჰყავდა საყვარელი, მას კი – ავადმყოფი შვილი, მისი დაავადების დიაგნოზიც მითქვამს, ჩემი ჭკუით, მკითხავის როლი შევასრულე, მაგრამ რაც ვთქვი, საოცარი სიზუსტით აუცხადდა. მერე იქაურ მომუშავე პერსონალთა მთელი ბრიგადა მომადგა და მითხრეს, ვიცით, ფულს არ იღებთ, ქალბატონო ციალა, მაგრამ პატივისცემას არ დაგიკარგავთო. ბევრი რამე ამცხადებია წინასწარმეტყველებიდან, მაგრამ ცუდზე არ ამახვილებენ ყურადღებას და კარგს რომ ისმენ, გიხარია. ალბათ, ამიტომაც მომწონს მათთან ურთიერთობა.

**მამუკა ლომაშვილი, პაროდიის თეატრის მსახიობი:**

– ჩემი წინასწარმეტყველებასთან ურთიერთობა არ გასცილებია ქუჩაში გადამდგარ ბოშას და მეგობარ გოგონებს, რომლებიც თავს ირთობდნენ ყავის ლაქების ნახატების გაშიფვრით, თუმცა ერთის ნათქვამი დამამახსოვრდა, მან გამოიცნო ჩემი მომავალი მეუღლის სახელი და პროფესია. მას უკვე ვიცნობდი, ამიტომაც დამამახსოვრდა.

**მაკა ბურდული, კინორეჟისორი:**

– თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას გამომიმუშავდა ისეთი უნარი სხვისი ცხოვრების გაჩხრეკისა, კინაღამ ყველა მკითხავს „ავახიე“ კლიენტი. რეჟისორმა მირცხულავამ სტუდენტობისას დაგვავალა, ყავის ფინჯანი აგველო ხელში და ისე გვესაუბრა, უნდა გაგვერკვია, მათი გამომეტყველების მიხედვით რამდენად სწორად შეგვეძლო მისი აღქმა, ეს პროფესიული თამაში იყო, მაგრამ იმდენად გამიტაცა, რომ მართლაც ბევრ ცნობილ მკითხავს ვუწევდი კონკურენციას, თუმცა ეს იყო დავალება და სახელად ერქვა „ტიპაჟის ამოცნობა“. როცა ადამიანს შევხედავ, მაშინვე ვხვდები, ვინ რომელი ზოდიაქოს ნიშანია. 19 წლის ასაკში მიწინასწარმეტყველეს, რომ 29 წლამდე ვერ გავთხოვდებოდი, ეჭვი მეპარებოდა ამ ნათქვამში, რადგან თაყვანისმცემლები არ მაკლდა. მართლაც, 29 წლის ასაკში გავთხოვდი. სხვა ბევრი რამეც ამცხადებია, მაგრამ გამორჩეულად ეს დამამახსოვრდა.

## 11 –17 აპრილის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01

**სიყვარული –** საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში არცთუ ისე დიდ წარმატებებს უნდა ელოდეთ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყურები ჩამოყაროთ. პირიქით, ასეთი სიტუაცია დაფიქრების საშუალებას მოგცემთ და ყველა შეცდომას გაგაანალიზებინებთ. ჯერჯერობით, ურთიერთგაგების მიღწევა გაგიჭირდებათ, პარტნიორი შესაძლოა, ძალიან პრეტენზიული იყოს. არცთუ კარგი პერიოდია ნაცნობობისთვის და რომანტიკული შეხვედრებისთვის.

**სამსახური –** მზად უნდა იყოთ წინააღმდეგობების გადალახვისთვის. მოსალოდნელია გარკვეული სირთულეები კოლეგებთან.

**სასიკეთო დღეები:** 13 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 14 აპრილი.

### მერწყული 20.01-18.02

**სიყვარული –** შეიძლება ითქვას, სიყვარული უფრო მეტად გაწვალებთ, ვიდრე გაბედნიერებთ – პარტნიორმა ძალიან დაგღალათ. შეეცადეთ, ურთიერთობა კიდევ უფრო არ დაძაბოთ. ნუ დაელოდებით ბედისგან განებივრებას და ყურადღებას თქვენი პერსონის მიმართ. უბრალოდ, შეეცადეთ, იყოთ უფრო საჭირო და სასარგებლო, თუნდაც ამის სურვილი დიდად არ გქონდეთ. შეეგუეთ სირთულეებს და მიიღეთ ყველაფერი ისე, როგორც არის. სულ მალე სიტუაცია შეიცვლება.

**სამსახური –** კარიერულ წინსვლასა და ბიზნესში წარმატებებზე ამჯერად სათქმელი არაფერია.

**სასიკეთო დღეები:** 14, 15, 16 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 აპრილი.

### თევზები 19.02-20.03

**სიყვარული –** ფორტუნა გაგიღიმებთ და სიყვარულში წარმატება გელით. გამონახეთ დრო რომანტიკისთვის და გრძნობებს ნუ მოთოკავთ. შეეცადეთ, საწინააღმდეგო სქესზე დადებითი ზემოქმედება ყველანაირი მეთოდით მოახდინოთ, საუკეთესო შედეგს კი ინტელექტისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენით მიიღებთ. მშვენიერი დროა ნაცნობობისთვის, ურთიერთობების დალაგება-გამყარებისთვის, ქორწინებისთვის და მოკლედ, პირადი ცხოვრების გალამაზებისთვის.

**სამსახური –** ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არასტანდარტულად იაზროვნებთ.

**სასიკეთო დღეები:** 14, 16 აპრილი; **არახელსაყრელი დღეები:** 12 აპრილი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. აიბოლიტის მტერი მეკობრე
2. ბრიტანელი მომღერალი
3. შარლ პეროს ზღაპარი
4. სამზარეულოს ჭურჭელი
5. აფხაზური ხაჭაპური
6. თევზის კვერცხები
7. ნასესხები ფული
8. სიმაღლიდან გადმოსული წყალი
9. რეჟისორი ... ლი
10. განმუხტვა ღრუბლებში
11. კოსმონავტი აშშ-ში
12. მდინარე ინდოეთში
13. სვიფტის გოლიათი
14. ინდური კაბა
15. მომღერალი ... ვაიკულე
16. მომღერალი თენგიზ ...
17. ქალაქი აშშ-ში
18. მწერალი ტომას ... რიდი
19. ფულის გამცემი აპარატი
20. მსახიობი ... ხაფავა
21. ყაზახეთის დედაქალაქი
22. ნახ. კუნძული აზერბაიჯანში
23. ქართ. ხალხური ზღაპარი
24. ... შეიქმს სიყვარულსა
25. ისლანდიის დედაქალაქი
26. თანამედროვე გიგანტ. ხვლიკი
27. მხ/ფ „... ქექია“
28. ჩრდ. კანადის მკვიდრი
29. პიპინიას შვილიშვილი
30. რუსი კომპოზიტორი
31. რბილი ლითონი
32. ყვავილი
33. მდინარე აღმ. საქართ.
34. მწერალი უილიამ ...
35. საჭირო ნივთების ყუთი
36. რომაელი იმპერატორი
37. კუნძული ევროპაში დიდი ...
38. იგავური თხრობის ფორმა
39. ფარული დაცინვა
40. დრამატურგი კარლო ...
41. დირიჟორი ... ტოსკანინი
42. ქალაქი იაპონიაში
43. პოემა „... ქეთელაური“
44. ძალიან ძველი ხელნაწერი
45. ხილი
46. „კუკარაჩა“ ინგა ...
47. ზღვაოსანი ... ვესპუჩი
48. პოეტი აკაკი ...
49. ზღაპარი „... გოჭი“
50. ტუალეტი გემზე
51. პროვინცია ესპანეთში
52. მსახიობი ... ჩახავა
53. ქიმიური ელემენტი
54. მსახიობი ფილიპ ...
55. მსახიობი მარლონ ...
56. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
57. დედამიწის ნულოვანი სარტყელი
58. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
59. მიწის თხილი
60. მწერალი ჟიულ ...
61. თევზი, რომელიც ემელიას სურვილებს უსრულებდა
62. ბუდისტი მასწავლებელი
63. ფაკულტეტის ხელმძღვანელი
64. სერიალი „... ქალაქში“
65. ნაჭრის გასაშლელი ოთახი
66. სკოტი. „რობ ...“
67. კომში
68. ხის ჯიში
69. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ... დარჩებიანო
70. რძის პროდუქტი
71. მსახიობი ... ჰათაუეი
72. მხატვარი ავთო ...
73. მოჭადრაკე გარი ...
74. სახელმწიფო ცენტრ. ამერიკაში
75. ხორბლით დათესილი ადგილი
76. ... ნელა
77. სამკურნალო მცენარე
78. ჯაშუში ქალი ...-ჰარი
79. პოეტი ... აბაშიძე
80. სოფელი ოჩამჩირის რაიონში
81. მისი დედაქალაქია თეირანი
82. ფრინველის რქოვანა პირი
83. ისტორიული მხარე საქართ.
84. ქალის პატარა ხელჩანთა
85. მიწა, გრუნტი
86. ტბა პერუში
87. მსახიობი ბრუნო ...
88. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
89. მისი დედაქალაქია დელი
90. მომღერალი პერი ...
91. ჩუქჩების ქოხი
92. ოპერა „... გიუნტი“
93. ფეხბურთელი მიხეილ ...
94. მსახიობი ვიტორიო ...
95. პატარა მდინარე
96. შტატი აშშ-ში
97. ამანათი
98. თხის ძვირფასი ბეწვი
99. „ჟიზელი“ კომპოზიტორი
100. მსოფლმხედველობა
101. ქათმის საკვები
102. მსახიობი ანტონიო ...
103. მომღერალი ... სოხაძე
104. სასოფლ. სამეურნ. იარაღი
105. ბელორუსის დედაქალაქი
106. იპოლიტე ხვიჩია ფილმში
107. ტელეკოშკი
108. პოეტი ... შევჩენკო
109. ძვირფასი წითელი ქვა
110. მსახიობი ... საღარაძე
111. ვულკანი სიცილიაზე
112. მწერალი ... ჩეხოვი
113. ალამი
114. სანელებელი
115. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
116. ნამცხვარი
117. ... თუ არ გიჭამია, პირი რად გიყარს
118. თაღი
119. თმა, ბეწვი
120. კარგი ამინდი
121. მზის ღმერთი ეგვიპტეში
122. გარეული ფრინველი
123. ხელის საგრილებელი
124. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
125. სპარტაკის სამშობლო
126. საყვავილე
127. საესტრად. სიმებ. საკრავი
128. შიში
129. საქონლის კუჭი
130. გვარში დასმული მძიმე
131. ცივი იარაღი
132. მსახიობი ვივიენ ...
133. მანეთის მეასედი
134. გამადიდებელი მინა
135. ქრისტიანთა წმინდა თასი
136. მსახიობი ... გარდნერი
137. რეჟისორი ალფონსო ...

პასუხები: 1. ბარმალეი; 2. სტინგი; 3. „კონკია“; 4. ქვაბი; 5. აჩმა; 6. ქვირითი; 7. ვალი; 8. ჩანჩქერი; 9. ენგ; 10. ელვა; 11. ასტრონავტი; 12. ინდი; 13. გულივერი; 14. სარი; 15. ლაიმა; 16. მუშკუდიანი; 17. სიეტლი; 18. მაინ; 19. ბანკომატი; 20. ბერტა; 21. ასტანა; 22. აფშერონი; 23. „ირმისა“; 24. შიში; 25. რეიკიავიკი; 26. ვარანი; 27. ბათა; 28. ესკიმოსი; 29. აკიმი; 30. ბოროდინი; 31. კალა; 32. ია; 33. ქსანი; 34. თეკერეი; 35. ნესესერი; 36. კალიგულა; 37. ბრიტანეთი; 38. ალეგორია; 39. ირონია; 40. გოცი; 41. არტურო; 42. ნაგასაკი; 43. ალუდა; 44. მანუსკრიპტი; 45. ატამი; 46. ლალიაშვილი; 47. ამერიგო; 48. წერეთელი; 49. სამი; 50. გალიუნი; 51. ანდალუსია; 52. მედეა; 53. სილიციუმი; 54. ნუარე; 55. ბრანდო; 56. მათარა; 57. ეკვატორი; 58. ტიან; 59. არაქისი; 60. ვერნი; 61. ქარიყლაპია; 62. გურუ; 63. დეკანი; 64. შუა; 65. კარავი; 66. როი; 67. ბია; 68. აკაცია; 69. ქვიშანი; 70. კარაქი; 71. ენ; 72. ვარაზი; 73. კასპაროვი; 74. კოსტა-რიკა; 75. ყანა; 76. იჩქარე; 77. ასკილი; 78. მატა; 79. ირაკლი; 80. ტამიში; 81. ირანი; 82. ნისკარტი; 83. ბორჩალო; 84. რედიკიული; 85. ნიადაგი; 86. ტიტიკაკა; 87. ოია; 88. მისისიპი; 89. ინდოეთი; 90. კომო; 91. იარანგი; 92. პერ; 93. მესხი; 94. გასმანი; 95. ნაკადული; 96. მინესოტა; 97. ბანდეროლი; 98. ანგორა; 99. ადანი; 100. კრედო; 101. საკენკი; 102. ბანდერასი; 103. ირმა; 104. თოხი; 105. მინსკი; 106. „განგაში“; 107. ანძა; 108. ტარას; 109. აყიყი; 110. გურამ; 111. ეტნა; 112. ანტონ; 113. დროშა; 114. დაფნა; 115. ყირიმი; 116. ვაფლი; 117. ნიორი; 118. არკა; 119. ბალანი; 120. დარი; 121. რა; 122. ყვავი; 123. მარაო; 124. რაფა; 125. თრაკია; 126. ვაზა; 127. გიტარა; 128. ზაფრა; 129. ფაშვი; 130. აპოსტროფი; 131. დაშნა; 132. ლი; 133. კაპიკი; 134. ლუპა; 135. გრაალი; 136. ავა; 137. არაუ. იკითხება: მონიკა ბელუჩი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მისი დედაქალაქია ვარშავა
2. კაცუნა ბურაზე პროპელერით
3. პოეტების საკრებულო მთა
4. მხ/ფ „ეშმაკი და ... მცნება“
5. ძვირფასი ქვა
6. მსახიობი ... დოლიძე
7. ყველაზე ღრმა ტბა
8. მოკრივე მაიკლ ...
9. ჭავჭავაძე. „... ქვრივი“
10. აირი დედამიწის ირგვლივ
11. „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
12. ბეთჰოვენი. „... სონატა“
13. „მაუგლი“ მგელი
14. ვახტანგ ჭაბუკიანი ბალეტში
15. მსახიობი ... კინსკი
16. ჩილეს დედაქალაქი
17. ზღვაოსანი ... და გამა
18. მონღოლი დიდებული
19. მსახიობი ... ჭანკვეტაძე
20. აპოლონის ქურუმი ტროაში
21. გემის ტუალეტი
22. გიტარის მავთული
23. ძლიერი ნათურა
24. ფილოსოფოსი კასრში
25. პრიმატი ცხოველი
26. კავშირებითი სიტყვა
27. კუ. ინახავდა ოქროს გასაღებს
28. ვულკანის ყელი
29. „დრაკულა“ ავტორი
30. პატარა ვაგონეტი
31. მხატვარი ოგიუსტ ...
32. ხურდის მოსაგროვებელი
33. მელა ალისა და კატა ...
34. ძაღლის ჯიში
35. ყვავი მოფერებით
36. მწვავე ტონზილიტი
37. ქალაქი პოლონეთში
38. მდინარე ინდოეთში
38ა. მომსახურეობა, ანუ ...
39 ... შეჯდა მწყერი ხესა
40. მომღერალი ბობ ...
41. ალკოჰოლური სასმელი
42. აკაკი წერეთლის ლექსი
43. თანხმობის ფორმა
44. მსახიობი ... ვადიმი
45. წყალსაცავი აზერბაიჯანში
46. ინდიელების ვარცხნილობა
47. ფრედი მერკურის ანსამბლი
48. ანტიკური საბერძნეთი
49. ქორო, ანუ ...
50. მსახიობი ... ბერიმორი
51. ოპერა „ტრავიატა“ პერსონაჟი
52. ჩილეში: ავგუსტო ...
53. ჯაფა
54. ცირკის ტანმოვარჯიშე
55. ნაბოკოვის რომანი
56. ხორცის კერძი
57. მსახიობი ... ჟაკობი
58. მწერალი ... პირანდელო
59. მხატვარი ნელი ...
60. მამათა დიდი მონასტერი
61. მწერი სამზარეულოში
62. მსახიობი ... თბილელი
63. ამფიბია
64. ტრამვაის მძღოლი
65. სოფელი რაჭაში
66. პოეტი ... წერეთელი
67. მობილურების ფინური ფირმა
68. ტბა პერუში
69. შეჩერება მუსიკაში
70. ავსტრალიური ველური ძაღლი
71. რეჟისორი მერაბ ...
72. ქანდაკება პირამიდებთან
73. მასწავლებელი
74. აფხაზური ხაჭაპური
75. მსახ. ბილი ... ტორნტონი
76. კოცნა
77. კოსმონავტის სამოსი
78. დოჩანაშვილი. „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ...“
79. დათვის ნაშიერი
80. ნიშნავს ახალს
81. კუნძული ოხოტის ზღვაში
82. ნიშნავს საწინააღმდეგოს
83. ნიშნავს ცივს
84. კათოლიკური ეკლესიის მეთაური
85. სინთეზური ქსოვილი
86. მზესუმზირა
87. მთები: ...-შანი
88. თეატრალური განცხადება
89. მსახიობი ... რიოსი
90. მსახიობი ჯესიკა ...
91. მსახიობი ... რაიანი
92. მისი დედაქალაქია მანილა
93. ყელსაბამი
94. მსახიობი იგორ ...
95. უბედურების სიგნალი
96. მსახიობი სილვესტერ ...
97. მარცხი
98. სახელმწიფო აზიაში
99. მომღერალი ... ქერი
100. მუხის ნაყოფი
101. თვითმფრინავის ბორბლები
102. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
103. „სამი მუშკეტერი“ პერსონაჟი
104. ახალი ... კარგად გვის
105. სახლის გადასახურავი ბალანი
106. ... გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია
107. წონის ძვ.ქართ. ერთეული
108. დარტყმით ამობურცული ადგილი
109. კურორტი ზუგდიდის რაიონში
110. ჩვილის საწოლი
111. უფულოდ წაღებული საქონელი
112. მისი დედაქალაქია პრიშტინა
113. მდინარე პოლონეთში
114. მომღერალი ... მინოუგი
115. სამაგიდო თამაში
116. ბერძ. ანბანის ბოლო ასო
117. ირანში: ... ჰომეინი
118. პიონერული ცეცხლი მინდორში
119. ყველაზე პატარა ფრინველი
120. სურდო
121. მეცნიერი ... ვეკუა
122. დიკენსი. „ოლივერ ...“
123. დრამატურგი ჰენრიკ ...
124. ..., ქამი და იაფეტი
125. მსახიობი ... ფაროუ
126. რეჟისორი ... ბესონი
127. იაპონური თეატრი
128. ტალახი
129. ... ფონ ბისმარკი
130. ნაბიჯი ბალეტში
131. ესკიმოსების ყინულის სახლი
132. ყვავილი
133. შესახედაობა
134. შალის საპალტოე ქსოვილი
135. მსახიობი ... იოვოვიჩი
136. სოფელი სიღნაღის რაიონში
137. ზამბახი
138. მომღერალი ... მარტინი
139. უძველესი კოლხეთი
140. მსახიობი ... მონტანი

პასუხები: 1. პოლონეთი; 2. კარლსონი; 3. პარნასი; 4. ათი; 5. ამეთვისტო; 6. თათული; 7. ბაიკალი; 8. ტაისონი; 9. ოთარაანთ; 10. ატმოსფერო; 11. დეა; 12. მთვარის; 13. აკელა; 14. „ლაურენსია“; 15. ნასტასია; 16. სანტიაგო; 17. ვასკო; 18. ნოინი; 19. ნინელი; 20. ლაოკოონი; 21. გალიუნი; 22. სიმი; 23. პროჟექტორი; 24. დიოგენე; 25. მაიმუნი; 26. რომ; 27. ტორტილა; 28. კრატერი; 29. სტოკერი; 30. დრეზინა; 31. რენუარი; 32. ყულაბა; 33. ბაზილიო; 34. ლაბრადორი; 35. ყვანჩალა; 36. ანგინა; 37. გდანსკი; 38. ინდი; 38ა. სერვისი; 39. არა; 40. მარლი; 41. ვისკი; 42. „მუხამბაზი“; 43. კი; 44. როჟე; 45. მინგეჩაური; 46. იროკეზი; 47. „ქვინი“; 48. ელადა; 49. გუნდი; 50. დრიუ; 51. ვიოლეტა; 52. პინოჩეტი; 53. შრომა; 54. აკრობატი; 55. „ლოლიტა“; 56. ტოლმა; 57. ირენ; 58. ლუიჯი; 59. ოქროპირიძე; 60. ლავრა; 61. ტარაკანი; 62. მარინე; 63. გომბეშო; 64. ვატმანი; 65. ირი; 66. აკაკი; 67. „ნოკია“; 68. ტიტიკაკა; 69. პაუზა; 70. დინგო; 71. კოკოჩაშვილი; 72. სფინქსი; 73. პედაგოგი; 74. აჩმა; 75. ბობ; 76. ამბორი; 77. სკაფანდრი; 78. ლიტერატურა; 79. ბელი; 80. ნეო; 81. სახალინი; 82. ანტი; 83. კრიო; 84. პაპი; 85. ნეილონი; 86. ლილიფარა; 87. ტიან; 88. აფიშა; 89. ოსვალდო; 90. ალბა; 91. მეგ; 92. ფილიპინები; 93. მძივი; 94. ილინსკი; 95. სოს; 96. სტალონე; 97. კრახი; 98. ლაოსი; 99. მერაია; 100. რკო; 101. შასი; 102. ტოლიატი; 103. ათოსი; 104. ცოცხი; 105. ისლი; 106. რასაცა; 107. ოყა; 108. კოპი; 109. ანაკლია; 110. აკვანი; 111. ნისია; 112. კოსოვო; 113. ვისლა; 114. კაილი; 115. ნარდი; 116. ომეგა; 117. აიათოლა; 118. კოცონი; 119. კოლიბრი; 120. რინიტი; 121. ილია; 122. ტვისტი; 123. იბსენი; 124. სემი; 125. მია; 126. ლუკ; 127. ნო; 128. ლაფი; 129. ოტო; 130. პა; 131. იგლუ; 132. ია; 133. იერი; 134. დრაფი; 135. მილა; 136. ტიბაანი; 137. ირისი; 138. რიკი; 139. აია; 140. ივ. იკითხება: ორლანდო ბლუმი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკელებმა ინსულტისგან გადარჩენის ანეკდოტური მეთოდი აღმოაჩინეს



იმისთვის, რათა თაგვს სიკვდილის უფლება არ მისცეთ, რომელსაც არტერიის ბლოკირების გამო ინსულტი ემუქრება, საკმარისია მას... ულვაში მოქაჩოთ. დაგვეთანხმებით, ეს აღმოჩენა უფრო საპირველაპრილო ხუმრობას წააგავს, მაგრამ ჯერ ერთი, რომ პირველმა აპრილმა რამდენიმე დღის წინ ჩაგვიკრა თვალი და მეორე – მისი ავტორები სავსებით სერიოზული მეცნიერები არიან კალიფორნიის უნივერსიტეტიდან.

სპეციალისტების განმარტებით, ინსულტის გამომწვევი მიზეზი თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის შეფერხებაა, რასაც ზოგიერთი მონაკვეთის გათიშვა მოსდევს. თაგვების შემთხვევაში ინსულტის თავიდან აცილება თავის ტვინის ქერქის სტიმულირებით მოხერხდა – მთავარი არტერიების ბლოკირებიდან მომდევნო 2 საათის მანძილზე მეცნიერები მათ ულვაშებს 4 წუთის განმავლობაში ქაჩავდნენ, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ სისხლი დაზიანებულ ადგილამდე სხვა ძარღვების გავლით აღწევდა. აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტის ფარგლებში თაგვების ინსულტისგან სიკვდილით გადარჩენა ასიდან ასივე შემთხვევაში მოხერხდა.

როგორც ცნობილია, ინსულტი ადამიანისთვისაც კრიტიკული პირველ საათებშია. ნიშნავს თუ არა ეს ახალი აღმოჩენა, რომ ულვაშების მოქაჩვით ადამიანის გადარჩენაც იქნება შესაძლებელი? ამერიკელები ამ კითხვაზე შემდეგნაირად პასუხობენ: ადამიანების შემთხვევაში თავის ტვინს სხეულის სხვა ნაწილები უკავშირდება. ამდენად, შესაძლებელია, მაგალითად, თითების, ტუჩების ან სახის სტიმულირება პაციენტის სქესის მიუხედავად.

***medkarta.com***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## „ფეისბუკს“ პირდაპირი ვიდეოტრანსლაციის ფუნქცია დაემატა

„ფეისბუკს“ პირდაპირ რეჟიმში ვიდეოტრანსლირების ფუნქცია დაემატა. ახალი ფუნქცია, რომლის სახელწოდებაა **Facebook Live**, სოციალური ქსელის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა წარადგინა.




ახალი ფუნქციის პრეზენტაცია ცუკერბერგმა სოციალური ქსელის პირდაპირ ეთერში გამართა.

**Facebook Live**-ის საშუალებით სოციალური ქსელის მომხმარებლებს შეუძლიათ, სმარტფონით შექმნილ ვიდეორგოლებს პირდაპირ რეჟიმში უყურონ. ამასთანავე, შესაძლებელი ხდება ვიდეოს საყურებლად მეგობრების მოწვევა და ტრანსლაციის გაზიარება.

„ჩვენ ყველასთვის ავამოქმედებთ **Facebook Live**-ს, რომელიც მოგვცემს საშუალებას, მარტივად შევქმნათ ვიდეორგოლები, გავაზიაროთ ისინი და ვუყუროთ მათ რეალურ დროში. ეს ჰგავს იმას, რომ თქვენ ახლა მუდამ თან გექნებათ ვიდეოკამერა. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც აქვს ტელეფონი, შეუძლია, ვიდეოკავშირი დაამყაროს, ვისთანაც სურს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით“, – განაცხადა სოციალური ქსელის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა.

ცუკერბერგი მომხმარებლებს დაჰპირდა, რომ უახლოეს დღეებში პირდაპირი ვიდეოტრანსლაციის დროს პირადად უპასუხებს მათს შეკითხვებს „ფეისბუკის“ ახალ ფუნქციასთან დაკავშირებით.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შვედი მეცნიერები პედოფილიის პროფილაქტიკის საშუალებებს ცდიან



შვედმა მეცნიერებმა პროსტატის კიბოს წამლის პედოფილიის პროფილაქტიკის მიზნით გამოყენება გადაწყვიტეს.

მეცნიერები კლინიკური კვლევის ჩასატარებლად ფულის შეგროვებას აპირებენ. სურთ, დაამტკიცონ, რომ წამალს, რომელიც ტესტოსტერონების გამომუშავებას ამცირებს, შეუძლია, პედოფილიისკენ მიდრეკილებაც აღკვეთოს. დასაწყისისთვის, კვლევაში 5 კაცი მონაწილეობს. მოგვიანებით კი, მათი რიცხვის 60-მდე გაზრდა იგეგმება.

მეცნიერები არ აპირებენ იმ ადამიანების კვლევას, რომლებსაც დანაშაული უკვე ჩადენილი აქვთ. მათ სურთ, იმ ადამიანებს დაეხმარონ, რომლებიც სექსუალური გადახრებისგან იტანჯებიან და თვითგამორკვევის პროცესში არიან.

შვედეთის მთავრობამ კვლევის ჩატარების უფლება უკვე გასცა. სამი თვის განმავლობაში ექიმები სექსუალური აღგზნებადობის დონეს, თვითკონტროლის უნარსა და თანაგრძნობის უნარს გამოიკვლევენ, ვინაიდან ყველა ეს პარამეტრი სექსუალური დანაშაულის ფაქტორად მიიჩნევა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ორენოვანი ოჯახის შვილები დაბადებიდან პოლიგლოტები არიან



თურმე, ბავშვს სხვადასხვა ენაზე საუბარი არ აბნევს, პირიქით, მასში პოლიგლოტურ ნიჭს ავითარებს. ბავშვები, რომელთაც სხვადასხვა ეროვნების მშობლები ჰყავთ, პოტენციური პოლიგლოტები არიან.

მეცნიერების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის მიხედვით, როცა ბავშვს სხვადასხვა ენაზე ესაუბრებოდნენ, ტვინში დამატებითი სფეროები უვითარდებოდათ, რაც არ აღენიშნებოდათ ერთენოვანი მშობლების შვილებს.

ასე რომ, მეცნიერების რჩევის თანახმად, ბავშვებს დაბადებიდან სხვადასხვა ენაზე ესაუბრეთ, ასე შვილებს ლინგვისტურ უნარებს განუვითარებთ.

***myjane.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ალერგია გაწუხებთ? კიბოსი აღარ უნდა შეგეშინდეთ



ძალიან საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს მონრეალის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა, რომელიც მსოფლიოს მეცნიერებმა, თავის მხრივ, კიბოს მკურნალობის მიმართულებით ახალი მეთოდის მიგნებად შეაფასეს.

როგორც ირკვევა, ექსპერიმენტების ფარგლებში კანადელმა სწავლულებმა 18 კლინიკის 3 ათასამდე პაციენტი გამოიკვლიეს, რომლებსაც კიბოს დიაგნოზი ჰქონდათ დასმული და ასევე, კვლევაში მონაწილეობდნენ ის ადამიანებიც, რომლებსაც საშიში დაავადება არ აწუხებდათ.

ჰოდა, დადგინდა, რომ კიბოთი დაავადებულ პაციენტებს შორის არ აღმოჩნდა არც ერთი პირი, რომლებსაც წარსულში ასთმა, ეგზემა ან ალერგიის სხვა გამოვლინება აღენიშნებოდათ.

მეცნიერების მტკიცებით, ამ უცნაური მოვლენის მიზეზი იმაში უნდა იმალებოდეს, რომ ალერგია, როგორც დაავადება, ორგანიზმის იმუნური სისტემის ჰიპერაქტიური რეაქციებითაა გამოწვეული. ამასთანავე, კიბოთი დაავადებულ უჯრედებზე იმუნური სისტემა ასევე მყისიერ რეაქციას ავლენს და პირველ რიგში, ორგანიზმიდან სიმსივნის მატარებელ უჯრედებს დევნის.

მართალია, მიგნება საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა სპეციალისტების თქმით, მას ჯერ კიდევ ხანგრძლივი შესწავლა სჭირდება და სასურველი შედეგის მიღების შემთხვევაში, სავარაუდოდ, კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდების აღმოჩენაც მოხერხდება.

***inauka.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მედიკოსები მუცელზე წოლას კატეგორიულად არ გვირჩევენ



ესპანელი ექიმი სექსოპათოლოგები მიიჩნევენ, რომ მუცელზე წოლა ერთნაირად საშიშია როგორც მშვენიერი სქესისთვის, ისე მამაკაცებისთვის, რადგან ამ მავნე ჩვევას შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის არასახარბიელო შედეგები მოჰყვეს.

სპეციალისტების განმარტებით, მუცელზე წოლისას დიდი ზემოქმედება ადგება არა მხოლოდ შარდის ბუშტს, არამედ სასქესო ორგანოებსაც, რის გამოც ირღვევა სისხლის მიმოქცევა და პრობლემები სექსუალურ ცხოვრებაში გარანტირებულია.

გარდა ამისა, მუცელზე ძილი ასევე არ არის რეკომენდებული ადამიანებისთვის, რომლებსაც ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებთ – ასეთი პოზა მათ დამატებით უსიამოვნებებს მოუტანს.

თქვენ წარმოიდგინეთ, მუცელზე წოლა არც სახისთვისაა სახარბიელო, რადგან ხელს უწყობს კანის დაბეჟილობებს და ნაოჭებიც გაცილებით ადრე და ადვილად ჩნდება.

***myjane.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...



## მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია — მსოფლიოში 422 მილიონი ადამიანი დიაბეტით არის დაავადებული

მსოფლიოში თითქმის ყოველი მე-11 ადამიანი დიაბეტით არის დაავადებული. ამის შესახებ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მოხსენებაში წერია. ამავე მოხსენების თანახმად, თუ 1980 წელს მსოფლიოში დიაბეტით 108 მილიონი ადამიანი იყო დაავადებული, 2014-ში რიცხვი თითქმის ოთხჯერ – 422 მილიონამდე გაიზარდა.

დიაბეტი მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი „მკვლელია“. მასთან დაკავშირებული გართულებებით ყოველ წელს 3.7 მილიონი ადამიანი იღუპება.

როგორც „ბიბისი“ წერს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ, თუ ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგა, ეს ციფრი ზრდას განაგრძობს.

მოხსენებაში მოყვანილ ციფრებში I და II ტიპის დიაბეტები გაერთიანებულია, თუმცა განსაკუთრებით იზრდება II ტიპის დიაბეტი, რომელიც არაჯანსაღ ცხოვრების წესთან არის დაკავშირებული.

***news.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანეთში დამნაშავეები ორცხობილების მოპარვის გამო დააპატიმრეს



დიდ ბრიტანეთში, ხუთმა მამაცმა მეგობარმა საკონდიტრო ქარხნიდან ტკბილეულის ვაგონი გაიტაცა. მოგვიანებით, ვაგონი გზაზე იპოვეს, ოღონდ ტკბილეულზე მეგობრებმა, უკაცრავადო, ვერ დაგახვედრეთო.

კომპანიის წარმომადგენლებმა კიდევ, ყველაზე უპრეცედენტო შემთხვევაა, რაც კი ბოლო 25 წლის მანძილზე მომხდარაო.

დამნაშავეებმა ქარხნის ტერიტორიაზე მოპარული მანქანით შეაღწიეს. თურმე, მოიტყუეს, ერთ-ერთი ფირმიდან ვართ და თქვენი პროდუქტი მიგვაქვსო. გულუბრყვილო თანამშრომლებიც სიტყვაზე ენდნენ და სეირიც ნახეს.

დამნაშავეებს 44- და 16-თვიანი პატიმრობა შეეფარდათ, მაგრამ გაგიგონია? მაინც ხუმრობის ხასიათზე იყვნენ. სასამართლო დარბაზიდან გასვლისას ერთ-ერთი მიტრიალდა და დარბაზს ჰკითხა, – „ბისკვიტი არავის გინდათ?“

***anekdot-dnya.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 2-დოლარიანი ნაძლევის გამო, ინდუსმა მამაკაცმა შხამიანი გველი გადაყლაპა



„პირობა კაცს ცოლს ართმევსო“, ნათქვამია, მაგრამ პირობასაც გააჩნია და მისი შესრულების პირობებსაც!

როგორც ირკვევა, 35 წლის ზავერ რატხოდმა ნაძლევზე საკუთარი ხელით მოკლული შხამიანი გველი დაღეჭვის გარეშე გადაყლაპა.

თურმე, ნაძლევის დადებამდე ცოტა ხნით ადრე გველმა რატხოდის ნათესავს უკბინა და სამწუხაროდ, საიქიოში გაისტუმრა. მოგვიანებით შხამიანი მცურავი დაიჭირეს და თავი გაუჩეჩქვეს, თუმცა იმის ნაცვლად, რომ ტრაგიკულად დაღუპული ახლობელი ეტირათ, მონადირეებმა ერთმანეთში სულელური ნაძლევი დადეს – ზავერ რატხოდმა დაიტრაბახა, გველს დაღეჭვის გარეშე გადავყლაპავო და პირობა მართლაც შეასრულა. არ იყო გასული სულ რამდენიმე წუთი, რომ დაუფიქრებელ ინდუსს გულისრევები დაეწყო და გონებაც დაკარგა.

საბედნიეროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს, რითიც თავადვე ძალიან გაკვირვებული დარჩნენ, რადგან ზავერ რატხოდს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი მცურავი უგემია, რომლის შხამი ფატალურ შედეგს კბენის გარეშე, მის ნერწყვთან შეხებითაც კი იწვევს.

*etotupo.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დრაკონს რომ დამსგავსებოდა, ტრანსგენდერმა ყურები მოიჭრა



„რამ შემქმნა ადამიანად. რატომ არ მოველ წვიმადა“ – ჩვენს ვაჟას უთქვამს. ევა ტიამატ მედუზამ, ვაჟა, ილია და აკაკი არ ვიცი მე, არიზონელი ევა ვარ და რამ შემქმნა ადამიანად, თანაც კაცად, რატომ არ მოველ მდედრ დრაკონადაო. მაგრამ არა უშავს, ბუნების შეცდომას მე გამოვასწორებო და მთელი რიგი ოპერაციები ჩაიტარა.

ჯერ იყო და სახე ტატუებით მოიფინა, შუბლში მეტალის ფირფიტები ჩაისვა, თვალზე ოპერაცია გაიკეთა და თეთრი გარსი მწვანეთი შეიცვალა. მერე მკერდსა და ხელებს გადასწვდა და ისიც მოიხატა. ბოლოს კი ყურები მოიჭრა და ცხვირის ფორმა შეიცვალა, რომ სასურველ ცხოველს მაქსიმალურად დამსგავსებოდა.

ახლო მომავალში სქესის შეცვლას აპირებს. მკერდის გადიდება უკვე მოასწრო და საჭირო ჰორმონალურ წამლებსაც იღებს.

ევამა სთქო, არ გავჩერდები, სანამ ბოლომდე მისტიკურ სულად არ გარდავიქმნებიო. მოდი და შეედავე.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინელმა სასიძომ საპატარძლოს კაბა ბუშტებისგან შეუკერა



როგორ უნდა მოიქცეს საცოლეს გახარების მსურველი საქმრო? ყვავილებით გაძეძგილი ავტომობილით მიაკითხოს, ამწეკრანით წამოიყვანოს საპატარძლო, შუა ქუჩაში ფლეშმობი მოუწყოს, თუ ბრილიანტების გორა დაუყენოს?

ჩინელმა ლუ კეპენმა კი გადაწყვიტა, რომ საჩუქრის ხარისხი არა ფასით, არამედ მისი ღირებულებითა და ორიგინალურობით განისაზღვრება. ჰოდა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ადგა და საცოლეს საქორწილო კაბა თავისი ხელით შეუკერა. თანაც კაბაც არის და კაბაც. ლუმ თქვა, თეთრ და ფაშფაშა კაბას ყველა თუ არა, ყოველი მესამე მონდომებული კაცი მაინც შეკერავსო. ადგა და ბუშტებისგან ორი, ერთი თეთრი და ერთი ფერადი კაბა შექმნა. ამისთვის კი 600 ცალი საჰაერო ბურთი და ერთი დღე-ღამე გამოიყენა. ბედნიერი პატარძალი კამერების წინაშე ხან თეთრი კაბით პოზირებდა და ხანაც ფერადით.

„მინდოდა ჩემს სუს ეგრძნო, როგორ მიყვარს“, – განაცხადა შეყვარებულმა სასიძომ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## უსინათლოები „ფეისბუკზე“ ფოტოებს „დაინახავენ“




ინჟინერთა ჯგუფი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისა და „ფეისბუკის“ ადაპტაციაზე ზრუნავს, ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ფოტოები უსინათლოებისთვისაც ხელმისაწვდომი გამხდარიყო.

ამიერიდან სოციალურ ქსელში ხელმისაწვდომია ახალი ტექნოლოგია – „ავტომატური ალტერნატიული ტექსტი“, რაც ფოტოზე გამოსახულების გახმოვანებას ნიშნავს.

ხელოვნური ინტელექტი ავტომატურ რეჟიმში აღწერს ფოტოს, მათზე გამოსახულ საგნებს, ასევე ადამიანების ემოციებს, ადგილს და დღის რა მონაკვეთშია გადაღებული.

სიახლე ხელმისაწვდომია როგორც iOS-ის, ასევე Android-ის სისტემებისთვის, ასევე, მათთვის, ვინც „ფეისბუკს“ ვებ-ბრაუზერით სტუმრობს.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მეცნიერებმა აუტიზმის ამოცნობა ბავშვის ხმის მიხედვით ისწავლეს



ამ შემთხვევაში მორიგი მიღწევა აუტიზმთან დაკავშირებით ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნით, რომელიც თავის თავში ახალ პროგრამულ უზრუნველყოფას გულისხმობს და საშუალებას იძლევა, დაავადების აღმოჩენა მის საწყის სტადიაზევე მოხერხდეს.

ამერიკელი სპეციალისტების განმარტებით, მათი ახალი მეთოდი აუტიზმის ნიშნებს ბავშვს დაბადებიდან უკვე მე-18 თვეზე დაუდგენს და არა 6 წლის ასაკში, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

პროგრამის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის დაავადების აღმოჩენას ბავშვის მეტყველების შესწავლის შედეგად ახერხებს. კერძოდ, პროგრამა ერთმანეთისგან ასხვავებს ნორმალურად და დარღვევებით განვითარებულ მეტყველებას, რაც ექიმებს საჭირო მკურნალობის დანიშვნის საშუალებას მისცემს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის გამოცდები უკვე წარმატებით დასრულდა. მისი დახმარებით შემოწმდა 232 ბავშვი, რომელთაგან რამდენიმეს სამწუხაროდ, აუტიზმი მართლა დაუდგინდა.

პროგრამა ბავშვის ხმას 12 პარამეტრის მიხედვით აანალიზებს. პირველ ეტაპზე ის პაციენტის ასაკს ადგენს, შემდეგ უკვე დაავადების ძიებაზეც გადადის და როგორც ამბობენ, მცდარი პასუხის ალბათობა მხოლოდ 14 პროცენტია.

– მართალია, აუტიზმის მკურნალობა ძალიან რთული საქმეა, მაგრამ მისი ადრეულ პერიოდში აღმოჩენა წარმატების იმედებს მაინც ბადებს, – განმარტავენ სპეციალისტები.

*myjane.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რომანტიკული ურთიერთობა... ნარკოტიკიაო



ამ უცნაური დასკვნის ავტორები კვლავაც ამერიკელები არიან, რომლებმაც დაადგინეს, რომ რომანტიკული ურთიერთობებისას ხდება თავის ტვინის იმ უჯრედების გააქტიურება, რომლებიც სხვა შემთხვევაში ნარკოდამოკიდებულების ფორმირებაში მონაწილეობს.

კვლევის ავტორების აზრით, ტვინის ასეთი აქტივაციის მიზეზი, სავარაუდოდ, საყვარელი ადამიანის დაბრუნების სურვილი უნდა იყოს, რასაც სარისკო ნაბიჯების გადადგმაც მოჰყვება. კიდევ ერთი მოსაზრებით, ტვინის ეს მექანიზმი მილიონობით წლის ევოლუციის შედეგია, რომელიც ადამიანს ცხოვრების კონკრეტულ მომენტში უაქტიურდება, რათა მემკვიდრეობის დასატოვებლად მომავალი პარტნიორი აარჩევინოს.

ასეთი დასკვნების გამოტანა ამერიკელმა მეცნიერებმა რამდენიმე ათეული ახალგაზრდის შესწავლის შემდეგ შეძლეს, რომლებიც შეყვარებულებთან ახლად დაცილებულები იყვნენ. სპეციალისტებმა მათი ტვინის სკანირება იმ დროს მოახდინეს, როცა ექსპერიმენტის მონაწილეები ყოფილი პარტნიორების ფოტოებს ათვალიერებდნენ.

აღმოჩნდა, რომ ამ პროცესში მათ თავის ტვინის ე.წ. ვენტრალური სფერო და ასევე, მისი გვერდითი ბირთვი აუმუშავდათ, რომელიც ჩვეულებრივ, ნარკოდამოკიდებულ ადამიანებს უაქტიურდებათ.

*factroom.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ანჯელინა ჯოლი ჰოსპიტალიზებულია



მსახიობი ანჯელინა ჯოლი ჰოსპიტალიზებულია. უცხოური მედიის ცნობით, ჰოლივუდის ვარსკვლავის წონამ კრიტიკულად დაბალ ზღვარს მიაღწია. 169 სმ სიმაღლის მსახიობი მხოლოდ 35 კილოგრამს იწონის.

შეგახსენებთ, ჯოლიმ ონკოდაავადების რისკის შემცირების გამო ორი ოპერაცია გაიკეთა. მსახიობს საკვერცხეები, სარძევე ჯირკვლები და საშვილოსნოს მილები ამოკვეთეს.

*news.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ არის საშიში პაკეტის ჩაი და როგორ უნდა დალიოთ სწორად



ჩაის პაკეტის გამოყენება, მხოლოდ ერთხელ შეიძლება. მას მოსახერხებელ თვისებასთან ერთად, უარყოფითი თვისებებიც აქვს, რაც ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

პაკეტის ჩაის გამოყენებისას, ხშირად არა კონკრეტულ ჩაის, არამედ მტვრის არომატს იღებთ. ამასთანავე, მტვერს ფერის მისანიჭებლად დამატებული აქვს საღებავი, ხოლო წებოსა და ქაღალდის გემოს გასაქრობად, მწარმოებლები სხვადასხვა სახის არომატიზატორებს ამატებენ.

ჩაის მტვრისგანაც საკმაოდ მაგარი ჩაის დამზადება შეიძლება, რომელიც იაფფასიან პაკეტშია მოთავსებული – შესაძლებელია სხვადასხვა დაფქული მცენარის დამატებაც (ვერხვის, ტირიფის ან თუნდაც ბალახის ფოთლების).

*mshoblebi.ge*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ზღვის ღმერთი ბერძ. მით-ში
2. ისლანდიელი მომღერალი ქალი
3. უგუმ-ბათო ტაძარი
4. კონან დოილი. „... ძაღლი“
5. საკათედრო ტაძარი თბილისში
6. ციტრუსი
7. პოლიტიკოსი ... განდი
8. მხატვარი ალბრეხტ ...
9. პრეზიდენტი ... ობამა
10. ნაცია
11. ქალაქი რუსეთში
12. ბალჩეული
13. ნაჭრის მრგვალი ქუდი
14. ეგვიპტის დედაქალაქი
15. მგზავრის ადგილი ვაგონში
16. წონასწორობის დაცვა
17. „უთავო მხედარი“ ავტორი ტომას ... რიდი
18. ტყის სული
19. მსახიობი ... ჰარისი
20. საფრანგეთის ჰიმნი
21. ქალაქი სომხეთში
22. სავარჯიშო ფიტნეს-კლუბში
23. შაბათ საღამო
24. გამის ნოტი
25. პერსონა ...-გრატა
26. მწერ-ვალი კავკასიონზე
27. რომელი სოფლიდან იყო ერთაოზი („შერეკილები“)
28. ... ხეთაგუროვი
29. ბზრიალა
30. შხამიანი გველი
31. დრო სიტყვით გამოსვლისათვის
32. კაზინოს თანამშრომელი
33. მდინარე აღმ. საქართ.
34. მხ/ფ „... მიდის ომში“
35. იაპონური ჭადრაკი
36. პირველი აეროპლანის გამომგონებელი ძმები
37. ფანქრის შავი გული
38. იტალიის კუნძული
39. მწვერვალი ყაზბეგი
40. ნათურის აჟურული საფარი
41. „სწავლის ... მწარე არის“
42. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
43. ესკიმოსების ყინულის სახლი
44. სსრკ-ში ... ბერია
45. ზედაპირიდან ატყორცნა
46. ცოდვების გამოსყიდვის ფურცელი
47. სახეში გაწნული ხელი
48. მხ/ფ „ცისკრის ...“
49. სწრაფი მოტორიანი ნავი
50. კონტინენტი სამხ. პოლუსზე
51. ჰიპოტენუზა და ...
52. შვედეთის დედაქალაქი
53. იგავი
54. საბრძოლო ჯავშანმანქანა
55. რა ააგო ნოემ
56. „... დე ბერჟერაკი“
57. საომარი ნადავლი
58. სოფელი რაჭაში
59. ხერხემლის ბოლო ნაწილი
60. სპორტ. ნაგებობა
61. რეჟისორი ... მიხალკოვი
62. მფრინავი, ანუ ...
63. გამოცდა კითხვარებით
64. კურორტი ბულგარეთში
65. უგრძნობი მდგომარეობა
66. ყვავილი
67. მონაკოს თავადი
68. ელექტრომაგნიტური გამოსხივება
69. ნაჭრის ჩანთა
70. მხ/ფ „თეთრი ქარავანი“ პერსონაჟი
71. ჟურნალისტი ... უინფრი
72. რუსი ილუზიონისტი
73. რუსული თოჯინ. თეატრის გმირი
74. სახეზე ამოსული ბალანი
75. ფსიქიატრი ... ზურაბაშვილი
76. ხის ჯამი
77. მსახიობი ... გრანტი
78. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
79. მხ/ფ „...-ძა-ძა“
80. თვითმფრინავის ფანჯარა
81. ... ულენშპიგელი
82. კუნძული ინდონეზიაში
83. ქიმიური ინდიკატორი
83ა. აბზინდის არაყი
83ბ. მაღაზია, ანუ ...
83გ. დიეგო არმანდო ...
83დ. ...-დე-ჟანეირო
84. მსახიობი მერილ ...
85. ტორტის საცხი
86. იტალიის დედაქალაქი
87. ხილი
88. პერუს დედაქალაქი
89. მევიოლინე ვანესა ...
90. თეატრალური განცხადება
91. რას უჩნდება კარიესი
92. გამოუწვავი აგური
93. მსახიობი ... სორვინო
94. ისტორიიდან: ... არაგველი
95. მსახიობი ვივიენ ...
96. „წითელი“ პლანეტა
97. სომნამბული
98. ნათება წმინდანის თავზე
99. ასლების გადასაღები ხელსაწყო
100. დიდი ფორმის მუსიკალ. ნაწარმოები
101. ნახატებიანი თავსატეხი
102. მაგიდის სერვირების ატრიბუტი
103. მკაცრი ცხოვრების მიმდევარი
104. ქალაქი საფრანგეთში
105. ჭრიჭინას ბებია
106. სპორტ. შეჯიბრის დასაწყისი
107. ბეწვი, ბალანი
108. ყაიმი
109. ციტრუსი
110. ლუდის მასალა
111. მატონიზირებელი სასმელი
112. ქალთან მოცეკვავე მამაკაცი
113. მოხარშული ზეთი
114. მესია ... ქრისტე
115. მხ/ფ „... ქალაქში“
116. მომღერალი ... ჯონი
117. დეკორატიული მცენარე
118. გიორგი სააკაძის სოფელი
119. ლენონის ქვრივი
120. მომღერალი ... მატიე
121. ჟურნალისტი ... გრიგოლია
122. ქალაქი საფრანგეთში
123. ... ბურთი და ... მოედანი
124. ბუჩქი ყვითელი ყვავილებით
125. ორი ადამიანის საუბარი
126. მსახიობი ... სპეისეკი
127. მეკობრეების მიერ გემის დაპყრობა
128. ... პუგაჩოვა
129. ...-ივ კუსტო
130. მწერალი ... დე მოპასანი
131. თავაშვებული ღრეობა
132. ქედი საქართველოში
133. შუშა
134. ბედი
135. მდინარე იტალიაში

პასუხები: 1. პოსეიდონი; 2. ბიორკი; 3. ბაზილიკა; 4. ბასკერვილების; 5. სამება; 6. გრეიპფრუტი; 7. ინდირა; 8. დიურერი; 9. ბარაკ; 10. ერი; 12. საზამთრო; 13. ბერეტი; 14. კაირო; 15. კუპე; 16. ბალანსირება; 17. მაინ; 18. ელფი; 19. ედ; 20. მარსელიეზა; 21. სპიტაკი; 22. ტრენაჟორი; 23. კვირაძალი; 24. ფა; 25. ნონ; 26. იალბუზი; 27. ძუკნური; 28. კოსტა; 29. ჩიკორი; 30. კობრა; 31. რეგლამენტი; 32. კრუპიე; 33. ჩაილური; 34. ბაბეტა; 35. გო; 36. რაიტები; 37. გრაფიტი; 38. სიცილია; 39. მყინვარწვერი; 40. აბაჟური; 41. ძირი; 42. სალიერი; 43. იგლუ; 44. ლავრენტი; 45. რიკოშეტი; 46. ინდულგენცია; 47. ალიყური; 48. ზარები; 49. გლისერი; 50. ანტარქტიდა; 51. კათეტი; 52. სტოკჰოლმი; 53. არაკი; 54. ტანკი; 55. კიდობანი; 56. სირანო; 57. ალაფი; 58. ირი; 59. კუდუსუნი; 60. სტადიონი; 61. ნიკიტა; 62. პილოტი; 63. ტესტი; 64. ვარნა; 65. შოკი; 66. ია; 67. რანიე; 68. ულტრაიისფერი; 69. აბგა; 70. მარტია; 71. ოპრა; 72. კიო; 73. პეტრუშკა; 74. წვერი; 75. ავლიპი; 76. გობი; 77. ჰიუ; 78. სტაფილოკოკი; 79. ქინ; 80. ილუმინატორი; 81. ტილ; 82. იავა; 83. ლაკმუსი; 83ა. აბსენთი; 83ბ. მარკეტი; 83გ. მარადონა; 83დ. რიო; 84. სტრიპი; 85. კრემი; 86. რომი; 87. ატამი; 88. ლიმა; 89. მეი; 90. აფიშა; 91. კბილი; 92. ალიზი; 93. მირა; 94. სამასი; 95. ლი; 96. მარსი; 97. მთვარეული; 98. შარავანდედი; 99. ქსეროქსი; 100. სიმფონია; 101. რებუსი; 102. ჩანგალი; 103. ასკეტი; 104. ნანტი; 105. ელპიტე; 106. სტარტი; 107. თმა; 108. ფრე; 109. ფორთოხალი; 110. ალაო; 111. ჩაი; 112. კავალერი; 113. ოლიფა; 114. იესო; 115. ორნი; 116. ელტონ; 117. ფიკუსი; 118. ნოსტე; 119. ონო; 120. მირეი; 121. ინგა; 122. კანი; 123. ჰა; 124. იელი; 125. დიალოგი; 126. სისი; 127. აბორდაჟი; 128. ალა; 129. ჟაკ; 130. გი; 131. ორგია; 132. კავკასიონი; 133. მინა; 134. სვე; 135. პო. იკითხება: იულ ბრინერი.

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ვალერი-ანა, იგივე ...
2. ამერი-კული თოჯინა
3. წონის ძვ. ქართ. ერთეული
4. პოეტი ლუი ...
5. სუბ-ტროპი-კული მცენარე
6. სტუდენ-ტის ხელფასი
7. ავტო-ნომია ესპანეთში
8. მინი-ბოულინ-გი
9. დედამი-წის მიზიდუ-ლობა
10. რუმი-ნეთის დედაქა-ლაქი
11. ალპური ყვავილი
12. კუნძული ავსტრა-ლიასთან
13. ინდო-ნეზიის დედაქა-ლაქი
14. ნაგებობა მდინა-რეზე
15. საქსოვი მანქანის დეტალი
16. ესპანელი მხატვარი
17. ესტო-ნეთის დედაქა-ლაქი
18. ფულის მოგება ბილეთით
19. მსახიობი ... ჰოპკინსი
20. ფრინველის სამყვ-დევი
21. მსახიობი ... დე ფიუნესი
22. ნიკო ფიროსმა-ნაშვილი იგივე ...
23. ცირკის სახელდა-ხელო ნაგებობა
24. ვიო-ლინოების ოსტატი გვიდო ...
25. მსახ. ... ვარდა-ლოსი
26. თევზის ჯიში
27. უსინათ-ლოთა ანბანი
28. ტბა ფოთთან
29. მომ-ღერალი ... კალასი
30. ტაში
31. ბარდი ... ოკუჯავა
32. ისტო-რიული შუამდი-ნარეთი
33. კომ-პოზიტორი ... ყანჩელი
34. ინდიე-ლების ქოხი
35. რე-ჟისორი ... შენგელაია
36. ნავთობ-მზიდი გემი
37. დახვე-ული ნამცხვარი
38. იტალიური ხალხური ცეკვა
39. მთათა სისტემა ჩრდ. ამერიკაში
40. მწერალი ლუიჯი ...
41. მდინარე იტალიაში
42. თაყა-იშვილის კინო-როლი
43. კუნძული ინდონე-ზიაში
44. უკრაინის პარლა-მენტი
45. მონ-ღოლეთის დედაქა-ლაქი
46. კომ-პოზიტორი ედვარდ ...
47. მეჭეჭების მოსაწვავი სითხე
48. ვულკა-ნური მასა
49. მზის ღმერთი ...-რა
50. პატარა ფრაზა სპექტა-კლში
51. მდინარე აფრიკაში
52. წამალი-საცხი
53. აფრო-დიტეს სატრფო
54. კათოლი-კური საგალო-ბელი
55. საეკლესიო წესების კრებული
56. საგა-ლობელი ...-მარია
57. ტარზანის მაიმუნი
58. „... ჩამო-ვიდნენ მთიდან“
59. კუნძული ეგეოსის ზღვაში
60. პეტრე ბაგრა-ტიონ-...
61. უცნობი მიწა: ...-ინკოგნიტა
62. კომ-პოზიტორი ... კალმანი
63. მდინარე საფრან-გეთში
64. „შავ-ყურა თეთრი ბიმი“ ავტორი
65. რამაზ გიორგო-ბიანი ფილმში
66. მხ/ფ „... რაიანის გადა-სარ-ჩენად“
67. ფანქრის შავი გული
68. საბჭოთა კლოუნი
69. ფი-ზიკაში: ... სიცარი-ელე
70. მხ/ფ „...-ბონგო“
71. თეთრი ვეშაპი: ... დიკი
72. დათვის ზამთრის ძილი
73. დაბა ოზურგეთ. რაიონში
74. მიბაძვა, მიმს-გავსება
75. ქალაქის ელექტრო-ტრანს-პორტი
76. სპილ-ბერგის უცხო-პლანეტელი
77. ნახ. კუნძული აზერბა-იჯანში
78. ბაღჩე-ული
79. ალ. ყაზბეგის გვარი
80. ქალაქი პოლო-ნეთში
81. ... ულენშ-პიგელი
82. დოკუ-მენტების საცავი
83. პორტი საფრან-გეთში
84. ყელსა-ბამი
85. კოშკი პარიზში
86. ხის ჯიში
87. მომ-ღერალი ლედი ...
88. სერიალი „... ქალაქში“
89. მსახიობი ... ნოლტი
90. პოჟარ-სკი და ...
91. ყაიმი
92. რძის პრო-დუქტი
93. ათოსი, პორთოსი, ...
94. კვერცხის თეთრი შიგთავსი
95. ელვის ... პრესლი
96. ხოჭო. იკვებება ხეხვით
97. სახელმ-წიფო აზიაში
98. მომ-ღერალი ნიაზ ...
99. შტატი აშშ-ში
100. კენიის დედაქა-ლაქი
101. მეტყვე-ლების ორგანო
102. პროტეს-ტანტების მღვდელი
103. შენობა საწნახლით
104. „იყო ... როსტევან“
105. ... მურომეცი
106. ჰოკეის ბურთი
107. ზღვის ძუძუ-მწოვარი
108. მსახიობი ... რუსო
109. მსახიობი ... პაპასი
110. შვარცე-ნეგერი რკინის ...
111. პარკო-სანი მცენარე
112. სოფელი სურამთან
113. ბირმის დღევანდ. სახელწ.
114. „რა? სად? ...?“
115. ქალაქი იტალიაში
116. მსახიობი ტონი ...
117. მსახიობი ვიქტორ ...
118. ღორების ჯოგი
119. მდინარე გერმა-ნიაში
120. დაკოდილი ცხენი
121. ხის ჭურჭელი
122. იაპონური ჭიდაობა
123. მოუხარ-შავი
124. მხ/ფ „... ნაწვით შეყვა-რება“
125. ყურძნის ჯიში
126. ხელოვ-ნური ენა
127. ჟან-კლოდ ... დამი
128. ნიავი ზღვის პირას
129. ზუმერი
130. ძაფის დასართავი წვირი
131. ნიშნავს ქვას
132. ნიშნავს ცივს
133. ჯუჯა ჟირაფი
134. მთამსვ-ლელი
135. მწერლები ... და პეტროვი

პასუხები: 1. კატაბალახა; 2. ბარბი; 3. ოყა; 4. არაგონი; 5. სორგო; 6. სტიპენდია; 7. კასტილია; 8. კეგლი; 9. გრავიტაცია; 10. ბუქარესტი; 11. ედელვაისი; 12. ტასმანია; 13. ჯაკარტა; 14. ხიდი; 15. მაქო; 16. გოია; 17. ტალინი; 18. ლატარია; 19. ენტონი; 20. გალია; 21. ლუი; 22. ნიკალა; 23. ბალაგანი; 24. გვარნერი; 25. ნია; 26. მინტაი; 27. ბრაილი; 28. პალიასტომი; 29. მარია; 30. აპლოდისმენტი; 31. ბულატ; 32. მესოპოტამია; 33. გია; 34. ვიგვამი; 35. ელდარ; 36. ტანკერი; 37. რულეტი; 38. ტარანტელა; 39. აპალაჩები; 40. პირანდელო; 41. პო; 42. ასინეთა; 43. იავა; 44. რადა; 45. ულან-ბატორი; 46. გრიგი; 47. ლაპისი; 48. ლავა; 49. ამონ; 50. რეპლიკა; 51. ნილოსი; 52. მალამო; 53. ადონისი; 54. მესა; 55. ტიპიკონი; 56. ავე; 57. ჩიტა; 58. ისინი; 59. ლესბოსი; 60. გრუზინსკი; 61. ტერა; 62. იმრე; 63. რონ; 64. ტროეპოლსკი; 65. „სერენადა“; 66. რიგითი; 67. გრაფიტი; 68. კარანდაში; 69. ტორიჩელის; 70. ბინგო; 71. მობი; 72. ანაბიოზი; 73. ლაითური; 74. იმიტაცია; 75. ტროლეიბუსი; 76. ითი; 77. აფშერონი; 78. საზამთრო; 79. ჩოფიკაშვილი; 80. სოპოტი; 81. ტილ; 82. არქივი; 83. მარსელი; 84. კოლიე; 85. ეიფელი; 86. ტირიფი; 87. გაგა; 88. შუა; 89. ნიკ; 90. მინინი; 91. ფრე; 92. კარაქი; 93. არამისი; 94. ცილა; 95. აარონ; 96. ფუნაგორია; 97. ნეპალი; 98. დიასამიძე; 99. კენტუკი; 100. ნაირობი; 101. ენა; 102. პასტორი; 103. მარანი; 104. არაბეთს; 105. ილია; 106. შაიბა; 107. სელაპი; 108. რენე; 109. ირენ; 110. არნი; 111. ლობიო; 112. იტრია; 113. მიანმა; 114. როდის; 115. მილანი; 116. კერტისი; 117. ლაწუ; 118. კოლტი; 119. რაინი; 120. იაბო; 121. კასრი; 122. სუმო; 123. უმი; 124. ერთი; 125. თითა; 126. იდო; 127. ვან; 128. ბრიზი; 129. ზარი; 130. თითისტარი; 131. ლითი; 132. კრიო; 133. ოკაპი; 134. ალპინისტი; 135. ილფი. იკითხება: ბრიჯიტ ბარდო.



პატარა რუბენამ დედასთან მიირბინა, ხელში ნეხვი უჭირავს.

– დედი, დედი, ნახე ამაში კინაღამ ფეხი ჩავდგი.

*****

ტიპი ტაქსს აჩერებს.

– თუ ძმა ხარ, კრწანისში ამიყვანე.

– სად, კრწანისის ქუჩაზე?

– არაა, კრწანისის ბრძოლაში. დროზე, თუ კაცი ხარ, მეჩქარება, რა დროს ხუმრობაა.

*****



ბიჭიკია ბუხუტიას ეტრაბახება:

– ცოლს ისე ვუყვარვარ, ხელში აყვანილს დამატარებს.

– შენ როგორ გეპყრობა შენი ცუცა?

– არა, ძმაო, მასე არ ვთვრები ხოლმე, ცოლმა სახლში ხელში აყვანილი რომ წამიღოს.

*****

მამიკო, მე აყვანილი ვარ?

– მომისმინე თენგიზ, მე და დედაშენს შვილის აყვანის შესაძლებლობა რომ გვქონოდა, რას ფიქრობ, შენნაირ დებილს ავიყვანდით?

*****



– ვალოდია, აჰა, დაიჭირე ნაჯახი და ის ტოტი მოჭერი... რას გაიტრუნე? ვალოდია... ვალოდია... რაშია საქმე?

*****

– ყველაზე ეფექტური დიეტა იაპონურია.

– რას ნიშნავს იაპონური დიეტა?

– რას და, მოხარშული ბრინჯი ორი ჩხირის მაგივრად ერთით უნდა ჭამო.

***მოამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ადამიანის ორგანიზმს მომნელებელი სისტემიდან თმების გამოდევნის უნარი არ გააჩნია



თმა კერატინისგან შედგება, იმავე მასალისგან, რომელიც გვხვდება ცხოველების რქებსა და ჩლიქებში. ეს არის იმდენად მყარი და მტკიცე ნივთიერება, რომ დასაზიანებლად საჭიროა მჟავები და ტემპერატურა, ცელსიუსით 100 გრადუსი. რაღა თქმა უნდა, ადამიანის ორგანიზმს ასეთი პირობების წარმოქმნა არ შეუძლია.

ჰოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მომნელებელ სისტემაში მოხვედრილი თმის გამოდევნა ადამიანის ორგანიზმს, უბრალოდ, არ შეუძლია.

ექიმებს უჭირთ პასუხის გაცემა, რატომ რჩება თმა სწორედ კუჭში, მაგრამ მიიჩნევენ, რომ თმა ზედმეტად სრიალაა, რომ კუჭიდან საკვებთან ერთად გავიდეს და საკმაოდ თხელი, რომ კუჭის შიგნით დარჩეს. გარდა ამისა, კუჭში უკვე მოხვედრილი თმა სხვა ახლად გადაყლაპულ თმებს ეჭიდება და ეს ძირითადად, იმ ადამიანებში ხდება, რომელთაც აქვთ მავნე ჩვევა, თმის წვერები პირში ჩაიდონ. ისინი, უბრალოდ, ვერ ამჩნევენ, როგორ ეყლაპებათ თმის რამდენიმე უწვრილესი ღერი.

როცა, საბოლოო ჯამში, თმის ბურთულა საკმაოდ დიდი ხდება, მის ნაწილს კუჭი განდევნის, მაგრამ გარკვეული ნაწილი მაინც ადგილზე რჩება და გამოდის საკმაოდ გრძელი „ლენტი", რომელიც მთელ მომნელებელ სისტემას ებღაუჭება.

მოვლენას საკუთარი სახელიც აქვს: „რაპუნცელის სინდრომი", ვინაიდან ნაწლავებში გაშლილი თმები ზღაპრის მთავარი გმირის თმებს გვაგონებს.

***hozna.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ადამიანის ტვინი მამაკაცს — მთლიანად, ხოლო ქალს ნაწილ-ნაწილ აღიქვამს



უცნაური არსებაა ადამიანი, იდუმალებით მოცული და უსაზღვროდ საკვირველი. ჰოდა, იმდენი თავისებურება აქვს, ოდესმე თუ გაირკვა ყველაფერი, ხომ კარგი, თუ არადა მოგვიწევს პასუხგაუცემელ კითხვებთან ერთად ცხოვრება.

ადამიანის მორიგი უჩვეულო თავისებურების შესახებ ამერიკელი ფსიქოლოგები საუბრობენ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენი ტვინი მამაკაცსა და ქალს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულად აღიქვამს. კერძოდ, მამაკაცს ტვინი ხედავს როგორც ერთ მთლიანობას, ხოლო ქალს – როგორც „დეტალების ჯამს". ამასთანავე, მსგავსი აღქმა დამახასიათებელია ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის, ანუ ქალებიც ერთმანეთს ნაწილ-ნაწილ ხედავენ.

თავის ტვინის ეს უჩვეულო თავისებურება ნებრასკას უნივერსიტეტის ექსპერტებმა აღმოაჩინეს.

როგორც ისინი ვარაუდობენ, თავის ტვინს ეს თავისებურება დროთა განმავლობაში გამოუმუშავდა. კერძოდ, ჩვეულებრივ, სარეკლამო რგოლებსა და მხატვრულ ფილმებში მამაკაცი მთლიანად ჩანს, ქალის შემთხვევაში კი სხეულის სხვადასხვა ნაწილის გამოყოფა და აქცენტირება ხდება. ეს არის ყველაზე პოპულარული ახსნა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, ძაღლის თავი სულ სხვაგან იმალებოდეს.

***realfacts.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შიშველი ჟურნალისტები უკეთ მუშაობენ

სან-ფრანცისკოში, ონლაინგამოცემა The Bold Italic-ის თანამშრომლებმა კოლეგებისგან განსხვავებულობა გადაწყვიტეს. მიღებული გადაწყვეტილებით, შთაბეჭდილების მოხდენა არ გასჭირვებიათ.



მთელი მარტის განმავლობაში, რედაქციის ჟურნალისტები სამუშაო



ოთახში შესვლამდე, ტანსაცმელს გარდერობში ტოვებდნენ და სამუშაო ფუნქციებს სრულიად შიშვლები ასრულებდნენ.

ერთადერთი ჩაცმული თანამშრომელი ფოტოგრაფი იყო, რომელსაც შიშველი მკერდის გამოსახულებიანი მაისურის ჩაცმა აიძულეს. ფოტოების მიხედვით, ის ამ გადაწყვეტილებით ბედნიერი ნამდვილად არ ჩანს.

ექსპერიმენტის პირველი ორი დღე უხერხული და დაძაბული აღმოჩნდა. მაგრამ მესამე დღეს თანამშრომლებმა აქტიური კომუნიკაცია დაიწყეს.

The Bold Italic-ის თანამშრომელთა განცხადებით, „გენიტალიების გათავისუფლებით, საკუთარ გონებასაც ათავისუფლებ, რაც პროდუქტიულობას ზრდის და ახალი იდეების გენერირებას უწყობს ხელს". თანამშრომლები აცხადებენ, რომ აუცილებელია ყველა კომპანია, თუნდაც ერთი კვირით გაშიშვლდეს.

***news.coa.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ავსტრალიაში აკვამაცია — მიცვალებულების წყალში „დასაფლავება" მოიგონეს



მსოფლიოს გარკვეული ნაწილი მიცვალებულების დაკრძალვის ახალ-ახალი მეთოდების გამოგონებას ცდილობს. მათი მიწისთვის მიბარება აქტუალური აღარ არის, რადგან ადგილია ძალიან შემცირებული. კრემაციაც ვეღარ ყოფილა ისეთი პოპულარული, ნამწვი კლიმატის ცვლილებებზე მოქმედებსო და... ჰოდა, დარჩა მესამე და უკანასკნელი სტიქია – წყალი. დიახ, სწორედ წყლის დახმარებით ცდილობენ გარდაცვლილთა ცხედრების უტილიზაციას.

როგორც ირკვევა, აკვამაციის (მეთოდის მსგავსად, ალბათ, სიტყვაც ახლად გამოგონილია) ინიციატორი ვინმე ჯონ ჰამფრისია, ავსტრალიის მოქალაქე და აი, რას სთავაზობს ის თანამედროვე მსოფლიოს:

მიცვალებულთა ცხედრები უნდა მოთავსდეს ლითონის მოზრდილ ცილინდრებში, შემდეგ მაღალ ტემპერატურაზე 4 საათის განმავლობაში მოიხარშოს (ძალიან შეუსაბამო სიტყვაა, მაგრამ ასეთია ჰამფრისის იდეა და...), რასაც ხორცის მთლიანად აორთქლება მოჰყვება, დარჩენილი ძვლები კი მიწაში დიდ ადგილს აღარ დაიკავებს.

რამდენად მოიწონეს ავსტრალიელებმა ჯონ ჰამფრისის ინიციატივა, აზრზე არ ვართ და დიდად, ალბათ, არც თქვენ გაინტერესებთ, რადგან კრემაციასთან შედარებით, ეს მეთოდი გაცილებით საზიზღარი და ამაზრზენია. ბოლოს და ბოლოს, „ხალადეცის" მასალა ხომ არ არის ადამიანი, არა?!

***mosritual.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რა მოჰყვება ფრჩხილების კვნეტას — „ფრჩხილის ქვეშ ჭიების კვერცხებიც ბინადრობენ"



ფრჩხილების კვნეტის ჩვევა ბავშვებს დაახლოებით 4 წლის ასაკიდან ეწყებათ. რა არის ამის მიზეზი, ბოლომდე გამოკვლეული არაა.

ზოგიერთი სპეციალისტი სტრესს ასახელებს, ზოგიერთი ფსიქიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მესამე – მემკვიდრეობით ფაქტორს.

რა მიზეზიც არ უნდა იყოს, ადამიანი ფრჩხილებს მაინც იკვნეტს და თუ ამ თვისებას თავს ვერ აღწევთ, იქნებ, იმ საშიშროებათა შეხსენება დაგეხმაროთ, რომელიც ამ მავნე ჩვევას მოჰყვება.

1. ფრჩხილების ქვეშ ბაქტერიებისა და სოკოების მთელი პლანტაცია მდებარეობს. როგორც კი თითს პირისკენ წაიღებთ, გახსოვდეთ, რომ ფრჩხილებიდან ისინი თქვენს ორგანიზმში გადაინაცვლებს.

2. სოკოებისა და ბაქტერიების გარდა, ფრჩხილის ქვეშ ჭიების კვერცხებიც ბინადრობენ...

3. ფრჩხილის მოკვნეტის დროს, შეიძლება, კბილის ემალი დაიზიანოთ. დარეგისტრირებულია, აგრეთვე, ყბის დაზიანების შემთხვევაც.

4. ფრჩხილის მოკვნეტის დროს შეიძლება ღრძილი ან ენის ლორწოვანი გარსი დაიზიანოთ და ინფექცია შეიტანოთ ჭრილობაში. ფრჩხილის ქვეშ არსებულმა სტაფილოკოკებმა კი შეიძლება პირში სტომატიტი გამოიწვიოს.

5. ინფორმაცია ქალბატონებისთვის: მანიკიურიანი ფრჩხილების კვნეტა ორმაგად საშიშია. ლაქების უმეტესობა ფორმალდეგიდს – შხამიან ნივთიერებას შეიცავს. ამ ნივთიერებით გვამებს ამუშავებენ.

6. კვნეტის დროს ირღვევა ფრჩხილის სტრუქტურა და ის საშინელი სანახავი ხდება.

7. ფრჩხილის კუთხეებში სისხლდენა იწყება, სადაც წამსვე იბუდებენ ბაქტერიები.

8. ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომლის დროსაც ფრჩხილების კვნეტას იწყებთ, შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს.

9. დაბოლოს, ვერ შეძლებთ პოკერის თამაშს, მავნე თვისება მომენტალურად გაგცემთ.

***plus.kvira.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ჩინეთში მიცვალებულების სხეულის ნაწილების 3D პრინტერით ბეჭდვა დაიწყეს



ჩინეთში, შანხაის ერთ-ერთმა დამკრძალავმა ბიურომ 3დე პრინტერის გამოყენება დაიწყო იმისთვის, რომ გარდაცვლილის სხეულის დასახიჩრებული, ან დაკარგული ნაწილები აღადგინოს.

შედეგად კი, აღწევენ იმას, რომ სასურველი ნაწილებს 95-პროცენტიანი სიზუსტით აღდგენენ. პრინტერი სასურველი ზომისა და ფორმის ნაწილების ფენებს ქმნის და ერთმანეთზე ალაგებს. ბეჭდვა კი 3 დე, ან ორგანზომილებიანი გამოსახულებით იქნება შესაძლებელი. გარდაცვლილის სახის აღდგენა დაახლოებით, 600-780 დოლარი ღირს.

„ნათესავებისთვის რთულია ახლობლის დასახიჩრებული სახის ან სხეულის ცქერა. მით უმეტეს, რომ ყოველთვის შეუძლებელია მათი გრიმით დაფარვა", – განაცხადა, დაკრძალვის ბიუროს წარმომადგენელმა, ლიუ ფენმინმა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მთელ მსოფლიოში ყველა ადამიანი ფერებსა და მუსიკას ერთმანეთს ერთნაირად უკავშირებს



– ჩვეულებრივ, მხიარული მუსიკა ადამიანებში ყვითელთან და სტაფილოსფერთან ასოცირდება, ხოლო სევდიანი – ნაცრისფერთან და ლურჯთან, – ამტკიცებენ კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარები.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ მათი მიგნება დღის სინათლეზე გამოიტანს სინესთეზიის მოვლენას, ანუ ზემოქმედებას გრძნობის ერთ ორგანოზე და სპეციფიკური შეგრძნებების წარმოქმნას, რომელიც გრძნობის სხვა ორგანოს შეესაბამება.

გარდა ამისა, ისინი ვარაუდობენ, რომ მათი კვლევის შედეგი სასარგებლო იქნება რეკლამის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის და ასევე, არტ-თერაპევტებისთვის.

კვლევა, რომელშიც ორივე სქესის რამდენიმე ასეული წარმომადგენელი მონაწილეობდა, კლასიკური მუსიკის დახმარებით ჩატარდა და გამოყენებული იყო ბახის, ბრამსისა და მოცარტის ნაწარმოებები. ამასთანავე, მოხალისეების ერთი ნაწილი სან-ფრანცისკოში ცხოვრობდა, მეორე კი გვადალაჰარაში (მექსიკა).

მკვლევარებმა რესპონდენტებს შესთავაზეს, ესა თუ ის ნაწარმოები 37 შეთავაზებული ფერიდან ხუთისთვის შეედარებინათ. შედეგად, აღმოჩნდა, რომ ამერიკელებიცა და მექსიკელებიც მხიარულ მუსიკას თბილ ფერებს: ყვითელსა და სტაფილოსფერს უკავშირებდნენ, ხოლო სევდიანს უკვე ცივ ტონებს: ნაცრისფერსა და ლურჯს.

საბოლოოო ჯამში, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ხმოვანი სინესთეზია სულაც არ არის დამოკიდებული ადამიანის კულტურულ, ასაკობრივ, გენდერულ და სხვა შესაძლებლობებზე და რომ მუსიკა ნებისმიერი ეროვნების ადამიანს ერთმანეთის მსგავს ემოციურ პალიტრას გადასცემს.

**pronowosti.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## კიბო მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ დაავადებად აღიარეს



ამერიკის კიბოსთან ბრძოლის საზოგადოების მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, ცნობილი ხდება, რომ ონკოლოგიური დაავადებები პირველია მსოფლიოში არა მხოლოდ სიკვდილიანობის მიხედვით, არამედ, ასევე, პირველ ადგილს იკავებს მატერიალური ზიანის მოტანის მხრივაც. მართლაც, კიბოთი დაავადებული პაციენტების მკურნალობას უზარმაზარი თანხები სჭირდება და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში, სასურველი შედეგის მიღება ვერ ხერხდება.

ყველაზე ძვირად ღირებული დაავადებების სიაში მომდევნო ადგილები გადაინაწილეს: შიდსმა, მალარიამ, გრიპმა და ასე შემდეგ.

ქრონიკულ დაავადებებზე, მათ შორის, კიბოზე, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობებსა და დიაბეტზე, მსოფლიოში სიკვდილიანობის 60 პროცენტი მოდის, თუმცა მათ დასამარცხებლად სახელმწიფო და კერძო სახსრების მხოლოდ 3 პროცენტი იხარჯება. გამოდის, რომ მსოფლიო ამ საკმაოდ საშიშ დაავადებებს საჭირო ყურადღებას არ უთმობს, რაც უარყოფითად ისევ ეკონომიკაზე აისახება. მაგალითად, 2008 წელს მხოლოდ კიბოთი გარდაცვლილი ადამიანების გამო, მსოფლიოს ზარალმა 895 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საინტერესოა, რომ აღნიშნულ თანხაში მკურნალობის ხარჯები გათვალისწინებული არ არის. 895 მილიარდი აშშ დოლარი კი მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5 პროცენტის ეკვივალენტურია. ანუ სახელმწიფოების წინდაუხედაობასა და დაავადებების დასამარცხებლად თანხების გამოყოფაზე უარის თქმას, გაცილებით დიდი დანაკარგები მოსდევს არა მხოლოდ ადამიანური რესურსის, არამედ ფინანსური თვალსაზრისითაც.

**medkarta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## დედამ შვილს დაბადების დღის საჩუქრად სტრიპტიზიორი დაუქირავა



შვილის დაბადების დღე ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა, ამიტომ საჩუქარიც გულდასმით უნდა შეირჩეს და შვილის სურვილსა და ოცნებებს ზუსტად უნდა ემთხვეოდეს.

რა შეიძლება შევუძინოთ 8 წლის ბიჭს? რაზე ოცნებობენ ამ დროს შვილები? სათამაშოზე, მობილურ ტელეფონზე, აიპადზე, იქნებ, სულაც ფრთებზე?

აი, ამერიკელმა დედამ გადაწყვიტა, რომ შვილს ისე ვერაფრით გაახარებდა, როგორც სტრიპტიზიორის ცეკვის ცქერით. ალბათ, უნდოდა მისი ერთა ესთეტიკას ყრმობიდანვე ზიარებოდა.

გარდა იმისა, რომ 8 წლის ბავშვს ბიკინიანი ქალი დაუქირავა და უკანალი სულ ცხვირწინ ატრიალებინა, ეს სცენა გადაიღო და სიურპრიზების მოფიქრების დიდოსტატმა „იუთუბიზეც“ განათავსა. ადგილობრივებმა სწორედ „იუთუბის“ მეშვეობით გაიგეს „მზრუნველი“ დედის შესახებ და აღშფოთდნენ კიდეც. აღშფოთებულზე პოლიცია გამოიძახეს და უგუნური დედის საქციელიც გაასაჩივრეს. ყველა სიკეთესთან ერთად, დედას შვილის თანატოლი დამქაშებიც მოწვეული ჰყავდა. ამან ხომ სულ გადარია კალიფორნიელები – არ გვაინტერესებს, რა მუხლით აღძრავთ საქმეს, ამ ქალმა პასუხი უნდა აგოსო.

ამ ეტაპზე ერთადერთი, რა ბრალდებითაც შეიძლება დედა გასამართლდეს, სექსუალური ხასიათის საქმიანობაა, რომელშიც არასრულწლოვნებიც მონაწილეობდნენ. უცნობია, პოლიცია რა გადაწყვეტილებას მიიღებს.

**etotupo.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## გოგონებისთვის ვარდისფერ ნივთებს ნუ შეიძენთ!



ხომ გაგიგიათ, არსებობს ერთი ასეთი გამოთქმა: „ბავშვი ოჯახის სარკეაო“, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ზუსტად ისე ყალიბდება და იქცევა, როგორც მშობლები აჩვევენ. ისიც გექნებათ გაგონილი, რომ, რატომღაც, მიღებულია – თუკი ოჯახში, ვთქვათ, გოგონა იბადება, მისთვის, ძირითადად, ვარდისფერ ნივთებს არჩევენ, ვაჟებისთვის კი – ლურჯს ან ცისფერს. და იცით, ეს რას ნიშნავს?

ამერიკელ სპეციალისტებს თუ დავესესხებით, აი, ასეთ პასუხს მივიღებთ:

– როცა ადამიანი ერთსა და იმავე ფერს ეჩვევა, მომავალში ის სხვა ფერზე უარს ამბობს. კერძოდ, ბავშვებში ფერების აღქმა არასწორი მიმართულებით ვითარდება, რამაც, შესაძლოა, შემდგომში მათზე ზემოქმედება უფრო ადვილი გახადოს.

მეცნიერების განმარტებით, კომერციული ფირმები მათ ფსიქოლოგიაზე სწორედ ფერების გამოყენებით მანიპულირებენ, რაც, თავის მხრივ, მშობლების ბრალია, რადგან გოგონები ხომ – ვარდისფერს, ვაჟები კი ლურჯსა და ცისფერს სწორედ მათ მიაჩვიეს?!

გარდა ამისა, სწავლულების აზრით, არსებობს მეორე არასასიამოვნო მომენტიც, რომელსაც ელემენტარული სოციალურ-აღმზრდელობითი ფუნქციის უქონლობა ეწოდება – ვარდისფერი სათამაშოები, განსაკუთრებით კი თოჯინები, გოგონებში პრინცესას ასოციაციებს აღძრავს. მოგეხსენებათ, პერსპექტივაში ქალმა ოჯახი უნდა შექმნას, პრინცესობაზე მეოცნებე ადამიანს კი, შესაძლოა, სირთულეების გადალახვა მნიშვნელოვნად გაუჭირდეს.

**myjane.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## იყავით ფრთხილად, როცა ბანანს ყიდულობთ! იცით თუ არა, რას ნიშნავს მასზე დაკრული ეტიკეტები?



დარწმუნებული ვარ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეგინიშნავთ ბანანზე დაკრული პატარა ეტიკეტი, მაგრამ დაფიქრებულხართ ოდესმე, რას ნიშნავს ის?

1. თუკი მასზე ოთხნიშნა კოდია, რომელიც 3-ით, ან 4-ით იწყება, ეს ნიშნავს, რომ პროდუქტი სოფლის მეურნეობის პრინციპით არის მოყვანილი, რაც სასუქისა და პესტიციდების გამოყენებას გულისხმობს.

2. თუ პროდუქტზე დაკრული ეტიკეტი ხუთნიშნა კოდით არის და ეს კოდი 9-ით იწყება, ნიშნავს, რომ პროდუქტი ტრადიციული მეთოდით არის მოყვანილი, როგორც ამას ათასწლეულობით აკეთებდნენ. ახლა ამ მეთოდს „ორგანულს“ უწოდებენ, მარტივად რომ ვთქვათ, პესტიციდებისა და სასუქის გარეშე.

3. თუ პროდუქტს ხუთნიშნა კოდი აქვს, რომელიც 8-ით იწყება, ეს ნიშნავს, რომ ის გენეტიკურად მოდიფიცირებულია.

**marao.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ტაივანელი ,,რომეო“ ქალღმერთის ქანდაკებაზე დაქორწინდა



საერთოდ, ყოველთვის ისე ხდება ხოლმე, რომ გარყვნილებას დემოკრატიის ცანცარულ სამოსში გამოწყობილი მორალისტები საუკეთესო შემთხვევაში, ავადმყოფობად ასაღებენ და უჩვეულოს ვერაფერს ხედავენ მაგალითად, მამათმავლობაში, ლესბოსელობაში, ნეკროფილობაში, ზოოფილობაში და რაც ყველაზე დიდი საშინელებაა, პედოფილიაშიც კი!

ზუსტად როგორ შეაფასეს ეს სულელური ფაქტი დემოკრატიის მამებმა, ვერ გეტყვით, თუმცა რთული მისახვედრი არც არის, რადგან, როგორც ამბობენ ხოლმე, ყველას აქვს იმის გაკეთების უფლება, რაც მის ავადმყოფურ გონებაში დაიბადება.

ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ, გეტყვით, რომ ტაივანის მკვიდრმა, იუნ ლინმა ქალღმერთის ქანდაკებაზე იქორწინა.

თავად ლინის განმარტებით, ლოტოსის ქალღმერთის მიმართ გრძნობა ჩვეულებრივ მოკვდავებთან ხელმოცარული რომანების შემდეგ გაუჩნდა, რომელიც სიზმარში ძალიან ხშირად ეცხადებოდა და სიყვარულს ეფიცებოდა.

მას შემდეგ, რაც საზეიმო ლონისძიებაზე სიძემ „პატარძალთან“ ხელი მოაწერა, ქანდაკება სახლში გადაიტანა და...

**gazeta.ru**

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



შალიკიამ ზღვის ნაპირთან ბოთლი იპოვა. ფიქრობს, ზის თუ არა შიგნით ჯინი და ბოთლს ხელში ატრიალებს... გავიდა ხუთი წუთი, ათი, თხუთმეტი... ამ დროს ბოთლიდან ხმა ისმის.

– შალიკია, მოხსენი მაგ ბოთლს საცობი, რამ გამოგაშტერა.

*****

ორი პარაშუტისტი ერთმანეთში საუბრობს:

– როგორი იყო შენი პირველი ნახტომი?

– როგორი და ჩიტივით.

– ეგ როგორ?

– მოვფრინავდი და ვსკლინტავდი.

*****



შუა ზღვაში რაჟიკო ნავში ზის და თევზაობს, სულ პატარებს იჭერს:

– ღმერთო, ერთი დიდი თევზი გამომიგზავნე, რა იქნება?

უცებ მის წინ უშველებელმა ზვიგენმა ამოყვინთა:

– ეს ნამეტანი დიდია, ღმერთო.

*****

– ექიმო, მიშველე რამე, ნახევრად ყრუ ვარ.

– ნახევრად ყრუ ადამიანი არ არსებობს, ან ხარ ყრუ, ან არა.

ექიმმა ჩაიჩურჩულა, ოცდაორი.

– აბა, რა ვთქვი?

– თერთმეტი, ექიმო.

*****



– სეროჟ, თუ იცი, რა განსხვავებაა როიალსა და პიანინოს შორის?

– როგორ არა, როიალს სიმები, დეკა და მექანიკური ნაწილები ჰორიზონტალურად აქვს განლაგებული, პიანინოს – ვერტიკალურად.

– კიდევ?

– კიდევ როიალი მძიმეა და ძვირი ღირს.

– ვაა, ამდენი საიდან იცი, მუსიკოსი ხარ?

– მუსიკოსი კი არა მტვირთავი ვარ, ტოო.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ყოველკვირეული ალია“
სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 435 553
რედაქტორი მანანა გიორგაძე

## მსოფლიოს ყველაზე სახიფათო კურორტები



გველების კუნძული (ბრაზილია) – სახელწოდებიდანაც ადვილად მიხვდებოდით, რა საფრთხე ბუდობს ჩვენი პლანეტის ამ ნაწილში. მაგალითად, გველების კუნძულზე ბინადრობენ შუბისთავა უხსენებლები. მისი სულ ერთი კბენაც კი ქსოვილების წამიერ გათიშვასა და ფატალურ შედეგს იწვევს. სტატისტიკის თანახმად, კუნძულის 1 კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 5 გველი დასისინებს.

ბარბადოსი – კარიბის ზღვის აუზის ცნობილი კურორტის რეიტინგში მოხვე-

ყველაზე სახიფათო კურორტების რეიტინგი ბრიტანული სადაზღვევო კომპანია „ნორვიჩ იუნიონ თრეველის“ შედგენილია და გათვალისწინებულია შემდეგი პირობები: ავარიების ყველაზე მაღალი საფრთხე, ქურდობა, მოწამვლა, ასევე, მომსახურების დაბალი დონე, თაღლითობა და მოკლედ, ყველაფერი, რაც ფულს სულ ტყუილად დაგახარჯვინებთ.

 აი, ქვეყნები, სადაც გამგზავრება შესაძლოა, ძალიან ძვირად დაგიჯდეთ:

ტაილანდი – სწორედ ამ ქვეყანაში ხდება ყველაზე მეტი ავარია, საკვები პროდუქტებისგან მოწამვლა და ქურდობები.

თუკი მაინც გსურთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ ქვეყანას ეწვიოთ, ასეთ შემთხვევაში, შემდეგი პირობები გაითვალისწინეთ:

– ნუ დაეთანხმებით საეჭვო ექსკურსიაში მონაწილეობას, რაც არ უნდა ხელმისაწვდომი იყოს ტურის ღირებულება.

– ტაქსით მგზავრობისას დარწმუნდით, რომ მძღოლს დანიშნულების ადგილი კარგად გააგებინეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ისეთ ადგილას მოხვდეთ, სადაც მინიმუმ ფულს გამოეთხოვებით.

– კატეგორიულად არ გირჩევთ საკვებისა და სასმელის ქუჩაში შეძენას. ტაილანდური ეგზოტიკის გაცნობა თუ გსურთ, მასაჟი და სპა-პროცედურები სრულიად საკმარისია.

სამხრეთ აფრიკა – ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქვეყანაა, რომელშიც ძალიან ხშირია ტურისტების გაქურდვა, თანაც, იარაღის გამოყენებით. კრიმინოგენური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საშიში ყოფილა სამხრეთ აფრიკის შემდეგი ქალაქები: იოჰანესბურგი, სოუეტო, ჰილბრო, ალექსანდრა და კეტლჰონგი.



დრა შხამიანი ტროპიკული მწერების ძალიან დიდმა რაოდენობამ და ასევე, წყლის საშიში ბინადრების – ზვიგენების, სკაროსებისა და სხვა არსებების არასტუმართმოყვარეობამ განაპირობა, რომელთა გამოც ყოველწლიურად ბარბადოსზე მინიმუმ რამდენიმე ათეული ტურისტი იღუპება.

ინდოეთი – მხოლოდ იმ შემთხვევაში ეწვიეთ ინდოეთს, როცა შხამიანი მწერებისგან, ვირუსებისგან და ათასგვარი ინფექციებისგან დამცავ ყველა აცრას ჩაიტარებთ. ინდოეთი სწორედ იმ საშიშ ქვეყანათაგანია, სადაც ტურისტების უეცარ გარდაცვალებას თუნდაც სასმელი წყლის დალევა ან კიდევ, იქაურ მდინარეებსა და ტბებში ბანაობა იწვევს.

კუბა – გამოცდილი ტურისტების თქმით, მსოფლიოს ეს ულამაზესი წერტილი საშიშია იმის გამო, რომ ძალიან ადვილია იქ ვენერიული დაავადებებით „დასაჩუქრება“ და ასევე, ნარკოტიკის მოხმარებაზე იმაზე ადრე მიჩვევა, ვიდრე პლაჟამდე მიმავალი გზის გავლას სჭირდება.

*factroom.ru*

## ფსორიაზს თვითმკვლელობის პროვოცირება შეუძლია?



რამდენად შეიძლება დაჯერება, რთული სათქმელია, თუმცა ის კი შეგვიძლია გითხრათ, რომ შემაძრწუნებელი დასკვნა ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნით. ისინი მიიჩნევენ, რომ ფსორიაზი არა მხოლოდ კანის დაავადება, არამედ დეპრესიის, სულიერი მღელვარებისა და სუიციდური აზრების პროვოკატორიც კია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამერიკელმა სწავლულებმა მასშტაბური გამოკითხვა ჩაატარეს, რომელშიც რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა – როგორც ფსორიაზით დაავადებულებმა, ისე სრულიად ჯანმრთელებმა.

აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური აშლილობები გაცილებით ხშირად სწორედ დაავადებულებში ფიქსირდება, ვიდრე ჯანმრთელებში.

100 დაავადებულიდან „ღრმა დეპრესიის“ დიაგნოზი 26 პაციენტს დაესვა, 21-ს „მუდმივი მღელვარება“, 3-4 კი თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი აღმოჩნდა და ეს ყველაფერი მხოლოდ კანის დაავადების გამო.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## სიცხე, ქარიშხლები და წყალდიდობები ჩვეულებრივ კლიმატურ მოვლენად იქცევა?



სხვა გზა აღარ დაგვრჩება და ყველანაირ ბუნებრივ კატაკლიზმას ჩვეულებრივ მოვლენად აღვიქვამთ, როგორც ეს, მაგალითად, ნიავის დაბერვის ან შხაპუნა წვიმის შემთხვევაში ხდება ხოლმე.

რთული დასაჯერებელია, არა? რა გითხრათ, თუკი მოხშირებულ კატასტროფებს გავითვალისწინებთ და ზედ მეცნიერების დასკვნასაც დავამატებთ, უჩვეულო და გასაკვირი საერთოდ აღარაფერი გამოდის.

მეცნიერების განმარტებით, დედამიწას თავისი ბირთვი იმდენად ავარვარებს შიგნიდან, ხოლო სიმხურვალე ისეთი სიხშირით ამოედინება ზედაპირზე, რომ სიცხეები, ხშირი მეწყერები, ქარიშხლები, სეტყვა და კიდევ ათასი უბედურება ანომალიად აღარ შეფასდება და ჩვეულებრივ კლიმატურ მოვლენად იქცევა.

მკვლევარები პროგნოზირებენ იმასაც, რომ ტემპერატურის ზრდასთან ერთად, გაიზრდება წყალდიდობების ხანგრძლივობაც.

– გლობალური დათბობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ანომალიური კლიმატური პირობების ხანგრძლივობისა და პერიოდულობის ზრდა იქნება, – მიიჩნევენ მეცნიერები.

*tainamira.ru*

## დაუბანელი თავი ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ

დიდი ხანია, თავი არ დაგიბანიათ? ჩათვალეთ, რომ ასეთი საქციელით საკუთარი ორგანიზმი ოზონის უარყოფითი ზემოქმედებისგან დაიცავით.

ასეთი დასკვნა ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიტანეს, რომლებმაც ექსპერიმენტის მოხალისეებს თავი რამდენიმე დღის განმავლობაში არ დააბანინეს და ოზონის ზემოქმედების დონე ამგვარად განსაზღვრეს.

აღმოჩნდა, რომ დაუბანელმა თმამ ოზონის უარყოფით გავლენას, საშუალოდ, 7-ჯერ უფრო მეტი წინააღმდეგობა გაუწია, ვიდრე დაბანილმა.

შეგახსენებთ, რომ ოზონი ტოქსიკური თვისებებით გამოირჩევა. შეუძლია, სასუნთქი გზების ლორწოვანას გაღიზიანება და იმ შემთხვევაში, თუკი მისი შემცველობა დასაშვებზე მაღალია, ფილტვებსაც ადვილად აზიანებს.

*myjane.ru*

## ამერიკელი გოგონა ციხეში შარვლიდან ტრუსების გამოჩენისთვის ჩასვეს



ამერიკას რომ ვლანძღავთ ხოლმე, მთელი გარყვნილება იქიდან შემოვიდაო, არ ჯობია, ჯერ საკუთარი მორალი შეგვეფასებინა და შემდეგ დაგვეწყო ვინმეს დადანაშაულება?..

საიდან შემოვიდა საქართველოში მართლაც უჩვეულო „მოდა“, შარვლებიდან ნიფხვის გამოჩენას რომ გულისხმობს, ნამდვილად არ ვიცით, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეგვიძლია, რომ ასეთი უთავბოლო საქციელის გამო ახალგაზრდებს ამერიკაში პატიმრობასაც კი უსჯიან.

როგორც ირკვევა, სწორედ აღნიშნული მიზეზით დააპატიმრეს ახალ ორლეანში 23 წლის კიმბერლი სენეტე, რომელმაც გაბედა და მოკლეწელიანი შარვლით, საიდანაც ტრუსები უჩანდა, სასამართლო დარბაზში შევიდა, სადაც, სხვათა შორის, ავტომობილის გატაცებაში ეჭვმიტანილი მისი ძმის პროცესი უნდა გამართულიყო.

როგორც კი მოსამართლემ დარბაზში შესული ახალგაზრდის გამომწვევ ჩაცმულობას თვალი მოჰკრა, გოგონას მაშინვე ერთკვირიანი პატიმრობა მიუსაჯა, რაც შეეხება მის ძმას, ავტომობილის გამტაცებელს ნარების ხეხვა 12 წელი მოუწევს.

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



უბნის „ბირჟაზე“ ბიჭები დგანან და ერთობიან.

– ბიჭებო, ანზორა მოდის, ვისაც პირველს გამარჯობას ეტყვის, ის იყოს ჩმორი.

– ბიჭებს გაუმარჯოს, – მიესალმა ყველას ანზორა.

*****

კანდიდატს ეკითხებიან:

– რატომ იყრით კენჭს არჩევნებზე?

– როგორ რატომ, შეხედეთ მთავრობის ხალხი ფუფუნებაშია ჩაძირული, კორუფცია, უსაქმურობა...

– მერე თქვენ გინდათ ამას ყველაფერს მარტომ ებრძოლოთ?

– არა, რატომ, მე მინდა მათ შევუერთდე.

*****




კრიმინოლოგია – ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის უიღბლო დამნაშავეებს, რომლებსაც დანაშაულზე წაასწრეს, ხოლო მეცნიერებას, რომელიც იღბლიან დამნაშავეებს შეისწავლის – პოლიტოლოგია ეწოდება.

*****

იაპონელებმა რობოტი შექმნეს, რომელიც ქურდებს იჭერს.

– იაპონიაში რობოტმა ხუთ წუთში ოცი ქურდი დაიჭირა.

– ამერიკაში ხუთ წუთში ორმოცდაათი ქურდი დაიჭირა.

– ქუთაისში ხუთ წუთში ვიღაცამ ყველას თვალწინ რობოტი მოიპარა.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

გაზეთი „ყოველკვირეული ალია“
გამოდის ორშაბათობით
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე
რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

ISSN 2346-8424
9 772346 842002
UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 3.10